




თარგმნა მურომან ჯგუზურიამ

„ნაგვემი სულის გოდება“ — ასე ჰქვია ვიეტნამური პოეზიის უმაღლეს შედეგს. ბერძნებმა მოგვცეს „ილიადა“ და „ოდისეა“, იტალიელებმა — „ღვთაებრივი კომედია“, გერმანელებმა — „ფაუსტი“, რუსებმა — „ევგენი ონეგინი“, ქართულმა პოეზიამ — „ვეფხისტყაოსანი“, ასე რომ გავაგრძელოთ და ყოველი ერის უპირველესი ნაწარმოები დავასახელოთ, ნგუენ ზუს (1765—1820) პოემა ვიეტნამური პოეზიის მწვერვალზე აღმოჩნდება. „ნაგვემი სულის გოდებას“, ამბობენ, უბრალო ვიეტნამელი მკითხველი საცა გახსნის, იქ წააწყდება თურმე თავისი ბედ-იღბლის შემცველ გამონათქვამს. ესაა ღრმად ფილოსოფიური და დიდად მხატვრული ნაწარმოები, რის შექმნასაც ათეული საუკუნეები უძღვის წინ. ვიეტნამურ პოეზიაზე თავის დროზე დიდი გავლენა იქონია დიდმა ჩინურმა კლასიკურმა პოეზიამ, ეგრეთწოდებულმა „ტანის ეპოქის“ პოეზიამ, აგრეთვე იაპონურმა და ინდურმა ხელოვნებამ. სხვათაშორის, ნგუენ ზუმ ბრწყინვალედ იცოდა ჩინური სალიტერატურო ენაც. ქართველი მკითხველი უკვე იცნობს ამ ხალხის შესანიშნავი პოეზიის ნიმუშებს: ხო-სუან-ხიონგისა და დოან-თხი-დემის ლექსების კრებულებს (გამომცემლობა „ნაკადული“, 1971—74 წ.წ.). ნგუენ ზუს კალამს ეკუთვნის კიდევ ერთი მომცრო პოემა „რასაც კი სული უდგას“, და მრავალი ლირიკული ლექსი. მთარგმნელი ამჟამად მუშაობს ვიეტნამური პოეზიის მცირე ანთოლოგიაზე. მკითხველებს ვთავაზობთ პოემას „რასაც კი სული უდგას“ და კიდევ რამდენიმე ნიმუშს დიდი ვიეტნამელი პოეტის შემოქმედებიდან.

**რასაც კი სული უდგას**

დღეს კვირამაღია მეშვიდე მთვარის...  
 გმინავს და გუგუნებს ქარი,  
 შემოდგომის დღეა ცივი, უფერული,  
 მუქდება დასავლის კარი,





გორაკზე შიშველი ცაცხვი დგას — ეული,  
 ფოთლით იფარება წყალი,  
 დღე გადაიხარა, მოდის შეღამება,  
 მოკლდება სინათლე თვალის.

ჩრდილი აიკრიფა და ალვის ხეები  
 გზისპირ მოწყენილნი დგანან,  
 ჩამოდის სალამო, მიდიან დღეები,  
 ჩხრიალებს ბრინჯის ყანა,  
 ვისი აივსება გული მწუხარებით,  
 შენ რა გიხარია, განა?  
 მარად ამგვარია ეს წუთისოფელი,  
 დიდია ბუნების ძალა!

ღამე ყურყუმელი ჩამოდის მთებიდან,  
 თანდათან ხშირდება კუბრი,  
 მწარეა ყოველი ჩვენგანის ბედი და  
 მარტოდენ ღრუბელი ქუფრი,  
 როგორ მებრალება ეული სული და  
 როგორ მიხურდება შუბლი,  
 და მარად იქა ვარ, სადაც იყრებიან  
 კვლავ ყოფნა-არყოფნის ზღურბლი.

ცივი შემოდგომის დღეს კვირამალა;  
 ხოტბა აღუვლინოთ იმას,  
 ვინც წამებისაგან იხსნის ადამიანს,  
 ემბაზი დავიდგათ წინა,  
 და წყალი ვასხუროთ წყალი საკვირველი  
 ცოდვას მოგვაშორებს მძიმეს,  
 და ათიათასი ლოცვით მივაკითხოთ  
 ბუდას სურნელოვან მღვიმეს.

თუმცა მრავალია კაცთ შორის მერყევი  
 და გულით უზომოდ ხარბი,  
 მრავალი მტკიცეა, როგორც ქვის კედელი,  
 და არ შეერხევა წარბიც,  
 ზოგს კიდევ ჰგონია, რომ ბედნიერია,  
 უეკლოდ მოჰკრიფა ვარდი,  
 მაგრამ მე ვიტყვოდი, სულ ნაცარტუტაა,  
 რაც იმას ჰგონია კარგი.

რა არის, რომ ითქვას, ფიქრი ჩვენეული,  
 ან კიდევ სურვილი დიდი,  
 როდესაც ომია და კაცი ეული  
 შინიდან შორეთში მიდის,



როდესაც ზეიმობს ეშმაკი ცბიერი  
ირღვევა კრძალვა და რიდი,  
როდესაც მეწვევა ფიქრი სამერმისო,  
მოწყენაც მეწვევა დიდი!

წამში შეიძლება გაქრეს ცის კაშკაში,  
რაც თავზე გვამხია მყარად,  
ვერ დაიმალება მდიდარი ფარჩაში,  
ვერც დევგმირს გაუჭრის ძალა,  
და მისი ბრალია ყველაზე სასტიკი,  
ვინც ხვეჭას მიელტვის მარად,  
შხამად შეერგება მას ღვინის ფიალა  
და ტკბილი ბადაგიც შხამად!

ამქვეყნად მრავალი ეშმა და ავია,  
ჯოჯო და მაცდური კაცთა,  
მრავალი მზაკვარი და კუდიანია,  
ეჰ, მათი სინსილაც გაწყდა!  
დაეხეტებიან კუნაპეტ ღამეში,  
არა აქვთ ფუძე და ბინა,  
ცივი შემოდგომის ქვითინებს გრიგალი,  
ღვართქათად ჩამოდის წვიმა.

ზოგი სულ განცხრომას მიელტვის ჩვეულად  
და ქრიზანთემების ბალით  
ცაში იცქირება ვნებამორეული  
და სურნელოვანი სახლი  
კამკამებს წყლის პირას, და მთვარის ფერია  
კისკისებს ნორჩი და ლალი,  
ხე კი იძარცვება, ფარფატებს ფოთოლი,  
და ზეცის მუქდება თალი!

აი, მზის სასახლე ცად დაკიდებული,  
ძირს წყალი ჩქაფუნებს თეთრი,  
გამოხდა წამი და, სადღაა — ქებული  
სინაზე — დაცოცდა წვეთი,  
უფსკრულში ჩაინთქა ციცქნა ბრილიანტი,  
გაშავდა ცარგვალი თეთრი,  
ბნელმა ჩაითრია მკვიდრად ანაგები,  
სასახლის ღამაში ხედი.

თავადს კი უყვარდა ჩრდილი და სიწყნარე,  
ხან კიდევ — ღრეობა გრძელი,  
გახუნდა ფანჩატურს მომდგარი სიმწვანე  
და დაჭკნა სანახი ვრცელი,



კვდებოდა თავადი და არვინ არ ჰყავდა  
 მას შემშველებელი ხელის,  
 დახავსულ ნანგრევში ხვლიკმა და მხოხავმა  
 დაიდო ბუდე და ხვრელი.

გულისდამწველია უკუნი ტიალი,  
 თუ აღარ გინთია კვარი,  
 შიშისმომგვრელია ლელქაშის შრიალი  
 და გაჭრიალება კარის,  
 საღამო ჩამდგარა მუხლებში დაღლილი,  
 მახსოვს კი — იყავი ქარი!  
 რა არის ტყუილი, რა არის მართალი,  
 რა არის მყიფე და მყარი?


აგერ დიდებული ფარფარა სამოსით  
 და თავზე — წითელი ქუდით,  
 ხელთ ჯოხი უპყრია და ამ მიდამოში  
 'მან იცის სწორი და მრუდი,  
 ბუდას მიმდევარი, წიგნში თავჩარგული,  
 აწ რაზე ოცნებობს იგი,  
 სწყურია მას ჯოხს და ინას სახელი,  
 ამას ეუბნება წიგნიც!

აი, ეს კაცი კი კვლავ ომის წადილით  
 ლესავს და აელვებს მახვილს;  
 რა არის თითქოსდა იმაზე ადვილი,  
 რომ მიჰყვე დაჭლადის ძახილს,  
 იქ ვილაც დაეცა და სისხლი მჩქეფარე  
 სდის ბერავს ვაით და ახით,  
 სარდალი დარჩება ცოცხალი, ცხადია,  
 მაგრამ არ შერჩება ხალხი!

და ისევ კვეთება, და ისევ ზუზუნი  
 გაისმის მახვილი ისრის,  
 დაეცა სარდალიც, და ჰფარავს უკუნი  
 ავად გარინდებულ წყლისპირს,  
 ჩქეფს წყარო წყვდიადში, მიდის და რაკრაკებს;  
 ოღონდაც შხუილი მისი  
 არ ესმის არავის და ღამის ნადირი  
 საზარად იყმუვლებს ისევ!

ბნელია ცის პირი, ბნელია ცარგვალი,  
 ქარია შლეგი და ურჩი,  
 წავიდა შუქი და მოვიდა ართვალი  
 და ცხედარს წაადგა მუნჯი.





უცებ გაისმება კისკისი ხმიერი,  
და შიში ჩადგება გულში,  
ემმასაც შესწარავს ეს უკაცრიელი  
მიწა და, ემმასაც უჭირს!

მას ჰქონდა ქონება, მაგრამ არ აჩენდა,  
რადგანაც ის ძუნწი იყო,  
არც თვითონ ჭამდა და აღარც სხვას აჭმევდა,  
და მაინც მოერღვა ლიბო.  
არ შერჩა არავინ, დრომ გაუნიავა,  
რასაც ინახავდა თითქოს,  
მემკვიდრე გერჩიოს ფულსა და ქონებას,  
მე ასე გეტყოდი თვითონ!


როცა მან შეაღო კარიბჭე შავეთის  
და ბნელს შეერია ლანდად,  
როცა მოიტოვა ზურგს უკან მწვანეთი  
და ხედი, შორით რომ ჩანდა,  
როცა მოიხედა მან უჯანასკნელად,  
რა ჰქონდა, ან რაღა სწამდა,  
შიშველი ჩავიდა ბერავი მიწაში,  
შიშველი შეერწყა ზამთარს!

კაცს არ ებრალება ნეტავი, საწყალი,  
საფლავს არ აკითხავს კაცი,  
სევდას განმიახლებს ახალი ზამთარი,  
და მდგარი ზეგანზე ცაცხვი,  
რა სამწუხაროა, რომ რჩება ქონება,  
მაგრამ რას მოიხმარ აწი,  
საღამოს ხედია — ბურუსი, ზეგანი,  
ხედია სიზმრების მსგავსი!

სხვას კი აწუხებდა სხვაფერი დიდება, —  
და შორი ქალაქის შუქი,  
იქ სხვაა ცხოვრება, მოდგება-მიდგება,  
და თვითონ ივარგებს თუკი,  
იქ ბედსაც ეწევა, ჩინსა და პატივსაც,  
აქ ბევრი იხარა ზურგი,  
წიგნსაც შეისწავლის! მაგრამ ეპ, წიგნებით  
ვინ მისწვდა სუფევას უფლის!

აი, ეს შორს მიდის და სივრცე სწყურია,  
და ქარში იშლება აფრა,  
ჯერეთ მშვიდობაა და გაზაფხულია,  
მაგრამ დრო იცვლება სწრაფად,





გუგუნებს გრიგალი, გმინავს ქარაშოტი,  
და ნავი ნაფოტის მსგავსად,  
ფარფატებს ტალღებზე, ავარდა გორგალი,  
ნავი კი არა ჩანს არსად!

გზად მიდის ვაჭარი, ქარია, წვიმაა,  
ცივა და თოვლია წვრილი,  
ვიღაცა ღუმელთან ზის ახლა, შინაა,  
ცაზე კი ყანჩების მწკრივი  
მიდის გაწელილი... და ისმის ყივილი,  
კაცი ჩანს გორაკზე მწირი,  
სად ჰპოვებს სავანეს სული სევდიანი,  
სული მოგზაურის ტირის.

სხვას კიდევ თანა სდევს ბედი მადევარი,  
ომშია დღედაღამ იგი,  
დატოვა ოჯახი, ბალი და მცენარე,  
და ცხოვრობს ის ცხრამთას იქით,  
ასრულებს პირწმინდად ბრძანებას სარდლისას,  
მაგრამ თუ შეუჩნდა იჭვი,  
კვლავ მოენატრება ოჯახი და ხელში  
კვლავ შეაცივდება ბრინჯი.

ან ომის ქარბუქში რა არის ცხოვრება,  
ოდეს ბრმა ისარი წივის,  
მეუფე დიდია და იცავს ქონებას,  
შენზე ვინ ოხერი ჩივის,  
დააგდე ხმალი და დაბრუნდი ოჯახში,  
გაათბე კერია ცივი,  
ბედს კი ვერ წაუხვალ, მისია ყოველი,  
სამარე კი — ჩვენი წილი!

ხოლო ამ ასულის სადაა სინაზე,  
ყვავილს რომ ჩუქნიდა გამვლელს,  
სპეტაკი, ვით წვეთი ნაწვიმარ მინაზე,  
სადაა ის ტკბილი ჟამი?  
სადაა მთვარის დრო, დრო ქორთა მცენარის,  
სადაა თუნდ ერთი წამი,  
იმისი, რაც იყო და ჩქეფდა წყალივით,  
სადაა იმ ზეცის ნამი?

გავიდა ხანი და მოვიდა სიბერე,  
ყოველი გარიყა წყალმა,  
ეჭა, დრო მზიანი, რაც ვერ შეიფერე,  
ნადველი გუნებას წამლავს,



ხარ მოხუცებული, ჩიფჩიფებ, პუტუნებ,  
ხელს გაშლი — გათავდა ყოფნა!  
სადაა ქმარ-შვილი, რა ფუჭად გასულა,  
წყეული ცხოვრება სოფლად!

ცხოვრობდი, წვალობდი და გქონდა ფიქრები,  
ნეტავი, მოვკვდები როდის,  
ამქვეყნად, ცხადია, მუდამ ვერ იქნები,  
აი, ის წყეულიც მოდის,  
რატომ? ვეკითხები მე ზეცას, რა იქნა,  
ვისაც შენ დაადე ლოდი,  
ან ვისი ბრალია ყოველი, მითხარი,  
ან ვინ დაგვიბედა შფოთი!


ამ კაცს კი სულ ხიდქვეშ ეძინა საბრალოს,  
რადგან არ გააჩნდა ბუდე,  
და დედინაცვალი იყო ეს სამყარო  
იმისთვის, მარადის, მუდამ,  
ის სითბოს ითხოვდა და ხელებგაშლილი  
ხოტბას აღუვლენდა ბუდას,  
მოკვდა ის საწყალი და ახლა გზისპირას  
მწოლარეს არც არა უნდა!

ზოგი ხომ ციხეში ჩააღებეს, თუმცადა  
არ ჰქონდა მისხალი ბრალი!  
არ დასწვეთებია საბრალოს კურცხალი,  
ისე დაუხუჭეს თვალი!  
დღეა შემოდგომის ცივი, ნაღვლიანი,  
გმინავს და ზუზუნებს ქარი,  
და აწვიმს სამარეს, არ არის საშველი,  
დალბა და დაიფშვნა ძვალი!

ვინ მოსთვლის, ამქვეყნად რამდენი ობოლი  
და მიუსაფარი დადის,  
ხიდან რომ მოწყდება ფარფატი ფოთოლი  
და მზე ნაჩქარევად ჩადის,  
სადა აქვთ ამ ფოთლებს ბინა და სავანე,  
სადაა სამშობლო მათი,  
ტირის უპატრონო პაწია ბალღი და  
მსგავსია მტირალა სანთლის.

სხვა კაცი წყალს მიაქვს, ჰკივის და იძახის,  
სხვა ჩამოვარდება ხიდან,  
სხვას თოკი გაუწყდა და ჭაში ჩავარდა,  
როს მიწას წერაქვით თხრიდა!





სხვა კიდევ ცხოვრობდა ქალაქში გულმშვიდად  
და უცებ ხანძარში მოჰყვა,  
ვინ თქვას, სად უყულებს ხიფათი სულიერს,  
სად რა მიეწევა სოფლად!

სხვა მხეცმა დაფლითა, სხვა კიდევ გორგალმა  
დაამხო მღელვარე ზღვისამ,  
სხვას ბედი ბედითი უფალმა მოჰგვარა  
და შუქი ჩაუქრო მზისა,  
არიან დედანი, შვილებს დაჰბადებენ,  
მაგრამ ვერ გაზრდიან ისე  
ვით ითხოვს ბუნება და ტანჯვას იმკიან,  
ამგვარი მშობლები ღვთისას.

სხვა ტაძრის მახლობლად დაეძებს სავანეს,  
ან ბაზრის მახლობლად ცხოვრობს,  
ღამეა სოფელში და ჰყივის მამალი,  
შუქი ჩანს იმ სოფლის ბოლოს,  
მაინც ვერ გამოდის ბერავი გზაზე და  
მაინც ვერ სცილდება სოროს,  
მას ვინ მიუსაჯა ამდენი წამება,  
ეს მინდა ვიცოდე მხოლოდ!

ან აქ რა იხილა იმდენი ნეტავი,  
ასეთი რომ ერგო ტანჯვა?  
ცხოვრობდა ღარიბი და გაუბედავი,  
და შორით უვლიდა ართვალს,  
მუცელი — მშიერი, ღამე — უძინარი,  
თვალი — ცრემლიანი მიწყვი,  
ვის რა ხელს აძლევდა მისი გაწბილება,  
ან დაბერაგება მისი!

იყივლებს მამალი, ის სახლში ბრუნდება,  
და მიაქვს პაწია თოხი,  
მზე რომ ჩაეშვება — სხეული დუნდება,  
ხუნდება ფერადი ნოხი,  
მიდის თავდახრილი და ზურგზე მშიერი  
ჰყავს შესკუპებული ბალლი,  
ხედია მწუხარე: შუქი არ ინთება  
და აღარ ბრწყინდება სახლი.

ილოცეთ ბუდასთვის, რომ ჭერი ღამაში,  
მოგაგოთ ამ სოფლის მიღმა,  
წარხდება ბნელი და ძვირფასი სამოსით  
გარდმოვა ნათელი ციდან,



მშვიდობა სუფევდეს ოთხ ოკეანეზე,  
ცისკრის ვარსკვლავით წმინდა,  
არ გადაუხვიოს ქვეყნად სულიერმა  
აროდეს სიკეთის გზიდან!

ბუდავ, გეხვეწებით ნათელს და მარადისს,  
ბრუნავდეს ბორბალი ათი,  
ბუდავ, გეხვეწებით მაღალს და სანატრელს,  
იხსენი სულეები მათი,  
ვინც ფერხთით გეგება და გემუდარება,  
მოხედე ბერავს და მარტვილს,  
ალარ დაუშრიტო მას შუქი ნეტარი,  
აპკურე ცვარი და მადლი!

ისმინე, ძლიერო, ჩვენი სახვეწარი,  
და თვალის მოგვეცი ჩინი,  
შენად მიითვალე ჩვენი საესავი,  
და კაცი, ქალი და შირი  
შენ დაამწყალობე, შენ მოგვეც ენა და  
შენვე დაგვიმუწე პირი,  
ვინა ვართ? რანი ვართ? — სხვათა მატირალნი  
ჩვენსავე სატირალს ვტირით.

დრო წარმავალია და ყოფნა რა არის  
თუ არა სიზმარი მრუდე?  
„მტვერია ათი ათასი საგანი“,  
ჩვენ როგორ ვიქნებით მუდამ?  
დე, ყველამ ირწმუნოს სხივი ჭეშმარიტი  
და იგი მისწვდება ბუდას,  
და გლუხსაც თავს ადგას ნათელი ციერი,  
როდესაც მიჰყვება გუთანს!

ჩვენ წესი დავიცვათ და ბუდას მოძღვრებას  
სიკეთე მოჰყვება მიწყივ,  
შენ ჰქმენი სიკეთე, და იგი მოწმეა  
და შენი ამბავი იცის,  
გზას ალარ დაჰკარგავს სანთელ-საკმეველი,  
თუნდ მუჭა მიაგო ბრინჯი,  
მაინც ამაღლდება სურნელი ცათამდის  
მაღალი ბუნების ნიჭით!

დასხედით ყოველნი, მოდით მოიწიეთ,  
გულში ნუ გაივლებთ წყენას,  
კეთილი ფიქრები გულში მოიძიეთ  
და რწმენით შეჰხედეთ ზენარს,



დიდშია მცირე და მცირეში დიდია,  
 წვეთში კი ზღვაა და ჰლეღავს,  
 ილოცეთ, და ყოვლად ძლიერი თანაბრად  
 მიაგებს წყალობას ყველას!

ბუდა მოწყალეა, მაღალი, კეთილი,  
 ნუ იტყვით თქვენ სოფლის აუგს,  
 და დიდი მოძღვრების წმინდა გაკვეთილი  
 ესმოდეს მოხუცს და ჭაბუკს,  
 დედათა, მამათა, მტერთა და მოკეთეთ,  
 ნათესავთ, ძმობილთ და დობილთ,  
 ასე ავმაღლდებით და ნათელს ვიხილავთ  
 ზესთაზეს ჩვენ ამა სოფლით!

### საწოლში ვწევარ ავაღმყოფი

გრილი გაზაფხული, მხურვალე ზაფხული  
 მტერია მარადის ჩვენი,  
 მსგავსია ორივე, ვწევარ დაზაფრული,  
 ვეღარ გამიმართავს წელი!

აქ, ხონგის მახლობლად, მთის ძირას, მარტვილი  
 ვაგდივარ ლოგინში უქმად,  
 დავხედავ სარკეს და — ეგ არის ნამდვილი:  
 გავხდები სიკვდილის ლუკმა!

ბამბუკის კარია, ოდნავ რომ ჭრიალებს,  
 აქ ათი წელია ვწევარ,  
 არ შემოიხედავს აქ ძეხორციელი  
 და გულში გროვდება წყენა!

ბურუსი ჩამოდის მახლობელ მთებიდან,  
 მუჭდება მშობელი მხარე,  
 ჰა, ყოვლადძლიერმან ყოველი შებინდა,  
 ამაღამ არ მოვა მთვარეც!



**ათასი წვრილმანი**

ლოგინად ჩავვარდი ძველი მეომარი,  
 წასულა ღონე და ჯანი,  
 ცაში ვიყურები სიკვდილის მთხოვარი  
 და ცრემლით მევსება თვალი,  
 ნორჩი ქრიზანთემა, მჭნარი ქრიზანთემა —  
 რა არის ამქვეყნად მყარი,  
 თბილია ზაფხული, ცივია ზამთარი,  
 და მაინც ერთფერი არის!

ხან გავალ ეზოში თავის გასართობად  
 და ვებრძვი მოწყენის წურბელს,  
 ხან კიუს მახლობლად ვწევარ ავადმყოფი,  
 გავცქერი ქათქათა ღრუბელს,  
 ღვინო მენატრება და კვახის ფიალა,  
 სურვილს კი არავის ვუმხელ,  
 წავიდა ღრუბელი თეთრი და კრიალა,  
 მეც ჩუმად დავიკრეფ გულხელს!

**მვრინავი ურჩხულის ქალაქი**

ლოს წყალი რაკრაკებს რამდენი წელია,  
 ტანის მთა — უძრავად დგას,  
 მოხუცებული ვარ და გულმოწყენილი  
 გავცქერი ჰანოის გზას,  
 აქ ათასწლეული ბრწყინავდა სასახლე,  
 ებრძოდა ჟამსა და ხავსს,  
 ახლა აქ გზა არის და დროგი ხრიგინებს,  
 და გზაზე კი მტვერი ჩანს;  
 პაწია ასული დაქალდა, გაივსო,  
 და ძუძუს აწოვებს ბაღსს,  
 სიყრმის მეგობარი — დიდკაცი გამხდარა —  
 და აღარ მიყადრებს თავს,  
 აივსო ნადველით ოხერი გული და  
 ძილი არ მიხუჭავს თვალს,  
 მთვარეა ცაზე და სადღაც სალამური  
 გამოსცემს უნაზეს ხმას.



\* \* \*

ძველ ჭაში ახალი მთვარე იცქირება,  
 კამკამებს წყლის პირი წყნარი,  
 და თუკი არავინ ჩაუშვებს ბადიას,  
 დარჩება ის, როგორც არის.

ხოლო თუ ჩაუშვებს ბადია, — მაშინვე  
 იმღვრება სპეტაკი ფსკერი,  
 მაგრამ კვლავ დაწდება და დაიწმინდება, —  
 გულია ამგვარი ჩემი!

### ვზივარ და ვწრუკავ ღვინოს

შევთვერი უკვე, უზრუნველი სარკმელთან ვზივარ  
 და მენუჭება თვალები ასე,  
 ქარია გრილი და ყვავილებს ფურცელი სცვივა  
 და ქოხის ზღურბლთან ხშირდება ხავსი.

თუ ცხოვრებაში არ დალიე ხანდახან ღვინო,  
 როგორ გიცხონდეს მითხარი, სული?  
 გაზაფხულს შეცვლის კვლავ ზამთარი, და რაა ღვინი,  
 თუ არ შეხედე ქვეყანას მდურვით;

ჟამი კი მიდის და ჭალარა მიჩნდება თმაში,  
 თუ არ დალიე, იცოდე ძმაო,  
 მოგერივდება ეს ქვეყანა დილეგად მაშინ,  
 და თავი შენი, ბალახის ბაოდ!

### მდინარე მინდიაზე მიცურავს ნავი

წკრიალებს ფლეიტა, ხმიანებს დაფდაფი,  
 მიცურავს თამამი ნავი,  
 გარშემო ათი ათასი მთებია,  
 მოსილი ახალი მწვანით.  
 ბინდი გადავიდა და სიბი კლდეები  
 გამორჩნდნენ აქა-იქ ლანდად,



უკვე ჩაიარა შმაგმა წყალდიდობამ  
და ავი გრიგალიც ჩადგა!  
შინიდან როდესაც მინდორში გავედი  
და შხვერთი ხეები ვნახე,  
უცებ მომაგონდა მე ჩემი სახლკარი  
და ჩემი და-ძმების სახე!  
მინდვრიდან, როდესაც ავეყვი ფერდობებს,  
და შორი ქედები ვნახე, —  
უცებ მომაგონდა მე ჩემი შვილები,  
და შვილიშვილების სახე!  
აწ მზე დაღლილია და ჩადის ბუდეში,  
როგორმე ხუაშანს გავცდე,  
ესა მაქვს ფიქრში და ღამდება ჭალებში,  
უზომო ნაღველი მავსებს!

### ტაიპინელი მოხატიალე მომღერალი

მას ჩამოფლეთილი აცვია სამოსი,  
წინ ბალღი მიუძღვის პაწია,  
იცნობენ ყველანი და ამ მიდამოში  
ის სახელოვანი კაცია!

აღარ გააჩნია თუმცა არაფერი,  
და ქარი გაუდის ჯიბეში, —  
მას უყვარს ქურები, ქალაქის ნაპირი,  
გარევა ნორჩ გოგო-ბიჭებში.

დადის, ეხეტება და მღერის ნაღვლიან  
სიმღერებს — და ხურდას ჩუქნიან,  
აღარც ცოლ-შვილი ჰყავს და აღარც სახლი აქვს.  
მზეა და იმისთვის მწუხრია!

აი, დაინახეს, ხელი დაუქნიეს, —  
წყლის პირას ღამაში ნავია,  
მალხაზმა ბერიკაცს შარა გაუკვლია,  
მზე ჩადის, საღამო ხანია.

ჯერ აღარ ანთია იმ ნავზე სანთელი,  
ბრმისათვის თუმცაღა ერთია,  
ბრინჯი მონარჩენი და პურის ნაფცქვენი  
ჰყრია აქ — და ზღვაში წვეთია.





მაძლარი კაცისთვის, მაგრამ ეს საწყალი  
 კუჭი რომ შიმშილით უხმება, —  
 აღარ წაუცდება მას ხელი კანკალით,  
 ვიდრე არ მისცემენ უფლებას.

ის ბარბითს აიღებს, მერე მოწიწებით  
 მსმენელებს თავს დაბლა დაუხრის,  
 და გაიტაცებენ ლამაზი ფიქრები  
 იმ დროში, როს იყო ჩაუქი.

ყმაწვილებს რას ეტყვის ჰანგი ნალვლიანი,  
 ან კიდევ სიტყვები იმისი,  
 მაინც სასიამო არის ეს ტიალი  
 და მარად გაბრუებს თილისმით.

მენავემ ამიხსნა ყოველი ამრიგად:  
 „მოხუცი უმღერის ძიან-სანს“, —  
 გროშად დაუფასეს სიმღერა ყარიბ კაცს,  
 ის დაჯდა და ჩაფიქრიანდა.

სდუმდა მომღერალი და მთვარე ნათელი  
 წყალში ლიკლიკებდა მცინარი,  
 წამოდგა მერე და თან გაჰყვა ნალველი,  
 გაშორდა ნელი-ნელ მდინარეს.

ხან ჩანდა შორიდან: ის მოიხედავდა,  
 თავს ხრიდა, გვითვლიდა მადლობას,  
 მე გაფიქრებასაც ვეღარ გავბედავდი,  
 ამას თუ ვნახავდი ამ გზობას.

ელჩი ვარ და ჩინეთს მიმყავს ქარავანი,  
 თან მიმაქვს ხორაგი ნარჩევი,  
 სვამენ მეხოფენი, მთვრალია მრავალი,  
 და წყალში იყრება ნარჩენი!

□



# უილიამ უეჩსკირი

## ტიმონ ათენელი



### პიესა

ინგლისურიდან თარგმნა გიორგი ნიუნიანიძემ

#### მოქმედი პირნი:

ტიმონი	ათენელი კეთილშობილი
ლუციუსი	} დიდებულები, ტიმონის მამებლები
ლუკულუსი	
სემპრონიუსი	
ვენტიდიუსი	
აპემანტუსი	
ალკიბიადე	
ფლავიუსი	
ფლამინიუსი	
ლუცილიუსი	
სერვილიუსი	
კაფისი	ტიმონის მსახურები
ფილოტუსი	} ტიმონის მევალეთა მსახურნი
ტიტუსი	
ლუციუსი	
ჰორტენზიუსი	
ვაროს ორი მსახური	
ისიდორეს მსახური	
ტიმონის ორი მევალე	
კუბიდონი და ნიღბები	
სამი უცნობი	
პოეტი	
მხატვარი	
ოქრომჭედელი	
ვაჭარი	
მოხუცი ათენელი	
პაუი	
მასხარა	
ფრინია	} ალკიბიადეს საყვარლები
ტიმანდრა	

დიდებულები, სენატორები, ოფიცრები, მეომრები, ქურდები და ამაღა. მოქმედება ხდება ათენში და მის მახლობლად ტყეში.





მოქმედება I

სცენა I

ათენელები. დარბაზი ტიმონის სახლში.

სხვადასხვა მხრიდან შემოდინ პოეტი, მხატვარი, ოქრომჭედელი, ვაჭარი და სხვები.

**პოეტი.** დღე მშვიდობისა!

**მხატვარი.** ნუ მოგაკლოთ ღმერთმა მშვიდობა!

**პოეტი.** არ მინახიხართ რა ხანია... ისე რასა იქს ესე ქვეყანა?

**მხატვარი.** იმას იკლებს, რასაც იმატებს.

**პოეტი.** ეგ ხომ ეგრეა. თქვენ ისეთი რამე გვითხარით, დღეში ათასჯერ ხსენებაც რომ ვერ მოინელებს. ერთი შეხედეთ — რა დიდი ხარ ოქროს ცთუნებავ! უზენაესმა ძალამ შენმა ყოველი სული მონუსხა შენდა მსახურებად... ამ ვაჭარს ვიცნობ. მეცნაურება მეც ორივე. მგონი მეორე ოქრომჭედელი უნდა იყოს.

**მხატვარი.** ჩვენი ტიმონი

**პოეტი.** კაცია ყოვლად ღირსეული.

**ოქრომჭედელი.** ეჭვიც არ არის.

**პოეტი.** ბადალი არ ჰყავს. დღენიადაგ აუწყეველი და უანგარო მადლითა და სიკეთით სუნთქავს. აჰა, შეხედეთ — აი, თვალი პატიოსანი!

**ოქრომჭედელი.** აბა, გეთაყვა, — ალბათ ტიმონს უნდა მიაართვას?

**პოეტი.** თუ სათანადოდ შეაფასებებს, მაგრამ მე მაინც...  
(ამაღლებული ტონით)  
„როცა თაყვანს სცემს ანგარება ბიწიერებას, ჩირქი ეცხება იმ ლამაზი ლექსის სტრიქონსაც, მხოლოდ სიკეთის წმინდა ძალას რომ განადიდებს“.


**პოეტი.** მშვენიერია (ათვალიერებს პატიოსან თვალს).

**ოქრომჭედელი.** და ძვირფასიც გახლავთ, გეთაყვა, აბა შეხედეთ, წყალზე უფრო გამჭვირვალეა.

**მხატვარი.** (პოეტს). თქვენ რაღაც ფიქრმა გაგიტაცათ და მალე ლექსით შეეგებებით ალბათ ტიმონს!

**პოეტი.** ჰო, უნებურად ამეკვიპა რაღაც ლექსი. ყველა სტრიქონი წებოს ჰგავს, მწიფე ტოტები რომ გადმოღვენთავენ; თუ არ დაკვესე, კაჟში ცეცხლი ვით გამოვლინდეს, მაგრამ ის ცეცხლი, ჩვენ რომ ასე ტკბილად გვაწვალებს, თვით იბადება და მაშინ კი მას ვერ აღუდგეს ვერც ერთი ზღუდე, რომ ერთიან არ მიმოირღვეს... ეგ რა გიჭირავთ?





მხატვარი.

სურათია, ბატონო ჩემო...

როდის ვიხილავთ, ძმაო, თქვენს წიგნს?

კოეტი.

ჩემს ძღვენს მოჰყვება.

ნება მომეცით, ეხლა თქვენი სურათი ვნახო.

მხატვარი.

არა უჭირს რა.

კოეტი.

ბრწყინვალე და დიდებულია.

მხატვარი.

არც ასეთია.

კოეტი.

არა, მართლაც საუცხოვოა:

ნაკვთი ყოველი სინატიფის სახედ ქცეულა და თვალებიდან სიბრძნის დიდი ძალა გამოკრთის... როგორ მალავენ ბაგეები იღუმალებას... რა მსუბუქია ფანტაზია!

მხატვარი.

მე მგონი, მაინც

ცხოვრების კარგი მიბაძვია. ეს როგორ მოგწონთ?

კოეტი.

ბუნებასაც კი შეშურდება. ან ამ სხეულში ჩასახლებული ხელოვნური სუნთქვა და სითბო თვითონ ბუნებრივ სიცოცხლეზეც მეტია თითქოს. (სცენაზე რამდენიმე სენატორი გამოჩნდება)

მხატვარი.

დიდი ამალით მობრძანდება ბატონი ჩვენი!

კოეტი.

ეჰ, ბედნიერი ათენელი სენატორები!

მხატვარი.

და აჰა, კიდევ!

კოეტი.

ერთად მასთან მისთა სტუმართა დაძრულან ზღვები. ჩემს უგვანო ნაწარმოებში მე გამოვსახე კურთხეული კაცი, რომელსაც უხვად სწყალობს და ანებივრებს თვითონ განგება. მე წვრილმანებით არ ვაბრკოლებ გაფრენილ სტრიქონს, ლაღად მიჰყვება ის დინებას დრო და ჟამისა, მოჰყვებს, ვითარცა ცით არწივი გარდმომავალი და იკარგება კვალი მისი.

მხატვარი.

რა ვქნა, არ მესმის.

კოეტი.

ეხლავ გაიგებ. ყველა ჯურის, ყველა წოდების კაცნი — მლიქვნელნი იქნებიან, თუ პირმტკიცენი, — ეს სულ ერთია — მოდიან და თავიანთ ძალას მსხვერპლად სწირავენ მხოლოდ ტიმონს: აუწყვეელი მისი ქონება და უზომოდ კეთილი გული იზიდავს ყველას — ისე როგორც ქოსა პირმოთნეს, ასევე უკმეხ აპემანტუსს, ვინც საკუთარი თავის გაკიცხვა ამჯობინა ყველა სიკეთეს; თვითონ ეს კაციც მუხლებს იყრის იმის წინაშე და შინ ბრუნდება მუდამ მშვიდი და კმაყოფილი. მეც მინახია — ხშირად ერთად მასლაათობდნენ. ერთ მშვენიერ და მაღალ მთაზე დავდგი განგების უებრო ტახტი და ოთხკუთხივ შემოგარენი ყველა შეძლების და წოდების ხალხით ავავსე, ვინც განდიდების სიყვარულით მიწას ჩიჩქნიან,

მხატვარი.

კოეტი.



ვინც დღენიადაგ შურიანი ხარბი თვალებით  
შეჭოფინებენ ქვეყნის ბედის მპყრობელ დედოფალს.  
მათ შორის ერთი დგას ტიმონის ფერით და ხორციით,  
თვითონ მაღალი განგებაა მისი მფარველი,  
რომლის გულუხვმა მოწყალებამ მოსისხლე მტერნიც  
მის მეგობრებად მოაქცია.

მხატვარი.

დმერთმანი, მართლაც  
საუცხოვოა. — ან ეს ბედი, ეს მთა, ეს ტახტი,  
თვითონ ეს კაციც, რჩეულთაგან გამორჩეული,  
ბედნიერების მოლოდინში მთათა წინაშე

კოეტი.

თავი რომ დაბლა დაუხრია, — ამის უკეთესს  
რას მოიგონებს, რას დახატავს განა მხატვარი?!  
მე გეთანხმებით... წუთით ეხლა თქვენც მომისმინეთ...  
ყველა, რომელმაც მის მეგობრად ჩასთვალა თავი,  
მათ შორის მასზე ღირსეულნიც, ყველანი ერთად,  
უკან მოსდევენ ბედის რჩეულს და დერეფნებში  
მაამებლური მზრუნველობით ქებას ასხამენ,  
თაყვანს სცემენ და აღიდებენ იმის დეზებსაც,  
მისით ცოცხლობენ, მისი ყოფით სულს იბრუნებენ.  
ჰო, მაგრამ მერე?

მხატვარი.

კოეტი.

როცა იგი ბედი მსახვრალი  
მისთვის ჩვეული ჟინითა და უხიაკობით  
გასწირავს თავის გამორჩეულს და უკუაგდებს,  
მაშინ ისინი, ვინც აქამდე მის წინ მუხლებზე  
ფორთხავდნენ, ახლა ყურსაც კი არ შეიბერტყავენ,  
ან უკან როგორ გაჰყვებიან მოწყვეტილ ფეხებს...  
ეს, ძმაო, ყველგან ასე ხდება, მეც შემძლია,  
განახო დასტა სურათებში, სადაც კვიმატი  
ბედის დაცინვა უკეთ მოჩანს, ვიდრე სიტყვებში,  
მაგრამ თქვენ კარგად მოქცეულხართ, როცა ტიმონის  
ბედი აღწერეთ — განწირული კაცის ფეხები  
ბოლოს ყოველთვის თავზე უფრო მაღლა გვიხილავს.

მხატვარი.

საყვირების ხმა. შემოდის ტიმონი თავისი ამალით; იგი ვენტიდიუსის მსახურებს ესა-  
უბრება.

ტიმონი.


ვენტ. მსახური.

მაშ, როგორც ამბობთ, იგი უკვე დააპატიმრეს?  
დიახ. ბატონო, სულ ხუთ ტალანტს ემართლებიან;  
სამშუალემა შერჩა მცირე, მევალენი კი  
უსაშველონი. — გვედრით, — სიტყვა პატიოსანი  
იქნებ როგორმე მოახსენოთ მის თანამდებთა.  
თუ უარს ეტყვით, მით ხანგრძლივყოფთ პატიმრის ურვას  
და გულისწუხილს.

ტიმონი.

ვენტიდიუს კეთილშობილო!  
კეთილი, დასტურ არ მჩვევია მოყვასი ჩემი  
მაშინ გავსწირო, როცა უჭირს. ჩემი წყალობის





ვენტ. მსახური.  
ტიმონი.

ღირსია იგი, ადამის ძე პატიოსანი.  
ვუსტუმრებ ვალებს და ვანიჭებ თავისუფლებას.  
მას თქვენი ზრუნვა საუკუნოდ ავალდებულებს.  
ჩემი სალამი გადაეცი. ფულს ეხლავ გავცემ.  
როცა იხილო, მოახსენე სახლში მეწვიოს. —  
არ კმარა მხოლოდ შეიწყალო კაცი საპყარი,  
მას მხარშიც უნდა ამოუდგე, — იყავ მშვიდობით!  
სიკეთის ძალა ნუ მოაკლდეს თქვენს ბრწყინვალეობას! (გადის).

(შემოდის მოხუცი ათენელი)

მოხუცი ათენ.  
ტიმონი.

ბატონო ჩემო, მათქმევინეთ ორიოდ სიტყვა.  
გისმენ, მოხუცო.

მოხუცი ათენ.  
ტიმონი.

ლუცილიუს, თქვენი მსახური...

ღიან, რა მოხდა?

მოხუცი ათენ.

ჰოი, მამრო კეთილშობილო,

მოუხმეთ იმ კაცს.

ტიმონი.

აქ თუ არის? — ჰე, ლუცილიუს!

(შემოდის ლუცილიუსი)

ლუცილიუსი.  
მოხუცი ათენ.

აქ გახლავთ თქვენდა მსახურებად.

ეს ახალგაზრდა

მსახური თქვენი ღამით ჩემს სახლს აღარ შორდება.  
მოგეხსენებათ, მე სიყრმიდან ქვასაც ფულს ვადენ —  
ხელმომჭირნე ვარ, და ნუ მიწყენ, ჩემი გროშები  
უფრო უკეთეს მემკვიდრისთვის თუ მემეტება,  
ვიდრე ეს გახლავთ, ნადიმებზე სინის მიმტანი.  
განაგრძე, გისმენ.

ტიმონი.

მოხუცი ათენ.

ტიმონ, მხოლოდ ერთი ქალი მყავს,  
მის გარდა არვინ ქვეყანაზე არ გამაჩნია,  
რაც შევიძინე, მისთვის მინდა, ქალს არა უჭირს  
და, ვგონებ მისი ქორწინების დროც მოიწია,  
არ დამიკლია არც აღზრდა და არც განათლება  
და ეხლა, აჰა, უტიფარი მსახური თქვენი  
ქალის სიყვარულს მემართლება. ბატონო ჩემო,  
შორჩილად გვედრით ამ თავნებას ჭკუა ასწავლოთ,  
მე ვერას გავხდი ჩემდა თავად.

ტიმონი.

მე კი ვიტყვოდი,

რომ იგი სანდო კაცი გახლავთ.

მოხუცი ათენ.

ღმერთმაც ქნას, ტიმონ,

მოდის, ეს ნდობა ხელის ფულად ისევ მას დარჩეს, —  
რა შუაშია ჩემი ქალი.


ტიმონი.

ქალი რას ამბობს?

მოხუცი ათენ.

ვგონებ თანახმა უნდა იყოს. ჯერ ყმაწვილია; —  
თქვენ ხომ, უფალო, ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ,  
ვნებააშლილი თუ რაოდენ ბეცია სიყრმე.





ტიმოცი.

(ლუცილიუსს) შენ რაღას იტყვი, ლუცილიუს, გიყვარს ის

ლუცილიუსი.  
მოხუცი ათენ.

დიახ ბატონო, და იმასაც გულით ვუყვარვარ.  
უკეთეს ქალი გვერდს აუვლის ჩემს ნებასურვილს,  
გრომსაც არ მივცემ, მოწამეა მალლა ღმერთები, —  
მემკვიდრეობას გადვულოცავ ქვეყნის მათხოვარს  
და არა მქონე უპოვარსა.

ტიმოცი.

მზითვად რას ატან

მოხუცი ათენ.

ქალიშვილს, ვინმე შესაფერი თუ შეეძლება?  
ამჟამად სამი ტალანტი და შემდეგში ალბათ  
რაც მახადია.

ტიმოცი.

მეც ეს კაცი დიდი ხანია

მოხუცი ათენ.

მემსახურება. სხვის ბედსა და ბედნიერებას  
ხელს თუ შევუწყობთ, ეს ხომ კაცთა ვალია მხოლოდ.  
მიეცი ქალი, რასაც მზითვად იმეტებ, იმდენს  
მეც ვუწყალობებ ლუცილიუსს — მაშინ ორივე  
მხარე, მოხუცო, ერთმანეთის ფარდი გამოდის.  
კეთილი, ტიმონ, მომე სიტყვა პატიოსანი  
და მისი იყოს ჩემი ქალი.

ტიმოცი.

ჰა, ჩემი ხელი.

ლუცილიუსი.

ხოლო სიტყვა კი გაამართლოს პატიოსნებამ.  
უღრმეს მადლობას მოგახსენებ. აწ, ამა ქვეყნად  
თუ კიდევ მელის წყალობა და ბედნიერება,  
ისიც თქვენ უნდა დაგიმადლოთ!

(გადიან ლუცილიუსი და მოხუცი ათენელი)

პოეტი.

ღირს ჰყავით ჩემი

ტიმოცი.

მცირედი გარჯაც. და სურვილი დღეგრძელობისა.  
გმადლობთ. მოვიცლი მალე თქვენთვის, შორს ნულარ  
წახვალთ.

მხატვარი.

თქვენ, ჩემო კარგო, მგონი, რაღაც მოგიტანიათ.  
დიახ, უბრალო სურათია და გვედრებით  
უარს ნუ მეტყვით.

ტიმოცი.

ვესალმები თქვენს ხელოვნებას.

მხატვარი.

რა სურათი და რაღა კაცი, ის — იგივეა, —  
როცა კაცის სულს აუგი და მანკი განაგებს,  
ადამის შვილი გარეგნულად ფასდება მაშინ:  
აქ, ამ სურათშიც თავის თავს ჰგავს ძე ხორციელი, —  
ოდენ ხატია გარეგნული. მე ფრიად მომწონს  
და დაგიმტკიცებთ მალე ამას. აბა გეთაყვა,  
დაპატიყება არ დაგჭირდეთ.

ტიმოცი.

მალლა ღმერთები

გყავდეთ მფარველად!

მეგობრებო, ყველა უკლებლივ  
დღეს ჩემთან ერთად ისადილებთ, ნახვამდის.





ოპრომჭედელი.  
ტიმონი.

(ოპრომჭედელს) — ეგ ქვა  
განდიდდა ხოტბით, ფერი უფრო მოეცა ქებით.  
რაო? ძაგებით?

მეტისმეტი მოწონებითა.

უკეთუ ისე შემიფასებთ, როგორც აქებენ,  
უნდა დავიქცე.

ოპრომჭედელი.

მისი ფასი, ბატონო ჩემო,  
არის იმდენი, რასაც მასში გაიმეტებდა.  
თვითონ პატრონი, მაგრამ კარგად მოგეხსენებათ,  
რომ ქვეყანაზე ყველა ნივთი იმით ფასდება,  
თუ ვინ ატარებს მას, ვინ არის მისი მფლობელი.  
მერწმუნეთ, ტიმონ, რომ თქვენ ხელში ეს ბრილიანტი  
უფრო ძვირი ღირს.

ტიმონი.  
ვაჰარი.

დაცინვა კი კარგი გცოდნიათ.

ო, არა, ჩემო მწყალობელო, ის იმას ამბობს,  
აქ თვითეული ჩვენგანიც რომ დასტურ იტყოდა.  
ხედავთ, ვინ მოდის, ჩანს, გაკიცხვა მოგნატრებიან?

ტიმონი.

(შეშოდის აპემანტუსი)

ოპრომჭედელი.  
ვაჰარი.

გავინაწილებთ თქვენთან ერთად.

არვის დაინდობს.

ტიმონი.  
ავამანტუსი.

სალამი შენდა, საყვარელო ადამიანო?  
საყვარელოო? აპემანტუსს ვერ შეიყვარებ,  
ვიდრე გოშიად არ იქცევი, ვიდრე მლიქვნელი  
ამალა შენი არ იწამებს პატიოსნებას.

ტიმონი.  
ავამანტუსი.

ვისაც არ იცნობ, მიკვირს, მლიქვნელს რატომ უწოდებ?  
ათენელები უნდა იყვნენ შენი სტუმრები?!

ტიმონი.  
ავამანტუსი.

ღიას, სწორს ბრძანებ.

მაშინ არცერთ საკუთარ სიტყვას

ოპრომჭედელი.  
ავამანტუსი.

არ ინანიებს აპემანტუსს.

მე მგონი, მიცნობ.

მოგეხსენებათ, კარგად გიცნობთ, მე მხოლოდ თქვენი საკად-  
რისი სახელით მოგმართეთ.

ტიმონი.  
ავამანტუსი.

რად ყოყლოჩინობ, აპემანტუს?

მეამაყება, რომ არაფერში ვგავარ ტიმონს.

ტიმონი.  
ავამანტუსი.

საით გაგიწევია?

ერთ პატიოსან ათენელს ტვინი უნდა ამოვართვა.

ტიმონი.  
ავამანტუსი.

სიკვდილის ფასად დაგიჯდება ამგვარი ხუმრობა.

რას იზამთ, თუკი შეუძლებლის მოქმედს სიკვდილით სჯის  
ჩვენი კანონი.

ტიმონი.  
ავამანტუსი.

აბა, ეს სურათი როგორ მოგწონს, აპემანტუს?


საუცხოვოა, რამეთუ უვნებელია.

ტიმონი.  
ავამანტუსი.

დიდი ხელოვანია შემომქმედი!

ის უფრო დიდი ხელოვანია, ვინც ეს კაცი შემოქმედად აქ-  
ცია, ისე კი — კარგი ნათხაპნი გამოუვიდა.





მხატვარი.  
აკამანტუსი.

ძალლო.  
დედაშენი და მე ერთი მოდგმისა ვართ. მე თუ ძალლი ვარ...  
ის რაღაა?

ტიმონი.  
აკამანტუსი.

დღეს ჩვენთან ერთად არ ისადილებ?  
არა, მე დიდებულებს არ გეახლებით.

ტიმონი.  
აკამანტუსი.

ჰო, რა თქმა უნდა, მაშინ მანდილოსნებს განარისხებდი.  
პირიქით, მანდილოსნები თავად შეექცევიან დიდებულებს.  
იმიტომაც დადიან დიდი მუცლებით.

ტიმონი.  
აკამანტუსი.

ფრიად უწმაწური შენიშვნაა.  
შენია, შენ გეკუთვნის.

ტიმონი.  
აკამანტუსი.

ამ პატიოსან ქვაზე რაღას იტყვი, აპემანტუს?  
მომწონს როგორც გულუბრყვილობა; ისე კაცისთვის უბრა-  
ლო გროშადაც არ ღირს.

ტიმონი.  
აკამანტუსი.

როგორ ფიქრობ, რა ეღირება?  
ფიქრადაც არ ღირს, რას იტყვი, პოეტო?

აკამანტუსი.  
აკამანტუსი.

შენ რაღას იტყვი, ფილოსოფოსო?  
მატყუარა ხარ.

აკამანტუსი.  
აკამანტუსი.

განა ფილოსოფოსი არ ბრძანდები?  
გახლავარ.

აკამანტუსი.  
აკამანტუსი.

მაშინ არ ვსტყუი.  
კი მაგრამ თავად ხომ პოეტი ხარ?

აკამანტუსი.  
აკამანტუსი.

ღიახაც ვარ.  
ჰოდა სტყუი: აბა, უკანასკნელი ლექსი გაიხსენე, სა-  
დაც ეს კაცი (მიუთითებს ტიმონზე) ღირსეულ ადამიანად  
შერაცხე.

აკამანტუსი.  
აკამანტუსი.

აბა, სად არის აქ ტყუილი, ნუთუ სინამდვილეშიც ღირსეული  
არ არის იგი?

აკამანტუსი.  
აკამანტუსი.

ჰო, რა თქმა უნდა, შენი ღირსია და ღირსეულადაც გიხდის  
ფულს: ის, ვისაც მლიქვნელობა იზიდავს, მლიქვნელის ღირ-  
სია უთუოდ. ო, ღმერთებო, მე რომ დიდებული ვყოფილი-  
ყავი!

აკამანტუსი.  
აკამანტუსი.

მაშინ როგორღა მოიქცეოდი?  
როგორც ამჟამად იქცევა აპემანტუს: მთელი სულით და გუ-  
ლით შევიძულებდი დიდებულებს.

აკამანტუსი.  
აკამანტუსი.

საკუთარ თავსაც?  
ღიახ.

აკამანტუსი.  
აკამანტუსი.

მერედა რატომ?  
რამეთუ უგუნურმა ჩემმა თავმა დიდებულება მოინატრა და  
ზიზღი დაჰკარგა — მგონი ვაჭარი ბრძანდებით?

აკამანტუსი.  
აკამანტუსი.

ღიახ, რა გნებავთ?  
თვითონ ვაჭრობამ დაგაქციოს, თუ კი ღმერთები ვერ გიმე-  
ტებენ.

აკამანტუსი.  
აკამანტუსი.

რასაც ვაჭრობა მომაგებს, ისიც ღმერთების სურვილი იქნება.  
ვაჭრობა ხომ შენი ღმერთია. მაშ შენმა ღმერთმა დაგაქციოს!  
(საყვირების ხმა. შემოდის მსახური)

აკამანტუსი.  
აკამანტუსი.

აკამანტუსი.  
აკამანტუსი.

აკამანტუსი.  
აკამანტუსი.

აკამანტუსი.  
აკამანტუსი.

აკამანტუსი.  
აკამანტუსი.

აკამანტუსი.  
აკამანტუსი.

აკამანტუსი.  
აკამანტუსი.

აკამანტუსი.  
აკამანტუსი.

აკამანტუსი.  
აკამანტუსი.

აკამანტუსი.  
აკამანტუსი.



**ტიმონი.** რა ხმაურია?  
**მსახური.** მობრძანდება ალკიბიადე და ოციოდე ცხენოსანიც ახლავს ამაღლად.  
**ტიმონი.** შეეგებეთ და მალე აქეთ მოუხმეთ ყველას.

(გადის რამდენიმე მსახური. ტიმონი მხატვარს და პოეტს მიმართავს)

თქვენ კი სადილად უნდა დარჩეთ, გთხოვთ ნუ დამტოვებთ, ვიდრე მადლობას მოგახსენებთ და ნასადილევის ისევ მაჩვენეთ ეს სურათი. — მოგესალმებით ღირსეულ სტუმრებს.

(შემოდის ალკიბიადე თავისი ამალით)

**აპემანტუსი.**

თქვენი მოსვლა კეთილი იყოს (ესალმებიან).  
 ჰო, აგრე, აგრე! კანჭები და კვირისტავეები სულ ერთიანად დაგეგრიხით და გაგიმრუდდეთ. კაცი სულ მცირე სიყვარულსაც კი ვერ შეატყობ ამ ფარისეველ გაიძვერებს და თავაზიან იმათ შეხვედრას! ვფიცავლმერთებს, — ადამის მოდგმა მაიმუნებად გარდაიქმნა.

**ალკიბიადე.**

მე თქვენ მიხსენით.

და თქვენსკენ სწრაფვას განმარიდეთ. და ეხლა თქვენი უნახაობით დამშეული თანდათან ვცხრები. მოგესალმებით და ვიდრე კვლავ გავიყრებოდეთ, გთხოვთ, ბატონებო, დარჩენილი ჟამი გავლიოთ აუწყვეელი ლხენითა და ნეტარებითა.

**ტიმონი.**

(აპემანტუსის გარდა ყველანი გადიან. შემოდის ორი დიდებული)

**I დიდებული.**

რა დროა ნეტავ, აპემანტუს?

**აპემანტუსი.**

დროა პატიოსანი იყო.

**I დიდებული.**

ამის დრო ხომ ყოველთვის არის.

**აპემანტუსი.**

ორჯერ შეჩვენებული უნდა იყო, ეხლაც რომ იგვიანებ.

**II დიდებული.**

ტიმონის ნადიმს თუ ესწრები?

**აპემანტუსი.**

ჰო, უნდა ვნახო ლეში როგორ ამოყორავს გვამებს და ღვინო როგორ შეახურებს გაიძვერა სულელებს.

**I დიდებული.**

ნახვამდის, ნახვამდის.

**აპემანტუსი.**

შენც სულელი ხარ, ორჯერ რომ მემშვიდობები.

**II დიდებული.**

რას მერჩი, აპემანტუს?

**აპემანტუსი.**

კარგი იყო ერთი „ნახვამდის“ შენთვის შემოგენახა, რამეთუ ჩემგან ვერც ერთს ვერ მიიღებ.

**I დიდებული.**

ჯანდაბას შენი თავი!

**აპემანტუსი.**

არა, შენს სიტყვაზე მე არ გავივლი. ამგვარი თხოვნით შენს მეგობარს მიმართე.

**II დიდებული.**

გაეთრიე, ძაღლო, სანამ არ დამიბეგვიხარ!

**აპემანტუსი.**

დიახ, მივდივარ, ვირის ტლინკებს რომ გავერიდო (გადის).



I დიდაზული.

ხალხის ურჩია. შენ რას იტყვი, ვეწვიოთ ტიმონს და ხორაგი და გულუხვობა გავინაწილოთ? — მისი დოვლათი თვით ფორტუნას აღემატება.

II დიდაზული.

ღვარად სდის მადლი. ფუფუნების გულუხვი ღმერთი, თვითონ პლუტუსიც მეურვე თუ იქნება მისი. არ ვაქებ, მაგრამ უმნიშვნელო გარჯას შვიდმაგად გინაზღაურებს და უბრალო ძღვენიში ყოველთვის უმეტესს გიხდის, თან ქირისგან გათავისუფლებს. მისით მოქმედებს მოწყალე და კეთილი სული, ადამიანის გვამს ოდესმე თუ განაგებდა.

I დიდაზული.

II დიდაზული.

I დიდაზული.

ცხოვრობდეს მუდამ ფუფუნებით! წამო, ვეწვიოთ. შენი თანმხლები შენთან ვივლი დაუსრულებლივ. (გადიან).

სცენა II

სანადიმო დარბაზი ტიმონის სახლში.

მუსიკა. დიდი ღრეობაა. ფლავიუსი და სხვები სუფრას ემსახურებიან: შემოდინ ტიმონი, ალკიბიადე, ლუციუს, ლუკულუს, სემპრონიუს და სხვა ათენელი სენატორები ვენტიდიუსისა და მსახურების თანხლებით. ყველაზე ბოლოს შემოდის უკმაყოფილო აპემანტუსი.

ვენტიდიუსი.

კეთილო ტიმონ, მამაჩემის ასაკი ბოლოს მალლა ღმერთებმა გაიხსენეს და განსვენებაც მარადიული მიანიჭეს. სვეკურთხეული წავიდა იგი და დამტოვა მისდა მემკვიდრედ და თქვენგან ფრიად დავალებულს მე ჩემი ვალი მადლობის ნიშნად ღირს ორმაგად მომირთმევია. მზადა ვარ თქვენდა მსახურებად, ვისი წყალობით თავისუფლება მოვიპოვე.

ტიმონი.

კმარა, ღმერთმანი... ჩემო გულწრფელო ვენტიდიუს, მგონი აუგად მოჰკიდებიხარ ჩემს სიყვარულს. მე ეგე ფული გავეცი როგორც საჩუქარი, ხოლო თუ გასცემ და უკან ელი, ის არც არის, ძმაო, წყალობა, მაგრამ თუ ჩვენზე უკეთესებს ასე სჩვევიათ, მაინც არ გვმართებს, მათ მივბაძოთ, მოგეხსენებათ, რა ლამაზია სიმდიდრეში ბიწიერებაც.

ვენტიდიუსი.

კეთილი სული!

(სტუმრები ტიმონს თვალებში შეჰფოფინებენ)

ტიმონი.

ყოველგვარი ზნე და ადათი მისთვის დამკვიდრდა, მეგობრებო, რომ ამა ქვეყნად შნო და ლაზათი მისცემოდა როგორც სიყალბეს, ისე უგულო, დაყვედრებულ გამასპინძლებას და მოჩვენებით მოწყალებას, გამყლავნებამდის



თავს რომ გვამადლის; ხოლო სადაც ღვთიით კურთხეული მეგობრობაა, იქ ვით დარჩეს წესებს ადგილი. გთხოვთ, რომ დაბრძანდეთ; თქვენთვის ჩემი ავლადიდება უფრო მადლია, ვიდრე ჩემთვის.

I დიდებაული.

დიდი ხანია,

რაც ვაღიარებ ჩვენ ეს ცხადი ჭეშმარიტება. ჰო, აღიარებთ, მაგრამ რატომ არ ჩამოგახრჩეს? ო, აპემანტუს, ვესალმებით შენს მობრძანებას. ვერა, ბატონო, ვერ მოგართვით, თუკი მოვედი, მხოლოდ იმიტომ, ამ კარიდან რომ გამაძევოთ.

აპემანტუსი.

ტიმონი.

აპემანტუსი.

ტიმონი.

კარგი უხეში რამ ბრძანდები, ასეთი სიტყვა არ ეკადრება ძე ხორციელს. და მგონი უფრო გასაკიცხია; ბატონებო, ხალხს კარგად უთქვამს: Furor iste brevis est\*,

ხოლო ეს კაცი მახსოვს მუდამ განრისხებული. მოდი, მას სუფრა მივუჩინოთ განმარტოებით, რაკილა მცირე პატივს არ სდებს ადამიანებს, იმათი ღირსიც ნუ იქნება იგი ამიერ.

აპემანტუსი.

დავრჩები, ტიმონ, ეხლა მაინც ჯიბრზე არ წავალ, ისე უწყოდე, რომ ჭვრეტისთვის მოვსულვარ მხოლოდ.

ტიმონი.

ჩემთვის ეს სულერთია. შენც ათენელი ხარ — ამიტომ კეთილი იყოს შენი მობრძანება. არ მინდა მკაცრად მოგეპყრა. მხოლოდ გთხოვ, ჩემმა გულუხვობამ პირი მოგიკუპროს.

აპემანტუსი.

შეგირცხვეს, ტიმონ, გულუხვობა — ალბათ დამახრჩობს, — მე ხომ არასდროს არ ვიქნები, ვიცი, პირმოთნე; ჰოი, ღმერთებო, რაოდენი ესევა ხალხი, ვედარც აუღის მარტოხელა. — სავალალოა, ათასის გვამს რომ ერთი კაცის სისხლი აპურებს, უგუნურება უფრო დიდი კიდევ ის არის, რომ დამშეულებს მადას თავად უღიზიანებს, — მე ის მაოცებს, ეხლა კაცი კაცს რომ ენდობა, სუფრაზე დანებს უმაღლავენ ერთმანეთს ალბათ, რომ ხორცი გვამად არ აქციონ, ცხოვრება — ზღაპრად. ჩვეულებრივი ამბავია; — აი ის კაციც,

გვერდით რომ უზის და მასთან პურს რომ ინაწილებს, მზად არის იგი წუთისოფელს გამოასალმოს, დიახ, ეს უკვე დადასტურდა. მე რომ მდიდარი ვყოფილიყავი დიდებული, აუცილებლად გავექცეოდი ნადიმებზე მათთან ღვინის სმას — ხანჯალზე რომ არ წამომავონ, დიდებულები აბჯარასხმულნი უნდა უსხდნენ სუფრას უკლებლივ.

ტიმონი.


დე, მთელი სუფრა მოიაროს ამ სადღეგრძელომ — მოგესალმებით მთელი გულით.

II დიდებაული.

ბატონო ჩემო,

\* რისხვა ხანმოკლეა (ლათ).





აკემანტუსი.

გადმოაწოდეთ, ჩვენ დავიწყებთ.

გადმოაწოდეთ!

აი, ჯომარდი, ემარჯვება თავისი საქმე;  
ამ უსასრულო ქებითა და დღეგრძელობითა  
დაგიმოკლდება, ტიმონ, დღენი. ჩემი სასმელი  
ისე სუსტია, არ მიუძღვის ცოდვა მცირედიც —  
წყალია იგი და წყლით კაცი არ იწირების,  
ჩემი საკვებიც იგივეა. ზვიადურ სუფრას  
სულ ავიწყდება ოდითგანვე მაღლი ჰყოს უფალს.

(ლოცულობს)

ფულის წილ ლოცვა აროდეს მეტქვას,  
კაცთაგან მხოლოდ გაბრალებთ ჩემს თავს,  
ღმერთნო, ნუ გამხდით უგნურს ეგოდენ,  
კაცის და მისი ფიცის მჯეროდეს;  
არცა მეძავის, გინდა ტიროდეს,  
არც ძაღლის, თუნდაც არ მეშინოდეს,  
არც მეციხოვნის — სულის მწირველის,  
და არც მეგობრის — ჟამს გაჭირვების.  
ამინ! მდიდრებო, ცოდვები თესეთ  
და მე კი ისევ შევექცე ფესვებს!

(ჭამს და სვამს)

ტიმონი.

ალკიბიადე.

ტიმონი.

ალკიბიადე.

აკემანტუსი.

I დიდუბული.

ტიმონი.

სიკეთეს ვუსურვებ შენს კეთილ გულს, აკემანტუს!  
ალკიბიადე, მგონი ისევ ბრძოლის ველზეა შენი გული,  
იგი მუდამ თქვენდა მსახურებად ძგერს, ბატონო ჩემო...  
მტრის საუზმეზე უფრო მიგიწევს გული, ვიდრე მეგობართა  
სადილზე.  
ოდეს მოშულარს თბილი სისხლი სდის, იმას ვერავითარი საჭ-  
მელი ვერ შეედრება. ამგვარ ნადიმებზე ჩემს საუკეთესო მე-  
გობრებსაც მოვიპატიყებდი.  
ღმერთმა შენს მტრებად მოაქციოს ყველა ეს მლიქვნელი,  
თვითეულ მათგანს ვინძლო მაშინ ამოხოცავდე, და იმ ნადიმ-  
ზე მე მომიწვევდე.  
ბატონო ჩემო, დიდი ბედნიერება იქნებოდა ჩვენთვის და  
ფრიად კმაყოფილად ჩავთვლიდით თავს, უკეთუ გამოგვცდი-  
დით და ერთხელ მაინც, თუნდაც მცირედ, დაგიმტკიცებდით  
ჩვენს ერთგულებას.  
ო. მე ეჭვიც არ მეპარება, ჩემო კეთილო მეგობრებო! ღმერ-  
თებმა ალბათ ისე განარიგეს ჩვენი ბედი, რომ ოდესმე თქვენ-  
ნი დახმარება დამჭირდება აუცილებლად. ანდა სხვაფრივ რა-  
ღა მეგობრები იქნებით ჩემი! განა ვინ მოგცათ თქვენ, ათასე-  
ბისაგან გამორჩეულთ, მეგობრის წმინდა სახელი, უკეთუ  
ჩემს გულს არ ეკუთვნით? მე თქვენის პირით საკუთარ თავს  
უფრო მეტი შევაგონე, ვიდრე თქვენს კდემამოსილებასა და



მოკრძალებას ძალუძს. მე მწამს თქვენი! ო, ღმერთებო! რა-  
ლად გვჭირდება მეგობრები, თუ არაფერში გამოგვადგებიან?  
მაშინ ალბათ ყუთებში ჩაკეტილ სასიამოვნო საკრავებს და-  
ვემსგავსებოდით, თავიანთ ბგერებს გულში რომ იმარხავენ.  
ხშირად თითქმის გაღარიბებაც მინატრია, რათა თქვენთან უფ-  
რო ახლო მეგრძნო თავი. ჩვენ მხოლოდ ქველმოქმედებისათვის  
მოვედით ამქვეყნად, ანდა რა უნდა მივიჩნიოთ საკუთრებად,  
თუ არა ჩვენთა მეგობართა საცხოვრებელი? ო, რა ბედნიერე-  
ბაა, აურაცხელი მეგობარი გყავდეს და, მსგავსად ძმებისა,  
ყველა ერთიმეორის სიმდიდრეს უძღვებოდეს! (ტირის). ჰოი,  
დაბადებამდის გარდაცვლილ სიხარულო! მგონი, ჩემს თვა-  
ლებს ველარ ძალუძთ წყალი შეიკავონ. იმათ ცოდვათა ჩამო-  
სარეცხად, თქვენს სადღეგრძელოს შევსვამ!

აკამანთუსი.  
II დიდებული.

შენ ცრემლები გდის, რომ სტუმრები დაათრო, ტიმონ.  
იგივე შვება განიცადეს ჩვენმა თვალებმაც  
და შვება ტირის, მართ ვითარცა ჩვილი ყრმა ძილში.

აკამანთუსი.  
II დიდებული.  
აკამანთუსი.

ჰა, ჰა, ჰა, ვით არ გავიცინო, ეგ ხომ ბუშია!  
გაფრთხილდი, შენ მე დიდად შეურაცხმყოფ.  
დიდად!

(დაფდაფების ხმა)

ტიმონი.

რას ნიშნავს ეს ხმაური, რა ამბავია?

(შემოდის მსახური)

მსახური.

თქვენი წყალობა, ბატონო ჩემო. ვილაც მანდილოსნები მო-  
ბრძანდებიან და დაჟინებით მოითხოვენ თქვენს ნახვას.

ტიმონი.

მანდილოსნები? ნეტავი რა სურთ?

მსახური.

თან ერთი შიკრიკი ახლავთ, ალბათ მანდილოსანთა ხვაშიადი  
მან უნდა გამცნოთ.

ტიმონი.

წადით, ყველანი მოიპატიეთ.

(შემოდის კუბიდონი)

კუბიდონი.

სალამი შენდა, ღირსეულო, და მერე ყველას  
მოგესალმებით, ვინც იგემეთ სიკეთე მისი!  
თავის მეუფედ გაღიარა შენ ხუთმა გრძნობამ  
და მოვედი, რომ მოგილოცო გულუხვ მასპინძელს;  
გემო, შეხება ანუ ყნოსვა და სასმენელი  
ამ სუფრის მადლმა დაგიამათ, ჩვენ მოკრძალებით  
მოგეახლებით, რომ დავატკბოთ შენი თვალებიც.  
მახარებს თქვენი მობრძანება, კეთილი იყოს  
ჩვენი შეხვედრა. შეაგებეთ კარზე მუსიკა.

ტიმონი.

(კუბიდონი გადის)

I დიდებული.


ხედავთ, ხალხს თქვენი რაოდენი სიყვარული აქვს?

(მუსიკა. ბრუნდება კუბიდონი, მას უკან ამოკრძალებად გადაცმული ქალები მოჰყვებიან; ხელ-  
ში ფლეიტები უჭირავთ, უკრავენ და ცეკვავენ)

აკამანთუსი.

ჰაუ, საიდან დაუქროლა ამოებამ!





და როგორ როკვენ დამთხვეული დედაკაცები.  
ამ ცხოვრებაში გაგიჟება დიდებად იქცა,  
(უაზრობად ჩანს ფუფუნებაც იმ ფესვის მერე,  
მე რომ მივირთმევ). თავსაც იმად ვიგოიანებთ,  
როგორმე ხალხში რომ გავერთოთ და მლიქვნელობას  
გულუხვად ვასმევთ ადამიანთ, რომ სიბერის ჟამს  
უკან გამოვყოთ მოშხამული შურით და ზიზღით.  
ვინ არის იგი, ვინც ამქვეყნად ჯერ არ წარყვნილა,  
ანუ არ სცოდავს? განა კაცი ვინ მიიცივალა,  
ვისაც ერთხელ არ უგემნია მეგობრის წიხლი  
სამარის თავზე? აი, ეხლა ვინც ჩემს წინ როკავს,  
ოდესმე ფეხით მეც შემდგება. მოგესხენებათ,  
კარებს კეტავენ, როს მიმწუხრზე მზე ესვენება.

(სტუმრები სუფრიდან დგებიან და ქებას ასხამენ ტიმონს. მერე თვითელი მათგანი ამო-  
ძალს ამოიჩევეს და რამდენიმე ხანს წყვილ-წყვილად ცეკვავენ ჰობოების აკომპანიმენტით)

**ტიმონი.** შნო და ლაზათი მიანიჭეთ თქვენ ჩვენს მოლხენას  
და უჩვეულო ბრწყინვალეობა მოჰმადლეთ, ალბათ  
მოაკლდებოდა ნახევარი მშვენიერება  
სუფრას უთქვენოდ. ღირსება და სახელი ერთად  
ყველას შეგვმატეთ, ადასრულეთ ჩემი განზრახვაც.  
მხოლოდ ის მრჩება, მაღლობა რომ შეგწიროთ ყველას.  
**I ქალი.** თითქმის რჩეულებს გაგვატოლეთ, ბატონო ჩემო.  
**ავამანტუსი.** დიახ, თქვენებრ არარჩეული ხომ ჭუჭყია, რასაც აქ ვერავინ  
ვერ აიტანდა.  
**ტიმონი.** მანდილოსნებო, სუფრა გელით, იქით მიბრძანდით  
და უმასპინძლეთ თავად თქვენს თავს.

(გადიან კუბილონი და მანდილოსნები)

ჰეი, ფლავიუს!

**ფლავიუსი.** დიახ, ბატონო.  
**ტიმონი.** მომაწოდეთ ყუთი, გეთაყვა.  
**ფლავიუსი.** ეხლავ მოგართმევთ (იქით).—აჰა, ისევ ბრილიანტები,  
კაცი სიტყვას ვერ შეუბრუნებს. მე კი ვეტყვოდი —  
ფურჩევდი, მაგრამ იგი მაშინ მიიღებს რჩევას,  
როდესაც საწყალს არაფერი აღარ შერჩება.  
გვწყინს, გულუხვობა უკან რატომ არ იცქირება,  
რომ გულმა კაცი არ გასწიროს, თუ იწირება.

(გადის და ბრუნდება ყუთით ხელში)

**I დიდებული.** სად გაქრნენ ჩვენი მსახურები?  
**მსახური.** მე მუდამ მზად ვარ.  
**II დიდებული.** ჩქარა ცხენები!  
**ტიმონი.** მეგობრებო, ნება მომეცით



ორიოდ სიტყვა მოგახსენოთ: (პირველ დიდებულს)

კეთილო კაცო,

გემუდარებით, რომ მცირედი პატივი დამდოთ, მიიღეთ ჩემგან ბრილიანტი და მოიხმარეთ.

მე თქვენს წინაშე დიდად ვიყავ დავალებული. ჩვენც მასთან ერთად.

I დიდებული.  
ყველა.

(შემოდის მსახური)

მსახური.

ბატონო ჩემო, რამდენიმე კეთილშობილი ეს-ეს არის ჩამოქვეითდა და თქვენსკენ მოემართება.

ტიმონი.

კეთილი იყოს მათი მოსვლა.

ფლავიუსი.

გემუდარებით,

ღირსმყავით, სიტყვა მოგახსენოთ, ყველაზე უფრო ის თქვენ გეხებათ.

ტიმონი.

მე მეხება? შემდეგ მითხარით.

ეხლა კი ვგონებ, სჯობს ორივემ ერთად, ძმობილო, მოვუწყოთ სტუმრებს საკადრისი შეხვედრა.

ფლავიუსი.

(იქით).

მაგრამ

არ ვიცი, როგორ დამთავრდება.

(შემოდის მეორე მსახური).

II მსახური.

თქვენს ბრწყინვალეებას

დიდად ვაამებ, თუკი ვეტყვი, რომ ღუციუსმა ნიშნად მაღალი და გულწრფელი სიყვარულისა მოგართვათ ვერცხლით დარახტული ოთხი თეთრონი. სულით და გულით ვეგებები, დე, თეთრონებსაც

ტიმონი.

(შემოდის მესამე მსახური)

ნუ მოაკლდებათ საკადრისი პატივი. ოჰო!

ახალს რას იტყვი?

III მსახური.

მშვიდობა თქვენდა ჩემო ბატონო... კეთილშობილი ლუკულუსს გთხოვთ, რომ ხვალ სანადიროდ გაჰყვით; თქვენს ბრწყინვალეებას მან ორი წყვილი რუხი მაძებარი გამოუგზავნა.

ტიმონი.

დე, ასე იყოს. ჩამოართვით და ფრიად უხვი საზღაური მიაგეთ.

ფლავიუსი.

(იქით) ნეტავ სადამდის გაგრძელება ეს ყოველივე? გვიბრძანებს ყველას ვუმასპინძლოთ და საბოძვარიც ურიცხვი გავცეთ — მაგრამ აბა, ცარიელ სკივრებს რაღა მოვთხოვო? მას არ ძალუძს ეს რომ იცოდეს, და აღარც იმის ნებას მაძლევს, რომ შევაგონო, თუ რა საწყალი და უმწეო სული-და შერჩა; კეთილად ველარ მიიქცევა მისი ზრახვები; თვითეულ იმის შეპირებას თან აღარ მოსდევს ნივთიერი რამ გამართლება. და ნაუბარი





ვალად ედება თვითეული თავისი სიტყვა.  
უკვე მოვალედ გარდაიქცა, მაინც იმდენი  
სიკეთე შერჩა, რომ ამ ვალთა და თანამდებთა  
ქირასაც იხდის; დაგირავდნენ მისი მიწებიც.  
ვისურვებდი, რომ დამითხოვოს სამსახურიდან,  
ვიდრემდის ძალით გამაგდებდნენ. სჯობს რომ მეგობარს  
ხელი ჰკრა, ვიდრე განიკითხო მტერი, მეყოფა  
ამდენი ტანჯვა, მის მაგიერ რაც განვიცადე.

(გადის)

**ტიმონი.**

(განაგრძობს საუბარს სტუმრებთან)

უმართებულოს ნუ იკადრებთ, თავს რად იკიცხავთ  
და თქვენს ღირსებას პატივს არ დებთ. (ერთ სტუმარს)  
ეს უბრალო რამ,

**II დიდებული.**

**III დიდებული.**

**ტიმონი.**

გვედრით, მიიღონ ნიშნად ჩვენი სიყვარულისა.  
მადლობა ჩემი ნუმც ქცეულა უმადურობად.  
ო, ჭეშმარიტად გულუხვობის სულია ტიმონ!  
მე მაგონდება, დღესა ერთსა, ჩემო კეთილო,  
ვითარ შეაქეთ ჩემეული ქურანა რაში, —  
თქვენად იგულვეთ ამას იქით, — რაც მოგეწონათ,  
უკვე თქვენია!

**III დიდებული.**

მოწყალო, გთხოვთ მომიტევოთ

**ტიმონი.**

თვალის სიხარბე.  
ნუ წუხდებით, ჩემო კეთილო;  
განა არსებობს ადამის ძე, ხოტბა შეასხას  
მას, რაც იმის გულს არ იზიდავს? მოყვასთა ჩემთა  
ყოველ ხვაშიადს ჩემი გულის ხმას შევუწყვილებ  
და შევერწყმები მუღწამ დასტურ, მსურს ამ დღეებში  
სტუმრად გეწვიოთ.

**ყველანი**

**ტიმონი.**

(ერთხმად). ვის ვინატრებთ თქვენზე უკეთესს!  
მერწმუნეთ, ყველა მოკითხვა თუ სტუმრობა თქვენი  
ისეთ სიკეთედ მიმაჩნია, რომ არარად ვრაცხ  
ჩემს წყალობას და გულუხვობას. ასე მგონია,  
სამეფოს ჩემსას შემოვწირავ მოყვასთა ჩემთა  
უყოყმანოდ და უჭირველად: — ალკიბიადევ,  
მეომრის სულით მოვლენილო ამ ქვეყანაზე,  
განცხრომა ალბათ არც კი იცი და მოწყალება  
შენთვის მადლია ჭეშმარიტად; სიცოცხლე შენი  
სიკვდილის წიალ აღორძინდა, შენი მიწები  
საომარ ველებს შეეზარდნენ.

**ალკიბიადე.**

ჰო, მართალს ბრძანებთ,

მწირი მიწაა.

**I დიდებული.**

ჩვენ ყველანი მადლობას გწირავთ

სულით და გულით.

**ტიმონი.**

და მეც თქვენი მადლობელი ვარ.



II დიდიხული.  
ტიმონი.

და სიყვარული უსაზღვროა ჩვენი თქვენდამი.  
მეც მიმიტვალეთ სიყვარული. ჰეი, სანთლები,  
მეტი სინათლე!

I დიდიხული.

ბედისწერამ ნუ განგარიდოთ  
ყველა სიკეთეს, ქონებას და პატიოსნებას!  
მე მუდამ მზად ვარ, ვემსახურო ჩემთა მეგობართ.

ტიმონი.

(გადიან ალკიბიადე, სტუმრები და სხვ.)

აკემანტუსი.

ამაოებავ ამათა! ზურგებში მოხრა  
და უპატიო უკანალთა წარმოჩინება;  
მათი მუხლები, ვეჭვობ იმად არ ეღირება,  
რაც მოწყალებით მიუღიათ: ასე მგონია  
პირმოთნეობას ჯერ არასდროს არა ჰქონია  
მძლავრი მუხლები.

ტიმონი.

გულკეთილი სულელი ურცხვად  
ქონებას ფლანგავს სულ უბრალო გაღიმების წილ.  
ასე უკმეხად რომ არ სჯიდე, ო, აკემანტუს,  
შენთვისაც რასმე გავიღებდი.

აკემანტუსი.

არაფერს არ გთხოვ:  
მეც რომ ფულებით მოგესყიდე, ამ ქვეყანაზე  
ვინ დარჩებოდა განმკიცხავი. მაშინ, სულელო,  
უზიარებლად წარწყმდებოდი; შენი სიუხვე  
იქამდე მიდის, მალე ალბათ საკუთარ თავსაც  
ქაღალდით გასცემ, აბა, მითხარ, რა საჭიროა  
ეგოდენ ლხინი და უაზრო ბედოვლათობა?  
მაშ ალარ იშლი, აკემანტუს, ხალხის გაკიცხვას?  
რას იზამ, უნდა გაგეცალო ასეთ წუთებში,  
მშვიდობით იყავ, თუ შემდეგშიც მოგვინახულებ,  
სხვა ხმით იმღერე, გევედრები.

ტიმონი.

აკემანტუსი.

კეთილი, ტიმონ;  
არ გინდა ეხლა ყური მიგდო. დაე, ნურც მერე  
ნულარ მომისმენ, — უნდა მიწყვიტო გადაგიბეჭდო  
ზეცის მაღალი კარიბჭენი: ვაი, რომ კაცთა  
ყური, დახშული რჩევისათვის, ლაქტუცში გაცვდა.

## მ ო ქ მ ე დ ე ბ ა II

### ს ც ე ნ ა I

ოთახი ერთ-ერთი სენატორის სახლში.

შემოდის სენატორი ქაღალდებით ხელში.

სენატორი.

ხუთიათასი დაესესხა ამას წინ ვარონს,  
ისიდორეს კი ცხრა ათასი. ოცდახუთამდე



გროვდება, ჩემი ძველი ვალიც თუ მივათვალე,  
და ამ უჯიათ მფლანგველობას მაინც არ იშლის!  
ველარ გაუძლებს ამდენ ვალებს; — თუ თქვამს მინდა,  
საკმარისია მოვიპარო მათხოვრის ძალლი  
და ძღვნად მივართვა იქვე ტიმონს — თურმე, ნუ იტყვიო,  
ძალსაც სცოდნია ფულის მოჭრა. ანდა უკეთუ  
ჯაგლაგი მინდა გავასალო და ნაცვლად ოცი  
ჭურანა რაში შევიძინო, თავს ნუ იწუხებ,  
მივართმევ ტიმონს, და მაშინვე ჩემი ჯაგლაგი  
რაშებს მოიგებს. მის ალაყაფს დარაჯი არ ჰყავს;  
დგას ვილაც მუდამ მომლიმარი და სასახლეში  
ეპატიყება ყველა გამვლელს... გათავდა, მორჩა,  
კაცის გონებას ველარ ძალუძს რამ საიმედო  
მის ბედში კიდევ მოიხილოს. ეჭვი, კაფის,  
ჰე, კაფის-მეტქი!

(შემოდის კაფისი)

კაფისი.  
სენატორი.

რას მიბრძანებთ, ბატონო ჩემო.  
მოისხი ქურჭი და გასწიე ჩქარა ტიმონთან,  
სთხოვე, ვალები დამიბრუნოს. ტკბილი სიტყვებით  
არ შესცდე, ხმა ნუ ჩაგიწყდება, დარბაისლურად  
როცა მოგმართავს: „გადაეცი ჩემი სალამი  
შენს ბატონს“ და თან ქუდს რომ ხელში შეათამაშებს;  
უთხარი, ჭირის დღე დამიდგა და გაჭირვებამ  
იძულებულმყო, მომეთხოვა ჩემი კუთვნილი.  
ყველაფერს ყავლი გაუვიდა, ხელწერილების  
იმედი იმ ვალს, რა თქმა უნდა, ვერ გაანადღებს.  
მე მიყვარს იგი, მართალია, პატივს ვცემ, მაგრამ  
კისერი როგორ მოვიტეხო მისი ფრჩხილისთვის.  
ო, მეტის მოცდა აღარ ძალმიძს, მე თუ განმკურნავს,  
მხოლოდ საზღაო ნივთიერი და არა მისი  
ლიტონი სიტყვა. აბა მიდი, იჩქარე, გასწი,  
თავი უტეხად მოაჩვენე, უკმეხი კაცის  
სახე მიიღე; ეხლა ფენიქსს რომ ემსგავსება,  
რაკი ლამაზ ფრთებს შეუმოსავს იმისი მხრები,  
ვშიშობ თოლიად არ გადიქცეს მოულოდნელად,  
გასწი!

კაფისი.  
სენატორი.

მივდივარ.

მივდივარო? — ხელწერილებიც  
წაიღე; ფრთხილად, თარიღები არ აგერიოს.  
მაგის იმედი იქონიეთ, ბატონო!

კაფისი.  
სენატორი.

წადი!



## სცენა II

ღარბაზი ტიმონის სასახლეში.

(შემოდის ფლავიუსი აღრიცხვის დავთრებით ხელში)

**ფლავიუსი.**

თავს არ ანებებს ამ უაზრო ფლანგვას ბატონი და აღარაფერს ეკრძალება, საცაა ალბათ ველარ გაართმევს თავსაც. მაგრამ საქმე ის არის, რომ ამ უდარდელ ნებივრობას ისევ განაგრძობს, რატომ არა გრძნობს ფეხქვეშ მიწა როგორ ეცლება, ან რა მოჰყვება ყოველივეს? ვინ იყო დღემდე მისებრ უჭკუო და კეთილი? ჰო, მაგრამ შემდეგ რა უნდა მოხდეს? ვერ მიმხვდარა. ვიდრე არ ვამცნობ, არ მოვეშვები; ვეტყვი, როცა ნადირობიდან შინ დაბრუნდება. ვაი, ჩემს თავს.

(შემოდის კაფისი და ისიდორეს და ვაროს მსახურნი)

**კაფისი.**

სალამი, ვარო!

რაო ვალისთვის გამოგგზავნეს?

**ვაროს მსახური.**

შენც მევალე ხარ?

**კაფისი.**

რას იზამ?! ვგონებ ისიდორეც მისთვის გარჯილა.

**ისიდორეს მსახ.**

სიმართლეს ამბობ.

**კაფისი.**

ნეტავ ყველას გაგვისტუმრებდნენ.

**ვაროს მსახური.**

მე რაღაც ვშიშობ.

**კაფისი.**

მობრძანდება თვითონ ტიმონიც.

(შემოდის ტიმონი, ალკიბიადე და დიდებულები)

**ტიმონი.**

უმაღლესო, როგორც კი დავნაყრდებით, ალკიბიადეც, უკან გავსწიოთ. თქვენ ჩემთან ხართ? რა გსურთ, მითხარით? ბატონო ჩემო, აი ნუსხა რაღაც ვალების.

**კაფისი.**

ვალების? თვითონ საიდან ხარ?

**ტიმონი.**

**კაფისი.**

ათენელი ვარ.

**ტიმონი.**

მაშინ მეურვეს მოახსენე.

**კაფისი.**

ჩემო ბატონო, ეს ერთი თვეა რაც მიბარებს, მაგრამ ამოდ; გაუგონარმა გაჭირვებამ ბატონი ჩემი იძულებულყო მოითხოვოს მისი კუთვნილი, რასაც კეთილი თქვენი ნებაც დაესართება და ფულს უკლებლივ დაუბრუნებთ.

**ტიმონი.**

ჩემო კეთილო, გთხოვ, რომ ხვალ დილით მომაკითხო.

**კაფისი.**

არ შემიძლია.

**ტიმონი.**

ძმობილო, თავი შეიკავე.

**ვაროს მსახური.**

ვარონის მსახურს ორიოდ სიტყვა მათქმევინეთ...





ისილორან მსახ.

უმორჩილესად

გთხოვთ ისილორე, დაუბრუნოთ მისი კუთვნილი. ჩემი ბატონის გაჭირვება რომ მოგახსენოთ... ექვსი კვირაა, თქვენს ვალს ყავლი რაც გაუვიდა. მუდამ უარით მისტუმრებდა თქვენი მეურვე, მითხრეს, პირადად თქვენ გხლებოდით, ტიმონ, ამჯერად. მაცალეთ სული მოვიბრუნო, (სტუმრებს) გთხოვთ, ბატონებო, ნუ შეყოვნდებით. მალე ალბათ წამოგეწევით.

(ალკიბიადე და დიდებულები გადიან)

(ფლავიუსს) აბა, გეთაყვა, აქეთ მოდი; რა ამბავია, დღეს რომ ვერაფრით ავუთავდით ვადაგადასულ ვალების თხოვნას, ისიც ასე დაურიდებლად, — ეს ხომ ჩემს სახელს ემუქრება?

ფლავიუსი.

კეთილნო კაცნო,

ამჟამად ამის დრო არ არის. გთხოვთ ნასადილევს მობრძანდეთ, ვიდრე მე ჩემს ბატონს მოგახსენებდე თქვენი ესოდენ შეყოვნების მიზეზს.

ტიმონი.

გეთაყვა,

ასე აჯობებს. (ფლავიუსს) სტუმრებს უხვად გაუმასპინძლდი. (გადის)

ფლავიუსი.

კეთილი, აქეთ წამობრძანდით; გთხოვთ, მეგობრებო. (გადის)

(შემოდის აპემანტუსი და მასხარა)

კაფისი.

შეჩერდით, აქეთ მასხარა და აპემანტუსი მოდიან. მოდი, წაველაზნდაროთ.

ვარონ მსახური.

ჯანდაბას მისი თავი, მოეშვი, გაგვკიცხავს.

ისილორან მსახ.

ჭირსაც წაუღია, ძაღლი!

ვარონ მსახური.

რასა იქ, სულელო?

აპემანტუსი.

შენს ჩრდილს ელაპარაკები?

ვარონ მსახური.

შენ არ გეკითხებიან.

აპემანტუსი.

შენ თავს ეკითხები. წავიდეთ აქედან (მასხარას).

ვარონ მსახური.

შენ განმარტოებით დგახარ, მასხარას ჯერ კიდევ არ ჩამოჰკიდებიხარ.

კაფისი.

ნეტავ ვინ არის აქ მასხარა?

აპემანტუსი.

ის, ვინც ეს კითხვა დასვა: საცოდავო თაღლითებო, მფლანგველთა მსახურებო, ფუფუნებასა და გაჭირვებას შორის გაჩხერილო მოურავებო.

ყველა მსახური.

განა ვინა ვართ ჩვენ, აპემანტუს.

აპემანტუსი.

ვირები.

ყველა მსახური.

რატომო ვითომ?

აპემანტუსი.

იმად, რომ მე მეკითხებით ვინა ხართ და საკუთარ თავს ვერცნობთ. ეხლა შენ გაესაუბრე, მასხარავ.

მასხარა.

როგორ ბრძანდებით, ბატონებო?


ყველა მსახური.

დიდად გმადლობთ, კეთილო მასხარავ, თქვენი ქალბატონი რასა იქს?



- მასხარა.** თქვენნაირი წიწილების მოსახარშავად წყალს ადუღებს. იქნებ „კორინთოში“ გვეწვიოთ.
- აკემანტუსი.** კარგია, მადლობას გწირავ. (შემოდის პაყი)
- მასხარა.** ხედავთ? ჩემი ქალბატონის პაყი მოდის.
- პაყი.** (მასხარას) რა ამბავია, მხედართმთავარო. რასა იქ ამ ბრწყინვალე საზოგადოებაში? როგორ ბრძანდებით, აკემანტუს?
- აკემანტუსი.** კარგი იქნებოდა კვერთხი მქონოდა პირში, რომ სასარგებლო პასუხი გამეცა.
- პაყი.** გთხოვთ, აკემანტუს. ერთი ამ წერილების მისამართები წამიკითხე, არ ვიცი, ვის რომელი ეკუთვნის.
- აკემანტუსი.** თავად ვერ წაიკითხავ?
- პაყი.** არ შემიძლია.
- აკემანტუსი.** მაშ, მხოლოდ მცირედი ცოდნა დაიკარგება იმ დღეს, როცა შენ ჩამოგახრჩობენ. ეს წერილი ტიმონს ეკუთვნის, ეს კი — ალკიბიადეს. იჩქარე, ძმაო, ბუშად მოხველ ამ ქვეყანაზე და მოურავად წახვალ.
- პაყი.** შენი დაბადებით კი ძუკნა ძალღი გაჩნდა, და ძალღურ სიკვდილში ამოგხდება სული. ნუ მიპასუხებ, მე უკვე წავედი. (გაღის).
- აკემანტუსი.** შენ ღვთის მადლსაც ასე ნაჩქარევად შორდები. მასხარავ, წავიდეთ ტიმონთან.
- მასხარა.** აქ ხომ არ დამტოვებ?
- აკემანტუსი.** თუ ტიმონი შინაა. (მსახურებს) — სამივენი სამ ბედოვლათს ხომ არ ემსახურებით?
- სამივე მსახური.** ეჰ, ნეტავ ერთხელ ისინი მოგვემსახურობდნენ?!
- აკემანტუსი.** მეც მინატრია — ოღონდ კი ისე, როგორც ჯალათი ემსახურება ქურდს.
- მასხარა.** თქვენ ბედოვლათების მსახურები ხართ?
- სამივე.** დიახ, გახლავართ.
- მასხარა.** ვფიქრობ, არ არსებობს ისეთი ბედოვლათი, ვისაც მასხარა არ ემსახურება. ჩემი ქალბატონიც მფლანგველია, მე კი მასხარა; თქვენს ბატონებთან ფულის სასესხებლად დამწუხრებულნი მოდიან, და მხიარულნი მიდიან. ჩემს ქალბატონთან კი პირიქით — მხიარულნი მოდიან და დამწუხრებულნი ბრუნდებიან. არ იკითხავთ, რატომ?
- ვაროს მსახური.** მე უკვე მივხვდი.
- აკემანტუსი.** ბარემ გვითხარი, რათა გაიძვერა და გარყვნილად მიგიჩნოთ, ნუ გეშინია, მაინც არაფერი მოგაკლდება.
- ვაროს მსახური.** რა არის გარყვნილი კაცი, მასხარავ?
- მასხარა.** ისევ მასხარა, კარგად ჩაცმული და შენი მსგავსი. იგი არს სული — ხან ვინმე დიდებულია, ხან მოსამართლე, ხან კი ფილოსოფოსი. ხშირად რაინდსაც ჰგავს, ერთი სიტყვით, ეს სული ყოველ ადამიანში ვლინდება ცამეტიდან ოთხმოც წლამდე.
- ვაროს მსახური.** არა, შენ მხოლოდ სულელი არ ყოფილხარ.





მასხარა.

და არც შენა ხარ მხოლოდ ბრძენი: რაც მე სისულელე მაქვს, შენ იმდენი სიბრძნე გაკლია.

აკემანტუსი.

ასეთი პასუხი აქემანტუსს უფრო ეკადრება.

სამივე მსახური.

გზა, გზა, ტიმონი მობრძანდება

(შემოდის ტიმონი და ფლავიუსი)

აკემანტუსი.

წავიდეთ, მასხარავ.

მასხარა.

უკან არასოდეს გავყოლილვარ შეყვარებულს, უფროს ძმასა და ქალს, მაგრამ ფილოსოფოსს ავედევნები.

(გაღიან აქემანტუსი და მასხარა)

ფლავიუსი.

გთხოვთ აქვე ახლოს ისეირნოთ და ყოველივეს ორიოდ წუთში მოგახსენებთ.

ტიმონი.

საოცარია.

რატომ აქამდის არ მაუწყებთ მაინც სიმართლე.

გაუთავებელ ხარჯებს მაშინ აუცილებლად

შევუფარდებდი შემოსავალს.

ფლავიუსი.

მაგრამ როცა კი

გავბედე მეტქვა ყოველივე, არ გსურდათ მაშინ

თუნდ ერთი წუთით ყური გეგდოთ.

ტიმონი.

აბა, რას ამბობ —

შენ, ალბათ მხოლოდ დააპირე თქმა, მაგრამ იმ დროს

იქნებ მე ვიყავ უგუნებოდ და რაკი ყური

ვეღარ გათხოვე, თავი აღარც შენ შეიწუხე

და ეხლა გინდა დაუდევარ პასუხით ჩემთან

თავი როგორმე გაიმართლო.

ფლავიუსი.

ო, ღმერთო ჩემო!

ბევრჯერ, როცა კი მოგართმევდით აღრიცხვის დავთრებს,

თქვენ მუდამ უკან მიბრუნებდით ტკბილი სიტყვებით, —

რომ თქვენ ენდობით ჩემს სინიდიხს, ხოლო როდესაც

უბრალო ძღვენის საფასურად მთელ განძს გასცემდით,

თავს ჩავქინდრავდი და ვტიროდი. მრავალგზის გთხოვეთ,

თუმცა არ იყო ეს მსახურის მოვალეობა,

ფული გეხარჯათ ხელმომჭირნედ. თითქმის ყოველთვის

პასუხად მწარე საყვედურებს ვიღებდი, როცა

სიტყვას დავძრავდი, თუ როგორი იყო მიქცევა

თქვენი ქონების და ვალების უკან მოქცევა.

დროა შეიგნოთ (თუმცა კიდევ დავაგვიანეთ),

რომ ყოველივე, რაც ამქვეყნად თქვენ გაბადიათ,

ვერ ფარავს ვალის ნახევარსაც.

მიწა გავყიდოთ.

ტიმონი.

ფლავიუსი.

დიდი ხანია დაგირავდა, ხოლო ნაწილი

დავკარგეთ კიდევ, რაც გადარჩა, როგორმე იმით

დღევანდელ ვალებს პირი უნდა ამოვუკეროთ,

დანარჩენებმა, დაე, შემდეგ გველაპარაკონ —

რა შეაჩერებს ან იმ წუთსაც. თქვენ ის მითხარით,



თუ მოგწონთ ჩემი ანგარიში?

ბიზონი.

კი, მაგრამ ერთ დროს

ლაკედემონთან მთავრდებოდა ჩემი მიწები.

ფლავიუსი.

ჩემო კეთილო, ეს ქვეყანა მხოლოდ სიტყვაა! თქვენ რომ გრგებოდათ იგი, სულის ერთი მოთქმითაც აღარაფერი დაგრჩებოდათ.

ბიზონი.

შენ მართალი ხარ!

ფლავიუსი.

ხოლო უკეთუ არ ენდობით სიწმინდეს ჩემსას, მაშინ მიმეცით განსასჯელად პირუთვნელ კაცთა. ვფიცავარ ღმერთებს, როცა ჭერქვეშ თვითეულ კედელს მუქთახორების ზურგი სრესდა და სარდაფები ტიროდა ხოლმე იატაკზე დაღვრილი ღვინით, დარბაზები რომ იწვებოდა კელაპტრის ალში, როცა ჭერს სუფრის პოეზია აზანზარებდა, მაშინ მე სადღაც მიბნელებულ კუთხეში, მარტო, ცხარე ცრემლებად ვიდვრებოდი.

ბიზონი.

კმარა, გეთაყვა.

ფლავიუსი.

მეც ბევრჯერ მითქვამს, ჰოი, ცაო, ამ გულუხვობით თუ რა დოვლათი მოინელეს იმ უგუნურთა. ვინ არის იგი, ვინც არა სთვლის თავს მის მსახურად? რომელი გული, თავი, ხმალი აქ არ ეკუთვნის დიდებულ ტიმონს, კეთილშობილ, ღირსეულ ბატონს? მაგრამ თუ გაჰქრა ფული, რაც ამ ქებას ჰყიდულობს, ის ამოსუნთქვაც წყდება, რასაც ქება ამოჰყვა, რაც ლხინში ჰპოვეს, იკარგება ის ლხინის შემდეგ, საკმარისია ცაზე წვიმის ერთი ღრუბელიც, და მიიძინებს ყველა მწერი.

ბიზონი.

კმარა, ღმერთმანი,

ნუღარ ჰქადაგებ. სამარცხვინო ქველმოქმედება უცხოა ჩემი ბუნებისთვის. მე ვგულუხვობდი უაზროდ, მაგრამ უანგაროდ. რაზედ ჰქვითინებ? — არ გჯერა, მე რომ მეგობრები არ დამიკარგავს? კმარა, დამშვიდდი. რომ მინდოდეს, მე სიყვარულის ჭურჭელს გავხსნი და ჩემს მეგობრებს სესხში გამოვცდი. მაშინ მათ დოვლათს მოვიხმარდი ისე ადვილად, როგორც გიბრძანებ აქ ამ სიტყვებს.

ფლავიუსი.

დაე, კეთილად

გაცხადდეს თქვენი გულის ზრახვა.


ბიზონი.

იცი? ერთის მხრით

ვუმადლი კიდევ გაჭირვებას, ვით ცით მოვლენილს; ამით გამოვცდი ჩემს მეგობრებს და დაგარწმუნებ ჩემს სიმდიდრეში თუ ვით შესცდი; მე მდიდარი ვარ მხოლოდ და მხოლოდ მეგობრებით. მანდ ვინ ბრძანდებით? ჰე, ფლამინიუს, სერვილიუს!

(შემოდის ფლამინიუსი, სერვილიუსი და სხვა მსახურები)





მსახური.  
ტიმონი.

დიახ, ბატონო.

ახლავე უნდა გაგაგზავნოთ, — შენ ლუციუსსა,  
შენ კი ლუკულუსს ეახლები — ჩვენ დღეს ჭალაში  
ერთად ვიყავით სანადიროდ. შენ სემპრონიუსს  
უნდა ეწვიო — გადაეცით ჩემი სალაში,  
მოახსენეთ, რომ მეჭირვება იმათი შველა,  
რომ ფულით უნდა დამეხმარონ — დე თვითეულმა  
ორმოცდაათი მომაშველოს ტალანტი.

ფლავიუსი

იყოს

ბრძანება თქვენი!

ფლავიუსი.  
ტიმონი.

ჰმ, ლუციუს და ლუკულუსი (იქით).

(მეორე მსახურს)

შენ კი სენატორთ მიაკითხე, იმათთან მაინც  
მე ჩემი კეთილმსახურებით მაქვს გავალება, —  
დაე, ამ წუთას გამოგზავნონ ათასი ოქრო.

ფლავიუსი.

ბატონო, ამ გზას მეც მივმართე, ვით ჩვეულებრივ  
რამ გამოსავალს ამ ყოფაში. მე უკვე ვცადე  
თქვენი ხელწერა და სახელი, მაგრამ პასუხად  
მათ მხოლოდ თავი გაიქნიეს. და რა მდიდარიც  
შევედი, იგივე გამოვედი, მერწმუნეთ.

ტიმონი.

ნუთუ

სიმართლეს ამბობ? როგორ მოხდა?

ფლავიუსი.

მათ ყველამ ერთად

და ხმაშეწყობით განაცხადეს, რომ ფრიად უჭირთ,  
არ ჰყოფნით ფული და ვერ ძალუძთ მით აღასრულონ,  
რაც უნდათ... სთქვეს, რომ ძლიერ სწუხან... პატიოსანი  
კაცი არისო... ჩვენ ვუსურვებთ... მაგრამ არ ვიცით. —  
როგორ და რა გზით... მან შეცდომა დაუშვა, ხოლო  
კაცს კეთილშობილს ეშველება... რა ვქნათო, ვწუხვართ...  
და მერე რაღაც დიდი საქმის მომიხეზებით  
დამშორდნენ. იმათ ნაუბარმა წყვეტილ-წყვეტილმა,  
ათვალწუნებით გამოხედვამ და უცნაურმა  
მოძრაობამ და თავის ქნევამ ხმა ჩამიკმინდეს.

ტიმონი.


მათ თქვენ მიაგეთ საზღაური, ჰოი, ღმერთებო? —  
გამხიარულდი, გევედრები, ყველა მაგ ბებერს  
მემკვიდრეობით მიუღია უმადურობა.

სისხლი შედედდა მათ ძარღვებში, ცივი და მწუთხე,  
უკეთურთ სითბო შემოაკლდათ ცხოველმყოფელი.

კაცი, რომელიც მიწისაკენ მიიწევს, მუდამ  
გულქვაა იგი და სასტიკი, შენ (მსახურს) ვენტდიუსს,  
წადი, ეახლე. (ფლავიუსს); ო, გეთაყვა, ნუ მოიწყინე.

თქვენ დარჩით ჩემი ერთგულნი და პატიოსანნი,  
გულწრფელად ვამბობ — არ მიგიძღვით ბრალი ჩემდამი.  
(მსახურს) ვენტდიუსმა ამ დღეებში დამარხა მამა,  
და დიდი განძი დაიმკვიდრა, როგორც ამბობენ.





როცა უჭირდა, საპყრობილის კედლებთან როცა ამხანაგებიც ჩამოშორდნენ, ხუთი ტალანტით მე დავიხსენი. გადაეცი ჩემი სალამი და მოახსენე, მეგობარი მისი ამჯერად საჭიროებამ აიძულა კრძალვით და რიდით ის ხუთი ოქრო გაიხსენოს, (ფლავიუსს) როგორც კი ამ ფულს მიიღებ, უმალ გაისტუმრე მევალები. არ გაიფიქრო, ანუ იმას ნუ იტყვი ნურსად, მეგობართ ნდობა დაუკარგავს ტიმონის გულსა. თავს შევიკავებ, ან ვითარ ვთქვა სიტყვა ამგვარი? მფლანგველთან მაინც არ ექნება მას გასაქანი.

(გადის)

მოქმედება III

სცენა I

ოთახი ლუკულუსის სახლში.

ფლამინიუსი იცდის, შემოდის მსახური.

მსახური.  
ფლამინიუსი.  
მსახური.  
ლუკულუსი.

უკვე მოვახსენე ჩემს ბატონს და მალე გეახლებათ. გმადლობთ. (შემოდის ლუკულუსი).

აჰა, ბატონიც.

(განზე). ოჰო. ტიმონის მსახური? რა თქმა უნდა, საჩუქარს მოიტანდა. ზუსტად კი ამიხდა. განა წუხელის არ მესიზმრა ვერცხლის სურა და ბაღია? სალამი შენდა ფლამინიუს, ჩემო ხელმართალო ფლამინიუს. შენთვის მუდამ ღიაა ჩემი კარები. (მსახურს) ჩქარა დვინო მოგვართვი. — რასა იქს ათენის ყოვლად ღირსეული, უმწიკვლო და დიდსულოვანი მამრი, შენი ხელგაშლილი ბატონი?

ფლამინიუსი.  
ლუკულუსი.

ავადმყოფობას არ უჩივის.

მიხარია, რომ ჯანმრთელად არის. მოსასხამის ქვეშ რაღაცას მაღავ, ძვირფასო ფლამინიუს.


ფლამინიუსი.

არაფერია. ცარიელი ყუთია მხოლოდ. ბატონის დავალებით გეახლეთ. ეს ყუთი უნდა აგვივსო. დიდი გაჭირვება მოგვადგა კარზე და გევედრებათ ორმოცდაათი ტალანტი ასესხოთ. დარწმუნებულია ხელს გაუმართავთ.

ლუკულუსი.

უჰ, უჰ, უჰ, დარწმუნებულიაო? ოჰ, ღმერთო ჩემო! რა კეთილშობილი და სულგრძელი კაცია, ბედოვლათი რომ არ იყოს. რამდენჯერ ვყოფილვარ მასთან სადილად და სულ ამას ვუჩიჩინებდი. ხშირად ვახშმადაც მივდიოდი, რომ რამენაირად ჩამეგონებინა, ხელმომჭირნე ყოფილიყო. მაგრამ ყურსაც არ მიგდებდა და ვერც ჩემი სტუმრობის მიზეზს ხვდებოდა.





მსახური.

ლუკულუსი.

ფლამინიუსი.

ლუკულუსი.

თვითეულ კაცს თავისი ნაკლი აქვს, — ტიმონის ნაკლი პატი-  
ოსნებაა. რამდენს ვეწვალე, მაგრამ ვერაფერს გავხდი.  
(შემოდის მსახური ღვინით).

ინებეთ ღვინო, ბატონო.

ფლამინიუს, მე შენ ყოველთვის ჰკვიანი კაცად მიმაჩნდი, შენა  
დღეგრძელობისა იყოს.

როგორც თქვენ გესიამოვნებათ, ბატონო.

რაც მართალია, მართალია. ჰკვიანი კაცი ხარ, ფლამინიუს, და  
ჰეშმარიტად ცოცხალი გონების პატრონი, ხშირად შემინიშ-  
ნავს შენი ნიჭი. შეგიძლია დროს კარგად აულო ალლო, რო-  
ცა ამის დრო დგება. აი, ეს არის მთელი შენი ღირსება. —  
(მსახურს) მარტო დაგვტოვე. (მსახური გადის) ახლოს მოიწი,

პატიოსანო ადამიანო. შენი ბატონი თუ ხვავრიელი კაცია, —  
შენ ჰკვიანი ხარ, ფლამინიუს. და კარგად იცი, თუმცა-ღა გა-

ისარჯე და აქამდე მოხვედი, რომ ეხლა ფულის გასესხების

დრო არ არის. ისიც მეგობრობის სახელით, ყოველგვარი წინ-

დის გარეშე. აი, შენ სამი სოლიდარი. თვალი დახუჭე, ჩემო

კარგო და ტიმონს ჩემზე მოახსენე, შინ არ დამხვდა-თქო. აბა,

კარგად იყავი, ფლამინიუს.

ო, ღმერთო, ნუთუ ასეც ხდება, ქვეყანა ირგვლივ

უცვლელი რჩება და კაცნი კი გარდავიქმენით. (ფულს დაყრის)

შორს სიბინძურევე, მასთან მიდი, ვინც გათაყვანებს.

გასაგებია. შენი ბატონის შესაფერი ყოფილხარ, სულელო.

(ლუკულუსი გადის)

ფლამინიუსი.

ლუკულუსი.

ფლამინიუსი.

(მიუთითებს ძირს დაყრილ ფულზე).

დაე, ეს ფულიც მიითვალოს შენდა განკიცხვად  
და მოგეწიოს წყევად მისი გამდნარი ვერცხლი,  
ვინც მეგობარს მტრობ და საკუთარ თავთან მეგობრობ,  
ნუთუ ასეთი წყალწყალა რძე სვა მეგობრობამ,  
ორიოდ დღეში რომ აიჭრა?

ჰოი, ღმერთებო,

ტიმონის რისხვას ეხლავე ვგრძნობ. ხოლო ამ საწყალს  
ჯერ კიდევ უდგას გვამში ჩვენი კერძი და პური, —  
საოცარია, რატომ უნდა მოიქცეს იგი

სიცოცხლის ძალად, როცა უკვე ამძორდა კაცი?

აგრემც შხამად და უკურნებელ სენად შეერგოს!

ხოლო სხეულის იმ ნაწილმა, სისხლმა და ფერმა,

ნადიმებზე რომ გამოჰკვება ტიმონმა, ღმერთო,

გაუხანგრძლივოს სიკვდილის ჟამს წუხილი ერთობ.


(გადის)



სცენა II

მოდანი.

შემოდინ ლუციუსი და სამი უცხოელი.



ლუციუსი.

ვინ? ტიმონი? ჩემი მეგობარი გახლავთ. ყოვლად პატივცემული ადამიანია.

I უცხოელი.

ეგ ხომ ჩვენც ვიცით, თუმცა უცხო ქვეყნიდან ვართ, მაგრამ ჩვენ სხვა რამეც გავიგეთ, რაზედაც ეხლა მთელი ქალაქი ლაპარაკობს. ტიმონის მზე თურმე ჩაესვენა — სიმდიდრე შემოელიაო.

ლუციუსი.

II უცხოელი.

სისულელეა, არ დაიჯეროთ, ტიმონი და სიღარიბე ვის გაუგია. სინდისს გეფიცებით. მისი ერთ-ერთი მსახური ლუკულუსს ხლებია თურმე და სესხად რამოდენიმე ტალანტი უთხოვია. ის კი არა და აქედან ფეხსაც არ მოვიცვლი უფულოდო — ძალიან უჭირსო ბატონს, და თურმე, მაინც უარით გამოისტუმრეს.

ლუციუსი.

II უცხოელი.

რაო? დიახ, დიახ, უარით გამოისტუმრესო.

ლუციუსი.

საოცარია! ვფიცავ ღმერთებს, ამის ვაგონებაც კი მრცხვენია. ასეთი პატიოსანი კაცი უარით როგორ უნდა გამოისტუმრო. არავითარი პატივისცემა არ ჰქონებიათ ტიმონისა. მე კი, რა დასამალია, ლუკულუსთან შედარებით ტიმონისაგან მხოლოდ წვრილ-წვრილი საჩუქრები მიმიღია — ფული თუ ჭურჭელი, ზოგჯერ ძვირფასი ქვები თუ რაღაც ამის მსგავსი. მაგრამ ჩემთან რომ გამოეგზავნა მსახური, რამოდენიმე ტალანტს როგორ დავუჭერდი?

(შემოდის სერვილიუსი)

სერვილიუსი.

აი, ბედიც ამას ჰქვია, თქვენ ძებნაში ოფლად გავიღვარე. ყოვლად ღირსეულო ბატონო...

ლუციუსი.

სერვილიუს, შენი ნახვა ნამდვილად მიხარია: აბა, კარგად იყავი, მომიკითხე შენი ღირსეული, გულკეთილი ბატონი და ჩემი უძვირფასესი მეგობარი.

სერვილიუსი.

უნდა გავბედო და თქვენს უდიდებულესობას მოვახსენო, რომ ჩემი ბატონი გიგზავნიო...

ლუციუსი.

ოჰო, რას მიგზავნის? მე ისედაც დიდად ვარ დავალებული ტიმონისაგან. სულ ის არ მიგზავნის? არ ვიცი, რითი გადავუხადო, ნეტავ, ამჯერად რა გამომიგზავნა?

სერვილიუსი.

ამჯერად თხოვნა და მუდარა გამოგიგზავნათ. გვედრით სასწრაფოდ ასესხოთ რამოდენიმე ტალანტი.

ლუციუსი.

ვიცი, რომ ხუმრობს, თორემ ტიმონს ხუთი ათასი ტალანტის შოვნაც შეუძლია, თუ კი დასჭირდა.

სერვილიუსი.

ღღვისღღეობით გაცილებით მცირედს მოითხოვს,





ლუციუსი.  
სარკვილიუსი.  
ლუციუსი.

ხოლო ღირსება რომ არ ახლდეს მოთხოვნას მისას, მაშინ აღარც მე მოგმართავდით ეგოდენ კრძალვით. ხუმრობ თუ მართალს ამბობ, სერვილიუს? სულს გეფიცებით, მართალს ვამბობ. ვაიმე, რა ღორულად გამომდის. სწორედ ეხლა შემომეხარჯა ფულები, როცა ასეთი ბრწყინვალე შემთხვევა მაქვს, მოვიპოვო პატიოსანი კაცის სახელი. იღბალი არ გინდა? ზუსტად გუშინ ვიყიდე რაღაც-რაღაცეები და დღეს კი ასეთ სიმდიდრეს ვკარგავ. — სერვილიუს, ვფიცავ ღმერთებს, ტიმონის წინაშე ნამდვილად უძლური ვარ. ღორი ვარ-მეთქი, ვიმეორებ, აი, ეს ხალხია მოწმე, ფულის შესხებას თვითონ ვაპირებდი ტიმონისაგან. მაგრამ ეხლა ამას არაფრით არ ვიკადრებ, ათენის მთელი ავლა-დიდებაც რომ დამიმტკიცონ. ჩემი გულითადი სალამი გადაეცი ყოვლად სახიერს. იმედი მაქვს, გამიგებს და არ მომიძულებს მხოლოდ იმის გამო, რომ ხელს ვერ ვუმართავ. ჩემზე მოახსენე, ყველაზე დიდ გულისწუხილად იმას თვლის, რომ უპატიოსნეს მამრს ვერ ასიამოვნა-თქო. ძმურად გთხოვ, კეთილო სერვილიუს, ზუსტად ეს სიტყვები მოახსენე ბატონს.

სარკვილიუსი.  
ლუციუსი.

კეთილი.  
მაშინ შენ დიდად დამავალებ, ო, სერვილიუს.

(სერვილიუსი გადის)

მისი ვარსკვლავი ციდან მართლაც ჩამოვარდნილა და ვინც გასწირეს, ვერ ეშველოს იმას ადვილად.

(ლუციუსი გადის)

I უცხოელი.  
II უცხოელი.  
I უცხოელი.

ეხლა ხომ ხედავ, ჰოსტილიუს? ჰაი, რომ ვხედავ. ასეთი არის წუთისოფლის ნამდვილი სახე, და პირმოთნეებს საგულეში ამ სიბინძურის ნაგლეჯი უდევთ, — ერთ დროს ჭამდნენ ერთი ჯამიდან, მოდი და ეხლა დაუძახე მათ მეგობრები. თავს ევლებოდა მას ტიმონი მამაზე მეტად, და რამდენადაც ვიცი, ვალსაც ის უსტუმრებდა, ის ინახავდა მის მსახურთაც, უვლიდა მამულს, და ერთხელაც ვერ დაელია ღვინო ლუციუსს, ტიმონის ვერცხლის ბადიები რომ არ ეკოცნა. ეხლა კი, აჰა, თავად ხედავ რა უმსგავსოა, ძე ადამისა, როცა იგი უმადურია! ხელს არ უმართავს ორი გროშით, კეთილი კაცი ამ გროშებს ალბათ მათხოვარსაც გადაუგდებდა. ასე სუსტდება რელიგია.

III უცხოელი.  
I უცხოელი.

მე კი რომ მკითხო, ჯერ არასოდეს მიგემნია ტიმონის პური,



ვერც მისმა ფულმა მაიძულა აღმომეჩინა  
ჩემში ტიმონის მეგობარი. მაგრამ ვაცხადებ,  
ისე ერთიან მოვიხიბლე მისი სიკეთით,  
მისი მაღალი სულითა და პატიოსნებით,  
რომ მზად ვარ, მისი გაჭირვება უკეთუ ღირსმყოფს,  
წარმოვადგინო მთელი ჩემი ავლადიდება  
და უკეთესი ნახევარი გავუნაწილო, —  
ისე მომხიბლა მისმა გულმა; თუმც ისიც ვიცი,  
რომ სიბრალული არაფრად ღირს კაცთათვის ახლა,  
რამეთუ დადგა დღეს მზაკვრობა სინდისზე მაღლა.

(გადიან)

## სცენა III

## ოთახი სემპრონიუსის სახლში

შემოდის სემპრონიუსი და ტიმონის მსახური

სემპრონიუსი.

გაჭირვების ჟამს, ჰმ, რალა მე გამომარჩია,  
მაინცდამაინც რატომ მე და არა ლუკულუს?  
თუნდაც ლუციუს? მდიდარია ვენტიდიუსიც,  
ის ხომ ციხიდან გამოიხსნა... დიახ, სამთავე  
შენს ბატონს უნდა უმადლოდენ თავიანთ დოვლათს.

ტიმონის მსახური.


ბატონო ჩემო, სამივენი გამოიცადა  
და თვითეული ხელში შეგვრჩა ყალბი ფულივით,  
რადგან უარი შემოთვალეს.

სემპრონიუსი.

რაო? უარი?

ვენტიდიუსიც, ლუკულუსიც მაშ განზე გადგნენ?  
ჰოდა მე რალას მემართლებით? სამი უარი...  
არ ჰყვარებიათ სჩანს ტიმონი, არც პატივს სცემდნენ.  
უკანასკნელი მეღა დაგრჩით თურმე იმედად,  
თუ მეგობრებმა მიატოვეს განსაცდელის ჟამს,  
ვით ეჭიმებმა, ჩანს, რომ მარტომ მე უნდა ვიღო  
მისი განკურნვა! ნეტავ ასე რად შეურაცხმყოფს,  
რატომ შეშალა მეგობრებში ჩემი ადგილი.  
ო, მწყინს, რომ ყოვლის უწინარეს მე არ მომმართა,  
მე ხომ პირველი ვღებულობდი მისგან საჩუქრებს.  
და ვით დავეცი მე მის თვალში ასე უმწეოდ,  
სხვებს რომ ბოლოში მიმათვალა? ოჰ, არა, არა,  
თავს ვერ გავიხდი სასაცილოდ, ის-ღა მაკლია,  
ეხლა სულელიც დამიძახონ დიდებულთ შორის.  
სამთაგან მე რომ ვყოფილიყავ პირველი, მაშინ  
სამმაგად უფრო მეტს გავცემდი, იმდენად მსურდა  
სიკეთე მისთვის, მაგრამ ეხლა უნდა გაბრუნდე





და იმ სამ უარს მიუმატო ჩემი სიტყვებიც —  
მას ფულს ვერ მივცემ, ვის თვალშია გროშად ვითვლება.

(გადის)

მსახური.

დიდებულება! თქვენი ბრწყინვალება კარგი თაღლითიც ყოფილა. ალბათ თვითონ მამონმაც არ იცოდა, რას სჩადიოდა, როცა კაცს მზაკვრობას ჩააგონებდა. დარწმუნებული ვარ, კაცთა უგვანობა იქამდე მივა, რომ მამონიც უმანკო მოგვეჩვენება. რა მშვენივრად ცდილობდა ეს ვაჟბატონი არამზადა ყოფილიყო. კეთილი იყო, რომ ბოროტება ჩაედინა, მსგავსად იმ ადამიანებისა, რომლებიც მზად არიან სამეფო გადასწვან და ნაცრად აქციონ. მისი ანგარებიანი სიყვარულიც ხომ ასეთ აღტყინებას ჰგავს.

აი, ეს იყო ჩვენთვის თითქმის იმედი ბოლო, გაჰქრა ყოველი, მალლა დარჩნენ ღმერთები მხოლოდ, მთლად მიიცივალნენ მეგობრები და იმ ჭიშკარმა, რომ არ იცნობდა არცერთ საგდულს მრავალი წელი, უნდა ჩაჰკეტოს ცხრაკლიტულში ბატონი მისი. ხელგაშლილობას, ჩანს ასეთი დასასრული აქვს, კარლია სახლში უთვისტომო დარჩა სრულიად.

(გადის)

სცენა IV

დარბაზი ტიმონის სახლში

შემოდის ვარონის ორი მსახური და ლუცილიუსის მსახური. ისინი ხვდებიან ტიტუსს, ჰორტენზიუსს და ტიმონის კრედიტორთა მსახურებს, რომლებიც მის გამოჩენას ელიან.

**ვარონის მსახური.** დღე მშვიდობისა, ჰორტენზიუს! სალამი ტიტუს!  
**ტიტუსი.** ო, გაგიმარჯოს, ჩემო ვარონ!

**ჰორტენზიუსი.** შენც აქ, ლუციუს?  
ბიჭოს რა ერთად შევიკრიბეთ?

**ლუციუსის მსახ.** მე მგონი ყველა  
ერთიდაიგივე გაჭირვებამ გამოგვაგზავნა.  
მე თვითონ ფულზე გეახელით.


**ტიტუსი.** ჩვენც მაგაზე ვართ.  
(შემოდის ფილოტუსი)

**ლუციუსის მსახ.** და ფილოტუსიც ამ მიზეზით გარჯილა, მგონი.  
**ფილოტუსი.** სალამი თქვენდა!

**ლუციუსის მსახ.** გაგიმარჯოს, კეთილო ძმაო,  
ეხლა რა დროა?

**ფილოტუსი.** იტანჯება საათი ცხრისთვის.  
**ლუციუსის მსახ.** რა დრო გასულა.





ჯერ ბატონი არ გინახიათ?

ფილოტუსი.

ლუციუსის მსახ.

ფილოტუსი.

ლუციუსის მსახ.

არა!

რას ამბობ? შვიდზე მზეებზე უნდა ებრწყინა. შენ მართალი ხარ, მაგრამ მას ხომ დღე შეუმოკლდა, მოგეხსენება, მზის სიუხვეს წააგავს ფლანგვა. მაგრამ ტიმონი მზეებზე ვეღარ დაიბადება, მის ფულის ქისას ღრმა ზამთარი დაუდგა, მგონი, და იმდენად ღრმა, ილლიამდეც რომ ჩაჰყო ხელი, არ ამოგყვება სინათლეზე ორიოდ გროშიც. მეც ასე ვფიქრობ.

ფილოტუსი.

ტიტუსი.

მინდა ერთი რამე გიჩვენოთ, —

(ჰორტენზიუსს) შენ ხომ ფულისთვის გამოგზავნა ბატონმა შენმა?

ჰორტენზიუსი.

ტიტუსი.

მხოლოდ ფულისთვის.

და ძვირფასი თვალ-მარგალიტი,

შენს ბატონს ასე რომ ამშვენებს, განა ტიმონის ძღვენი არ არის? — და მე კი დღეს ამ ფულს მოვითხოვ. მე ჩემდა თავად არც კი მსურდა აქ მოსვლა.

ჰორტენზიუსი.

ლუციუსის მსახ.

მართლაც

საოცარია — ტიმონი ხომ უფრო მეტს იხდის, ვიდრე ნამდვილად ევალება. ისე გამოდის, იმ ძვირფას ქვებში, ეხლა შენი ბატონი რომ ჰფლობს, ფულსაც მოითხოვს ტიმონისგან.

ჰორტენზიუსი.

ცაა მოწამე,

ზიზღით ავივსე, აქ წამოსვლა რომ დამავალეს, ჩემმა ბატონმა იმის ზინათს მოულო ბოლო და დღეს კი ასე უმადური ქურდსა ჰგავს მხოლოდ. ჩვენ სამი ათას კრონს მოვითხოვთ.

ვარონის მსახ.

თქვენ კი, ლუციუს?

ლუციუსის მსახ.

ისულ ხუთი ათასს.

ვარონის I მსახ.

ოჰო, ბლომად მოგიტხოვიათ;

შენს ბატონს მეტი ჰქონებია, ჩანს, ერთგულება, ვიდრე ჩემს ბატონს, თორემ ამდენს არ მოითხოვდა.

(შემოდის ფლამინიუსი)

ტიტუსი.

ლუციუსის მსახ.

აი ტიმონის ერთ-ერთი მსახური.

ფლამინიუს, ერთი წუთით, გეთაყვა, — მალე გამობრძანდება ბატონი ტიმონი?

ფლამინიუსი.

ტიტუსი.

ფლამინიუსი.

ვერა, ვერ გამოვა.

ჩვენ მას ველოდებით, მოახსენე.


ვერა, ვერ ვეტყვი. მან ხომ კარგად იცის, რომ თქვენ მაინც არ მოეშვებით.

(შემოდის ფლავიუსი, პირისაზე შეფუთული).

ლუციუსის მსახ.

ეს ხომ ტიმონის მეურვეა, რას შეფუთულა და ღრუბელივით იპარება, აბა მოვუხმეთ.





ტიტუსი.

ჰეი, არ გესმით?

ვარონის I მსახ.

ერთი წუთით, თუ შეიძლება.

ფლავიუსი.

რაშია საქმე, მეგობრებო?

ტიტუსი.

თქვენც კარგად იცით

თუ რა, ფულს ველით.

ფლავიუსი.

ჰეშმარიტად ეგ რომ ვიცოდე, როგორც ის ვიცი, რომ აქ დგახართ და ელოდებით, აღარ მეტქმოდა ერთი სიტყვაც, ან რატომ მაშინ არ მოგვაკითხეთ მაგ ვალებზე, როცა ტიმონთან თქვენი მლიქვნელი ბატონები ნადიმად ისხდნენ. მაშინ ისინი ტიმონს მხოლოდ გაუცინებდნენ და კვლავ ხორავით დატენილდნენ ქონიან გვამებს. თქვენ ძლიერ სცდებით, ეხლა მე რომ მაფორიაქებთ, მომეცით იმის საშუალება, წყნარად წავიდე. ჩვენ ყოველივე დავამთავრეთ თითქმის უკლებად და არ-რა დამრჩა მე აღრიცხავად, ტიმონს ჩუქებად. ეგ შენი სიტყვა პასუხად რომ არ გამოდგება?! რათაო ვითომ, თქვენზე დაბლა ხომ არ დგას იგი, თქვენ ვინც თაღლითებს მსახურებად გამოადექით?

ლუციუსის მსახ.

ფლავიუსი.

(გადის)

ვარონის I მსახ.

რაო, რაებს ბურტყუნებს ეს გადაყენებული კაცი?

ვარონის II მსახ.

სულ ერთი არ არის? მაგას თავისი უბედურებაც ეყოფა. ასე ბრტყელ-ბრტყელად მხოლოდ ის თუ ილაპარაკებს, ვისაც სახურავიც კი აღარ შერჩა, თავი რომ შეაფაროს. ასეთმა კაცმა აუცილებლად დიდი შენობები უნდა აგინოს.

(შემოდის სერვილიუსი)

ტიტუსი.

აი, სერვილიუსიც. ხეირიან პასუხს მაინც გვეტყვის. არ შეიძლება, მეგობრებო, გთხოვოთ და იქნებ როგორმე სხვა ღროს მოგვაკითხოთ; მერწმუნეთ, ამით თქვენ ჰეშმარიტად დამავალვებთ; ბატონი ჩემი, სულს გეფიცებით, არის ერთობ განრისხებული; სიმშვიდე მაინც სულ დაჰკარგა და თავს იმდენად უძლურად გრძნობს, რომ დღეს ოთახსაც კი არ სცილდება. ბევრი ჯანმრთელიც არ სცილდება საკუთარ ოთახს. მაგრამ თუ მართლაც უკანასკნელ დღეშია, ვგონებ, მით უფრო მალე უნდა გასცეს მან თანამდები, რომ ღმერთებს თვალი გაუმაგროს.

სერვილიუსი.

ჰოი, ღმერთებო!

ლუციუსის მსახ.

ამას პასუხად ვერ მივუტანთ ჩვენ ჩვენს ბატონებს. (სცენის შიგნიდან)

სერვილიუსი.

ტიტუსი.

ო, მომეხმარე, სერვილიუს!.. ბატონო ჩემო! (შემოდის განრისხებული ტიმონი. მოსდევს ფლავიუსი)

ფლავიუსი.


ტიტონი.

რაო? ეს ჩემი სახლის კარი მეც გზას მიღობავს?



- ვცხოვრობდი მუდამ თავისუფლად და დღეს კი, თურმე ჩემთვის ჩემივე სახლი ციხედ უნდა გადაქცეს. და იმ კუთხემ და ჭერმა, სადაც მე მოვილხენდი, დღეს, კაცთა მსგავსად, რკინის გული უნდა მიჩვენოს.
- ლუციუსის მსახ.** აბა, ტიტუს, ეხლა მიდი.
- ტიტუსი.** აი, ბატონო, ჩემი ანგარიში.
- ლუციუსის მსახ.** აი, ჩემიც.
- ჰორტენზიუსი.** ჩემი, ბატონო.
- ვარონის ორივე მსახური.** და აი, ჩვენიც.
- ფილოტუსი.** მთელი ჩვენი ანგარიში.
- ტიმონი.** მოიცა, არ მომკლათ, წელს ქვევით მაინც ნულარ დამჩეხავთ.
- ლუციუსის მსახ.** დიახ, ჩემო ბატონო...
- ტიმონი.** აჰა, გულიდან გამომჰყვრით ფულები.
- ტიტუსი.** მე ორმოცდაათი ტალანტი მერგება.
- ტიმონი.** ჰა, ჩემი სისხლი.
- ლუციუსის მსახ.** მე კი ხუთი ათასი კრონი.
- ტიმონი.** ე. ი. ხუთი ათას წვეთს მიიღებ. შენი რამდენია? თქვენი?
- ვარონის I მსახ.** ბატონო...
- ვარონის II მსახ.** ბატონო...
- ტიმონი.** აჰა, დამგლიჯეთ. — ღმერთებმა შეაჩვენოს თქვენი თავი და ტანი (გადის).
- ჰორტენზიუსი.** ახლა კი ვიცი, რომ ჩვენმა ბატონებმა ამ ფულებს ქუდები უნდა მოუხადონ. თვითონ ვალებიც გაცოფდებიან, რაკი მათ შეშლილი კაცი იხდის.
- (გადიან).
- შემობრუნდება ტიმონი და ფლავიუსი.
- ტიმონი.** სული კინალამ ამომართვეს მევალებმა. ამ მაცთურებმა.
- ფლავიუსი.** ო, ძვირფასო ჩემო ბატონო...
- ტიმონი.** მოდი და ერთხელ კიდევ ვცადოთ.
- ფლავიუსი.** ბატონო ჩემო...
- ტიმონი.** და ასეც ვიზამ... ჰე მეურვევ!
- ფლავიუსი.** მე აქ გახლავარ.
- ტიმონი.** რა სწრაფად გაჩნდი. ჩემს მეგობრებს სთხოვე მეწვიონ. ყველას — ლუციუსს, სემპრონიუსს და ლუკულუსსაც. ამ სალახანებს კიდევ ერთხელ დავსვამ ნადიმად.
- ფლავიუსი.** ჩანს, არეული გონება-ლა გალაპარაკებთ, თორემ იმდენიც აღარ შეგრჩია, ერთ საწყალ სუფრას რომ ვამყოფინოთ.
- ტიმონი.** ამის დარდი შენ ნუ გექნება. წადი მოუხმე სალახანებს, დე, ერთხელ კიდევ მოვიბატიყოთ და სუფრაზე დავსხათ საწყლები. სუფრას კი მე და მზარეულიც, ვფიქრობ, გავწვდებით.
- (გადიან)





ეროვნული  
ბიბლიოთეკა

სენა V

სენატის დარბაზი.

სენატორები სხედან. ალკიზიადე ამალით შემოდის.

I სენატორი.

მეც, ბატონებო, ვუერთდები თქვენს ხმას სავსებით, —  
სისხლის სუნი სდის დანაშაულს და ჭეშმარიტად  
ის უნდა მოკვდეს. არაფერი ამქვეყნად ისე  
არ აძლიერებს ცოდვის ფესვებს, ვით შეწყნარება.  
დასტურ, კანონი ვერ დაინდობს.

სალამი სენატს,

ნუ მოაკლდება მას პატივი და მოწყალება.  
რაო, სარდალო?

II სენატორი.  
ალკიზიადე.

I სენატორი.  
ალკიზიადე.

თქვენს სათნო გულს უმორჩილესად  
ვთხოვ მოწყალებას; სიბრალული, მოგესხენებათ,  
არის კანონის სათნოება, მარტოდენ ტირანს  
ძალუძს კანონი სისასტიკით შერაცხოს მხოლოდ.  
დროის და ბედის ახირების ბრალია, როცა  
ეგოდენ უღვთოდ გაიწირა მოყვასი ჩემი. —  
დაბრმავებულმა რისხვისაგან კანონს შესცოდა,  
ის ხომ უფსკრულში მიაქანებს ჭკუაზე შეშლილთ.  
ეს სამარცხვინო და უგვანო ხვედრი რომ არა,  
სხვაფრივ სათნო და ღირსეული კაცია იგი.  
არ შეუბღალავს სულმდაბლობით დანაშაული,  
(ამ ცოდვებს მისი ინანიებს სიღარბაისლე).  
კეთილშობილის აღზევებით შეება მტერთა,  
როცა ისინი მოსრად მოდგნენ ჩვენი ღირსების.  
შეკავებული აღგზნებით და ზომიერებით  
იმას ბოლომდის გაჰყვა რისხვა, ანდა ნალველი,  
თითქოს და რისხვა იყო ჭკუის ნაკარნახევი.  
იგავის დიდი ხელოვნება უნდა იცოდე,  
ეს სიმახინჯე სილამაზედ რომ მოგვაჩვენო.  
ჰოი, რა ძალა უნდა ჰქონდეს შენს სიტყვას, როცა  
თითქმის ცათამდის აღამაღლე თვითონ მკვლელობაც,  
ანდა ეს ჩხუბი ვაჟკაცობას ვით მიათვალე, —  
ძიძგილაობა ვაჟკაცობის ბუშია მხოლოდ  
და ქვეყნად მაშინ დაიბადა, როცა სექტები  
გაჩნდა. ნამდვილი გულოვანი მხოლოდ ის არის,  
ვინც სიბრძნის ძალით გადაიტანს ყველა სიმწარეს,  
ენა რომ გარეთ გამოაფენს, ვინც სამოსივით  
შემოიტმასნის სიბილწეს და თავის გზით წავა,  
ვინც ამ ტკივილებს გულს არაფრით არ მიაკარებს;  
სისულელეა ამჯობინო სიკეთეს ავი,  
კაცის კვლად აღდგე, ბოროტებას შესწირო თავი.

I სენატორი.



ალკიზიადე.  
I სენატორი.

ბატონო ჩემო...

ალკიზიადე.

მრუდი მუდამ დარჩება მრუდად, შურს არ ეძიებს გულოვნება — ის ითმენს მუდამ. ღვთის გულისათვის, ბატონებო, გთხოვთ, თუ ასეა, ჯარისკაცური მსაპატიოთ სიტყვა-პასუხი. ერთი მითხარით, რატომ შედის ცხარე ბრძოლაში კაცი და მერე უფროთხის ხოლმე ყოველ მუქარას? განა მას სძინავს, ყელს დუშმანი როცა ულაღრავს, — ხელსაც არ ანძრევს? თუკი მართლა თმენაში ჰმონებს ბედს გულოვანი, მაშინ რაღად ესწრაფვის ბრძოლებს?.. კაცთა უმეტეს გულოვანნი ქალნი ყოფილან, რაღაი მუდამ მოთმინებით ცეცხლისპირ სხედან, ასევე ლომიც ჩამორჩება ალბათ სახედარს, ქურდი ყოფილა ხუნდდაყრილი მოსამართლეზე უფრო ჭკვიანი, რაკი სიბრძნე თმენაში ჰგვის. ჩვენთვის სიკეთეც გმართებთ, მამრნო, ძალშემოსილნო, ამ გულქვაობას ჭეშმარიტად ედება ბრალი, რადგან კაცის კვლა უკიდურეს ცოდვად ითვლება. და მაინც კიდევ ვფიქრობ ისიც სწორი იქნება, თუ მოწყალებით განიკითხავთ. დანაშაულად ითვლება რისხვა, მაგრამ კაცი ვინ არ გაბმულა მის ბინძურ ქსელში — გთხოვთ, ამ თვალთ შეხედოთ მასაც. ამაოდ შვრებით.

II სენატორი.  
ალკიზიადე.

მაშ, ამაოდ? სიცოცხლეს მარტო ლაკედომენში ანდა თუნდაც ბიზანტიაში ბრძოლა და თავის გადადება შეუნარჩუნებს. რისი თქმა გინდათ?

I სენატორი.  
ალკიზიადე.

იმას ვამბობ, რომ სამსახური დიდი გასწია, მრავალ დუშმანს მზე დაუბნელა, ამ უკანასკნელ ომშიც სწორედ მან გვასახელა და მომხვდურს მარტომ მიაყენა ბევრი ზიანი.

II სენატორი.

ალაფიც ბევრი წამოიღო. ის დაბადებით ხომ თავხედი. დიდი მანკის პატრონიც გახლავთ, მასვე რომ ახრჩობს, ტყვედ რომ იხდის მის სიმამაცეს და მეტი მტერიც რომ არ ჰყავდეს, ესეც ეყოფა, — გაცოფებულმა მან მრავალგზის მრავალი კაცი ან შეურაცხყო, ან უშვერი სიტყვით დალანძლა, ვიცნობთ ამ ლაფში ამოვლებულს, მას თუ მოთოკავს სიკვდილი, ისე საშიშია მისი ლოთობა. ის უნდა მოკვდეს.

I სენატორი.  
ალკიზიადე.

მორჩა, კაცს თუ ბედი გასწირავს! — შეეძლო ომშიც მომკვდარიყო. რაკი ასეა, რაკი იმდენი ვეღარ ჰპოვეთ მასში ღირსება, (თუმცა ამ ცოდვას მარტო მისი მარჯვენა ხელიც გამოისყიდდა) მინდა იმით მოგიღბოთ გული,



რომ მის ღირსებებს მიამატოთ ჩემიც უკლებლივ; ბებრები უფროთხით მფლანგველობას, ჰოდა საწინდრად ჩემი სახელი და დიდება მომირთმევიან, მე ვარ თავდები, რომ ის ცოდვას გამოისყიდის, — რაკი კანონი სასიკვდილოდ უღვთოდ იმეტებს, დაე, ომებში მოიხადოს ეს მძიმე ვალი, ყრუა კანონი, არც ომია ნაკლებად მწყურალი. ვერ გადაუხვევთ კანონს-მეთქი, აწ ზედმეტია ხვეწნა-მუდარა. იმას სისხლი წაერთვას უნდა, ვინც კი სისხლს დაღვრის, საკუთარი ძმა იყოს თუნდაც. ო, ნუთუ მართლა? არა, ასე არ შეიძლება, გთხოვთ, მეც ღირსად მცნოთ.

I სენატორი.

ალკიზიალე.

II სენატორი.

ალკიზიალე.

III სენატორი

ალკიზიალე.

I სენატორი.

ალკიზიალე.

I სენატორი.

ალკიზიალე.

არაფერი არ მესმის. ვგონებ,

თქვენ გავიწყდებათ, მე ვინა ვარ.

რისი თქმა გინდათ?

ჩანს, ჭეშმარიტად დამივიწყა სიბერემ თქვენმა, რაკი ესოდენ უკადრისი მარგუნეთ ხვედრი, თურმე უბრალო საქმეზედაც ამაოდ გვედრით, დღეს უძველესი ჭრილობებიც გაიხსნა ჩემი. რას ბედავ. რაკი არად გვაგლებ, გაუწყებთ თავხედს მცირედი სიტყვით, მაგრამ სრულის გარდუვალობით — ამიერიდან ხარ ქვეყნიდან გაძევებული.

გაძევებული? გააძვევთ თქვენი სიჩლუნგე და ანგარებაც გააძვევთ, სენატს რომ არცხვენს! ორი დღის შემდეგ თუ ათენში ისევ გიხილეს, მაშინ ელოდე ჭეშმარიტად ჩვენს რისხვას, ხოლო რაც შეეხება შენს მჭეობარს, დღესვე მოკვდება.

(სენატორები გადიან)

მარად ბებრებად დაგარჩინონ ღმერთებმა, ძვლებზე შეგადნეთ ხორცი, მერე ზედაც რომ არ შეგხედოთ! — როდესაც მე მათ მტერს ყოველმხრივ ვუგერიებდი, ისინი სარფას ეძებდნენ და ფულებს იხვეჭდნენ, მე კი ჭრილობით და იარით გავმდიდრდი მხოლოდ. და ჰა, სანაცვლოდ ეს მომაგეს! აი ბალზამი, დღეს რომ წამაცხეს ჭრილობებზე ამ თაღლითებმა — გააძვევთო! მგონი ცუდიც არ უნდა იყოს! დე, იგი ჩემი აღშფოთების მიზეზად იქცეს, რომ მე ოდესმე ათენს ჩემი დარტყმაც ვაგემო. შევყრი მე ყველა გულგატეხილ მეომარს ჩემსას და ავუჯანყებ ამ თაღლითებს. სასახელოა, ძლიერს რომ სუსტმა შეუტოო, არც ჩვენ გვაქვს სხვა გზა, ვით ღმერთნი, ვერც ჩვენ ვერ ვიგუებთ უმცირეს მანკსაც.

(გადის)



დიდებული დარბაზი ტიმონის სახლში.

მუსიკა. სუფრა გაშლილია. გარშემო მსახურნი დგანან. რამდენიმე კარიდან სტუმრები შემოდინან.

- I დიდებული. ბედნიერებას გისურვებთ, ბატონო.
- II დიდებული. ჩვენც აგრეთვე. ალბათ მხოლოდ ჩვენი გამოცდა სურდა ორიოდ დღის წინ ყოვლად ღირსეულს.
- I დიდებული. მეც სწორედ ეგ გავიფიქრე, თვალი რომ მოვკარი, მგონი, არც ისე უჭირს, როგორც თავის გულქვა მეგობრებს ეუბნებოდა.
- II დიდებული. რა თქმა უნდა, არა, თუკი ასეთ ნადიმებს იხდის.
- I დიდებული. მეც ასე ვფიქრობ: მთელი გულითა და სულით მომიპატიუა, ისეთი საჩქარო საქმეები მქონდა, რომ უარი უნდა მეთქვა, მაგრამ დამაფიცა, ყველაფერი განზე გადადეო და ძალაუნებურად დავთანხმდი.
- II დიდებული. მეც გადაუდებელი საქმე მქონდა, მაგრამ ტიმონს ამის გაგონებაც არ სურდა. ეჰ, გულსატკენია, რომ ფული სწორედ იმ დროს გამითავდა, როცა კაცი გამომიგზავნა.
- I დიდებული. მეც ეგ დარდი არა მკლავს, თანაც როცა უკვე სინამდვილესაც მივხვდი.
- II დიდებული. აქ ვისაც ხედავთ, ყველა ჩვენს დღეში იქნება, პირადად თქვენ რამდენს გესესხათ?
- I დიდებული. ათას ოქროს.
- II დიდებული. ათასს!
- I დიდებული. თქვენ?
- II დიდებული. მე კი სულ.... აი, თვითონაც.  
შემოდის ტიმონი ამალით.
- ტიმონი. მოგესალმებით მთელის გულით! რასა იქო?
- I დიდებული. როცა თქვენი უდიდებულესობა ჯანმრთელად არის, მაშინ ჩვენც არა გვიშავს რა.
- II დიდებული. ჩვენ უფრო მოუთმენლად მოველით თქვენს გამოჩენას, ვიდრე მერცხალი ზაფხულს.
- ტიმონი. (განზე) ასევე მოუთმენლად უფროთხიან ზამთარს — ამ ჩიტებს მხოლოდ ზაფხული უყვართ. — ბატონებო, ჩემი სადილი ამდენ ლოდინად არც ღირს. ჯერეთ მუსიკას შეექცევით, თუ საყვირების ხმა უგემური არ მოგეჩვენათ. მალე სუფრასაც შემოვუსხდებით.
- I დიდებული. იმედი მაქვს არ მიბრაზდებით, თქვენი მსახური რომ ხელცარიელი გამოვუშვი.
- ტიმონი. ამაზე ნულარ შეწუხდებით.
- II დიდებული. კეთილშობილო ადამიანო.
- ტიმონი. ო, ჩემო კეთილო მეგობარო. დავსხდეთ ნადიმად?

(შემოაქვთ საქმელი)



II დიდაზული.

ყოვლად ღირსეულთ, ტიმონ, სირცხვილით ვიწვი, რომ მათხოვარივით ბოგანო ვიყავი მაშინ, როცა კაცო გამოვიგზავნეთ.

ტიმონი.

ამიერიდან ამაზე ნუღარ იფიქრებთ.

II დიდაზული.

ორი საათით უფრო ადრე რომ გამოგეგზავნათ...

ტიმონი.

გულს ნუ მოიშხამავთ მოგონებებით. — აბა, ყველა კერძი ერთად შემოიტანეთ.

II დიდაზული.

ყველა სინი და ტაბაკი თავდახურულია.

I დიდაზული.

მეფის საკადრისი იქნება, ღმერთმანი.

III დიდაზული.

ეჭვი არ არის. ყველაფერი აქ იქნება, რისი მოცემაც ფულს შეუძლია და რაც წლის დროის შესაძლებლობას არ აღემატება.

I დიდაზული.

როგორ ბრძანდებით? ახალი რა იცით?

III დიდაზული.

ალბათ თქვენც გაიგებდით, რომ ალკიბიადე გააძევეს. გააძევესო?

I და II დიდაზ.

დიახ, დიახ.

III დიდაზული.

როგორ? რანაირად?

I დიდაზული.

კი მაგრამ რატომ, რა მიზეზით?

II დიდაზული.

პატივცემულო მეგობრებო, სუფრაზედ გიწვევთ.

ტიმონი.

დანარჩენს მერე გეტყვით. ჯერ ეს დიდებული სუფრა...

III დიდაზული.

ტიმონი ისევ ის ძველი ტიმონია.

II დიდაზული.

მაგრამ გაუძლებს კი? გაუძლებს?

III დიდაზული.

ჯერჯერობით ნამდვილად უძლებს. მაგრამ მაგის დროც მოვა და...

II დიდაზული.

გასაგებია.

III დიდაზული.

ტიმონი.

თვითეული სტუმარი თავის ადგილს მიუჯდეს იმ მოუთმენლობით, როგორითაც თავისი ქალბატონის ბაგეებს დაეწაფებოდა. ყველას ერთი და იგივე ულუფა მოუწევს. სადილს ხელმწიფის ნადიმად ნუ გადამიქცევთ, ვიდრე იმას გაარკვევდნენ, თუ ვის რომელი ადგილი ეკუთვნის, ხორცი გაცივდება. დასხედით, დასხედით. ეხლა კი მადლი შევწიროთ ღმერთებს.

ო, დიდო, ყოვლად სახიერო ღმერთებო, მადლიერების წვეთები მოასხურეთ ჩვენს თავყრილობას. გვაიძულეთ გადიდოთ იმის გამო, რომ თქვენივე ღვთაებრიობა არ შევაჩვენოთ. იმდენი მიეცით ერთს, მეორეს რომ არ დაესესხოს, თორემ, ყოვლად ძლიერნო, თქვენ რომ კაცთ დაესესხოთ, ისინი მაშინვე მოგიძულებენ. იმდენი ჰქმენით, რომ პურმარილი უფრო გვიყვარდეს, ვიდრე ის, ვინც მას იძლევა. რომ ოცი კაცის თავყრილობაშიც უმეტესი თაღლითი იყოს. და თუ სუფრას თორმეტი ქალი მიუჯდება, მათგან დუჟინი იყოს ის — რაც არის. ხოლო დანარჩენი თქვენს მონა-მორჩილნი, — სენატორები ათენისა და მათთან ერთად ნაძირალა ბრბო, ო, ღმერთებო, ღირსყავით მოსრად და გაცამტვერებად. რაც შეეხება აქ შეკრებილთ ჩემთა მეგობართ — რაკი არარაობანი არიან ისინი ჩემთვის, არარაობითვე აკურთხევდეთ მათ და არარაობამ-



დე გზა დაგელოცოთ მათთვის. ეხლა კი, ძაღლებო, სინებს ხუფები მოჰხადეთ და თქვლიფეთ.

(სინებში ცხელი წყალი აღმოჩნდება).

რამდენიმე ხმა.  
სხვანი.  
ტიმონი.

კი მაგრამ, რას უნდა ნიშნავდეს ყოველივე ეს? აბა, რა ვიცი.

აღარც გენახოთ უკეთესი ღრეობა მეტად, თქვე მართლა მუცლის მეგობრებო! ორთქლი და წყალიც მეტია თქვენთვის. აი, სიტყვა უკანასკნელი — რაც ჩაშაქრული სიტყვით დღემდე მიაშებინართ, ის ეხლა უნდა ჩამოგრეცხოთ, სამაგიეროდ სახეში უნდა მოგასხუროთ თქვენი სიბილწე.

(სახეში შეასხამს მათ წყალს).

ამ ტვირთქვეშ წელში დადრეკილებს გეგლოთ მარადის, მოლიმარო და თავმდაბალო სისხლისმწოვლებო, თავაზიანო კაცისმკვლელნო, ლაქუცა მგელნო, ნაზო დათვებო, მასხარებო ბედის და იღბლის, კვამლივით მქრქალნო უდღეურო მწერებო, ვინაც ქუდის მოხდას და მუხლის ღრეკას მონად ექეცით. კაცის და მხეცის ყველა მანკით და ყველა სენით ფერი და ძარღვი მოგეშხამოთ. შენ სად მიდიხარ? აბა, წამალი თან წაიღე! შენც და შენც! ჩქარა!

(ჭურჭელს ესგრის და სახლიდან ერეკება)

შენ კი მოიცა, ფული მინდა გასესხო მხოლოდ, კი არ ვსესხულობ... რას გარბიხარ? აწი უკლებლად თაღლითებს ყველგან მიიჩნევენ ძვირფას სტუმრებად. დაიწვი, სახლო და ქალაქო, ტიმონი მოთქვამს ნულარ ახსენონ მასთან კაცი და კაცის მოდგმა!

(გადის.) (შემოდინ დიდებულები სენატორებთან ერთად)

I დიდებული.

რას იტყვით, ბატონებო?

V დიდებული.

ნეტავ ასე რამ განარისხა?

III დიდებული.

ჯანდაბას მაგისი თავი! ჩემი ქუდი ხომ არ გინახავთ?

IV დიდებული.

მე ჩემი მოსასხამი ვერ მიპოვნია.

III დიდებული.

გიჟია, გიჟს გახუმრება მოეპრიანა; ამას წინათ ბრილიანტის თვალი მაჩუქა, დღეს კი ქუდიდან ჩამომავლიჯა; თქვენ ხომ არ გინახავთ ჩემი ბრილიანტი?

IV დიდებული.

თქვენ ჩემი ქუდი ხომ არ გინახავთ?

II დიდებული.

აჰა, აი.

IV დიდებული.

აი, ჩემი მოსასხამიც.

I დიდებული.

მოდო ჩქარა გავეცალოთ აქაურობას.

II დიდებული.

გიჟია, გიჟი.

I დიდებული.

ეგ ხომ უკვე ჩემს ძვლებსაც ესმის.

IV დიდებული.

ხან ბრილიანტებს გიწყალობებს, ხანაც ქვას გესვრის.

(გადიან)



### მონტაჟი

თარგმნის მუშა კახიკა და ზაქარია მაყისაშვილი

ესე დაიწყო სადარჯო კომპოზიციონერი.  
ამ დღიდან მოყოლებული, ვისაც ხიდზე ან საზღვარზე ხელსა სტაციებდნენ და ეჭვს მიიტანდნენ, აჯანყებულებს თანაუგრძნობსო, ყველას აქეთ მოერეკებოდნენ; ვისაც კომპოში დასაკითხად შეიყვანდნენ, უკან ცოცხალი იშვიათად გამოაღწევდა. გულფიცს თუ უბედურ კაცთა მოკვეთილი თავები იყო წამოგებული მარგილებზე. თუ ვინმე დასამარხავად არ გამოიყვანდა, მათ გვამებს პირდაპირ დრინაში ყრიდნენ.

აჯანყება ხან მინელდებოდა, ხანაც შხალი ძალით იფეთქებდა. ამ ხნის მანძილზე წყალში გადაყრილთა რიცხვმა იმატა (დაე იცურონ, ვინემ უფრო ჭკვიან თავს არ მოიბამენო). განგების ძალამ, ხიდზე დასჯილ ზვარაკთა გრძელი რიგის წინამძღოლობა მდაბიოთა წრიდან გამოსულ იმ ორ უსწავლელ და უბირ კაცს არგუნა. სწორედ ისეთი ადამიანები, როგორც მილე და მოხუცი იყვნენ, ხშირად პირველები მოხვდებიან ხოლმე დიდ მოვლენათა ორომტრიალში და იღუპებიან. გლეხის ბიჭი მილე და მამა ელისე, ძმებივით გადახვეულები, ერთად დასაჯეს და მათი მოკვეთილი თავები კაპიაზე, საგუშაგო კომპოთან გამოკიდეს. კომპოს ამ დღიდან მოყოლებული აჯანყების დამთავრებამდე აღარ მოუნაკლისებია ასეთი „სამკაულები“. ისე რომ იმათი ხსოვნა, ვისი სახელიც დასჯამდე არავის სმენოდა, უფრო დიდხანს შემორჩა, ვიდრე იმ მსხვერპლთა ხსოვნა, ვინც შესაძლოა სიცოცხლეში უფრო სახელიანნიც იყვნენ.

ასე გააქრო და დაასამარა კაპია ავბედითმა და სისხლით გაუმადლარმა კომპო. კაპიაზე უკვე აღარ იმართებოდა საუბრები, მიჯნურთა შეხვედრები, ვერ გაიგონებდით სიმღერებსა და ლაღობას. ხიდზე თურქებიც კი ვრიდებოდნენ



სიარულს, სერბიელებს ხომ იშვიათად ნახავდა იქ კაცი და მაშინაც აჩქარებულ-  
ლები და თავჩაქინდრულები გადადიოდნენ.

საგუშაგო კოშკის გარშემო ფიცრები თანდათან ჩაშავდა და ჩაჟამდა, ყველაფერი ისევე გავერანდა და გაბინძურდა, როგორც ყოველი კუთხე, სადაც ჯარისკაცები დაიდებენ ხოლმე ბინას. თავიანთ თეთრეულს ისინი ხიდის მოაჯირზე აშრობდნენ, ჭურჭლის ნარეცხსა და ნაგავს კოშკის სარკმლებიდან პირდაპირ დრინაში გადაუძახებდნენ. ამიტომ ხიდის თეთრ ბურჯებზე შორიდანვე ჩანდა ჭუჭყიანი წყლის გრძელი ზოლები.

ჯალათი ერთი სქელ-სქელი, სიტყვაძვირი ანატოლიელი ჯარისკაცი იყო, ყვითელი ამღვრეული თვალები და ზანგივით დიდრონი ტუჩები ჰქონდა. მიწისფერი, შეშუპებული პირისახიდან ღიმი არ ჩამოსდიოდა. ჰაირუდინი ერქვა სახელად. მალე მთელ ქალაქში და მის ფარგლებს გარეთაც ყველამ იცოდა მისი ამბავი. თავის საქმეს მშვიდად და ხალისით ასრულებდა, — ჰაირუდინი თავის ხელობაში დიდად გაწაფული კაცი იყო. ქალაქელები ამბობდნენ, ვიშეგრა-დელ დალაქ მუშანზე უფრო მსუბუქი ხელი აქვსო. დიდ-პატარა პირისახით თუ არა, სახელით მაინც იცნობდა. მისი ხსენება ხალხს შიშის ზარს სცემდა და ცნობისმოყვარეობას უღვიძებდა. ჯალათი მზიან დღეებში კოშკის ჩრდილში იჯდა ან იწვა, დროდადრო მარგილებზე წამოცმულ თავებს ჩამოათვალიერებდა (ისევე, როგორც მეზადე ჩამოუვლის ხოლმე გასასინჯად ნესვებს) და მშვიდი, ჩაკურატებული და თვალებჩაწირპლული, მთქნარებითა და ზმორებით, ჯაჭვზე მიბმული ძაღლივით, ისევე თავის ადგილზე მიეგდებოდა ჩრდილში. ხიდის ბოლოს თავმოყრილი ბავშვები კი მოაჯირიდან ცნობისმოყვარეობითა და შიშით შეჰყურებდნენ ჰაირუდინს. მაგრამ როცა საქმე ჯალათობაზე მიდგებოდა, ჰაირუდინი მარჯვე და ზუსტი იყო, არ უყვარდა მის „საქმეში“ თუ ვინმე ცხვირს ჩაყოფდა. „საქმეები“ კი დღითიდღე მეტი და მეტი ჰქონდა, რადგან აჯანყება სულ უფრო იზრდებოდა. როცა მეამბოხეებმა ქალაქის ახლომახლო რამდენიმე სოფელი გადასწვეს, თურქების მრისხანებას საზღვარი აღარ ჰქონდა. შურისძიების წყურვილით შეპყრობილები, არა მარტო მეამბოხეებს, ჯაშუშებს თუ იმ ხალხს იჭერდნენ. ვისზეც ეჭვი მიჰქონდათ, არამედ თვითონვე სჯიდნენ მათ.

ერთხელ ვიშეგრადელი მღვდლის მოკვეთილი თავიც შეხვდა აქ განთიადს. ეს გახლდათ სწორედ ის მამა მიხეილი, ვინც წყალდიდობის დროს ხოჯასა და რაბინს ემასხრებოდა. იგი სერბებზე გამწარებული თურქების გულისწყრომის უდანაშაულო მსხვერპლი გახდა. ბოშა ბიჭებმა უსიცოცხლო ტუჩებში პაპიროსის ნამწვავი ჩასჩარეს. მაგრამ ასეთი თავნებობა ჰაირუდინს არ მოსწონდა და შეძლებისდაგვარად არც არავის აძლევდა ამის ნებას.

როცა ჯინგოდორა, სქელ ჰაირუდინს მოულოდნელად შავმა ყვავილმა წირვა გამოუყვანა, იგი ამ საქმეში მასზე ნაკლებ გამოცდილმა და გაწაფულმა ჯალათმა შეცვალა. ვიდრე სერბიაში აჯანყება არ მიწეულა, კაპიაზე მუდამ მოჩანდა ორი-სამი მოკვეთილი თავი. ვიშეგრადელები უკვე იმდენად მიეჩვივნენ ამ სისხლიან სანახაობას, რომ გვერდზე გულგრილად გაუვლიდნენ ხოლმე და ამიტომაც უცებ ვერც შეამჩნიეს, როდის შეწყდა მოკვეთილი თავების მარგილზე ჩამოცმა.



სერბიასა თუ ბოსნიის საზღვრებზე სიწყნარე რომ ჩამოვარდა, სადარაჯო კოშკსაც ყავლი გაუვიდა. კოშკში ისევ ცხოვრობდნენ ჯარისკაცები, მაგრამ ხიდზე გავლა-გამოვლა უკვე თავისუფლად შეიძლებოდა. ჯარში საერთოდ წესები ნელ-ნელა იცვლება, თურქების ჯარში კი ყველაზე უფრო ნელა ხდება ეს ცვლილებანი. ღმერთმა იცის, კიდევ რამდენ ხანს იბოგინებდა ეს კოშკი, რომ ერთ ღამეს ანთებული სანთლისაგან ხანძარი არ გაჩენილიყო და გამხმარი ფიცრების კოშკი, ჯერ კიდევ მზის სიმხურვალე რომ შემორჩენოდა, ერთიანად არ ჩაეფერფლა.

ქალაქელები აღელვებულები უყურებდნენ ცაში ავარდნილ ალს, მარტო თეთრ ხიდს კი არა, მახლობელ მთებსაც რომ აკაშკაშებდა და წყალზე წითელ ათინათებად ირეკლებოდა. როცა გათენდა, ყველას თვალწინ ისეთივე ხიდი წარმოუდგა, როგორც ძველად ენახათ — აღარ იყო ის უბადრუკი კოშკი, წლების მანძილზე რომ ფარავდა კაპიას. თუმცა თეთრი ფილები შემჭვარტლული და ჩამავებული იყო, თოვლ-ჭყაპმა ეს კვალიც მალე გააქრო. სადარაჯო კოშკსა და მის სისხლიან საქმეებზე მძიმე მოგონებების გარდა აღარაფერი დარჩენილა, თუმცაღა ეს მოგონებებიც თანდათანობით ფერმკრთალდებოდა და ძველ თაობასთან ერთად ჰქრებოდა. დარჩა მხოლოდ მუხის ძელი, რომლის ბოლოც ორ ქვის ფილას შუა იყო მოქცეული და არ დაიწვა.

კაპიამ კვლავ ძველებური იერი დაიბრუნა. მარცხენა აივანზე ყავახანის პატრონმა ისევ შემოდგა მაყალი და ყავის ჭურჭელი. მარტო შადრევანს გამოსვლოდა წირვა. ურჩხულის ქანდაკების თავი, საიდანაც წყალი მოსჩქეფდა, გატეხილიყო. ხალხი ისევ იყრიდა თავს ხიდზე, მასლაათში, საქმიან ლაპარაკსა თუ უსაქმურ თვლელაში ატარებდა დროს. ზაფხულის ღამეებში გუნდგუნდად მღეროდნენ ახალგაზრდები ანდა განმარტოებით ისხდნენ ჭაბუკები — სიყვარულის სახმილი რომ სტანჯავდათ და სევდიანად ოცნებობდნენ. წასულიყვნენ სადმე შორს, დიდი საქმეებისა და საოცარი ფათერაკების საძებნელად. ოცი წლის შემდეგ ხიდზე უკვე სულ სხვა ახალგაზრდობა მღეროდა და იცინოდა. მათ არაფერი იცოდნენ პირქუშ საგუშაგო კოშკზე, არც გუშაგის ჩახლეჩილი შეძახილი ახსოვდათ, ღამლამობით მგზავრებს რომ აჩერებდა. არც ჰაირუდინს იცნობდნენ და არც მისი ხელით ოსტატურად წაცლილი თავები ენახათ. მხოლოდ დედაბრებსლა ახსოვდათ მისი სახელი. როცა ბაღში ატმის მოსაპარად გადასულ ბიჭებს უკან გამოეკიდებოდნენ, უკან ბოროტ წყევლასაც მიायოლებდნენ:

— აგრემც ჰაირუდინმა გაგიწეწოს ეგ ქოჩორი, შე ხიდზე დაგდებულო, შენა!

მაგრამ ღობეზე გადამხტარ ბიჭებს ამ წყევლის ნამდვილი მნიშვნელობა არ ესმოდათ. მარტო ის იცოდნენ, რომ სიტყვები არაფერ სასიკეთოს არა ნიშნავდა.

ასე იცვლებოდა ხიდის ირგვლივ თაობები. ხიდი კი მტვერივით იშორებდა ყოველგვარ კვალს, რასაც ცხოვრება და კაცთა წარმავალი ვნებათაღელვანი სტოვებდა მასზე და ისევ ნირშეუცვლელი რჩებოდა.



ხიდისა და ქალაქის თავზე მრავალმა წელმა გადაიქროლა. დადგა მეცხრამეტე საუკუნის შუა წლები, თურქეთის სამეფოს სულის დაფვის უამრავი მებრძოლი აზრით, ეს წლები შედარებით მშვიდობიანი და ბედნიერი წლები იყო, თუმცადა შიშისა და მღელვარების ნაკლები საბაბი არც მაშინა ჰქონიათ. მთარული სენი, გვალვა, წყალდიდობა თუ სხვა უბედურება ისევე ხშირი სტუმარი იყო. მაგრამ ეს ყველაფერი ერთდროულად არა ხდებოდა. ხანგრძლივ მყუდროებას უბედურება უმნიშვნელო მიწისძვრასავით მხოლოდ დროდადრო არღვევდა ხოლმე.

ბოსნიისა და ბელგრადის საფაშოთა საზღვარი, ზედ ვიშეგრადთან რომ გადიოდა, თანდათანობით გამოიკვეთა და სახელმწიფო მნიშვნელობისა გახდა. ეს კი სცვლიდა ქალაქისა და მთელი მხარის ცხოვრების პირობებს, გავლენას ახდენდა თურქთა და სერბიელთა ურთიერთობასა და ვაჭრობაზე, მიმოსვლასა და ადამიანთა სულიერ განწყობილებაზე.

ხანშიშესული თურქები შუბლს ისე იჭმუხნიდნენ და თვალებს ისე უნდობლად ჭუტავდნენ, თითქოს უსიამოვნო ბურანიდან თავის დაღწევას ცდილობდნენ. ხან ბრაზობდნენ და იმუქრებოდნენ, ხან შეგონებასა და რჩევაზე გადადიოდნენ, ხან კი ყველაფერს თვეობით ივიწყებდნენ, ვიდრე მკაცრი სინამდვილე ისევ თავს არ გაახსენებდათ და სულსა და გულს არ აუფორიაქებდათ.

ერთ მზიან გაზაფხულის დღეს ვიშეგრადში საზღვრიდან მოსული ველეტოველი თურქი კაპიაზე ჩამომჯდარიყო და ქალაქელ წარჩინებულ თურქებს აღელვებული უამბობდა იმ დღეებში ველეტოვოში მომხდარ ამბებს.

— ამ ზამთარს, — ჰყვებოდა ველეტოველი, — ჩვენი სოფლის მახლობლად შორეულ არილიდან შეიარაღებული ამალით გამოგვეცხადა ავკაცობით სახელგანთქმული რუიანელი სარდალი იოანე მიჩიჩი და მოსვლისთანავე საზღვრის დათვალიერება და აზომვა დაიწყო. როცა ჰკითხეს, რისთვის მობრძანდი აქ ან რასა იქმო, უტიფრად მიახალა: ვალდებული არ ვარ ვინმეს და, მათ უმეტეს, გათათრებულ ბოსნიელებს ანგარიში ჩავაბარო, მაგრამ თუ მაინცდამაინც გნებავთ გაიგოთ სიმართლე, დაე იცოდეთ, რომ ხოჯა-მილოშმა<sup>1</sup> გამომგზავნა, რათა დავაზუსტო სერბიის საზღვარიო. — ჩვენ გვეგონა, — განაგრძო ველეტოველმა, — იგი მთვრალი იყო და რაღაცას ბოდავდა. ამიტომ ამ სახელგავარდნილ ყაჩაღს კუდით ქვა ვასროლინეთ და ეს ამბავი დავიწყებას მივუცით. მაგრამ არ გასულა ორი თვე და ისევ გამოგვეცხადა; თან მილოშის ჩაფრები და სულთნის რწმუნებული, ბებრუცანა თვალმიბლეთილი სტამბოლელიც იახლა. თვალს არ ვუჯერებდით, მაგრამ რწმუნებულმა ყველაფერი დაადასტურა, თუმცადა სირცხვილით სახეში ვერ გვიყურებდა: „დიახ, მეფემ<sup>2</sup> ინება, სულთნის წყალობით მილოშმა სერბია მართოს და მისი სამფლობელოს საზღვარი დაადგინოსო“. როგორც კი რწმუნებულის კაცებმა ტეტრებიცასთან მარგილების ჩარჭობა დაიწყეს, მიჩიჩი მივარდა და ყველაფერი მირიგ-მორია. გაცოფებული ვლახელი (ის ეშმაკის კერძი, ისა) ეცა რწმუნებულს, ბავშვივით

<sup>1</sup> ხოჯა-მილოში — სერბიის მმართველი 1826—28 წწ. რუსეთ-თურქეთის ომში რუსეთის გამარჯვების შემდეგ მას რუსეთი დიდ მფარველობას უწევდა.

<sup>2</sup> იგულისხმება რუსეთის მეფე ნიკოლოზ I.



დატუქსა და დაემუქრა: „ეს საზღვარი არ არის, ნამდვილი საზღვარი სულთან-  
მა და რუსეთის მეფემ დაადგინეს და თავად მილოშს ფირმანი უბოძეს. ახლა  
საზღვარი ლიმადან პირდაპირ ვიშეგრადის ხიდზე გადადის და იქიდან დრინს  
გასდევს. ასე რომ ირგვლივ სულ სერბიაა, ეს საზღვარიც დროებითია, განაგრ-  
ძობდა მიჩიჩი, ცოტა ხანში საზღვრის უფრო შორს გადატანა მოგვიხდებაო“.  
სულთნის წარმომადგენელმა ძლივძლივობით დაითანხმა და საზღვარი ველე-  
ტოვოსთან მონიშნა. ჯერჯერობით ასე დარჩა. ოღონდ შიშით გვაციებს და  
გმკითხაობთ, რა მოყვება ამას. არაფერი ვიცით, რა ვქნათ და რა გზას დავად-  
გეთ. უყიცივლებს მოვეთათბირეთ, მაგრამ არც იმათ იციან სადამდე მიგვი-  
ყვანს ეს ყველაფერი. ოთხმოცდაათ წელს გადაღწეულმა ზოჯა ზუკომ, რომე-  
ლიც ორჯერ იყო მექაში, თქვა, ერთი თაობის შემდეგ თურქეთის საზღვარი  
აქედან თხუთმეტი დღის სავალზე, თვით შავ ზღვამდე გადაიჭიმებაო.

დარბაისელი ვიშეგრადელი თურქები მშვიდად უსმენდნენ ველეტოველს,  
მაგრამ სულის სიღრმეში შეძრწუნებული და აღელვებული იყვნენ. ისინი სულ  
მუდამ ცდილობდნენ ისე გაეტარებინათ წუთისოფელი, უსიამოვნო ამბებისა-  
თვის და ამაზრზენი ფიქრისათვის თავი აერიდებინათ. კაპიაზე სერიოზულ და  
საშიშ ამბებზე ლაპარაკს ყოველთვის გაუბრუნდნენ. ახლა კი ცხადი იყო, რომ  
საქმე ვერ იყო რიგზე. და მაინც ველეტოველს ერთი გულის მომცემი და გა-  
სამხნევებელი სიტყვა ვერ უთხრეს. ერთი სული ჰქონდათ, როდის წამოიკი-  
დებდა გლეხი თავის შემაზრზენი ამბების გუდას და მაღალმთიან სოფელ ვე-  
ლეტოვოსკენ გასწევდა. რა თქმა უნდა, ამით საფიქრალი არ მოაკლდებოდათ,  
მაგრამ სულს ცოტახნით მაინც მოითქვამდნენ. როცა ველეტოველი გაისტუმ-  
რეს, კაპიაზე დიდხანს ისხდნენ მდუმარედ. არავინ ლაპარაკობდა იმ უსიამოვ-  
ნო ამბებზე, სიცოცხლეს ძაღლუმადურს რომ ხდის და კაცს მომავლის შიშითა  
სთანგავს. დაე, დროს მიენდოს ყველაფერი, დაე, მან დაამშვიდოს აფორიაქე-  
ბული ადამიანები და დაავიწყოს იმ მოვლენათა სიცხადე, რაც იმ მთების გა-  
დაღმა ხდებოდა.

დროს მართლაც თავისი გაჰქონდა. ცხოვრება შეუმჩნეველად მიედინებო-  
და. კაპიაზე მაშინდელი საუბრის შემდეგ ბარე ოცდაათი წელი გავიდა. საზ-  
ღვარზე სარდლისა და სულთნის რწმუნებულის ჩასმულმა მარგილებმა ბორჯი  
გაიდგეს და თანდათანობით ნაყოფი გამოიღეს. ეს ნაყოფი მწარე იყო თურ-  
ქებისათვის. და აი, ერთ ზაფხულს ვიშეგრადის ხიდს უყიცივდან გამოქცეულთა  
მწუხარე ბრბო მოადგა.

თბილი დღეები იდგა, სწორედ ისეთი, გრძელი და სასიამოვნო სადამო-  
ები რომ იცის ხოლმე. ასეთ დროს ქალაქელი თურქი ვაჭრები დრინის ხიდის  
ორთავე მხარეს თავს იყრიდნენ ხოლმე. ამისთანა დღეებში კალათებით მოჭ-  
ქონდათ ხიდზე საზამთრო და ნესვი, მთელი დღე წყალში ელაგათ ჩასაციებ-  
ლად, სადამოობით კი საქმეებისაგან მოცილილ ხალხში ასაღებდნენ. ერთმანეთს  
ენაძლევებოდნენ, მწიფე გამოდგებოდა საზამთრო თუ მკვახე, წაგებულები  
ფულს ჩამოდიოდნენ, მერე კი ყველანი ერთად შეექცეოდნენ, ხმამაღლა ლაპა-  
რაკობდნენ და მასხარაობდნენ.

ხიდის ფილებს ისევ შემორჩენოდა დღის სითბო, ქვემოდან კი მწუხრთან  
ერთად მდინარის გრილი სიო ელამუნებოდათ. დრინას შუაგული ლაპლაპებდა,  
ნაპირებზე კი ტირიფებისა და წნორების მუქმწვანე ჩრდილები გაწოლილიყო.  
ჩამავალი მზის სხივები ნაპირებს ზოგან მკრთალად, ზოგან წითლად აკაშკაშებ-



და. გადაშლილ მთიანი ადგილას სამხრეთ-დასავლეთით ღრუბლები ირეოდნენ. ზაფხულში აქედან მთელი დღე შეეძლო კაცს დამტკბარიყო მათი ცქერით. როგორც კი მზე ამოიწვერებოდა, ღრუბლები მთების გადაღმა სქელ, მოვერცხლისფრო-მონაცრისფრო ტალღებად გამოჩნდებოდნენ და ადამიანის თვალწინ გუმბათიან სასახლეთა ზღაპრულ სამყაროს ქმნიდნენ. დღისით კი მზის მცხუნვარე სხივებით გათანგული ქალაქის თავზე ზანტად, უძრავად იწვნენ ხოლმე ღრუბლები. ხოლო საღამო ჟამს კაპიაზე საღალღობოდ ჩამომსხდარი თურქები უცქეროდნენ აბრეშუმის ვეებერთელა კარვებივით გადაშლილ ღრუბლებს და გონებაში ომებისა და ლაშქრობების დიდებული და საარაკო სურათები ესახებოდათ. ხოლო როცა ღამის სიბნელე ცას გაწმენდდა და ღრუბლებს გადარეკავდა, მთვარისა და ვარსკვლავების ახალი, მომხიბლავი სურათი იშლებოდა.

მაგრამ კაპიაზე ყოფნა არასდროს ისე მომხიბლავი არ იყო, როგორც ზაფხულის მოწმენდილ დარბაზს საღამოს. ადამიანი დგას კაპიაზე, როგორც ჯადოსნურ საქანელაზე, მიცურავს დედამიწაზე, მდინარეზე, მიფრინავს სივრცეში და მაინც საიმედოდ, მკვიდრად მიჯაჭვული რჩება ამ ქალაქთან, მაღლობზე შესკუბულ თავის თეთრ სახლთან, ხეხილის ბაღსა და ბაღჩასთან. ბევრ მოკრძალებულ ვიშეგრადელს, ვინც კაპიაზე ერთ ჭიქა ყავას წრუპავდა და ჩიბუხს აბოლებდა, არაფერი რომ არა ჰქონოდა სახლის და დუქნის მეტი, ასეთ საღამოს მთელი ქვეყნის სიმდიდრე და ღვთის ნაბოძები წყალობა მხოლოდ თავისი ეგონა. ასეული წლობით ნაირგვარ გრძნობებს იწვევდა ადამიანებში ეს ღამაში, მკვიდრი, სასიკეთოდ ჩაფიქრებული და ბედნიერ ფეხზე დამთავრებული ნაგებობა.

ერთხელ მიმწუხრისას ხიდზე ხმამალლა ლაპარაკობდნენ, იცინოდნენ, ერთმანეთსა და გამვლელ-გამომვლელებთან ოხუნჯობდნენ.

იმ საღამოს დიდი ალიაქოთი ატეხილიყო ტანმორჩილი, მაგრამ ჩასხმული და უცნაური გარეგნობის ჭაბუკის ირგვლივ, სალკო რომ ერქვა. სალკო ბოშისა და რომელიღაც ანატოლიელი ჯარისკაცისა თუ ოფიცრის შვილი იყო. მამამისს ერთხანს ქალაქში უცხოვრია და მერე მის დაბადებამდე მიუტოვებია იქაურობა. მალე დედაც გარდაცვლილა და სალკო ცისა და მიწის ამარა დარჩენილა. მცხოვრებლები სამადლოდ აჭმევდნენ ბიჭს, თითქმის ყველა ეპატრონებოდა, მაგრამ მისი პატრონი მაინც არავინ იყო. ხალხს ხელის ბიჭად ჰყავდა. სახლებსა და დუქნებში ისეთ საქმეს აკეთებინებდნენ, რის გაკეთებასაც სხვები თავილობდნენ — ასუფთავებდა არხებსა და ჭებს, მიწაში ფლავდა მძორს, როცა მდინარე გამორიყავდა. ბიჭს არც გვარი ჰქონდა და არც ნამდვილი სახელი, არც მუდმივი სამუშაო გააჩნდა. ჭამდა იმას, რაც მოხვდებოდა და სადაც მოხვდებოდა, ეძინა სხვენში და ქალაქელების ნაწყალობევ ჭრელჭრულა ძველმანებით დადიოდა. მარცხენა თვალი ბავშვობიდანვე აკლდა. უწყინარ, ლოთ და ხუმარა ობროდს ქალაქელები მუქთად ამუშავებდნენ და ნიადაგ დასცინოდნენ. ახლაც რამდენიმე ვაჭრის შვილი სალკოს გარს შემოხვეოდა, ბრიყვულად ემასხრებოდნენ და სიცილით იფხრიწებოდნენ.

ჰაერში მწიფე ნესვისა და მოხალული ყავის სურნელი ტრიალებდა. პაპანაქება სიცხისაგან გახურებულ მორწყულსა და სუფთად დაგვილ ქვის ფილებს მძაფრი და სასიამოვნო სუნის ასდიოდა; მწუხრი ჩამოდგა, მზე ჩავიდა, მაგრამ მოლევნიკოს<sup>3</sup> თავზე დიდი ვარსკვლავი ჯერ კიდევ არ გამოჩენილიყო.

<sup>3</sup> მოლევნიკო — მთაა ვიშეგრადის მახლობლად.



სწორედ ამ მომხიბლავ დროს, როცა ყველაზე ჩვეულებრივი საგნებიც კი დიდებულად და მნიშვნელოვნად გამოიყურებიან, ხიდზე პირველი უჩინო ლტოლვილები გამოჩნდნენ.

თავჩაქინდრული და მტვერში ამოგანგლული მამაკაცების მეტი წილი ფეხით მოდიოდა. კოჭდაბალ ცხენებზე, ფუთებსა და სკივრებს შორის თავით-ფეხებამდე შეფუთული ღონემიხდილი ქალები და გაქნაჭული ბავშვები ისხდნენ. ჯიშთან ცხენზე ვიღაც დიდგვაროვანი კაცი ამხედრებულიყო. ქანცგაწყვეტილი ცხენი და ცხვირჩამოშვებული მხედრის პირისახე ცხადად მეტყველებდა იმ უბედურებაზე, რაც განეცადათ. ზოგი საბელჩაბმულ თხას მოერგებოდა, ზოგს ხელში ატატებული ბატკანი მოჰყავდა. ყველას კრიჭა შეკროდა, ბავშვებიც კი არა ტიროდნენ. მხოლოდ ცხენის ფლოქვების თქარათქური და ცხენებზე აკიდებული სპილენძისა თუ ხის ჭურჭლის ჩხარაჩხური ისმოდა.

უსახლკარო და ქანცგაწყვეტილი ხალხის გამოჩენამ კაპიაზე სიცოცხლე და მხიარულება ანაზღად ჩაჰკლა. მოხუცები ქვის სკამებზე გაშეშდნენ. ახალგაზრდები ადგილებიდან წამოცვივდნენ და ხიდის ორთავ მხარეს ცოცხალ კედლებად აღიმართნენ. ლტოლვილები მათ შუა დაწალიკებულნი მიდიოდნენ. ქალაქელები თანაგრძნობით უცქეროდნენ. ზოგი ესალმებოდა, აჩერებდა, უნდოდათ რაიმე მიეცათ, მაგრამ ისინი უკან არც კი იხედებოდნენ და სალამზეც თავს ძლივს აკანტურებდნენ. მხოლოდ ერთი ფიქრი ამოძრავებდათ, დაღამებამდე ჩაელწიათ ღამის სათევამდე. ალბათ ას ოც ოჯახამდე იქნებოდა. ასზე მეტი ოჯახი სარაევოში აპირებდა გადასვლას, დანარჩენებს კი, ვისაც ნათესავები და მოყვრები ჰყავდათ, აქვე უნდოდათ დარჩენა.

ამ განაწამებ ხალხს მხოლოდ ერთი კაცი გამოეყო, კაპიაზე შეჩერდა, წყალი დალია და არც პაპიროსზე დაიუარა. ეტყობოდა, მარტოხელა დატაკი იყო. პირისახე მტვერში ამოგანგლოდა, აგზნებულ თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა. პაპიროსის კვამლს ხარბად ყლაპავდა, ყველას ადელვებული და მტრული თვალებით ათვალიერებდა, მოკრძალებულ და თანაგრძნობით სავსე შეკითხვებზე პასუხს არ იძლეოდა. ბოლოს გრძელ უღვაშებზე ხელი ჩამოისვა, ნაღლობა თქვა და, როგორც ღონემიხდილ და სასოწარკვეთილ ადამიანებს სჩვევიათ, გამწარებულმა ამოღერდა:

— თქვენ არხეინად სხედხართ აქა და წარმოდგენაც არა გაქვთ, რა ხდება სტანიშევაციის<sup>4</sup> იქით. ჩვენ თურქეთის სამფლობელოებისკენ გავრბივართ, თქვენ კი სად გაიქცევით როცა განკითხვის ჟამი დაგიდგებათ, ამაზე არც გინდათ დაფიქრდეთ.

ეს რამდენიმე სიტყვა ბევრი, ძალზე ბევრის მთქმელი იყო ცოტა ხნის წინ უდარდელად მჯდომი ხალხისათვის, მაგრამ მცირე კი ამ კაცის მწარე სამსალით ავსებული გულისათვის. ლტოლვილმა თვითონვე დაარღვია უხერხული დუმილი, აჩქარებით დაემშვიდობა ხალხს, ერთხელ კიდევ თქვა სამადლობელი და წინ წასულებს გამოედევნა. ამ ამბის შემდეგ ხალხს გუნება დაუშდომდა. კაპიაზე მოღუშულები იდგნენ. სალკოც კი ქვის საფეხურებზე გაუნძრევლად იჯდა და დუმდა. მის ირგვლივ სანაძლეოზე შეჭმული საზამთროების ქერქი ეყარა. თავი ხელებზე დაეყრდნო და დაღვრემილი და ჩაფიქრებული იყურებოდა ძირს, თითქოს ხიდის ფილებს კი არა, უკიდევანო სივრცეს ჩასცქერისო.

<sup>4</sup> სტანიშევაცი — სოფელი ვიშეგრადის ახლოს.



ამჯერად კაპიაზე ჩვეულებრივზე ადრე დაიშალნენ. დილით ცხოვრება ისევ ძველ კალაპოტში ჩადგა, რადგან ქალაქელები ხვალინდელ დღეზე ზრუნვას მიჩვეულები არ იყვნენ და დარდი არ უყვარდათ. მათ ღრმად სწამდათ, რომ ცხოვრება იშვიათად იძლევა სულისმოთქმის საშუალებას, ამიტომ უაზროა და უნაყოფო რაღაც არარსებული, ერთხელ და სამუდამოდ დაწერილი და უცვლელი ცხოვრებისეული კანონის ძიება.

მეცხრამეტე საუკუნის შუა წლებში სარაევოში ორჯერ შავმა ჭირმა და ერთხელ ქოლერამ იფეთქა. ამ მოარული სენის დროს ქალაქელები მაჰმადის ანდერძის კვალობაზე იქცეოდნენ. იგი თავის მიმდევართ ასწავლიდა: „იქ ნუ წახვალ, სადაც ავადმყოფობა მძვინვარებს, რადგან შეიძლება შენც გადაგედოს, ხოლო თუ სნეულებთან მოხვდი, უკან აღარ გამობრუნდე, რადგან შეიძლება სხვებსაც გადადო“. ადამიანებს თუ ძალა არ დაატანე, არც ერთ სასარგებლო მოძღვრების აღსრულებაზე ყურსაც არ შეისადარებენ, თუნდაც ამ მოძღვრებას თვით ღმერთის მოციქული ქადაგებდეს. ამიტომ ხელისუფალნი მოარული სენის დროს იმ ქვეყანაში მიმოსვლას ზღუდავდნენ ან მთლიანად კრძალავდნენ. მაშინ ცხოვრება სრულიად იცვლებოდა. ხიდზე აღარც საქმიანი და აღარც მოლაზღანდარე ქალაქელები იყრიდნენ თავს. როგორც წინათ აჯანყებისა და ომიანობის დროს იცოდნენ, ხიდის ქვის ტახტებზე ახლა ისევ ჩაფრებმა მოიკალათეს. ისინი სარაევოდან მომავალ მგზავრებს კონდახებს უღერებდნენ, ხმამალა უყვიროდნენ, აჩერებდნენ და ისევ უკანვე ერეკებოდნენ. ხოლო როცა შიკრიკები ფოსტას მოიტანდნენ, დიდი სიფრთხილით ჩამოართმევდნენ წერილებს. კაპიაზე ცეცხლი ხრჩოლავდა. ჩაფრები ბარათებს დიდრონ მაშებს ჩაავლებდნენ და სქელ თეთრ კვამლს სათითაოდ გულმოდგინედ უბოლებდნენ, მერე კი შებოლილ წერილებს ისევ გზას გაუყენებდნენ. აკრძალული იყო საქონლის გადაზიდვაც. მაგრამ ყველაზე სადავიდარაბო ფოსტა კი არა, ადამიანები იყვნენ. ხიდს ყოველდღე მიღეთის მწირი, ვაჭარი, შიკრიკი, მაწანწალა თუ ათასნაირი ჯურის ხალხი აწყდებოდა. ჩაფარი ყველას ხიდის ყურშივე უხვდებოდა და შორიდან ანიშნებდა: ახლოს არ მოხვიდეო. მგზავრებიც ჩერდებოდნენ, მერე მოყვებოდნენ ახსნა-განმარტებას, რომ ქალაქში გადაუდებელი საქმე გვაქვს, მთლად საღსალამათები ვართ და მიწა გაგვისკდეს, თუ ქოლერაზე რამე ვიცოდეთო. ისე ყური კი მოგკარით, რომ სადღაც სარაევოში გაჩენილაო. ასე კამათ-კამათით მგზავრები ხიდის შუაგულამდე მოჩოჩდებოდნენ და კაპიამდე შემოაღწევდნენ. აქ უკვე კამათში დანარჩენი ჩაფრებიც ჩაებმებოდნენ. მოკამათეებს ერთმანეთისგან რამდენიმე ნაბიჯი აშორებდათ, ამიტომაც ხელებს იქნევდნენ და ხმამალა გაჰყვიროდნენ. ჩაფრებს უფრო მეტად ის აყვირებდათ, რომ ხიდზე მთელი დღე არაყის სმითა და ნივრის ჭამით თავში ქარი ჰქონდათ შემძვრალი; რადგან არაყიცა და ნიორიც გადამდებ სნეულებათა საწინააღმდეგო საშუალებად ითვლებოდა, ისინიც თითქოს სამსახურებრივ მოვალეობას იხდიდნენ და მალიმალ ეტანებოდნენ.

ბევრი მგზავრთაგანი, იმედგადაწურული, შეწუხებული და გულდამძიმე-



ბული, ისევ ოკოლიშტეში ბრუნდებოდა. მაგრამ იყვნენ ისეთი გამბედავებიც, ვინც საათობით იდგნენ კაპიასთან, ჩაფრების გაცურებასა და ქალაქში გაძრომას ცდილობდნენ ანდა ბედნიერი შემთხვევის იმედი ჰქონდათ. მაგრამ თუ ხიდზე ქალაქის ყარაულის თავი ზემდეგი სალკო ჰედო მორიგეობდა, მგზავრს იმედი უნდა გადაწუროდა. ჰედო, წმინდათა-წმინდა ხელისუფლების წარმომადგენელი, თითქოს ვერც ვერავის ამჩნევდა და არც არაფერი ეყურებოდა. როგორც წესდებაში ეწერა, ზუსტად იმდენ ხანს ელაპარაკებოდა ყველას, ხოლო როცა საქმეს მორჩებოდა, პირში წყალს ჩაიგუბებდა.

მგზავრი ამაოდ ევედრებოდა და ეპირფერებოდა.

— სალის-აღა, მე სხომ ჯანმრთელი ვარ...

— საიდანაც მობრძანებულხარ, ისევ იქითკენ შეაყოლე შენი ჯანმრთელობიანად!

სალკო ჰედოს ბევრი ლაილაი არ უყვარდა, მაგრამ როცა ადგილზე უმცროსი ჩაფრები რჩებოდნენ, მაშინ შეიძლება რაღაცის იმედი გქონოდა.

რაც უფრო დიდხანს დგას ხიდზე მგზავრი, რაც უფრო ბევრს ეკამათება ჩაფრებს და ცდილობს მათ გადმობირებას, შესჩივის თავის სატკივარსა და გასაჭირს, უყვება, თუ რამ აიძულა ქალაქის გზას დადგომა, მით უფრო მახლობელი და ნაცნობი ხდება მისთვის, და უფრო ნაკლებად ემსგავსება იმ კაცს, ვისაც ქოლერის შემოტანა შეუძლია. ბოლოს ერთ-ერთი ჩაფართაგანი კისრულობს ქალაქში გაეგზავნოს მგზავრს. ასე ტყდება ნავსი პირველად. მაგრამ მგზავრმა კარგად იცის, რომ დავალებას შესრულება არ უწერია, რადგან ჩაფრები თავს არაყით სწამლობენ და მუდამ გადაკრულში არიან, ამიტომაც იგი იმდენ ხანს ელაქლაქება, ეხვეწება, ჰპირდება, ღმერთს იმოწმებს და სულს იფიცება, ვიდრე კაპიაზე ყველაზე უფრო ადვილად მოსათაფლავ ჩაფარს, ვისაც თვალი დაადგა, არ დაიმარტოხელებს. მაშინ საქმე თავისით იჩარხება. კეთილი ჩაფარი მარმარილოს დაფისაკენ იბრუნებს პირს და თავს ისე დაიჭერს, თითქოს ძველებურ წარწერას აბულბულებს, ხელებს ზურგს უკან დაიწყობს, მარჯვენა ხელისგულს კი წინ გამოსწევს.

მიდეგა მგზავრი შეპირებულ ქრთამს ხელში ჩაუჭუჭკნის, აქეთ-იქით გაიხედ-გამოიხედავს, თავქუდმოგლეჯილი გადაირბენს ხიდის მეორე ნახევარს და ქალაქში უჩინარდება. მაგრამ უბედურება უსასრულოდ არა გრძელდება, ისიც წარმავალია, მხიარული დღეების დარად, და ისიც ბარდება წარსულს. კაპიაზეც ცხოვრება ისევ და ისევ ახლდებოდა. ვერც წლები, ვერც საუკუნეები, ვერც ადამიანთა შეხლა-შემოხლა ვერას აკლებდა მას. ეს ყველაფერი ისე გადადიოდა მის თავზე, როგორც მდინარის ჩქერები დიდებულ თაღებზე.

განა მხოლოდ ომები, მოარული სენი ან გადასახლებანი არღვევდა კაპიის სიმშვიდეს, ხალხი დიდხნობით იმახსოვრებდა იმ არაჩვეულებრივ ამბებსაც რაც ხიდის გარშემო ხდებოდა. ხიდის ორთავე მოაჯირი კაპიის ახლოს დიდი ხანია ჩამუქდა და ისე ლაპლაპებდა, გეგონებოდათ, ვიღაცას გულმოდგინედ გაუპრი-  
ალებიაო. ასეული წლების მანძილზე, აქ იხსნიდნენ გლეხები ზურგიდან ტვირთს, აქ ეყუდებოდნენ სულის მოსათქმელად მოაჯირს, ამ მოაჯირებთან



იდგნენ უსაქმურად გამოშლილი ხალხიც და მასლაათით იქცევდნენ თავს. აქ განმარტოებულნი იყვნენ თავდახრილი მეოცნებე ჭაბუკებიც და თავქვე კისრისტეხით მიმავალ ქაფმორეულ, მარად ახალსა და მარად უცვლელ მდინარის ტალღებს ჩაჰკირკიტებდნენ.

მაგრამ ხიდს ჯერ არ ახსოვდა იმდენი ხალხი, როგორც იმ წლის აგვისტოს მიწურულში. ქვის მოაჯირებზე გადაკიდებული ადამიანები ასე დაჟინებით არასოდეს არ ჩასციებდნენ მდინარის ტალღებს, თითქოს საიდუმლოს ამოკითხვას იქ, წყლის ზედაპირზე ლამობენო. თუმცა ზაფხული იყო, წვიმის წყალს მაინც აემდვრია მდინარე. ხიდის თაღქვეშ თეთრი ქაფი ტრიალებდა, ნაფოტები, ხის ჩინჩხვარი და ათასნაირი ნარიყი ირეოდა. მაგრამ უქმად მდგარ ხალხს სულაც არა ჰქონდა მდინარის ჯაფრი. მშვენივრად იცნობდნენ დრინას და კარგად იცოდნენ, შიგ ახალს ვერაფერს აღმოაჩენდნენ. წყალს იმიტომ ჩაჰყურებდნენ და გაცხარებით იმიტომ ლაპარაკობდნენ, რომ გაერკვიათ მიზეზი იმ უცნაური და თავზარდამცემი შემთხვევისა, რამაც მთელი ის მხარე გააოცა და ააღელვა.

ქალაქის შორიახლო, დაბლობის ჩრდილო-აღმოსავლეთით მოჩანდა კარგა მოზრდილი სოფელი სტრაჟიშტე. მისი სახლები, მინდვრები და ბაღები ბორცვებსა და ხევხუვებს შორის იყო მიმოფანტული. ერთ ასეთ ქლიავის ბაღებში ჩაფლულ და მინდვრებით შემორაგულ დამრეც ფერდზე თხუთმეტიოდე სახლი იდგა. ეს გახლდათ დიდი ლუგი, — მყუდრო, ლამაზი და მდიდარი თურქული სოფელი. ეს სოფელი სტრაჟიშტეს სასოფლო თემს ეკუთვნოდა, მაგრამ იგი ქალაქთან უფრო იყო ახლოს. დიდი ლუგიდან ქალაქის ბაზრამდე გზას ნახევარი საათი უნდოდა, ამიტომ სოფლელები ქალაქის ხშირი სტუმრები იყვნენ, სადაც ქალაქელებივით კიდევ მუშაობდნენ და კიდევ ვაჭრობდნენ. დიდ ლუგს სარწყავი მიწები ბლომად ებადა და ჯან-ღონით სავსე ლამაზი ხალხიც ჰყავდა.

აქ ცხოვრობდა ვიშეგრადელი ოსმანალიჩების რამდენიმე ოჯახი. მართალია, ქალაქელი ოსმანალიჩები უფრო ბევრნი და შეძლებულები იყვნენ, ხალხში მაინც ამბობდნენ: მათ მდგომარეობა შეერყათ და ნამდვილი ოსმანალიჩები სწორედ დიდ ლუგში ცხოვრობენო. ესენი ძალზე ამპარტავანი და თავიანთი გვარით გაამაყებული ხალხი იყო. ახალშენში ყველაზე დიდი სახლი ედგათ, სხვა სახლებიდან მოშორებით, ზედ გორაკის თავზე. სახლს ჩამავებული ყავარი ეხურა და თოთხმეტი ფანჯარა სამხრეთ-დასავლეთისკენ ჰქონდა მიქცეული. ლიეშტანის მწვერვალზე ჩამავალი მზის სხივები მუდამ ამ სახლის თეთრ კედლებს დასთამაშებდა. კაპიაზე თავშეყრილი ქალაქელები ოდითგანვე ტკბებოდნენ იმის ცქერით, თუ როგორ ბრიალებდა ამ თეთრი სახლის ფანჯრებში გადაწვერილი მზის ათინათი, როგორ ხუჭავდა ერთიმეორის მიყოლებით ფანჯრები თვალს და სიბნელეში იძირებოდა, ხანდახან კი სადღაც ღრუბლებში დარჩენილი შუქის ათინათი უეცრად აღისფრად გააკაშკაშებდა ფანჯრებს და ქალაქის თავზე წითელი ვარსკვლავებივით ააბრდღვიალებდა.

სახლის პატრონი ქალაქში დიდად ცნობილი წარჩინებული აბიდ-ალა ოსმანალიჩი როგორც ცხოვრებაში, ისე საქმეში ძალზე ფიცხი კაცი იყო. ბაზარზე საკუთარი ბნელი, დაბალჭერიანი დუქანი ჰქონდა. დუქანში ფიცრებსა და ლასტებზე სიმინდის, შავი ქლიავისა და ნაძვის გირჩების გორები ეყარა. აბიდ-ალა ბითუმად ვაჭრობდა, ამიტომაც დუქანს მხოლოდ ბაზრობის დღეს, ანდა რაღაც განსაკუთრებული შემთხვევის გამო თუ გააღებდა.



დუქანში შემოსულ მუშტრებს მისი ერთ-ერთი ვაჟი ისტუმრებდა, თვითონ კი, როგორც ყოველთვის, დუქნის წინ სკამზე ჩამოჯდებოდა და მყიდველებთან და ნაცნობებთან მასლაათობდა. ტანადი და ლოყებდაჟღაჟა მოხუცი იყო. თმა და წვერ-ულვაში თეთრად გადაპენტოდა და ჩახრინწული, ყრუ ხმით ლაპარაკობდა. აბიდ-ალა კარგა ხანია მძიმედ ავადმყოფობდა. ხშირად, როცა გაცხარდებოდა და თავს ველარ შეიკავებდა, მაშინათვე მაგარი ხველება აუტყდებოდა, კისრის ძარღვები დაებერებოდა, პირისახე გაუწითლდებოდა, თვალებიდან ცრემლი სცვიოდა და გულიდან ისეთი სტვენის ხმა ამოსდიოდა, გეგონებოდათ, მთებში გრიგალი ქშუისო. როგორც კი შეტევა გაუვლიდა და აბიდ-ალა სულს მოითქვამდა, შეწყვეტილ საუბარს უკვე ნირწამხდარი და დასუსტებული, ჩახლეჩილი ხმით გააგრძელებდა.

ქალაქსა და მის შემოგარენ სოფლებში აბიდ-ალას ენამახვილი, გულუხვი და მამაცი კაცის სახელი ჰქონდა გავარდნილი. ასეთივე იყო ვაჭრობაშიც, და ამის წყალობით ზოგჯერ ძალიანაც დაზარალებულა. მისი ერთი გაბედული სიტყვა კმაროდა, შავი ქლიავისა და სიმინდის ფასები ხან აწეულიყო და ხან დაწეულიყო. როცა აბიდ-ალა დიდი ლუგიდან ჩამოვიდოდა და დუქნის წინ ჩამოჯდებოდა, მარტოს იშვიათად დაინახავდით, ხალხს უყვარდა მასთან საუბარი და მისი გულის პასუხის გაგება. საოცარია და თუმცა ქოშინი და ხველება ლაპარაკს ხშირად აწყვეტინებდა, მაინც მის საუბარს დამაჯერებლობა არ აკლდა. პირიქით, ეს სულისმოსათქმელი შესვენებები მის ნათქვამ სიტყვას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა და მსმენელზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენდა.

აბიდ-ალას ხუთი მოწიფული დაცოლშვილებული ვაჟიშვილი და ერთადერთი ნაბოლარა გასათხოვარი გოგო ჰყავდა. ფატა ძალიან ლამაზი იყო და ყველაფრით მამას ჩამოგავდა. მისი მომავალი ბედი მთელი ქალაქისა და ახლომახლო სოფლების სალაპარაკოდ გამხდარიყო. აბიდ-ალას ქალი მამას მარტო იერით კი არ ჩამოჰგავდა, მაშასადამე ფხიზელი ჭკუისა და მახვილი ენის პატრონი იყო. ყველაზე უკეთ ეს ჭაბუკებმა იცოდნენ, ქორწილებსა და უქმეებზე ამაოდ რომ ეკურკურებოდნენ მისი გულის მოსანადირებლად. ამიტომაც გამოუთქვეს აბიდ-ალას ფატას ასეთი სიმღერა (სიმღერები ხომ თავისთავად იქმნებიან):

ლამაზო და სიბრძნით სავსე,  
მშვენიერო ფატა,  
აბიდ-ალას ქალიშვილო,  
ასე ვინ დაგხატა.

ასე მღეროდნენ ფატაზე ქალაქში და მის შემოგარენში, თუმცა ყველა როდი ბედავდა მამამისთან მაჭანკლების მიგზავნას. მაგრამ როცა ამ გაბედულებსაც ცივი უარი სტკიცეს, ფატა, როგორც ეს ხშირად ემართებათ უხვად მომადლებული ნიჭისა და უჩვეულო ბედის ადამიანებს, დაწუნებული სასიძოების ნიშნის მომგებიანი ლოდინის, შურისა და ღვარძლის საგანი გახდა.

მალე გამოჩნდა ისეთი მამაცი ჭაბუკი, ვინც მაჭანკლის მიგზავნა გაბედა. ის საკმაოდ გონიერი და შეუპოვარი გამოდგა თავისი მიზნის მისაღწევად. დიდი ლუგის საპირისპირო მხარეს ვიშეგრადის ქვაბულში სოფელი ნეზუკი



მდებარეობდა. ხიდის ზემოთ ერთი საათის სავალზე, სწორედ იმ ფრიალო მწვანე კედელივით აღმართულ კლდეებთან, საიდანაც დრინა გადმოქუხს, ზედ წყლის პირას გადაჭიმულიყო ნაყოფიერი მიწის ვიწრო ზოლი, კლდეებიდან ჩამონაჟური გიჟმაჟი ნაკადებისა და მდინარის შემოტანილი ნარჩით წარმოქმნილი და მინდვრებითა და ბაღებით აჭრელებული. ზემოთ კი მთების კალთებზე აბიზინებული საძოვრები გადაშლილიყო, სულ ზეგზევით მიწვევდა და ფრიალო კლდეებსა და ჩირგვნარებში იკარგებოდა. მთელი ახალშენი ბეგ ხამზიჩების სამფლობელო იყო. ხამზიჩებს ზედმეტად „ტურკოვიჩებსაც“ ეძახდნენ. ახალშენის ბოლოში მოიჯარეთა ხუთი-ექვსი სახლი იდგა, თავში კი ძმები ხამზიჩების სახლი წამოჭიმულიყო, რომელსაც მუსთაი ბეგი თავკაცობდა. მყუდრო სოფელზე გადმოფაფრული მთები მზის სხივებს იქამდე არ აჭაჭანებდა და ქარისაგანაც იცავდა მუდამ.

სოფელი ხილნარით და საძოვრებით უფრო იყო მდიდარი, ვიდრე მინდვრებით. ირგვლივ სიჩუმე სუფევდა, საბალახოდ გასული საქონლის ეყენების ჟღარუნი და მწყემსის შეძახილი თუ დაარღვევდა ამ მყუდროებას და მერე სადღაც მთებში მრავალხმიან ნახმევად გაისმოდა. ვიშეგრადიდან ახალშენისკენ ერთადერთი გზა მიდიოდა.

ქალაქიდან გამოსვლისას, როცა ხიდს გადაჭრი, ხელმარჯვნივ მიმავალ გზას ჩამოიტოვებ, მდინარის ნაპირამდე ჩაუყვები და ვიწრო მოკირწყლულ ბილიკზე გახვალ. ეს ბილიკი ხელმარცხნივ უხვევს, მდინარის თავზე მოტიტვლებულ კლდეებს ეხვევა და მდინარისაკენ დაქანებულ შავ ხრამს თეთრ არშიად მიჰყვება. ასეთი იყო ქალაქიდან ნეზუკში მიმავალი გზა. იმას იქით გზა აღარ მიდიოდა, რადგან იქით არც აღარავინ ცხოვრობდა. ოღონდ მეჩხერი ტყით დაფარული ფლატისპირა სახლებთან თეთრად ანათებდა წყალდიდობისაგან დარჩენილი ორი ნაღვარევი, მწყემსები გზად რომ იყენებდნენ, როცა საქონელს მთებში მიერეკებოდნენ.

აქ იდგა უფროსი ხამზიჩის მუსთაი-ბეგის სახლი. იგი სიდიდით ოსმანალიჩების სახლს არ ჩამოუვარდებოდა. ძმათა სახლები უფრო მომცრონი იყვნენ და შედარებით უბრალოდაც გამოიყურებოდნენ. ხამზიჩებს შვილები ბლომდა ჰყავდათ, ყველანი მაღალ-მალლები, გამხდრები, ფერმკრთალნი, სიტყვაძვირნი და კარჩაკეტილნი იყვნენ. მუშაობაში ერთი პირი ჰქონდათ, თავიანთი ავლა-დიდებას მოვლა-პატრონობას არ აკლებდნენ და მისი ფასიც კარგად იცოდნენ. როგორც დიდი ლუგის შეძლებულ ოჯახებს, მათაც ქალაქში საკუთარი დუქანი ჰქონდათ და რასაც ნეზუკის მაღლიანი მიწა იძლეოდა, ყველაფერს ბაზარზე ეზიდებოდნენ. წელიწადის რა დროც არ უნდა ყოფილიყო, ხამზიჩები მუშებიანად დრინას გასწვრივ კლდეზე დაკიდულ, თოკივით წვრილ ბილიკზე ჭიანჭველებივით გადი-გამოდდიოდნენ. როგორც კი ქალაქში საქონელს გაყიდნენ, სარტყელში ფულგამოკრულები, თავიანთ მთიან მყუდრო სოფელში გამობრუნდნენ.

ქვიანი ბილიკის ბოლოს, მუსთაი-ბეგის თეთრი სახლი სწორედ მაშინ წამოეჭიმებოდა ხოლმე მგზავრს თვალწინ, როცა იფიქრებდა, სადღაც ჩიხში მოვემწყვდიეო. ამ სახლის პატრონს ოთხი ქალი და ერთი ვაჟიშვილი ჰყავდა, ვაჟს ნაილი ერქვა. სწორედ ამ ნაილ-ბეგმა, მუსთაი-ბეგის ერთადერთმა ვაჟიშვილმა, ფატას პირველმა დაადგა თვალი. ერთხელ ვილაცის ქორწილზე, როცა კარების დრიჭოდან იჭვრიტებოდა ცნობისმოყვარე ჭაბუკების მთელ



ჯგროსთან ერთად, დაინახა ფატა და მისმა სილამაზემ მონუსხა. ხოლო როცა მეორედ შეხვდა, დაქალებში ჩამდგარ ფატას ხუმრობით შეჰბედა:

— ღმერთმა ქნას, ნეზუკელმა მუსთაი-ბეგმა სარძლოდ დაგიგულოს! ფატამ გადაიკისკისა.

— რას იცინი, — გულფიცხად შესძახა ჭაბუკმა კარის ღრიჭოდან. — ეს სასწაული ერთ მშვენიერ ღღეს უთუოდ მოხდება.

— მხოლოდ მაშინ, როცა დიდი ლუგი თავისი ფეხით ავა ნეზუკში! — ისევ ჩაიციხა ფატამ და ისეთი მედიდური სახე მიიღო, როგორც ყმაწვილ ლამაზმანებს სჩვევიათ.

ბუნებისაგან გულუხვად მომადლებული ადამიანები ხშირად დაუფიქრებლად და გამომწვევად ეთამაშებიან ბედს. მისი პასუხი მალე მთელმა იმ მხარემ გაიგო და პირზეც დაიკერეს.

მაგრამ არც ხამზიჩები გახლდათ ისეთი ხალხი, პირველივე დაბრკოლებაზე უკან დაეხიათ. როცა ქალაქელი ნათესავების შუამავლობამაც ვერ გაჭრა, შვილის დაქორწინება მოხუცმა ხამზიჩმა ითავა. მუსთაი-ბეგს აბიდ-ალასთან საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა. მკაცრმა და ამაყმა ხასიათმა აბიდ-ალა ბოლო დროს კინალამ არ გააკოტრა. მოხუცმა დიდი ზარალი იწვნია და იძულებული გახდა ვექსილები გაეცა, საცაა ყავლი რომ უნდა გასვლოდა. როგორც საქმოსნების წესია, მუსთაი-ბეგმა უბრალოდ და ულაპარაკოდ გაუწოდა დახმარების ხელი დალუპვის კარზე მიმდგარ აბიდ-ალას.

დუქნების ჩაბნელებულ და ცივ სარდაფებში ფულადი და სავაჭრო საქმეების გარიგების გარდა ადამიანთა ბედ-იღბალიც წყდება ხოლმე. რა მოხდა აბიდ-ალასა და ხამზიჩს შორის, როგორ სთხოვა მუსთაი-ბეგმა, შენი ფატა ჩემს ერთადერთ ვაჟს ცოლად გააყოლო და როგორ დაიყაბულა პატივმოყვარე და უკმეხი აბიდ-ალა, ეს არავინ იცოდა. არც ის იცოდნენ, რა მოხდა დიდ ლუგში მოხუც მამასა და მის მზეთუნახავ ასულს შორის. ფატა რომ მამას უარს ვერ გაუბედავდა, ამაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. ვინ იცის, ერთი გაწამებული გამოხედვით ან იქნებ მისთვის ჩვეული ჯიუტი თავის გაქნევით შეეწინააღმდეგა, მერე კი მღუმარედ და უდრტვინველად დამორჩილდა მამას, როგორც ძველად იცოდნენ და ახლაც იციან ჩვენში. ფატა თითქოს სიზმარშიაო, ისე შეუდგა მზითვის ჩალაგება-ჩაწყობას. არც წინდახედულ ხამზიჩებს დასცდენიათ სიტყვა მომავალ ქორწინებაზე, რა არის ამ კეთილად დაგვირგვინებულ საქმეზე მოცლილ ხალხს აღარ ეყბედა. და მაინც ხალხი ამ ამბავზე ძალზე ბევრს ყაყანებდა. ქალაქში და მის შემოგარენში მხოლოდ იმაზე ჰქონდათ სჯა-ბაასი, როგორ მიაღწიეს საწადელს ხამზიჩებმა, როგორ მოთოკეს და დაიმორჩილეს აბიდ-ალას ამპარტავანი ასული, ვისთვისაც მთელ ბოსნიაშიც არ მოიძებნებოდა ტოლფერი საქმრო, რომ „დიდი ლუგი“ მაინც ავიდა „ნეზუკაში“ თავისი ფეხით, თუმცა ფატამ ყველას გასაგონად თქვა, არამც და არამც ეს არ მოხდებაო.

ადამიანებს ძალიან ახარებთ იმათი დამცირება, ვინც ბედს ესოდენ მალა აუყვანია. ხალხი მთელი თვე მიეთ-მოეთობდა ფატას ქორწინებასა და მის მომავალ დამცირებაზე. ორივე სოფელში საქორწილოდ მთელი თვე ემზადებოდნენ. ამ ხნის მანძილზე ფატა მეზობელ-ნათესავებსა და მოსამსახურეებთან ერთად მზითევს იმზადებდა. გოგოები მღეროდნენ, ფატაც მღეროდა, ყურს უგდებდა საკუთარ ხმას და თავის საფიქრალს ფიქრობდა. ყოველი



ნემსის აგებაზე უფრო და უფრო ცხადი ხდებოდა მისთვის, რომ ვერც ისა და ვერც მისი ხელსაქმე ნეზუკას ვერასოდეს ვერ იხილავდა. ეს ფიქრი თავიდან არ გამოსდიოდა და სულ ერთთავად ამაზე ჩასჩინებდა საკუთარ თავს. ხელსაქმესა და სიმღერაში გართულს ეჩვენებოდა, თავისი სოფლიდან ნეზუკამდე შორზე შორი მანძილია და ერთი თვე კარგად დიდი დროა.

დიდ ლუგში თბილი, სასიამოვნო ღამეები იცის. თითქოს დედამიწას მოახლოებული ვარსკვლავები მოუსვენრად ციმციმებენ და თეთრი, უცნაური ფერითა ბრწყინავენ. ფატა ფანჯარასთან იდგა და მათი ცქერით ტკბებოდა. ძარღვებში სასიამოვნო მოთენთილობა უვლიდა. სხეულის ცალკეულ ნაწილს, ფეხები იყო, თეძოები, ხელები, კისერი თუ გულმკერდი ცალ-ცალკე შეიგრძნობდა. სავსე და მაღალი მკერდით ფანჯრის ალათას მიყრდნობოდა და ეჩვენებოდა, მის წინ მდებარე გორაკი სახლებ-ჯეჯილებ-ბაღებიანად ღრმად და თანაბრად სუნთქავსო უღრუბლო ცასა და ღამის უსასრულობასთან ერთად.

ღიახ, ეს ქვეყანა დიდია. დღისითაც კი დიდი გეჩვენება, როცა ვიშეგრადის დაბლობი სიცხე-პაპანაქებაში იშუშება, მაგრამ ღამით, მხოლოდ ღამით, როცა ცა გამოცოცხლდება და შენ თვალწინ ტრიალს დაიწყებს, თვალწინ იშლება სამყაროს უსაზღვროება და ყოველის შემძლეობა, რომლის წინაშეც ადამიანი უძლურია, მხოლოდ ღამით იღვიძებს ჭეშმარიტი, ნათელი და მარადიული ცხოვრება. იქ არც ის სიტყვებია, მთელი სიცოცხლე მძიმე უღლად რომ გაწვება, არც დაპირებანი, სიკვდილს რომ გიქადის და არც გამოუვალი მდგომარეობა. ღიახ, ღამით ყველაფერი სულ სხვანაირადაა, ვიდრე ცხოვრებაშია, სადაც ვერც სიტყვას გატეხ და ვერც იმას გაექცევი, რაც გიწერია. მხოლოდ ღამით იშლება თავისუფლების უსასრულო, უსახელო და იდუმალი სამყარო...

უეცრად, სადღაც ქვემოდან, თითქოს შორიდან მოისმაო, ყრუ და მძიმე ხროტინის ხმა ამოვარდა. აბიდ-ალა შუალამისას ხველებას ებრძოდა. ფატა არათუ იცნობს ამ ხმას, თვალნათლივ ხედავს ლოგინზე წამომჯდარ, ხველებისაგან გატანჯულ მამას, თუთუნს რომ ექაჩება და ძილს ვერ ახერხებს.

ღამის სილამაზე და სამყაროს სიდიადე უკვალოდ გაქრა, ფატას სული ეხუთება. აღარ კაშკაშებენ ვარსკვლავები სამყაროს უსასრულო სივრცეში. მხოლოდ ბედი, მკაცრი ბედი მომდგარა ზღურბლზე, ირგვლივ გამეფებულ სიწყნარესა და სიცარიელეში ფეხაკრეფით მოიპარება და უცილობელ აღსრულებას უქადის.

ფატა მამას თითქოს თვალნათლივ ხედავს. ეს მისი ძლიერი, საყვარელი მამაა, ვისაც ბავშვობიდანვე შესისხლხორცებია. მართალია, სწორედ მამამ თქვა „ჰო“, როცა თვითონ უარით უპასუხა, მაგრამ მამის „ჰოც“ და თავისი „არაც“ ფატას ერთნაირად ეკუთვნის. აი, ამიტომაც ახლოვდება განკითხვის ქამი, ამიტომაც ვერ პოულობს ფატა სხვა გზას და არც შეუძლია იპოვოს, რადგან გამოსავალი არ არსებობს. მხოლოდ ეს ერთი სჯერა მტკიცედ: მამისეული „ჰო“ მისთვის ისევე სავალდებულოა, როგორც საკუთარი „არა“, იგი ავალებს მუსთაი-ბეგის შვილთან ერთად წარსდგეს ყადის<sup>5</sup> წინაშე, რადგან გაფიქრებაც კი არ შეიძლება, რომ აბიდ-ალა ოსმანალიჩი სიტყვას გატეხს. მაგრამ ასევე მტკიცედ სჯერა, რომ ნეზუკაში არც თვითონ დაადგამს ფეხს, რადგან მამის თავისი სიტყვის გამტეხი გახდება, ეს კი შეუძლებელია, ვინაიდან

<sup>5</sup> ყადი — მაჰმადიანების სასულიერო მოსამართლე, ვინც ყოველ ქორწინებას ესწრება.



ესეც ოსმანალიზების სიტყვის შეუსრულებლობა გამოვა. აი აქ, ამ თავის „არასა“ და მამის „ჰოს“ შუა, თავის სოფელსა და ნეზუკას შორის უნდა ეძებოს გამოსავალი. ეს აზრი მთელ მის გონებას იპყრობს, მისი ფიქრები აღარ დაფოფინებს უსაზღვრო და ზღაპრული სამყაროს სივრცეში. ახლა ეს ფიქრები იმ მოკლე და სევდიან გზას დასტრიალებს, სასამართლოდან (სადაც ყადის ჯვარი უნდა დაეწერა) ხიდის ბოლომდე რომ მიიყვანს, საიდანაც კლდოვანა ციცაბოზე წვრილი ბილიკი იწყება. ფატამ იცის, რომ ცოცხალი თავით ბილიკზე ფეხს არ შედგამს და მისი გონება, როგორც მაქო საქსოვ ჯარას, სულ ერთთავად გზის ამ მონაკვეთს დასტრიალებს. ჯერ სასამართლოს შენობა, მერე მოედანი, მერე ხიდი, იქ კი... თითქოს გაუვალ კედელს წააწყდაო, ისევ თავიდან იწყებს ფიქრს — ჯერ ხიდი, მერე მოედანი, ბაზარი, სასამართლოს შენობა... ასე ეხვეოდა მისი ბედისწერის ძაფი და გამოსავალს ამოიღებდა.

დრო კი, როგორც წესი და რიგი იყო, ისე მიდიოდა, არცა ჩქარობდა და არც ნელიაობდა, მძიმედ და უმოწყალოდ ახლოვდებოდა და ბოლოს ქორწილის დღეც დადგა. აგვისტოს ბოლო ხუთშაბათს ქალის წასაყვანად დიდ ლუგში ხამზიჩებმა ცხენები მოაგელვეს. ახალი მძიმე ფერეჯა ჩამოფარებული ფატა ცხენზე შესვეს და ნეზუკის გზას გაუყენეს. ეზოში მზითვის სკივრებით აკიდებული ცხენები იდგნენ. სასამართლოს შენობაში ყადის წინაშე ქორწინების წესი აღასრულეს. ამის შემდეგ ცხენოსნები ნეზუკისკენ მიმავალ გზაზე დაწალიკდნენ, სადაც ქორწილისათვის ყველაფერი მოემზადებინათ.

აი, უკან დარჩა ბაზარი და მოედანი, იმ საბედისწერო გზის ერთი მონაკვეთი, სადაც ასე ხშირად ფრენდა ფატას ფიქრები. ქალს თავი მხნედ და ლაღად ეჭირა. მას უკვე აღარც უსაზღვრო ვარსკვლავები აფორიაქებდა, აღარც მამის ყრუ ხველა, აღარც დროის სრბოლის შეჩერების სურვილი. როცა მაყრიონი ხიდზე შედგა, ფატას ისევ წამოეძალა ის განცდები, ზაფხულის ღამეებში ფანჯარასთან მდგომი რომ განიცდიდა.

აგერ გამოჩნდა კაპიაც.

დიდი ხნის წინათ, უძილო ღამეებში მიღებული გადაწყვეტილების თანახმად აბიდ-ალას ქალი უნაგირიდან გადაიხარა და გვერდზე მიმავალ უმცროს ძმას წასჩურჩულა, ვიდრე ხიდიდან ნეზუკის ციცაბო ბილიკს დავადგებოდეთ, ცხენს მოსართავები მოუჭირეო. ისინი შეჩერდნენ, მომავალმა საქორწინო მაყრიონმაც შეაფერხა ცხენები. გასაკვირი არაფერი იყო, პირველად და უკანასკნელად ხომ არ უხდებოდათ კაპიაზე შეჩერება.

ვიდრე ძმამ თავის ცხენს აღვირი კისერზე სწრაფად გადაუგდო, ფატამ ცხენი ხიდის კიდეზე მიაგდო, მარჯვენა ფეხი ქვის მოაჯირს დააბჯინა, უნაგირიდან ჩიტივით წამოფრინდა და პირდაპირ აქაფებულ მდინარეში გადაეშვა. ძმა მაშინვე მივარდა და მოაჯირს გადაეჭდო, ძლივს მოასწრო ქარისაგან აფრიალებული ფერეჯისთვის ხელი ეტაცნა, მაგრამ ისიც ხელიდან გაუფრინდა. მექორწილენი ცხენებიდან ყვირილით გადმოხტნენ და, მოაჯირზე გადაყუდებულნი, ერთ ადგილზე გაშეშდნენ. სადამოხანს ამ დროისათვის უჩვეულო, ცივი და დიდი წვიმა მოვიდა. დრინა ადიდდა და აიმღვრა. მეორე დღეს დრინას მოყვითალო ტალღებმა ფატა კალატის მეჩიჩზე გამორიყა. გვამი ერთმა მეთევზემ დალანდა და ყარაულის უფროსს შეატყობინა. უფროსი მალე მივიდა მეთევზესა და სალკო ბრუტიანთან ერთად, ურომლისოდაც არა-



ფერი ხდებოდა იმ არემარეში. გვამი რბილ, სველ ქვიშაზე ეგდო, მღვრე ტალღები ხან გარშემო უვლიდნენ, ხან ზედ გადადიოდნენ.

ფატას საქორწინო სამოსელი მთლად შემოდარცვოდა. წყალს დაეფლითა და თავიდან გადაეძრო ახალი შავი ფერეჯა, რომელიც იქვე ეგდო შლამზე, ქალის ბროლივით სხეულის გვერდით. შუბლშეჭმუხნილი და კრიჭაშეკრული სალკო და მეთევზე მეჩეჩზე ჩავიდნენ, ფატა ნაპირზე გამოიტანეს და უმაღლ შლამიანი ფერეჯა გადაახურეს. საცოდავი ყმაწვილი ქალი იმავე დღეს დიდი ლუგის ფერდობზე თურქულ სასაფლაოზე დაკრძალეს.

აი, ასეთი უჩვეულო და უბედური ამბავი მოხდა კაპიაზე. დიდი ლუგი არ ავიდა ნეზუკაში და არც აბიდ-ალას ქალი ფატა გახდა ხამზიჩის ცოლი.

აბიდ-ალა ოსმანალიჩი ქალაქში აღარ გამოჩენილა, იმავე ზამთარს ხველამ ისე მოუთავა სიცოცხლე კაციშვილთან სიტყვა არ დაუძრავს იმ გამოუნელებელ ვარამზე, რამაც საფლავში ჩაიყვანა.

მომდევნო გაზაფხულზე ხამზიჩმა ვაჟიშვილი ბრანკოვიჩელ ქალიშვილზე დააქორწინა.

ამ ამბავზე ქალაქელებმა ერთხანს კიდევ იჭორავეს, მერე კი მიივიწყეს. მხოლოდ სიმღერალა შემორჩა იმ ყმაწვილ ქალზე, ვინც ასეთი უბედლო სიტურფისა და ჭკუის პატრონი იყო, მაგრამ ვისაც ვერც ჭკუამ და ვერც სიტურფემ ვერ უშველა გაჭირვების ჟამს.

ყარა-გიორგის აჯანყებიდან სამოცდაათი წელი იყო გასული, როცა სერბიაში ომი დაიწყო; ამ ომს სასაზღვრო რაიონები მაშინვე აჯანყებებით გამოეპასუხნენ<sup>6</sup>. მთიან სოფლებში: ჟლებეში, გოსტილაში, ცრნჩასა თუ ველეტოვოში ისევ აბრიალდა თურქთა და სერბთა სახლები. მრავალი წლის შესვენების შემდეგ თურქებმა ისევ დაიწყეს კაპიაზე სერბთა მოკვეთილი თავების გამოკიდება. ესენი ჩვეულებრივ მოკლედ შეკრეჭილი, ბრტყელ-კეფა, ძვალტყავა და გრძელულვაშა გლეხების თავები იყო, ზუსტად ისეთი, როგორც სამოცდაათი წლის წინათ. მაგრამ ასე დიდხანს არ გაგრძელებულა. როგორც კი თურქეთსა და სერბიას შორის ომი შეწყდა, საზღვარზე მაშინვე მშვიდობა ჩამოვარდა. თუმცა ეს მოჩვენებითი მშვიდობა იყო. მალე უკვე თამამად და აშკარად დაიწყეს ლაპარაკი ბოსნიაში ავსტრიის ჯარების შემოსევაზე. 1878 წ. ზაფხულის დამდეგს სარაევოდან პრიზოიში მიმავალმა თურქეთის მუდმივმა ჯარებმა ვიშეგრადზე გაიარეს. მაშასადამე, მართალი იყო ხმები, სულთანს ბოსნიას უომრად თმობსო. რამდენიმე ოჯახმა სენჯეკში გადაწყვიტა გადასახლება, მათ შორის ის ოჯახებიც ერივნენ, ამ ცამეტი წლის წინათ უყიციდან აქ რომ იმიტომ გადმობარგდნენ, სერბთა ბატონობა არ გვინდაო. ახლა კი ისევ უკან გარბოდნენ, მაგრამ უმრავლესობა მაინც იქვე რჩებოდა, გარეგნულად ვითომ არაფერს იმჩნევდნენ, თუმცაღა შიშითა და ახალი ამბების მოლოდინით გული ეწურებოდათ.

ივლისის დასაწყისში ქალაქში პლევლიელი მუფტი<sup>7</sup> ჩამოვიდა, რომელ-

<sup>6</sup> ბოსნიაში და ჰერცოგოვინაში სერბთა აჯანყებამ 1875 წელს იფეთქა.

<sup>7</sup> სასულიერო პირი.



საც მცირე ამაღლა ახლდა. იგი თავგადაკლული ცდილობდა როგორმე სერბი-ელეები ავსტრიელთა წინააღმდეგ დაერაზმა. ამ მედიდურ ქერათმიან კაცს თუმცა მეომრისა არაფერი ეცხო, სამაგიეროდ სიფიცხით ფრიად გამოირჩეოდა.

ზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს, მან კაპიაზე ვიშეგრადელი თურქი თავ-კაცები შეჰყარა, იქნებ ავსტრიელთა წინააღმდეგ შევაგულიანოო. ირწმუნებოდა, რომ მუდმივი ჯარის მრავალრიცხოვანი რაზმები აქ დარჩებიან, რათა ხალხთან ერთად წინააღმდეგობა გაუწიონ ახლად მოვლენილ დამპყრობლებსო. ახალგაზრდობას კი მოუწოდებდა, დაუყოვნებლივ შეერთებოდა მის რაზმს და საჭმელ-სასმელით მოემარაგებინა ისინი სარაევოში. მუფტიმ ადრეც იცოდა, რომ უშიშარი მეომრების სახელი ვიშეგრადელებს არასდროს ჰქონიათ და უგუნურ სიკვდილს უგუნური სიცოცხლე ერჩიათ. და მაინც ფრიად გააკვირვა იგი ვიშეგრადელების თავშეკავებამ და გულგრილობამ. მუფტის ქალაქში მეტხანს დარჩენა აღარ შეეძლო, ამიტომ ვიშეგრადელ თურქებს სახალხო სამსჯავროთი და ღვთის რისხვით დაემუქრა და თავის თანაშემწეს ოსმან-ეფენდი ყარამანლის დაავალა, ვიშეგრადელები დაარწმუნე, საერთო საქმეში მონაწილეობა მიიღონო.

ყველაზე მეტად მუფტის ალი-ხოჯა ედგა კრიჭაში. მისი ოჯახი ქალაქის ერთ-ერთ უძველეს და დიდებულ საგვარეულოს მიეკუთვნებოდა. ისინი დიდი სიმდიდრით ვერასოდეს დაიკვებნიდნენ, სამაგიეროდ, ნამუსითა და გულ-აღალობით განთქმულნი, ჯიუტი, მამაცი, მოუსყიდავი ადამიანები იყვნენ და პირფერობა, მდაბალი სურვილები და ანგარება უცხო იყო მათთვის. ორ საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე მათი ოჯახის თავკაცს ყოველთვის მეჰმედ-ფაშას ნაბოძვარის დამცველისა და მმართველის თანამდებობა ეკავა. მასვე ევალებოდა ხიდის ყურში მდგარი ცნობილი ქვის ქარვასლის მოვლა-პატრონობა. ჩვენ ვიცით, როგორ ბედუკუდმა დატრიალდა ისტორიის ჩარხი, როგორ დაკარგა საარსებო სახსრები ქვის სასტუმრომ და როგორ იქცა ნანგრევებად. ისე რომ ვეზირის ნაბოძვარიდან ხიდილა შემორჩა ხალხს, რასაც შემოსავალი, მართალია, არ შემოჰქონდა, სამაგიეროდ არც დიდ მოვლა-პატრონობას საჭიროებდა.

ალი-ხოჯას გვარეულობას ძველთაგანვე ადათად ისიც ჰქონდა დამკვიდრებული, ყველა თაობის თუნდაც ერთ წარმომადგენელს სკოლა დაემთავრებინა და მოლა გამხდარიყო. ამ თაობაში მოლად ალი-ხოჯა გახდა. ისე კი მათი გვარეულობა თანდათან გაღარიბდა და აღარც ძველებურად ხალხმრავალი ოჯახები ჰყავდა, მხოლოდ რამდენიმე მუშა და ბაზარში სათვალიო ადგილას, ხიდის გვერდზე მდებარე მამაპაპისეული დუქანილა შემორჩათ. ალი-ხოჯას ორი ძმა ომში დაიღუპა — ერთი რუსეთში, მეორე კი — ჩერნოგორიაში.

ალი-ხოჯა მკვირცხლი, მხიარული, ჯერ კიდევ ჯეელი, ღონიერი კაცი იყო. როგორც მუტეველიჩს შეჰფეროდა, ყველა სადაო საკითხზე თავისი შეხედულება ჰქონდა. თავგამოდებით იცავდა თავის აზრს და ბოლომდე მისი ერთგული რჩებოდა. გულდიაობისა და სადი ჭკუის წყალობით იქაურ უხუცესებთან და სასულიერო პირებთან მუდამ შეხლა-შემოხლა მოსდიოდა. ხოჯად იწოდებოდა, თორემ არც თანამდებობა გააჩნდა და არც რაიმე შემოსავალი ჰქონდა.



საკუთარი დამოუკიდებლობა რომ შეენარჩუნებინა, ალი-ხოჯა მამისეულ დუქანში ვაჭრობდა.

როგორც ვიშეგრაღელ მუსულმანთა უმრავლესობა, ალი-ხოჯაც შეიარაღებული შეწინააღმდეგების მომხრე არ იყო, თუმცა ვერაგინ დასწამებდა ვერც ლაჩრობასა და ვერც სარწმუნოებისადმი გულგრილობას. მუფტისა და მის მომხრეთა დარად ალი-ხოჯასაც ჭირივით ეჯავრებოდა ქრისტიანები, მაგრამ რაკი ხედავდა, რომ სულთანი ავსტრიელებს ნამდვილად აძლევდა ბოსნიას, თანაც კარგად იცოდა თავის თანამემამულეთა სულისკვეთება, ალი-ხოჯა თავიდანვე დარწმუნებული იყო, ყველაფერი მარცხით დამთავრდებაო. თავის ღრმა რწმენას ალი-ხოჯა თავგამოდებით იცავდა. შეკითხვებით მუფტის ჩიხში ამწყვდევდა და გესლიანი შენიშვნებით თავგზას უბნევდა. ასე თავისდაუნებურად უჭერდა ალი-ხოჯა მხარს ქალაქელებს, რომელთაც ისედაც არ ეწადათ ბრძოლა და მსხვერპლის გაღება. როცა მუფტი ვიშეგრაღიდან წავიდა და ქალაქელებთან მოსალაპარაკებლად ოსმან-ეფენდი ყარამანლი დატოვა, ალი-ხოჯამ ახლა მას შეუტია. რამდენიმე ბეგმა და აღამ, გულის სიღრმეში ალი-ხოჯას რომ ეთანხმებოდნენ, ისე კი ნაფიქრალს ორჭოფულად და ფრთხილად გამოთქვამდნენ, გულმართალი და ფიცხი ხოჯა ყარამანლის საპაექროდ წააქეზეს.

საღამოთი წარჩინებული თურქები კაპიაზე შეგროვდნენ და უფროს-უმცროსობის მიხედვით ფეხმორთხმულნი ჩამოსხდნენ წრედ. მათ შორის მალაღლი, ფერმკრთალი და ხმელ-ხმელი ოსმან-ეფენდიც ერია. პირისაზე ძალზე დაძაბული ჰქონდა, თვალეები აგზნებულად უბრწყინავდა, შუბლსა და ლაწვეებს ნაოჭები უღარავდა. გვერდით ლაჟღაჟა, ჩაფსკენილი ალი-ხოჯა მისდგომოდა და შეკითხვებს შეკითხვებზე აყრიდა: რა ძალები გვყავს? სად გვაგზავნიან? რა საშუალებები და რა მიზანი გაგვაჩნია? რა მოხდება, თუ დავმარცხდებით? ალი-ხოჯას ღვარძლიანი შეკითხვები მხოლოდ ნიღაბი იყო იმ შეშფოთების დასამალად, ქრისტიანთა უცილობელი ძლიერება და თურქთა აშკარა უძლურება რომ იწვევდა. მაგრამ აღელვებულ და დაღვრემილ ოსმან-ეფენდის ალი-ხოჯას მოსაზრებების სწორად გაგებისა და აწონ-დაწონის უნარი არ გააჩნდა. ოსმან-ეფენდი ფიცხი ბუნების ფანატიკოსი კაცი იყო, ჩქარა ჰკარგავდა თავდაჭერის უნარს და ისე შეუბრალებლად ესხმოდა ყველას თავს, ვინც კი მერყეობასა და გაუბედაობას გამოიჩენდა, თითქოს საქმე ავსტრიელთან აქვსო. ალი-ხოჯა ისე აღიზიანებდა, ოსმან-ეფენდი რისხვას ძლივს იოკებდა, ზოგადად და ნაწყვეტ-ნაწყვეტად აძლევდა პასუხს: სადაც საჭიროა, იქ უნდა წავიდეთ და იმით უნდა ვიომოთ, რაც ხელთა გვაქვს. მთავარია, დუშმანი უომრად არ მოვუშვათ, ის კი, ვინც ბევრ შეკითხვას იძლევა, საქმეს აფერხებს და მტერს ეხმარებაო. ბოლოს მთლად დაკარგა მოთმინება და ხოჯას შეკითხვებს უკვე ისე პასუხობდა, სიძულვილს ვეღარ ფარავდა: „ღიახ, დადგა ჟამი დაღუპვისა“, „თავს ნუ დავიზოგავთ“, „ყველანი ერთად უნდა გავწყდეთ“.

— ოჰო! — სიტყვა გააწყვეტინა ხოჯამ, — მე კი მეგონა, ბოსნიიდან ავსტრიელების გარეკვა გინდოდათ და იმისათვის გვრაზმავდით. თუ ყველას სიკვდილი გველის, ამას, ეფენდი, უშენოდაც მოვახერხებთ, სიკვდილზე აღვიღლი რა არის!

— რაღაც არ გეტყობა, ძალიან გინდოდეს სიკვდილი! — უხეშად გავაწყვეტინა ყარამანლიმ.



— სამაგიეროდ შენ ძალიან ესწრაფვი, — გესლიანად უპასუხა ხოჯამ, — მხოლოდ ერთი ვერ გამიგია, რად გინდა სხვებიც უკან გაიყოლიო?

ლაპარაკი ჩხუბში გადაიზარდა. ოსმან-ეფენდიმ ალი-ხოჯას გლახიელი და მოლალატე უწოდა, შენი თავიც მოლალატეთა თავებთან ერთად კაპიაზე უნდა ყოფილიყო გამოკიდებული. ხოჯა კი უშიშრად ისევ თავისას გაიძახოდა და ისევ ჯიუტად მოჰყავდა მიზეზები და მტკიცებები, თითქოს მუქარა და შეურაცხმყოფელი სიტყვები არც ეყურებაო.

ბეგებსა და ალებს ასეთი უნაყოფო კინკლაობა ხელს აძლევდათ, რადგან აჯანყებაში მონაწილეობა ჯერჯერობით ვერ გადაეწყვიტათ. პირდაპირ თქმა კი ერიდებოდათ. განრისხებულმა ოსმან-ეფენდიმ ბევრი იბოზოქრა, დილით კი, თავის ხალხთან ერთად მუფტის დაედევნა სარაევოში.

ათასნაირი მითქმა-მოთქმა და ხმები უფრო აძლიერებდა ალებისა და ბეგების სურვილს, არ მიეტოვებინათ ქალაქი და თავიანთი ავლადიდება. აგვისტოს შუა რიცხვებში ავსტრიელები სარაევოში შევიდნენ და გლახინტთან თურქები დაამარცხეს. ამ ამბავმა გადაწყვიტა ყველაფერი. ლიესკიდან ოკოლიშტეში მიმავალ ციცაბო გზაზე ქალაქისკენ თურქების დამარცხებული რაზმები მობობლავდნენ. მათ შორის მუდმივი ჯარის მებრძოლებიც ერივნენ, ვინც საკუთარი სურვილით ამხედრდნენ. მათთან იყვნენ ადგილობრივი აჯანყებულებიც. ჯარისკაცებს არაფრის თავი აღარა ჰქონდათ, მხოლოდ წყალსა და პურს ითხოვდნენ და უვაცის გზას კითხულობდნენ. აჯანყებულები კი დამარცხებას ჯერაც ვერ გაეტეხა, ისევ ბრძოლის ჟინი სწვავდათ და მზად იყვნენ მტერს კვლავ შეებოდნენ, მტერში ამოგანგლული და მთლად ჩამობღენძილი აჯანყებულები ამ ვიშეგრადელ ვირთხებს უხეშად პასუხობდნენ და ხიდზე გადასასვლელის დასაცავად სანგრების გასაჭრელად ემზადებოდნენ.

ამ დღეებში ისევ წამოჰყო თავი ალი-ხოჯამ, ვინც კვლავ თავისას გაიძახოდა: რაკი ავსტრიელებმა ბოსნია ხელთ იგდეს, ქალაქის დაცვაზე ფიქრიც კი ზედმეტიაო. აჯანყებულები კარგად ხედავდნენ ყველაფერს, მაგრამ არ უნდოდათ თავი დამარცხებულებად ეცნოთ, რადგან უკიდურესად აღიზიანებდათ ეს კონტაპრუწა ნაპატიები ქალაქელები, ვისაც საკუთარი სახლებისა და ქონების დაცვის გარდა არაფერი ედარდებოდათ და ეშმაკურად და გონივრულად არიდებდნენ თავს ჯანყსა და ომს. სწორედ ამ დროს უკან მობრუნდა ოსმან-ეფენდი ყარამანლი, კიდევ უფრო გამხდარი, გაფითრებული და გამძვინვარებული. იგი არ იყო ისეთი კაცი, აშკარა დამარცხებას ადვილად შერიგებოდა, ყველგან და ყველასაგან თავგანწირვას ითხოვდა: რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, მტერს წინააღმდეგობა უნდა გავუწიოთ და თავიც შევაკლათო. მის ასეთ ბრმა თავგამოდებას ალი-ხოჯას გარდა ვერავინ ეწინააღმდეგებოდა. ალი-ხოჯა სრულიად უბოროტოდ, გონივრულად და გულდაჯერებით უმტკიცებდა ჯიუტ ოსმან-ეფენდის, რომ აჯანყებულთ სწორედ ისე წაუვიდა საქმე, როგორც ამ ერთი თვის წინათ ამავე კაპიაზე გიწინასწარმეტყველებდიო. ახლა ოსმან-ეფენდის ურჩევდა, თავის ხალხთან ერთად რაც შეიძლება ჩქარა დაძრულიყო პლევლისკენ, რომ უფრო ცუდად არ წასვლოდათ საქმე. ხოჯა თავაზიანად ლაპარაკობდა და ყარამანლის ისეთი ყურადღებით და თანაგრძნობით ექცეოდა, როგორც ავადმყოფს ექცევიან ხოლმე. სულის სიღრმეში თვითონაც შეძრწუნებული იყო მოახლოვებული უბედურებით, თუმცადა საკუთარ გრძნობებს მოჩვენებითი გულგრილობით ჰფარავდა. ალი-ხოჯა ისე



ღელავდა და იტანჯებოდა, როგორც მართლმორწმუნე მუსულმანი, ვინც უცხოელი დამპყრობლების გარდუვალი გამარჯვებისა და ისლამის ძველთა-ძველი წესების დასამარების მოწმე იყო. ეს შენიღბული ტკივილი ხანდახან უნებლიეთ მის სიტყვებშიაც გამოსჭვივოდა. იგი ყარამანლის შეურაცხმყოფელ სიტყვებზე თითქმის მწუხარედ პასუხობდა:

— ეფენდი! შენა გგონია, ჩემთვის ადვილია ველოდო ავსტრიელთა შემოსვლას? განა ვერა ვხედავ, რა დროება დაგვიდგა? ვიცით, რაც მოგველის და რასაც ვკარგავთ, კარგად ვიცით! და თუ მხოლოდ ამის სათქმელად მოხვედრი, სჯობდა პლევლიდან საერთოდ ფეხიც არ გამოგედგა. გეტყობა, საქმეში კარგად ვერა ხარ ჩახედული, თორემ რასაც აკეთებ, არ გააკეთებდი, და რასაც ამბობ, არ იტყობდი. მართალია, დიდ გასაჭირში ვართ ჩავარდნილი და თვითონაც არ ვიცით, რა უნდა ვქნათ, მაგრამ შენი რჩევაც ვერაფერს გვიშველის.

ოსმან-ეფენდის კი არავისი ეყურებოდა, ვინც არ თანაუგრძნობდა მის ღრმა და გულწრფელ სურვილს ებრძოლათ მტრის წინააღმდეგ. ამიტომაც ალი-ხოჯაც ისევე ეზიზღებოდა, როგორც ავსტრიელები, ვის წინააღმდეგაც იბრძოდა. ასეა მუდამ, დამარცხების წინააღმდეგ დასატუპავად განწირულ ხალხში ძმათა შორის სისხლისმღვრელი კინკლაობა და შუღლი ჩამოვარდება ხოლმე. რაკი ეფენდიმ თავისი ქადაგებით ვერაფერი გააწყო, ალი-ხოჯას წამდაუწყუმ მოლალატეს ეძახდა, გამქირდავად ურჩევდა, ავსტრიელების მოსვლამდე მოინათლეო.

— არც ჩემი წინაპრები მონათლულან და არც მე მოვინათლები! დიახ, ეფენდი, მე არც ავსტრიელებთან ვაპირებ პირჯვრის წერას და არც ბრიყვებთან ერთად ვიბრძოლებ მთელი ჯარის წინააღმდეგ, — წყნარად უპასუხა ხოჯამ.

ვიშეგრადის თურქი დიდებულები გულის სიღრმეში ალი-ხოჯას ეთანხმებოდნენ, მაგრამ ყველას არ მიაჩნდა მართებულად თავისი აზრი ასე ხმამაღლა და გარკვეულად გამოეთქვა. ხალხს კარზე მომდგარი ავსტრიელებისაც ეშინოდა, მაგრამ ქალაქში რაზმით მდგარი ყარამანლის წინაშეც ფრთხილობდნენ, ამიტომ შინ ჩაკეტვას ან სოფლებში გახიზვნას რჩეობდნენ. ხოლო როცა ყარამანლის და მის დამქაშებთან შეხვედრისაგან თავის არიდებას ვეღარ ახერხებდნენ, ცდილობდნენ თვალებში არ შეეხედათ და ორჭოფულად პასუხობდნენ, თან ერთი სული ჰქონდათ, მისგან როგორმე თავი დაეძვრინათ.

ყარამანლი დანგრეული ქარვასლის წინ დილიდან დაღამებამდე განუწყვეტლივ აწყობდა კრებებს. ხალხი იქ გამოუღეველად ირეოდა. ყარამანლი სულმოუთქმელად ლაპარაკობდა მაშინაც კი, როცა ერთ კაცს მიმართავდა, ისე გაყვიროდა, გეგონებოდა, მთელ ასეულს მიმართავსო. ის კიდევ უფრო გაფითრებულიყო, ჩაყვითლებულ თვალებს მოუსვენრად აცეცებდა, ტუჩებზე კი ქაფი მოსდგომოდა. რომელიღაც ქალაქელმა შეითურხანზე მუსულმანური თქმულება უამბო: ეს შეიხი უხსოვარ დროს, გააურთა შემოსევისას დრინას ფონის დასაცავად დაიღუპაო. მისი ნეშტი ახლა მდინარის გაღმა ნაპირზეა ჩამარხული, მაგრამ მაშინვე მკვდრეთით აღსდგება, როგორც კი პირველი გააური ჯარისკაცი ხილზე ფეხს დააბიჯებსო. ოსმან-ეფენდი მყის ჩაეჭიდა ამ ლეგენდას და ხალხს მოულოდნელ მხსნელად წარმოუდგინა:

— ძმებო! ეს ხილი ვეზირის წმიდათაწმიდა ნაბოძვარია. ძველთაგან უთ-



ქვამთ, ხიდზე გიაურებს გასვლა არ უწერიათო. ჰოდა, ხიდს მარტო ჩვენ როდი დავიცავთ — ჩვენთან ერთად იქნება ისიც, ვისაც მტრის ტყვია და ხმალი არ ეკარება. როცა გიაურები გამოჩნდებიან, ის საფლავიდან წამოდგება და ხელებს ფართოდ გაშლის. მისი შემხედვარე, ავსტრიელებს მუხლები აუდაგდაგლებათ, სუნთქვა შეეკვრებათ და შიშისაგან გაქცევასაც ვეღარ მოახერხებენ! ძმებო თურქებო, ნუ დაიფანტებით, ხიდზე მომყევით ყველანი!

ასე გაჰყვიროდა ხმელ-ხმელი, შავებში მოსილი ყარამანლი და როცა ხელებს შლიდა იმის საჩვენებლად, თუ როგორ დადგებოდა „გმირი“ ხიდზე მათ დასაცავად, გეგონებოდათ, კაცი კი არა, აწოწილი შავი ჯვარია, ჩალმა რომ ახურავსო.

ეს ამბავი ყარამანლიზე უკეთ ვიშეგრაღელმა თურქებმა იცოდნენ — ბავშვობაში არაერთხელ გაუგონიათ და სხვისთვის უამბნიათ ეს ლეგენდა. მაგრამ არც ერთ მათგანს იოტისოდენა სურვილიც არა ჰქონდა, ზღაპარი სინამდვილეში აერია და გარდაცვლილის იმედზე ყოფილიყო მაშინ, როცა მათი შველა ცოცხლებსაც აღარ ძალუძდათ. თუმცა ალი-ხოჯა დუქნიდან გარეთ ფეხს არ დგამდა, ქალაქელების ნაამბობიდან იცოდა, რასაც ლაპარაკობდნენ და აკეთებდნენ ქვიტკირის ქარვასლასთან და ნაღვლიანად, თავის ქნევით ამბობდა:

— აკი ვთქვი, ეს ტუტუცი არც მკვდარსა და არც ცოცხალს არ მოასვენებს-მეთქი. ღმერთი იყოს ჩვენი შემწე!

ნამდვილი მტრის წინაშე უძლურმა ყარამანლიმ მთელი თავისი რისხვა ალი-ხოჯაზე ამოანთხია. იმუქრებოდა, ყვიროდა და იფიცებოდა, სანამ ქალაქს დავტოვებდე, ურჩ ხოჯას მაჩვივით კაპიაზე მივაჯაჭვავ, დაე, იქ უცადოსო ავსტრიელებს. ლიესკის ფერდობზე ავსტრიელების გამოჩენამ ყოველგვარ კინკლაობას საზღვარი დაუდო. ყველასთვის ცხადი გახდა, რომ ქალაქის დაცვა აღარ შეიძლებოდა. ყარამანლიმ მალლობზე, ქარვასლის წინ ორი ზარბაზანი დააგდო და ყველაზე უკანასკნელმა დატოვა ქალაქი. მაგრამ უკან დახევამდე თავისი მუქარა შეასრულა. შიკრიკს, ყოფილ მჭედელს, გოლიათური აღნაგობა და ჩიტის ჭკუა რომ ჰქონდა, უბრძანა, ალი-ხოჯა გაკოჭე და მარჯვენა ყურით კაპიის საფეხურებს შორის გამოჩრილ მუხის ძელზე მიაჭედო. ეს ძელი იმ ხანძარს გადარჩენოდა, ოდესღაც საჭურჭლო კოშკი რომ გადაბუგა.

თუმცა ხიდთან და მოედანზე დიდი მღელვარება და არეულობა იყო, მაინც ყველამ გაიგონა ყარამანლის ბრძანება. ოღონდ მისი ნათქვამი აინუშშიც არ ჩაუგდიათ. რა არ ითქმება, რანაირ ბრტყელ-ბრტყელ სიტყვებსა და ლანძღვა-გინებას არ გაიგონებს კაცი ასეთ დროს! ჰოდა, ესეც უასიდ მუქარად ჩათვალეს. ამისთვის არც ალი-ხოჯას მიუქცევია ყურადღება. მჭედელი, როცა ყარამანლიმ ალი-ხოჯას მიჯაჭვა უბრძანა, ზარბაზნებს ამოქლონებდა და ჯერთითქოს შეყოყმანდა, მაგრამ რაკი კაპიაზე ხოჯას მიჯაჭვის აზრი გამოითქვა, გაავებული და აფორიაქებული ადამიანები გონებაში სწონიდნენ, აღსრულდებოდა თუ არა ეს ბრძანება. ერთი მხრივ იგი ბევრს საძაგელ და შეუძლებელ ამბად ეჩვენა, როგორც სინამდვილეში იყო, მეორე მხრივ კი აგზნებულ ხალხს გულად ეძლეოდათ. ჰოდა, თანდათანობით ხოჯას მიჯაჭვა არც ისე ძნელ და შეუძლებელ საქმედ ეჩვენათ. ვითომ რატომაც არა? და აი, ორ კაცს უკვე ხოჯა გაქაჩული უჭირავს, ხოჯა არც გაძალიანებია, მჭედელსაც უეცრად შერცხვა საკუთარი ყოყმანისა და ხელახლა მოიმარჯვა ჩაქუჩი, რომლითაც ცოტა ხნის



წინათ ზარბაზნებს ამოქლონებდა. იმ ფიქრმა, რომ ავსტრიელები უკვე ნახევარი საათის სავალზე არიანო, სიმამაცე შეჰმატა და გადაწყვიტა საქმე ბოლომდე მიეყვანა. ალი-ხოჯაც თავის მხრივ ისე გააოგნა ავსტრიელების მოახლოვებამ, რომ ამ ახირებულსა და სამარცხვინო სასჯელს თვითონაც გულგრილად შეხვდა.

ასე აღსრულდა რამდენიმე წამში ის, რაც ერთი წუთის წინ ყოვლად წარმოუდგენელი ჩანდა. და თუმცა ყველას სამარცხვინოდ მიაჩნდა გულში ეს ამბავი, მაინც ყველას მიუძღოდა ბრალი, რომ ხოჯა კაპიის ძელზე ცალი ყურით მიაჭედეს. ხოლო როცა ავსტრიელების გამოჩენაზე ყველამ მოკურცხლა, ხოჯა მარტო დარჩა, მუხლებზე უძრავად დაჩოქილი, ამ მტანჯველსა და სასაცილო მდგომარეობაში, რადგან უბრალო შეტოვებაც საშინელ ტკივილს აყენებდა და ყურის გახვევას უქადდა, იგი მშველელს უხმობდა, მაგრამ მისი ძახილი არავის ესმოდა, რადგან მოსახლეობა ავსტრიელებისა და უკან დახეული აჯანყებულების შიშით საკუთარ სახლებსა და მახლობელ სოფლებში ჩაკეტილიყო. ქალაქი გაუკაცრიელებულსა ჰგავდა. ხიდი კი ისე იყო დაცარიელებული, გეგონებოდა, სიკვდილს ჩამოუვლიაო. აღარც ცოცხლებსა და აღარც მკვდრებში აღარავინ დარჩა, ხიდის დასაცავად რომ აღმდგარიყო. მხოლოდ ალი-ხოჯა იყო ხიდზე ჩაყუნტული, თავი ძელზე მიეყრდნო, ტკივილისაგან ოხრავდა და, ამ დღეში მყოფიც, ყარამანლის საწინააღმდეგოდ ახალახალ მოსაზრებებს იგონებდა.



დასასრული შემდეგ ნომერში



### თარგმანს

### თარგმანი და ურთი ნიშნისათვის

### ჯამალუბდინის სიძე

**რ**ვა წლის მძევალი ოც-დაოთხი წლის ვაჟაკად დაუბრუნდა დაღესტანს. რა ძალა, მოთმინება და ეშმაკობა არ დასჭირდა იმამს შვილის დასაბრუნებლად. ბევრი რუსი ტყვე აძლია შამილმა თეთრ მეფეს შვილის სანაცვლოდ, მაგრამ ვერა და ვერ დაიყოლია. ახალგაზრდა მთიელი პეტერბურგში ჭირდებოდა მეფეს. შვილს მოგიკლავო, ემუქრებოდა შამილს, თუ არ შეწყვეტო რუსეთთან უაზრო ბრძოლას. მუქარა ვერ აშინებდა იმამს. შვილის სახელით წერდნენ (შეიძლება თვითონ შვილიც წერდა), რომ მეფე ძლიერია და მისი დამარცხება შეუძლებელია, დაღესტანი კი სისხლისგან იცლება და წინააღმდეგობის გაწევას მხოლოდ ზიანი და მწუხარება მოაქვსო. ჯიუტი იმამს არაფრის გაგონება არ უნდოდა.

სწორედ იმ ხანებში ჰაჯი-მურატი რამდენიმე მიურიდის თანხლებით რუსების მხარეს გადავიდა, დედა, ცოლი და ვაჟიშვილი კი მთებში დატოვა. ცხადია, ისინი შამილს ჩაუვარდნენ ხელში.

„თუ არ დაბრუნდები, — წერდა შამილი ჰაჯი-მურატს, — შენს შვილს ბულიჩს თავს მოვკვეთ, შენს დედასა და ცოლს კი მეომრებს მივუგდებ ნამუსის ასახდელად.“

არც ჰაჯი-მურატი იყო გულბელდაკრეფილი, ისიც ეძებდა თავისი ოჯახის გამოსახსნელად გზებს, რომ მერე თამამად შებრძოლებოდა ჯიუტი იმამს. იმ ხანებში ასე ამბობდა ჰაჯი-მურატი: „თოკითა ვარ დაბმული და თოკის ბოლო კი შამილს უჭირავს“. არანაირ გამოსასყიდზე არ შეიძლებოდა ლაპარაკი. ჰაჯი-მურატი ოჯახის გამოსხნას აპირებდა, რომ გაიგო, შამილმა თქვა: „ყველა-ყველა და ჰაჯი-მურატი ჭკუაზეც შეშლილა“.

\* დასაწყისი იხ. № 1, 2, 3, 1977 წ.



მაგრამ თუ შამილს ჰაჯი-მურატისკენ მიმავალი თოკის ბოლო ეპყრა ხელთ, ჰაჯი-მურატს პირდაპირ შამილის გულისკენ მიმავალი უწვრილესი ძაფი ჰქონდა ხელზე დახვეული. ეს ძაფი ჯამალუტდინი იყო. ჰაჯი-მურატმა ვორონცოვს თხოვა: „გაუშვას თეთრმა მეფემ ჯამალუტდინი მამამისთან, იქნებ ჩემი ახლობლები დამიბრუნოს სანაცვლოდ. სანამ ჩემი ოჯახი მის ხელთაა, შამილის წინააღმდეგ ომში წასვლა იგივეა, საკუთარი ხელით რომ გამოვჭრა ყელი დედასაც, ცოლსაც, შვილსაც და ყველა ნათესავს“. ვორონცოვმა მეფეს მოახსენა ჰაჯი-მურატის თხოვნა და გაცვლაზე დაითანხმა.

„დაგიბრუნებთ შვილს, ჰაჯი-მურატის ოჯახს თუ გამოუშვებ“, — მისწერეს შამილს. გაწამდა შამილი, რა ერჩია, არ იცოდა. სამი ღამე არ უძინია არც თვითონ, არც მის ოჯახს. მეოთხე დღეს ჰაჯი-მურატის შვილი ბულიჩი იხმო.

— შენ ჰაჯი-მურატის შვილი ხარ?

— დიახ, იმამო, ჰაჯი-მურატის შვილი ვარ.

— იცი, რა ჩაიდინა მამაშენმა?

— ვიცი, იმამო.

— მე რას იტყვი ამაზე?

— რა უნდა ვთქვა, იმამო.

— ძალიან გინდა მისი ნახვა?

— ძალიან მინდა.

— მე გიშვებთ მამაშენთან შენც და თქვენს მთელ ოჯახსაც.

— მე ვერ წავალ მამაჩემთან, იმამო. ჩემი ადგილი დაღესტანშია, იქ კი დაღესტანი არ არის.

— უნდა წახვიდე, ბულიჩ, გიბრძანებ!

— არ წავალ, იმამო, მირჩევნია ახლავე გამათავო.

— გეტყობა, შენც მამაშენივით ქედუხრელი ხარ.

— ჩვენ ყველანი შენ წინაშე ვიხრით ქედს, იმამო, მაგრამ მამასთან წასვლას ნუ მომთხოვ. ომში წასვლა მიჯობს, სიცოცხლეს არ დავიშურებ.

— მამის წინააღმდეგ იბრძობლებ?

— მტრების წინააღმდეგ.

იმ დღეს შამილმა თავისი ერთ-ერთი საუკეთესო ხანჯალი აჩუქა ბულიჩს:


— ისე იხმარე, როგორც მამაშენი ხმარობდა, ოღონდ ყოველთვის გახსოვდეს, ვის უნდა ჩასცე.

არ გამოუვიდა ჰაჯი-მურატს ჩანაფიქრი — არ წავიდა ბულიჩი მამასთან და არც ჯამალუტდინი დაუბრუნეს იმამს.

შამილი ახლა სხვა გზებს ეძებდა შვილის გამოსახსნელად. მან თავისი მეორე შვილი ყაზი-მაჰმადი გაგზავნა სათარეშოდ წინანდალში ქართველი თავადის მამულში. ტყვედ ჩაიგდეს ქალბატონი ჭავჭავაძე, ქალბატონი ორბელიანი და ფრანგი გუვერნანტი ქალი. ეკატერინე ჭავჭავაძე მიუბრუნებმა ხის ფულუროდან გამოათრიეს.

ახლა კი შეეძლო შამილს თვითონ ეკარნახა პირობები თეთრი მეფისთვის. მეფე ხომ არაფერზე იტყოდა უარს თავადის ქალების გამოსახსნელად. „თავადის ქალებს მხოლოდ ჩემს შვილში გავცვლი“, ასეთი იყო შამილის საბოლოო სიტყვა. და აი, ეს დღეც დადგა. წყალუხვი მდინარის ერთ მხარეს თავისუფლებას ელოდებიან მოტაცებული ქართველი თავადის ქალები. მეორე მხარეს იმამის





ვაჟიშვილს რუსი მებრძოლები აცი-  
ლებენ. შამილმა ცხენი მიაგდო მდი-  
ნარესთან, გაღმა ნაპირზე ათვალე-  
რებს ხალხს, თავისი ჯამალუტდინი  
უნდა დაინახოს. რა ხანია არ უნა-  
ხავთ ერთმანეთი, იცნობენ კი ერთ-  
მანეთს?

იმამს რუსი ოფიცერი დაანახვეს,  
იგი სხვა ოფიცრებს ესაუბრებოდა,  
ეხვეოდა მათ, ემშვიდობებოდა, მერე  
განზე გამდგარ ასულს მიუახლოვ-  
და და ხელზე ეამბორა. დროდადრო  
თეთრონზე ამხედრებულ მამისკენაც  
აპარებდა თვალს ჯამალუტდინი.

— ეს არის ჩემი შვილი? — იკი-  
თხა შამილმა ისე, რომ თვალი არ მო-  
უშორებია ოფიცრისთვის. ცდილობ-  
და მისი არც ერთი მოძრაობა არ გა-  
მოპარვოდა.

— ჰო, ეგ არის ჯამალუტდინი.

— გაუტანეთ გაღმა ნაპირზე ჩო-  
ხა და ჩვენი იარაღი, დღეიდან ის  
მეფის ოფიცერი კი არა, დაღესტნის  
მეომარია. ხოლო რაც აცვია, მდი-  
ნარეში გადაყარეთ. ასე ჩემთან არ  
მოვუშვებ.

ჯამალუტდინმა მამის სურვილი  
შეასრულა და ტანსაცმელი გამოიც-  
ვალა. ჩოხაზე მთიელის იარაღიც შე-  
მოირტყა, მაგრამ ფაფახმა და ჩოხამ  
ვერ გამოცვალა ჯამალუტდინი, თავი  
და გული იგივე დარჩა.

აი, როგორც იქნა, გადავიდა მდი-  
ნარეზე ჯამალუტდინი და მამას მი-  
უახლოვდა.

— შვილო, ჩემო ძვირფასო!

— მამა!

ჯამალუტდინს ცხენი მოჰგვარეს.  
მთელი გზა ვედენამდე მამა-შვილი  
გვერდიგვერდ მიდიოდნენ. ხანდახან  
შამილი ეკითხებოდა:

— გახსოვს, ჯამალუტდინ, ეს აღ-  
გილები? ხომ არ დაგავიწყდა ეს  
კლდეები? გახსოვს ჩვენი აული გიმ-  
რი? გახსოვს ახულგო?

— მე ხომ მაშინ ძალიან პატარა  
ვიყავი, მამა.

— მითხარი, ერთხელ მაინც თუ  
გილოცია დაღესტნისათვის. ჩვენი  
ლოცვები ხომ არ დაგვიწყნია, ლექ-  
სები თუ გახსოვს ყურანიდან?

— სადაც მე ვცხოვრობდი, ყუ-  
რანი არ ჰქონდათ, — უხალისოდ პა-  
სუხობდა ჯამალუტდინი.

— ნუთუ შენ ერთხელაც არ და-  
გიჩოქნია ყოვლისშემძლე ალაჰის  
წინაშე? არ დაგიცავს ჩვენი ადათი,  
არ შეგისრულებია ნამაზი?

— ჩვენ უნდა მოვილაპარაკოთ,  
მამა.

შამილმა მათრახი გადაუჭირა  
ცხენს.

მეორე დღით შამილმა შვილი  
იხმო:

— შეხე, ჯამალუტდინ, როგორ  
ამოდის მზე მთებიდან, ხომ ლამა-  
ზია?

— ლამაზია, მამა.

— მიზადა ხარ სიცოცხლე გასწი-  
რო ამ მთებისთვის, ამ მზის-  
თვის?

— ჩვენ უნდა ვილაპარაკოთ,  
მამა.

— კი, ბატონო, დაიწყე.

— მამა, მეფე მდიდარი და ძლი-  
ერია. რას ვიცავთ, რისთვის ვიბრ-  
ძვით, ამ ღარიბი მთების, ამ სილა-  
ტაკისა და უმეცრებისათვის? რუ-  
სეთს დიდი ლიტერატურა აქვს, დი-  
დი მუსიკა და ენა. დაღესტანი მო-  
იგებს, რუსეთს თუ შეუერთდება.  
დროა, თვალი გავუხსწოროთ სიმარ-  
თლეს, დავყაროთ იარაღი და ჭრი-  
ლობები მოვიშუშოთ. დამიჯერე, მა-  
მა, შენზე ნაკლებად არ მიყვარს და-  
ღესტანი...

— ჯამალუტდინ!..

— ერთი აულიც არ არის დაღეს-  
ტანში ისეთი, ერთხელ მაინც არ გა-  
დაეწვათ, კლდე არ არის, ჭრილობა



არ აჩნდეს, ქვა არ არის, სისხლით არ იყოს მორწყული.

— გატყობ, შენ არც სურვილი გაქვს და არც შეგიძლია ამ დაჭრილი კლდეების დაცვა.

— მამა!

— მე შენი მამა არა ვარ, არც შენ ყოფილხარ ჩემი შვილი. შენი სიტყვები რომ მოისმინონ, მკვდრები ამოხტებიან საფლავებიდან, მაგრამ მე, ცოცხალმა, რა ვქნა ამის გამგონემ? ხედავ როგორ მოიქუფრნენ კლდეები?

შამილმა თავისი ოჯახი და ერთგულები მოიხმო.

— ხალხნო, მინდა გიამბოთ, რას ამბობს ჩემი შვილი... ის ამბობს, თეთრი მეფე ძლიერია, მეფის სახელმწიფო დიდია და ჩვენი ბრძოლა ამაოა. ამბობს, დროა დავყაროთ იარაღი და მორჩილად მოვიხაროთ ქედი მეფის წინაშე. ვინც ამის თქმას კი არადა, გაფიქრებას გაბედავდა, ერთი წუთითაც არ ვაჩერებდი დაღესტანში. დღეს კი ეს სიტყვები ჩემს ოჯახში მიესმის და ისიც ვისგან? ჩემი შვილისგან. რა ვუყოთ იმ კაცს, ვინც მეფემ გამომიგზავნა დაღესტნისა და ჩემს შესარცხვენად? კარგად იცით, რამდენჯერ დაუჩხვლეტია მტრის ხიშტებს დაღესტანი და ჩემი გულმკერდიც, ახლა კი ჩემი გამოკვერილი ხიშტი აუღესია მეფეს და შიგ გულში მიყრის. რა ვქნა, როგორ მოვიქცე?

დამწუხრებული უსმენდნენ ნათესავები იმამს. მარტო დედამ ვერ დაიჯერა და ვერა ეს ამბავი.

შამილი ჯამალუტდინს მიუბრუნდა:

— ეი, შენ, მთების მტერო, ისეთ ადგილას იცხოვრე, შენი ხმა რომ არ მომწვდეს. შენ აღარც მამა გყავს და აღარც დაღესტანი. მე ქართველი თავადის ქალები გავცვალე შენში, შენ

კი რა მოგიხერხო, ვისში გაგცვალო?

— რაც გინდა ის მიყავ, მამაჩემო, თუ გინდ მომკალი, ოღონდ ბოლომდე მომისმინე.

— საკმარისია, მე ყოველთვის ალაჰს ვუსმენდი, მაგრამ ახლა არც მისი მოსმენა მინდა. ის მეუბნება— „მოჰკალ მტერი“, მე კი ვპასუხობ— „ეს მტერი კი არა, გზააბნეული შვილია“. ვეუბნები, რომ არ შემიძლია საკუთარი თითის მოკვეთა. ჰოდა, იცოცხლე, ოღონდ ეგ ხანჯალი შეიხსენი, იარაღი მხოლოდ იმან უნდა ატაროს, ვისაც ბრძოლა სწადია.

შამილმა შორეულ აუღში გადაასახლა შვილი. მოწყვეტილი ფოთოლივით ცხოვრობდა იქ ჯამალუტდინი. დარდმა, ცუდმა საჭმელმა და შეუჩვეველმა ჰაერმა დაავადა იგი და ჭლექი შეჰყარა. იმამი იბრძოდა, შვილს კი უფრო და უფრო უჭირდა სუნთქვა. ჯამალუტდინი განწირული იყო. ამ დროს იმამის ფარულად ფატიმათი მოვიდა შვილთან. დედამ პურის ცომისგან გამომცხვარი სათამაშოები მოუტანა: ხანჯალი, არწივი, ხმალი. მერე ეზოდან წივა შემოიტანა და ცეცხლი გააჩაღა. გაათბო პურის სათამაშოები, კალთით მოაცილანაცარი, ერთი ცალი დაამტვრია და პატარა ბავშვივით მიაწოდა ჯამალუტდინს.

— როცა დედას რძე აქვს გამშრალი, ცდილობს ჯიხვის რძეს შეაჩვიოს ჩვილი, — თქვა ფატიმათმა.

ჯამალუტდინი გაოცებული თვალებით მისჩერებოდა დედას, თითქოს ახლა დაინახაო პირველად. უცბად გაახსენდა ახალგაზრდა და ლამაზი დედა. სწორედ ასეთ პურებს აჭმევდა ხოლმე ბავშვობაში, ცხენის მოყვანილობის აკვანში ჩაკრულს უმღეროდა დედა ძუ ლომის რძით გაზრდილ ჭაბუკზე. თავქვეშ ხის პატარა ხანჯალი ედო.



— დედა!—დაიყვირა ჯამალუტ-დინმა, როგორც ბავშვობაში იცოდა ხოლმე.

— ჯამალ, ჩემო ბიჭო, დამიბრუნდი! — შესძახა ფატიმათმა.

ჯამალუტდინმა იცნო ავადმყოფი შვილის სარეცელზე გადამხობილი დედა, ისევე რომ უმღეროდა ნანას, როგორც მისი ცხოვრების აისზე.

იმამი, ვისაც შვილმა ვერ გაუგო, თავის მიუხრიდებთან ერთად სადღაც შორს იბრძოდა. ფატიმათი კი გამოსათხოვარ სიმღერას უმღეროდა მომაკვდავ პირმშოს.

ჯამალუტდინს ეჩვენებოდა, რომ სადღაც ახლოს კლდეებში მდინარე კვნესოდა, კართან ხმელ თივაზე მწოლარე ხბოს ლანდავდა.

თავისი სახლი გაახსენდა გიმრში, მამა და თავისი პირველი ცხენი. დედა მხიარულ დინგირ-დანგარჩუზე უმღეროდა, წვიმის ნაკადს რომ აპყოლოდა ზეცაში.

- საით მიდიხარ, დინგირ-დანგარჩუ?
- ტყეში, — პასუხობს დინგირ-დანგარჩუ.
- ტყეში რა გინდა, დინგირ-დანგარჩუ?
- ხეებს ვჭრი, — ამბობს დინგირ-დანგარჩუ.
- ხეებს რატომ ჭრი, დინგირ-დანგარჩუ?
- ქოხს დავდგამ, — ამბობს დინგირ-დანგარჩუ.
- ქოხი რად გინდა, დინგირ-დანგარჩუ?
- ქალს ვითხოვ, — ამბობს დინგირ-დანგარჩუ.
- ქალი რად გინდა, — დინგირ-დანგარჩუ?
- შვილები მინდა დინგირ-დანგარჩუს.
- შვილები რისთვის, დინგირ-დანგარჩუ?
- მამულისათვის, — ამბობს დანგარჩუ.

ჯამალუტდინს მშობლიური მთები დაუდგა თვალწინ. თოვლი დნება და ქვეებს მოაგრიალებს ნიადვრები. ქედებზე ღრუბლები მიცოცავენ. უცხო ქვეყანაში დაეწყებული დაღესტანი შექმოეჯარა ირგვლივ ჯამალუტდინს. დედა კი ისევ მღეროდა

და მღეროდა. ეს ის სიმღერები იყო, ვაყიშვილის დაბადების დროსაც რომ იმღერება და მისი სიკვდილის დროსაც. შვილების მერე სიმღერები დარჩებაო მათზე, მღეროდა დედა. დედა შამილზე მღეროდა, ჰაჯი-მურატზე, ყაზი-მაჰმადზე, გამზათ-ბეკზე, მამაც ხოჩბარზე, პარტუ-ფატიმათზე, ნადირ-შაჰის განადგურებაზე, იმათზე, ვინც ლაშქრობიდან ვერ დაბრუნდნენ. კერიაზე ცეცხლი ინავლებოდა, დაღესტანი კი ომის ხანძარში გიზგიზებდა. ეს ორივე ცეცხლი ისარკებოდა ახლა ჯამალუტდინის თვალებში. გაიღვიძა, იფეთქა შვილის სიყვარულმა დაღესტანისადმი. იგი მოუწოდებდა, მამის გვერდით დამდგარიყო ჯამალუტდინი.

— დედა, მე მხოლოდ ახლა დავბრუნდი დაღესტანში, მხოლოდ ახლა შეევხვდი მამაჩემს. მომიტანე იარაღი, მე შამილის შვილი ვარ და კერიის პირას არ უნდა მოვკვდე. იქ გამიშვით, სადაც სროლაა.

დიახ, დედის სიმღერამ შესძლო ის, რის წინაშეც უძლური აღმოჩნდა ყურანიც და მამის ბრძანებაც.

მაგრამ ეს წამიერი აფეთქება იყო. დედის სიმღერამ ვერ დაადუნა სხვა სიმღერები ჯამალუტდინის გულში. მას არ შეეძლო დაევიწყნა პეტერბურგი, სადაც გაიზარდა. უცხო ენაზე უკითხავდა იგი დაღესტნელ მთიელებს გაუგებარ სტრიქონებს:

Люблю тебя, Петра творенье,  
 Люблю твой строгий, стройный вид,  
 Невы державное течение,  
 Береговой ее гранит,  
 Твоих оград узор чугунный,  
 Твоих задумчивых ночей  
**Прозрачный сумрак, блеск безлунный,**  
 Когда я в комнате моей  
 Пишу, читаю без лампы  
 И ясны спящие громады  
 Пустынных улиц, и светла  
 Адмиралтейская игла...



უცნაურად ყლერდა ეს სიტყვები მალაღმთიანი აულის გაბოლილ ქოხში. ჯამალუტდინს ესიზმრებოდა ხოლმე, ვითომ ისევ კადეტთა კორპუსში იყო და ზაფხულის ბაღთან ქართველ მზეთუნახავ ნინოს ხვდებოდა...

ორი არწივი ჩაბუდებულიყო ჯამალუტდინის სხეულში და შუაზე უგლეჯდნენ გულს. ორი სიმღერა წკრიალებდა მის სულში. ახლა შორსაა საყვარელი ნინო. დიდი მდინარე ჩაუდით შუაში. ფოსტაც ვერ მიდი-მოდის ამ მდინარეზე. ამ მდინარეში დაიღრჩო რუსი ოფიცერი — დაღესტნის იმამის ვაჟიშვილი. მდინარემ წაიღო ყველა მისი ოცნება და მათ შორის ერთი უმთავრესი. ჯამალუტდინის სანუკვარი ოცნება იყო ხიდი აეგო ამ უზარმაზარ მდინარეზე, შეეერთებინა ორი ნაპირი, ომის მრისხანებისა და უაზრო ხოცვა-გლეჯის ნაცვლად მეგობრობა და ესაღგურებინა. ჯამალუტდინს ესმოდა იმ სიმღერების, მთაში რომ მღეროდნენ, ესმოდა დედის სიმღერები, მაგრამ პუშკინის სიმღერებიც ესმოდა. ორი სიმღერა შერწყმულიყო მის გულში. ოჰ, ამას რომ მიმხვდარიყო მამა, ამას რომ მიმხვდარიყვნენ ყველანი... ან თვით სიმღერებს რომ გაეგოთ ერთმანეთისთვის და შეეკარებოდათ ერთმანეთი!..

მაგრამ სიმღერები ხმლებს ჩამოგავდნენ. ნაპერწკლებს ისროდნენ ერთმანეთთან შეტაკებისას. სისხლისგან იცლებოდა დაღესტანი და სისხლზე მღეროდა, მამაცებზე მღეროდა, ყორნებისაგან ამოკორტნილ თვალებზე, ცხენების ფთქვენაზე, ხანჯლის წკრიალზე, შინ უმხედროდ მობრუნებულ ბედაურზე მღეროდა, ვისი პატრონიც ბრძოლის ველზე დაცემულა.

მაშინ კი, როდესაც სიმღერებს

ერთმანეთის ესმოდათ, როცა გაღმა ნაპირის ხალხს გამოღმა ნაპირის სიმღერები ესმოდა, სროლა წყდებოდა, აღარ ისმოდა ხანჯლების წკრიალი, აღარ იღვრებოდა სისხლი, ძირს ეშვებოდა შურისსაძიებლად აღმართული წელი და გულში ბოროტების ნაცვლად სიყვარული ისაღგურებდა.

მდინარე ვალერიკთან ბრძოლაში დაჭრილი მიუზრდი მოლა-მაჰმადი რუსებს ჩაუვარდა ტყვედ; აულში დაღუპული ეგონათ იგი და გამოიტორეს. ერთი თვის შემდეგ კი ცოცხალა და ჯანმრთელი დაბრუნდა შინ. გაოცებული ხალხი ეკითხებოდა, როგორ მოახერხეთ შინ დაბრუნება. ამან გააბრაზა მიუზრდი და თქვა:

— არ იფიქროთ, რომ მოლა-მაჰმადს სიცრუითა და მლიქვნელობით მოეხერხებინოს დაბრუნება. მე მშიშარა არ ვახლავართ.

— რას ამბობ, ვიცით, რომ მამაცი მიუზრდი ხარ და ალბათ ხმლით ვაიკაფე გზა.

— არა, ხმალი არ მქონია და რომც მქონოდა, ვერ მიშველიდა.

— მაშინ როგორ დაიხსენი თავი?

— სარდაფში ჩამაგდეს და კარზე ბოქლომი დაადეს.

— მერე, როგორ გრძნობდი იქ თავს?

— ხაფანგში გაბმულ ჯიხვივით. მაგრამ სწორედ ამ სარდაფში გამახსენდა უცბად სიმღერა ალიზე, ვერაგმა ძმებმა ციკაბო კლდეზე რომ მიატოვეს. ჰოდა, ვიმღერე ეს სიმღერა. მერე სხვა სიმღერებიც მივაყოლე. იმ ფრთოსნებზე ვმღეროდი, გაზაფხულზე რომ გვეწვევიან ხოლმე, წეროებზე, შემოდგომაზე რომ გვემშვიდობებიან, ვმღეროდი ხელმოცარული მონადირისგან ცხრა გზის დაჭრილ ირემზე, შემოდგომათა



თუ ზამთარზე. ისეთი სიმღერები ვიმღერე, კაციშვილს რომ არ ემღერა ჯერ. სამი დღე სიმღერის მეტი არაფერი მიკეთებია. გუშაგები არ მიშლიდნენ. სიმღერა მაინც სიმღერაა, თუნდაც მისი სიტყვები არ გესმოდეს. სიმღერას ყველა უსმენს. ჰოდა, ერთხელ გუშაგებთან ოფიცერი მოვიდა. ვიფიქრე, ჩემი აღსასრული დადგა-მეთქი. ოფიცერს ერთი კაცი ახლდა — ჩვენი ენა ესმოდა. „ოფიცერს სურს გაიგოს რაზე მღერი, რას ეხება შენი სიმღერა. ერთხელ კიდევ გვიმღერე,“ — მითხრა იმ კაცმა. მე ცეცხლმოდებულ დაღესტანზე ვიმღერე. კიდევ იმღერეო, მთხოვეს. ახლა საწყალ დედაჩემზე და ჩემს საყვარელ ცოლზე ვიმღერე. ოფიცერი მისმენდა და მთებისკენ იცქირებოდა. მთები კი ღრუბლებში გახვეულიყო. ოფიცერმა გუშაგებს უთხრა, ეს კაცი გაუშვიტო. იმ კაცმა კი, ჩვენი ენა რომ იცოდა, მითხრა: „ოფიცერი განთავისუფლებს. ძალიან მოეწონა შენი სიმღერები და ამიტომ სამშობლოში გიშვებს.“ ამის შემდეგ ხშირად მიფიქრია, რა იქნება დაღესტანის მღეროდეს-მეთქი მუდამ სისხლის ღვრის ნაცვლად?

შამილმა კი შინ დაბრუნებულ მიუბრუნებულ უთხრა:

— კი მაგრამ მე ხომ ავკრძალე სიმღერა, რატომ მღეროდდი?

— შენ დაღესტანში ავკრძალე სიმღერა, იმამო, იქ ხომ არ ავიკრძალავს.

— მომწონს შენი პასუხი, — უთხრა შამილმა და ცოტა ხნის დაფიქრების შემდეგ თქვა, — შეგიძლია შენთვის იმღერო, მოლა-მაჰმადო.

ამის მერე ხალხი მოლა-მაჰმადს სიმღერით გადარჩენილ მაჰმადს უწოდებდა.

სიმღერა იყო საჭირო დაღესტნის გადასარჩენად, მაგრამ განა ყველა ისე გაიგებდა-მას, როგორც იმ ოფიცერმა გაიგო? ნეტავ ვინ იყო ის ოფიცერი, ვინ იცის, იქნებ პორუჩიკი ლერმონტოვი იყო, ისიც ხომ მდინარე ვალერიკთან იბრძოდა მაშინ.

ერთ ამბავსაც მოგიყვებით. თემირ-ხან-შურზე თავდასხმიდან გამარჯვებული ბრუნდებოდა შინ ჰაჯი-მურატი თავის რაზმთან ერთად. უცბად ტყეში გზის მახლობლად ორ რუს ჯარისკაცს მოჰკრა თვალი. ისინი მშვიდად ისხდნენ ცეცხლის პირას და მღეროდნენ. ერთ-ერთ მებრძოლს, ცოტა რომ გაეგებოდა რუსული, ჰაჯი-მურატმა ჰკითხა:

— რაზე მღერიან?

— დედაზე, სატრფოზე, შორეული სამშობლოს წვიმებზე.

დიდხანს ისმენდა ჰაჯი-მურატი რუსების სიმღერას და ბოლოს ჩუმად თქვა:

— ესენი მტრები არ არიან, თავი დაანებეთ, იმღერონ სიმღერა დედაზე.

ასე ააცილა სიმღერამ ტყვია ადამიანებს. რამდენი ასეთი ტყვია იქნებოდა აცდენილი, ერთმანეთისა რომ ესმოდეთ ადამიანებს.

მესამე შემთხვევა. დაღესტნის რევკომმა მახაჩმა ხუნზახის პარტიზანებთან ცნობილი პოეტი მაჰმუდი გააგზავნა მიეტად საყურადღებო ბარათით და თან დააბარა:

— ხანჯლით კი არა, ფანდურით გაიკაფე გზა.

აულ ცადანიხში მაჰმუდი შეიპყრეს და ორმოში ჩააგდეს, მახაჩის წერილიც აღმოუჩინეს და, ცხადია,



დახვრეტა არ აცდებოდა. იჯდა მაჭ-  
მული ორმოში და მღეროდა სიყვა-  
რულზე. მთელი აული მოაწყდა სიმ-  
ღერის მოსასმენად, ის კი არადა სხვა  
აულებიდანაც მოვიდა ხალხი. მაშინ  
კი დაფიქრდა ნაჟმუდინ გოცინსკი:  
„დღეს რომ ეს მომღერალი მოვკლა,  
ხვალ ყველა მთიელი ზურგს შემაქ-  
ცევს“, და გაანთავისუფლეს პოეტი.

ირჩი კაზაკი ამბობდა, ციმბირში  
გადასახლებულს დარდი მომიღებდა  
ბოლოს, ჩემი სიმღერები რომ არ  
ყოფილიყვნენო ჩემთან ერთად.

ბევრი ასეთი ამბავია და უნდა  
დავუჯეროთ მათ. ბევრს შეუნარჩუნა  
სიმღერამ სიცოცხლე, ბევრი ფეხო-  
სანი მხედრად აქცია. ცოტა მხდალს  
როდი დავიწყნია შიში მამაცებზე  
სიმღერის მოსმენის შემდეგ.

ეს ამბავი კი აბუთალიბისგან მო-  
ვისმინე.

ინდოეთიდან დაბრუნებულს აბუ-  
თალიბი ბევრს მეკითხებოდა ამ ქვე-  
ყანაზე. მეც ვუთამბობდი, როგორ უკ-  
რავდნენ სალამურებზე გველების  
მომნუსხველი ფაკირები, ბალერინე-  
ბივით რომ აცეკვებდნენ კობრას.

— ეს არ მიკვირს, — მითხრა  
აბუთალიბმა, — ჩვენი ჩობნები რომ  
უკრავენ, ჯიხვები ცეკვავენ ციცაბო  
კლდეებზე. ჩემი თვალთ მინახავს,  
როგორ მოდიოდნენ სიმღერის ხმა-  
ზე ყველაზე უფრო მფრთხალი ირ-  
მები. ჩემი თვალთ მინახავს, ჯამბა-  
ზებივით რომ ბუქნავდნენ დათვები  
ზურნის ჭყვიტინზე, — აბუთალიბი  
გაჩუმდა და ცოტა ხნის შემდეგ გა-  
მოტყდა: — მუსიკა მეც დამხმარებია  
ცხოვრებაში. შენ ალბათ იცი, რომ  
ყველაზე მეტად ზურნა მიყვარს.  
შორს მიდის მისი ხმა. ისაა ძეობის,  
სტუმრის წვევისა თუ ქორწილის მა-  
უწყებელი. თუ ვინმემ ხალიჩაზე

სძლია მეტოქეს, ან დოღში თუ ისა-  
ხელა ვინმემ თავი, ისევ და ისევ  
ზურნაა ამ სასიხარულო ამბის მაცნე  
დაღესტანში. ის ყველა მუსიკალური  
საკრავების თამადაა. იმიტომაც მიყ-  
ვარს ზურნა, რომ ის მაჭმევდა ჩემს  
სიყმაწვილეში პურს. ახლა მოგიყვე-  
ბი, რა გადამხდა ერთხელ თავს:

— მაშინ ახალგაზრდა ვიყავი. ვი-  
ლაცამ შორეულ აულში მიმიწვია  
ქორწილზე. ზამთარი იყო, ბარდნი-  
და. გზა ისე იყო დახლართული, რო-  
გორც ციფრები ორი, სამი, ხუთი თუ  
რვაა. დავიღალე და დასასვენებლად  
ქვაზე ჩამოვჯექი. აულამდე გზის გა-  
ლევას კიდევ მთელი ქისა თუთუნი  
დაჭირდებოდა. უცბად მოსახვევში  
ეყვნების ჟღარუნი გაისმა და გზაზე  
ფაეტონმა ამოყო თავი. შიგ სამი კა-  
ცი იჯდა, მაძლარნი, მთვრალნი  
და მხიარულნი. მდიდრები იყ-  
ნენ. ცხენებიდან ერთი შაქარივით  
თეთრი იყო, მეორე ყორანივით შა-  
ვი, მარტო თეთრი ვარსკვლავი  
უშვინებდა შუბლს. „ასალამ ალე-  
იქუმ“. — „გასალამ ალეიქუმ“. გავი-  
გე, ისინიც იმ ქორწილში მიდიოდ-  
ნენ, და ვთხოვე, მეც წამიყვანეთ-  
მეთქი. იმათ კი, როგორც ახლა  
უღირსმა მძღოლებმა იციან, უარი  
მითხრეს და სიცილიც დამაყარეს:  
„არა უშავს, მეორე ქორწილს ჩაუს-  
წრებ აულში, ეს ქორწილი კი უშე-  
ნოდაც იოლად ჩატარდება“.

დალილმა და განაწყენებულმა  
ამოვიღე ჩემი ზურნა და ჩავბერე.  
ასე გემრიელად არასოდეს დამიკრავს  
და სასწაულიც მოხდა. ზურნის ხმა  
რომ შეესმათ, ცხენები გაშეშდნენ.  
მგზავრები ცხარობდნენ, მათრახებს  
უტყლაშუნებდნენ, მაგრამ ამაოდ,  
ცხენები ადგილიდან არ იძვროდნენ,  
ეტყობა, ჩემი დაკვრა მოეწონათ.  
პატრონებზე უფრო მეტი ადამიანო-  
ბა ცხენებს აღმოაჩნდათ. დიდხანს



გაგრძელდა ჩვენი დავა, ცხენები ჩემს მხარეზე იყვნენ და პატრონები იძულებული გახდნენ ფაეტონში ჩავესვი. ასე მიშველა ჩემმა ზურნამ. მე ხომ სიმღერებმა გამომიყვანა სარდაფიდან პატივისა და დაფასების დიდ გზაზე.

მე ასეთი შეკითხვა მივცე აბუ-თალიბს:

— აი, შენ ზურნაზეც უკრავ, სალამურზეც და რა ვიცი, რაღაზე არა. მარტო დაკვრა კი არადა, საკრავის გამოთლაც შეგიძლია. ჰოდა, გამაგებინე, რატომ ვიოლინოზე ვერ უკრავ, მთიელებს ხომ ძლიერ უყვართ ეს საკრავი?

— გიამბო, რატომ არ ვუკრავ ვიოლინოზე? მომისმინე. ახალგაზრდობაში ვიოლინოზეც ვუკრავდი. ერთხელ ჩვენს ლაკურ აულში საცოდავი, ჩამოძონძილი ავარელი მოვიდა. თანასოფელი მოეკლა და გამოეძევებინათ. გამოძევებულს ყოველთვის აულის ბოლოს მიუჩენენ ხოლმე ბინას. არც ხალხი დადის მასთან და არც ის ეკარება ხალხს. რაკი ცოტა გამეგებოდა ავარული ენა, ათასში ერთხელ მივდიოდი მასთან. ერთხელ ჩემი ვიოლინოთი ვეწვიე. საღამო იყო, შუაღამოს მიჯდომოდა და ჩაფერფლილ ჩალას უჩიჩხინებდა ქვაბის ქვეშ. ქვაბშიც ასეთივე ჩალა თუხთუხებდა. მე ვიოლინოზე დაკვრა დავიწყე, საწყალი ავარელი კი ცეცხლს ჩასჩერებოდა და მდუმარედ მისმენდა. მერე მოულოდნელად ჩემი ვიოლინო აიღო ხელში, შეათვალიერა, შეატრიალ-შემოატრიალა, ააწყო და დაიწყო დაკვრა. ჰო, ჰო, როგორ უკრავდა, რასულ, ჩემ ცხოვრებაში ვერ დავივიწყებ იმ დაკვრას. იფერფლებოდა კერაზე ჩალა. ხანდახან აბრიალდებოდა და ჩახჩახა სინათლე თვალებში გვანათებდა, თვალები კი დროდადრო ცრემლით

გვევსებოდა. მე ავარელს დავუტოვე ვიოლინო და შინ წამოვედი. მეორე დღეს გავემგზავრე, მისი აულიც მოვძებნე და მისი მოსისხლეებიც. მივიყვანე ისინი გაძევებულის ქობთან. დღეს ჩემს ქობში აღამებდნენ, ღამეს კი მოკვეთილის ქობთან ვათენებდით და ვისმენდით, როგორ უკრავდა იგი ვიოლინოზე. ასე გრძელდებოდა სამი ღამე. მეოთხე ღამეს მოსისხლეებმა ხელი აიღეს შურისძიებაზე. „დაბრუნდი აულში, გვიპატიებია დანაშაული“, — ასე უთხრეს თანასოფელს. გამომშვიდობებისას ავარელი ვიოლინოს მიბრუნებდა, მაგრამ არ გამოვართვი: „სულ ერთია, შენსავით ვერასოდეს დავუკრავ, შენზე უარესად კი აღარ ღირს დაკვრა, ამიტომ ვიოლინოც აღარ მჭირდება, — ვუბახუხე მე. მის მერე ვიოლინო ხელში აღარ ამიღია. იმ მუსიკას კი, მოსისხლეები რომ შეარბია, ჩემს სიცოცხლეში ვერ დავივიწყებ. ხშირად მიფიქრია: რა იქნება, ყველას მოასმენინო ასეთი დაკვრა, მაშინ კაციშვილი არ ჩაიდენდა ბოროტებას და არც მტრობა იქნებოდა-მეთქი ქვეყანაზე.

ახლა ორ პატარა ამბავს მოგიყვებით მამაჩემზე.

ერთმა გოციტლელმა, სახელად ჰაჯი რომ ერქვა, ხუნზახში სამიკიტნო გახსნა, მამაჩემი მიიწვია და უთხრა:

— შენ მთებში სახელგანთქმული კაცი ხარ. რა იქნება სიმღერა დამიწერო ჩემს სამიკიტნოზე და სახელი გაუთქვი, გასამრჯელოზე არ გალაპარაკებ.

მამამ მართლა დაწერა ლექსი გოციტლელის სამიკიტნოზე და სახელიც გაუგდო, როგორც უვარგისსა და ბინძურს. ამის მერე თითოთ უჩვენებდნენ ხოლმე სამიკიტნოსა და



მიკიტანზე და ამბობდნენ: „აი, ვინ შეამყო ჩვენმა ჰამზათმა“.

მიკიტანმა ლექსის ამბავი რომ გაიგო, აწრიალდა, უნაგირიანი ცხენი შესთავაზა მამაჩემს, ოღონდ მაგ ლექსს ნუ გაახმაურებო. მაგრამ სიტყვა ერთ უღელტეხილს თუ გადასცდა, ველარაფერი შეაჩერებს, მთელ მთებს შემოივლის. მამაჩემის სიმღერა უხეირო მიკიტანზე მალე ყველა აულში იცოდნენ, დღესაც მღერიან. ჰაჯის კი რალა დარჩენოდა, ადგა და დაკეტა სამიკიტნო.

ერთხელ სახლიდან ცხვრის დაშაშხული ნეკნები მოგვპარეს. იმათ რალას ვიპოვიდით, მაგრამ აულში ხმა გავრცელდა, ჰამზათმა სიმღერა დაწერაო ქურდზე. იმავე დღეს ვილაცამ ჩვენს აივანზე შემოაგდო დაშაშხული ნეკნები. მამაჩემს კი აზრადაც არ მოსვლია ამ სიმღერის დაწერა.

ახლად შეუღლებულნი ზოგჯერ კინკლაობენ ხოლმე. ასეთ დროს მეგობრები, უმეტესად ქმრის მეგობრები მოდიან და იმათი ფანჯრის წინ ჩონგურზე უკრავენ. მუსიკის ჰანგები მოჩხუბარ ცოლ-ქმარს აშოშმინებს.

მეც მყავდა კარგი მეგობარი — ფოტოგრაფი და მუსიკოსი ამინ ჩუტოევი. ჩემი ქორწინების პირველ ხანებში მასაც ხშირად უხდებოდა ჩემი ფანჯრების წინ დაკვრა.

ამინ ჩუტოევი, რატომ არ აიღებ შენს ვიოლინოს და არ დაუკრავ მსოფლიოს ფანჯრების წინ, რომ დაშოშმინდეს და მოწესრიგდეს ჩვენი საუკუნის სადავო საკითხები?

ჩიკაგოში ერთ-ერთ შეხვედრაზე ცხარედ შევეკამათე ერთ ჩემს ამერიკელ კოლეგას. ჩვენი მორიგება თითქოს არაფერს შეეძლო, მაგრამ ამერიკელმა თავისი ძმის

ლექსები წაიკითხა, უკანასკნელი ომის დროს რომ დაღუპვოდა გერმანიაში. მე კიდევ ჩემი ძმის ლექსები წავუკითხე, ისიც სწორედ მაშინ დაიღუპა და სწორედ გერმანიაში. ჩვენმა ჩხუბმა ჭირი მოგვამათ, ვკითხულობდით და ვისმენდით მხოლოდ ლექსებს. სხვაგვარად იქნება საქმე, ხშირად რომ ვიხსენებდეთ ომში დაღუპულთ, ხშირად რომ ვიშველიებდეთ ლექსებსა და სიმღერებს!

ჩემი წინაპრები ხშირად ილაშქრებდნენ მეზობელ საქართველოზე. ერთ-ერთი ასეთი ლაშქრობის დროს ტყვედ ჩაიგდეს და მთებში წამოიყვანეს ახალგაზრდა გურამიშვილი, მომავალი ქართველი კლასიკოსი.

აულ უნცუკულში, ორმოში ჩაგდებული საბრალო ტყვე ქართულ სიმღერებს მღეროდა, იქვე დაიწყო ლექსების თხზვაც. უნცუკულიდან რუსეთს მოახერხა გურამიშვილმა გაქცევა, შემდეგ კი უკრაინაში გადავიდა.

მე ვიყავი თბილისში ამ შესანიშნავი პოეტის იუბილეზე, სიტყვაც მომცეს. ხუმრობით შევნიშნე, რომ საქართველო ჩვენ უნდა გვიმადლოდეს შესანიშნავ პოეტს — დავით გურამიშვილს. ჩვენ რომ არ მოგვეტაცებინა იგი და ორმოში არ ჩაგვეგდო, შეიძლება ლექსების წერა არ დაეწყო, ვერც რუსეთში მოხვდებოდა და ვერც უკრაინაში. სხვანაირად აეწყობოდა მისი ცხოვრება. მერე კი დავსძინე: „ჩემმა წინაპრებმა არ იცოდნენ, ახალგაზრდა თავადი გურამიშვილი პოეტი თუ იყო, თორემ არ მოიტაცებდნენ. მაგრამ ასეა თუ ისე, თუ წინათ გურამიშვილი იყო დაღესტნელების ტყვე, ახლა დაღესტნელები არიან მისი პოეზიით დატყვევებულნი. ხედავთ, როგორ შეიცვალა დრო?!“



ახლა ახალ სიმღერებს მღერიან, მაგრამ არც ძველი დაგვივიწყნია. დალესტნის ხალხი ამ ძვირფას საუნჯეს ყველას უნაწილებს.

მკაცრია მთების ბუნება. ძველ დროში უამრავი ბავშვი იღუპებოდა აქ, მაგრამ ვინც გადარჩებოდა, ასწელზე მეტს ცოცხლობდა.

არც ყველა სიმღერა გადარჩენილა, მაგრამ რომელიც გადარჩა, საუკუნეებს გაუძლებს.

რატომღაც ბიჭები უფრო იხოცებოდნენ, გოგოები უფრო ამტანები, სიცოცხლის უნარიანები იყვნენ.

სიმღერებიც ასეა. მამაკაცური, ჯიგითური, საბრძოლო, სალაშქრო სიმღერები, სიმღერები ხმლით კაფვაზე, საფლავეებზე, შურისგებაზე, სისხლზე, სიმამაცეზე რატომღაც უფრო ნაკლებად რჩება ხსოვნაში, ვიდრე სატრფიალო სიმღერები.

მაგრამ ყველა ძველი სიმღერა თითქოს წინასიტყვაობაა დალესტნის ახალი იმუსიკისა. ახალი სიმღერებია დაჭიმული ძველ ფანდურზე. და აი, მთიელი ქალების მოქნილი თითები დასრიალებენ ფორტეპიანოს თეთრსა და შავ კლავიშებზე.

მე იმ სახლში დავიბადე და გავიზარდე, სადაც სიმღერა მეფობდა. გაუბედავად ავიღე ხელში ფანქარი, მეშინოდა პოეზიას ვზიარებოდი, არადა, სხვაგვარად არ შემიძლო. ძნელი იყო ჩემი იმდგომარეობა. ვის რაში სჭირდებოდა ჰამზათ ცადასის მერე რასულ ცადასი? ერთი აულიდან, ერთი ოჯახიდან, ერთი დალესტნიდან?

სადაც არ უნდა წავიდე, სადაც არ უნდა შევხვდე ხალხს, ახლაც კი, როცა ჭაღარა მომიძალა, ასე ამბობენ: „ახლა სიტყვა ეძლევა ჰამზათის შვილს — რასულს“. იოლი საქმე არაა ჰამზათის შვილობა, მაგრამ თავისთავადი ვიყო მინდა.

ერთხელ მთიან რაიონში გავემგზავრე. რამდენიმე აული მოვიარე, ერთი აული ცუმადალა დამრჩა. შორიდან დავლანდე აულის ბოლოში თავმოყრილი ხალხი, ზურნას უკრავდნენ, სიმღერაც გავიგონე. ვილაცას ელოდებოდნენ. სხვა არავინ იყო და, ალბათ მე მხვდებიან-მეთქი, ვიფიქრე. მესიამოვნა და მეუხერხულა კიდევც, თითქოს ჯერ არ მქონდა დამსახურებული ასეთი შეხვედრა. მივუახლოვდით, მანქანიდან გადმოვედით.

— სად არის მოხუცი ჰამზათი? — კითხულობს ხალხი.

— ჰამზათი მახაჩყალაშია, ის არც აპირებდა ჩამოსვლას, სამაგიეროდ მე ჩამოვედი, ჰამზათის შვილი რასული.

— ჩვენ კი გვითხრეს, ჰამზათი ჩამოვაო.

ხალხმა დაშლა დაიწყო. რამდენიმე ახალგაზრდალა დარჩა ჩემ გარშემო. დავიწყეთ სიმღერა. დიდხანს ვმღეროდით. ხალხური სიმღერებიც ვიმღერეთ, მამაჩემის სიმღერებიც და ერთი ჩემი სიმღერაც.

ჩემი სიმღერა პატარა ბიჭს ჰგავდა, კიბეზე რომ მიჰყვება უკან მამას. ბიჭს მათრახი უჭირავს, მამას კი უნაგირი მიაქვს.

ჩვენებურო ფანდურო, რაც უფრო მემატება ხანი, რაც უფრო უკეთ ვეცნობი ცხოვრებას, ხალხს, ქვეყანას, მით უფრო მეშინია შენი ხელში აღება. შენს სიმებს ათასეული წლები ჭიმავდა და აწყობდა. ათასობით მომღერალმა აგახმიანა ჯადოსნურად. როცა შენს აწყობაზე მიდგება საქმე, გული მიჩერდება. იმ წუთას სიმი რომ გაწყდეს, ალბათ გულიც გამისკდება. არადა, რა ადვილად შეიძლება გაწყდეს სიმი. ეს კი სიმღერის მოკვლას ნიშნავს.

მაგრამ რაც არ უნდა მოხდეს, ხელში უნდა ავიღო, უნდა აგაწყო



და ჩემი სიმღერა დაგაკვრევინო, თუნდაც დაიკარგოს იგი, აჯობოს დაღესტნის სხვა სიმღერებმა. ჩემი ხმა ხომ ძველი მომღერლების ხმას ვერ შეედრება, ჰო, ჩვენი სიმღერები ახლა სხვანაირია.

— ნუთუ მაჰმუდის მერე აღარავის შეყვარებია ვინმე? რატომღაც აღარ ისმის სატრფიალო სიმღერები.

— შეყვარებით კი შეყვარებია, მაგრამ სიმღერები რა საჭიროა. მუის არ ჭირდება არც სერენადები და არც მოტაცება, მუი თვითონ მოდის.

— ნუთუ შამილის შემდეგ გადაშენდნენ მამაცები? რაღაც არ ისმის სიმღერები მამაც ადამიანებზე და გამირულ ბრძოლებზე.

— მამაცები ალბათ ისევ არიან, მაგრამ რა საჭიროა ახლა საბრძოლო სიმღერები, როცა ხმლებსაც კი მშვიდობა სწყურიათ?

მერე რა, ჩემი ხმა დაღესტნის სხვა ხმებში თუ დაიკარგება. მოვლენ სხვები და ჩემს დაწყებულ სიმღერას დაამთავრებენ. სიბერე ცხოვრების ბევრ სიხარულზე უარს ათქმევინებს ადამიანს, ართმევს ძალას, თვალის ჩინს, ყურთა სმენას, ბინდის ფარდით განაშორებს სამყაროს. ღვინიანი ჭიქის დაჭერაც კი აღარ ძალუძთ ხელებს.

მე კი არ მეშინია სიბერის. ყველაფერი რომ წამართვას, სიმღერას მაინც ვერ წამართმევს. ის ვერ წამართმევს ჩემს მაჰმუდს, ბატირაის, პუშკინს, ჰაინეს, ბლოკს, ვერც ერთ დიდ მომღერალს ვერ წამართმევს სიბერე, მათ რიცხვში ისეთ მომღერალს, როგორც დაღესტანია. სანამ დაღესტანია, არც ისე ცუდადაა საქმე, თუ დაღესტანი იქნება, არც ჩვენ დავიკარგებით.

ერთ აულში გოგო-ბიჭებმა თამაში იციან, რასაც ასე შეიძლება ეწოდოს: „ვინც ეძებს, ის იპოვის, ვინც

იპოვის, ის მიიღებს“. ერთხელ მეც ვმონაწილეობდი ამ თამაშში.

ბიჭს მეორე ოთახში აგზავნიან, რომ არ დაინახოს, სად იმალება გოგო. ის კი არადა, თვალსაც უხვევენ. მერე ბიჭი შემოდის და ეძებს გოგოს. დანარჩენი ბავშვები ერთად მღერიან: „აი, დაი, დალალი“. თუ ბიჭი სხვაგან ეძებს, ნაღვლიან სიმღერას მღერიან, სწორ გზას თუ დაადგა, ცოცხალ და მხიარულ სიმღერას იწყებენ. როცა ბიჭი გოგოს იპოვის, ბავშვები ტაშს უკრავენ და გაიძახიან, ერთად იცეკვეთო. ასე ეხმარება სიმღერა თვალახვეულ ბიჭს სასურველ მიზანს მიაღწიოს.


მე იმ ოჯახში დავიბადე, სადაც ყველა მღეროდა, იმ დაღესტანში, იმ რუსეთში, იმ სამყაროში, სადაც მეფობს სიმღერა. მე სიმღერის ძალაც ვიცი და სიმღერის ფასიც. დაღესტანს სიმღერები რომ არ ჰქონოდა, ისე ვერავინ გაიცნობდა, როგორც დღეს იცნობენ. გზააბნეულ ჯიხვივით იქნებოდა დაღესტანი. დაგრეხილი მთის ბილიკებით დიდ სამყაროში გამოგვიყვანა სიმღერამ, მეგობრები შეგვძინა. „ნიმღერე სიმღერა და გეტყვი, ვინა ხარ შენ“, — ასე შეცვალა აბუთალიბმა ცნობილი ანდაზა. დაღესტანი მღეროდა თავის სიმღერებს და ქვეყანამ გაუგო მას.

#### წიგნი

სიტყვა „ტიეხი“ ავარულ ენაზე ცხვრის ტყავსაც ნიშნავს და წიგნსაც.

ამბობენ: „ყველა უნდა გაუფრთხილდეს თავსა და ამ თავზე დახურულ ფაფახს“. ფაფახი კი, როგორც მოგეხსენებათ, ცხვრის ტყავისაგანაა შეკერილი. მთიელის თავი კი ის ერთადერთი დაუწერელი წიგნი იყო, ასეული წლების მანძილზე რომ ინახავდა ჩვენს ენას, ჩვენს ისტორიას,





ჩვენს მოთხოვნებს, ზღაპრებს, თქმულებებს, ადათებს, ყველაფერს, რაიც ხალხს მოუფიქრებია. ცხვრის ტყავი საუკუნეების მანძილზე იფარავდა, ათბობდა, იცავდა ამ დაუწერელ წიგნს დაღესტანზე. ბევრი რამ გადარჩა და ჩვენამდე მოაღწია, ბევრი რამ სამუდამოდ დაიკარგა.

ამ წიგნის ზოგიერთი გვერდი ომში დაცემული გმირებივით დაიღუპა (ფაფახი უძღურია ტყვიასა და ხმალთან), ზოგიერთი კი იმ უბედურ მგზავრებივით, გზა რომ არევიათ ქარბუქში და ძალაგამოცლილნი უფსკრულში გადაჩეხილან, ან ზვავს დაუტანია ან კიდევ ყაჩაღის დანის წერა გამხდარან.

ამბობენ: „რაც დავიწყებულა თუ დაკარგულა, ყველაზე დიდებული და უკეთესი იყო“. მართლაც, ლექსის კითხვისას რომელიმე სტრიქონი რომ დაგავიწყდება, ის გგონია ყველაზე ნაღდი.

ძროხა რომ გადაიჩეხება, მერე ამბობენ, ყველაზე მეტს იწველიდა და თანაც ძალზე ნოყიერი რძე ჰქონდაო.

მაჰმუდის მამამ თავისი პოეტი შვილის მთელი ზანდუკი ლექსები დაწვა. ეგონა, ლექსები მიღუპავსო გზააცდენილ შვილს. ახლა ყველა იმას ამბობს, იმ ზანდუკში იყო მაჰმუდის საუკეთესო ლექსები.

ბატირაის არასოდეს არ უმღერია თავისი სიმღერა ორჯერ. ხშირად ქორწილში მღეროდა, სადაც გამომთვრალ სტუმრებში დამმახსოვრებელი არავინ იყო მისი სიმღერებისა. ახლა ამტკიცებენ, სწორედ ის სიმღერები იყო საუკეთესონი.

ბევრი სიმღერა იმღერა ირჩი კაზაკმა შამხალის კარზე, მაგრამ თითო-ორთა სიმღერამ თუ გადმოაღწია შამხალის სასახლის ზღუდეს და ხალხთან მივიდა. თვითონ ირჩი კა-

ზაკი ამბობდა: „რამდენიც გინდა იმღერე, როგორც ვირს, ისე გავგება სიმღერისა შამხალს“.

ამბობენ, ირჩი კაზაკის ის დაკარგული სიმღერები მის ყველა სიმღერას სჯობდაო.

დამწვარი ფანდურების ხმას ჩვენამდე არ მოუღწევია. არც მდინარეში გადაყრილი ჩონგურების ჰანგები შემოგვრჩენია. ყველა დაღუპულსა და დაკარგულზე ვდარდობ დღეს.

მაგრამ როცა ვკითხულობ დვისმენ იმას, რაც შემოგვრჩენია, გული სიხარულით მეგება. და იმ საწყალი მთიელების გულს ვუმადლი, რომ შემოინახეს და ჩვენამდე მოიტანეს ფასდაუდებელი, დაუწერელი წიგნები.

ეს მოთხოვნები, ზღაპრები და სიმღერები თითქოს ეუბნებიან კალმით ნაწერსა თუ დაბეჭდილ წიგნებს: „რა გაჭირვება არ გადაგვხდენია თავს ასეული წლების მანძილზე, რას არ გავუძელით და მაინც მოვალწით თქვენამდე, თუმცა დაუწერელნი ვიყავით. თქვენ კი, ასე ლამაზად გამოცემულნი, ნეტავ მომავალ თაობებამდე მაინც მიაღწევთ? ვნახოთ, რომელი უფრო საიმედო წიგნსაცავია: ბიბლიოთეკები და წიგნის საწყობები თუ ადამიანის გონება“.

ბევრი რამ ეძლევა დავიწყებას. ასეული სტრიქონებიდან შეიძლება ერთი გადარჩეს, მაგრამ თუ გადარჩა, უკვე საუკუნეებს გაუძლებს.

უკვე ვთქვი, რომ წინათ ბევრი ჩვილი ბავშვი იღუპებოდა-მეთქი.

იმამი დაჭრილებს უბრძანებდა, მდინარეში გადახტითო, რადგან ხეობრები ბრძოლაში აღარ გამოდგებოდნენ, ჭამა კი კვლავ სჭირდებოდათ.

ახლა სხვა დროა; ბავშვებს ზრუნვა და ექიმის თვალყური არ აკლია, დაჭრილებს ჭრილობებს უხვევენ, უფეხობებს პროთეზებს უკე-



თებენ. ეს ცვლილებები კაცთმოყვარეობად უნდა მივიჩნიოთ, რაკი ადამიანებს ეხება, მაგრამ ასევე ხომ არ ვზრუნავთ ხეიბარ აზრებზე, ულონო ლექსებზე, უსიცოცხლო გრძნობებზე და თითქმის მკვდრად შობილ სიმღერებზე? ყველაფერი წიგნშია, ყველაფერი ქალაღმზეა დაწერილი და ბიბლიოთეკებში ინახება.

„ნათქვამი მიდის, და წერილი რჩება“, — ასე ამბობდნენ წინათ. პირიქით არ მოხდეს!

ისე არ გამიგოთ, რომ თითქოს წიგნისა და დამწერლობის მაგინებელი ვიყო. ესენი მზეს მოჰგავს, ხეობები რომ გააშუქა, გაჰფანტა სიბნელე, უვიცობა და ჩამორჩენილობა.

დღეა მიყვებოდა ხოლმე ზღაპარს მელიასა და ჩიტზე. აი, ეს ზღაპარიც:

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ჩიტი. ცხოვრობდა იგი ერთ ხეზე. მკვიდრი და თბილი ბუდე ჰქონდა და ზრდიდა შიგ თავის ბარტყებს. ცხოვრობდა ჩიტი ბედნიერად, მაგრამ ერთხელ მოცუნცულდა მელია, დაჯდა ხის ძირას და დაიწყო სიმღერა:

ეს კლდეები ჩემია,  
ეს მინდორიც ჩემია,  
შენ კი, ჩემო ჩიტუნია,  
რატომ დაგიჩემებია,

მოფრენილხარ და ჩემს ხეზე  
ბუდე აგიშენებია.  
ერთი ბარტყი გადმომიგდე,  
თორე ვიზამ ჩემსასა,

ხეს მოვჭრი და წამოვაქცევ  
და სუყველას შეგსანსლავთ.

მშობლიური ხე, ბუდე და სხვა ბარტყები რომ გადაერჩინა, აიღო ჩიტმა და გადაუგდო მელას ერთი ბარტყი.

მეორე დღეს ისევ მოვიდა მელა

და ისევ დაიწყო სიმღერა. მეორე ბარტყიც გაწირა დედამ. ველარ ასწრებდა ჩიტი ბარტყების გამოტირებას, ყოველ დღე — თითო ბარტყი. გაიგეს მისი უბედურება სხვა ჩიტებმა და მოფრინდნენ. დაუწყეს გამოკითხვა, რა ამბავიაო. უამბო სულელმა ჩიტმა თავისი გასაჭირი. ჭკვიანმა ჩიტებმა სიმღერით უთხრეს სათქმელი:

თვითონა ხარ დამნაშავე,  
ჩიტუნია საწყალო,  
მელამ ბარტყებისაგან  
როგორ უნდა გაგცალოს.

იქნებ ფიქრობ, ხეს მოჭრიდა  
იმ ბუთქურა კუდითა,  
ან შენს ბარტყებს კუდითვე  
გადმოსვამდა ბუდიდან.

ან კუდის მეტს რას მოიტანს  
იმ უბადრუკ სოროდან...  
ამის შემდეგ ჩიტუნია  
ბედნიერად ცხოვრობდა.

მელამ კი არაფერი იცოდა და ისევ მოვიდა ბაქიბუქით. იმუქრებოდა და ისევ მოითხოვდა ბარტყს. ისევ დაიწყო სიმღერა — მოვჭრი ხეს და ყველა ბარტყს გადავსანსლავო. წინათ თუ აკანკალებდა, ახლა სასაცილოდ არ ეყო ჩიტს მელას სიტყვები და ასე უბასუხა:

ჰე, მელიავ, რას გვაშინებ  
მაგ კუდით და ღოჯებით,  
ხეს გარშემო რატომ უვლი,  
თუ ბიჭი ხარ, მოჭერი.  
იქნებ კიბით ამოხვიდე,  
ბუდეს კუდით გამოჰგვიდე.

წალასლასდა მელა უპურმაროლოდ და ის დღე და ის დღე, აღარც გამოჩენილა. ჩიტი კი ახლაც ცოცხალია, ჩეკს და ზრდის ბარტყებს, ბარტყები კი ჭიკჭიკებენ. რამდენი ბარტყი დაღუბა დაღესტანმა თავისი



ჩამორჩენილობით, უმეცრებითა და სიბნელით. გინდა საკუთარი თავისა და გინდ სხვისა შესაცნობად წიგნია საჭირო. უწიგნო ხალხი თვალეზავი კაცივითაა — ქვეყანას ვერ ხედავს. უწიგნო ხალხი კაცსა ჰგავს, სარკე რომ არა აქვს და ვერასოდეს დაინახავს საკუთარ თავს.

„ჩამორჩენილი და ბნელი მთიელები“, — ასე სწერდნენ ჩვენზე დაღესტანში ნამყოფი მოგზაურები. ეს სიტყვები ქედმაღლობითა და სიბოროტით როდი იყო ნათქვამი. ეს სიმართლე იყო. „ისინი დიდი ბავშვები არიან“, — დაწერა ჩვენზე ერთმა უცხოელმა.

„იმათ ცოდნა არა აქვთ და უნდა ვისარგებლოთ ამით“, — ამბობდნენ ჩვენი მტრები.

„ამ ხალხს საომარი ხელოვნება რომ შეესწავლა, ველარავინ გაბედავდა მათზე ხელის აღმართვას“, — ამბობდა ერთი მხედართმთავარი.

„ახლანდელი ცოდნა ჰაჯი-მურატის სიმამაცეს ან მაჰმუდის ნიჭს რომ შემატებოდა?!“ — ამბობენ მთიელები.

— რატომ შეგჩერდით, იმამო? — ჰკითხა ერთხელ ჰაჯი-მურატმა შამილს, — მკერდში გული გვიდულს და ხელში — ბასრი ხანჯალი. რაღას ვუცდით, წავიდეთ და გზა გავიკაფოთ.

— მოიცა, ნუ ჩქარობ, ჰაჯი-მურატ, ჩქარი მდინარეები ზღვამდე ვერ აღწევს. წიგნს დავეკითხები, ვნახოთ, რას გვიჩვენებს, დიდი ჰკვირანი რამაა წიგნი.

— იქნებ მართლა ჰკვირანია ეგ შენი წიგნი, იმამო, მაგრამ ახლა ჩვენ სიმამაცე გვჭირდება, სიმამაცე კი ხმლების წვერსა და ცხენის ზურგზე ბუდობს.

— მამაცი წიგნებიც არსებობენ.

წიგნი... ასოები, სტრიქონები, გვერდები, შეხედავ და თითქოს უბრალო ქაღალდისაა, მაგრამ იგი სიტყვის მუსიკაა, აუღერებელი ენა და აზრი. წიგნი ეს მე ვარ — ვინც დავწერე იგი, სხვებიც — ვისზეც დავწერე, ისინიც, ვინც თავის თავზე დაწერა. წიგნი ცხელი ზაფხულია და ზამთრის ქარბუქია, გუშინდელი მოვლენები, დღევანდელი ოცნებები და ხვალინდელი საქმეებია.

ქვეყნის ისტორია ადამიანის ბედით ორად უნდა გაიყოს — წიგნის შექმნამდე და წიგნის შექმნის შემდეგ. პირველი ხანა უკუნია, მეორე — ნათელი დღე. პირველი ვიწრო და ბნელი ხეობაა, მეორე — ფართოდ გაშლილი ველი ან მთის მწვერვალი.

„ალბათ უმეცრება დანაშაულია, რაკი ასე დიდხანს და დაუზოგავად გვსჯის ამისათვის ისტორია“, — ამბობდა მამაჩემი. ორი ხანა — ხანა წიგნისა და ხანა უწიგნო... ახლა უკვე აღრე მოდის წიგნი ადამიანთან ანბანის სახით, მაშინ როცა იგი ახლად იდგამს ფეხს. დაღესტანთან კი ათასი წლების მერე მოვიდა წიგნი. გვიან, ძალზე გვიან ისწავლა დაღესტანმა წერა-კითხვა. აღრე, საუკუნეების მანძილზე ცა იყო დაღესტნელებისთვის ფურცელი და ვარსკვლავები — ასოები. მოქუფრული ღრუბლები სამეღნეები იყო და წვიმა — მელანი; მიწა ქაღალდი იყო, ბალახები და ყვავილები კი — ასოები.

მზის წითელი სხივები ფანქრები იყო, ისინი წერდნენ კლდეებზე შეცდომებით სავსე ჩვენ ისტორიას.

მამაკაცის სხეული სამეღნე იყო, სისხლი — მელანი, ბალიში — ფურცელი და იწერებოდა ტანჯვის წიგნი, მაგრამ ვინ იყო წამკითხველი! მთელი ქალები სხვას არ უჩვენებდნენ ცრემლს.

წიგნი, დამწერლობა... აი, ორი



განძი, რისი მოცემაც დაავიწყდა მაშინ ენების დამრიგებელს.

წიგნები სახლის გამოღებულ ფანჯრებია, ჩვენ კი ამოქოლილ კედლებშუა ვიჯექით. ფანჯრებიდან ზღვის სივრცეების ტალღებზე მოქანავე საოცარი გემების ღანახვა შეიძლებოდა. ჩვენ კი გამოსაზამთრებლად დარჩენილ ფრინველებს ვგავდით, გათოშილები ფანჯარას რომ უკაკუნებენ ნისკარტს და სითბოს თხოულობენ.

მთიელების დაფიცებული, წყურვილით დახეთქილი ტუჩები... მშიერი, ანთებული თვალები...

— ჩვენ რომ ქალაქისა და ფანქრის ხმარება გვცოდნოდა, ასე ხშირ-ხშირად აღარ ვიხმარდით ხანჯალს.

არასდროს დაგვიხანებია ხმლის შებმა, ცხენის შეკაზმვა, უნაგირზე მოვლება და ბრძოლის ველზე გასვლა. იქ არც კოჭლები გვყოლია, არც ყრუები და არც ბრმები. ამ საწყალობლად პაწია ასოების შესწავლა კი ასე საოცრად დაგვაგვიანდა. ერთი კი ცხადია, ვისი აზრებიც მოიკოჭლებს, იმას უნცუკულის ხელჯონიც ვერას უშველის.

ათას ხუთასი წლის წინათ, სახელოვან სომეხ მეომარ მესროთ მაშტოცს აზრად მოუვიდა, დამწერლობა იარაღზე უფრო ძლიერიაო, და სომხური ანბანი შექმნა.

მე მატენდარანში ვიყავი, სადაც უძველესი ხელნაწერები ინახება.

ვიდექი და ნაღვლიანად ვფიქრობდი დაღესტანზე, მთელი ათასი წელი რომ გამორჩა და არც წიგნი ჰქონდა და არც დამწერლობა. დროის ცხრილში გაიარა ისტორიამ და კვალიც კი არ დარჩენილა მისგან. მხოლოდ ბუნდოვანი, ზოგჯერ ნაკლებად სარწმუნო გადმოცემები და სიმღერები თუ შემოგვრჩა, ბაგიდან

ბაგეზე, გულიდან გულში რომ გადადიოდნენ და ისე მოიწევდნენ ჩვენკენ.

წარსულში ბევრი რამ არი დიდებით დასადაფნავი; პატარას დედამ მიაშობ ერთი ჭაბუკის ამბავი.

უშიში იყო, ფიცხელი, სახელიც დიდი გაითქვა და ყველა აღიარებდა მთელი დაღესტნის რაინდად.

იგი დაღესტნის ბატონმა თავისთან მიიპატიჟა და ისე გაუმასპინძლდა, როგორც შეჰფერის ფადიშაჰს.

მერე მსახურებს უბრძანა: რაც საჭურჭლეა, დახსენით, დახსენით ზანდუკ-სკივრები, თვალ-მარგალიტით სავსენი.

ცისარტყელებად დახვავდა ფარჩეული და ნოხები, რა გინდა, სულო და გულო, ყველაფერს ვერც კი მოჰყვები.

ბატონმა სტუმარს მიმართა: — აი, ამ დოვლათ-განძიდან, არ მოგერიდოს, ყმაწვილო, ამოირჩიე, რაც გინდა.

ჭაბუკმა თავი დახარა და წარბი გახსნა შეკრული: — ბატონო, ცხენი მიბოძეთ და გაბასრული ლეკური.

კარგია ოქრო და ვერცხლი, ნუმც გამწყრომია ბატონი, მაგრამ განძს თვითონ იშოვის კაი ხმალ-ცხენის პატრონი.

ჰეი, გულადო მხედარო, სულ ფათერაკში იქნები, ცხენი და ხმალი ირჩიე, არად ჩააგდე წიგნები.

ო, წინაპარო ჯიგიტო, ბევრი შეგხვდება ვარამი,



რომ საგზლად არ გაიყოლე  
ეტრატები და ყალამი.

მეომარს აღლომ გიმტყუნა,  
შემოგაჩეჩა აღვირი,  
უფრო მეტს წიგნი მოგვცემდა,  
ვიდრე ცხენი და მახვილი.

სიტყვა ვინც მარჯვედ იხმარა,  
გზა უფრო გაუკაფია,  
ის ყველა ხმალსე ბასრია  
და ყველა ცხენზე სწრაფია.

სიტყვით ახსნილა ყოველი,  
თვითონ საწუთროს იგავიც,  
შენ კი ასი წლით დაგვწიე,  
აი, რა საქმე გვიყავი!

შენც, დაღესტანო, ბაღს გაგხარ,  
წიგნებს რომ არ იკარებდა,  
შორ გზაზე დაგვიანებულს,  
ატუზულს სკოლის კარებთან.

მთაგრეხილს იქით, ჩვენ მეზობ-  
ლად საქართველოა. მრავალი საუკუ-  
ნის წინათ შოთა რუსთაველმა შექმნა  
და ქართველებს მიუძღვნა თავისი  
უკვდავი პოემა „ვეფხისტყაოსანი“.  
დიდხანს ეძებდნენ მის საფლავს,  
მთელი აღმოსავლეთი შემოიარეს.  
„არსად არ არის მისი საფლავი, მაგ-  
რამ სამაგიეროდ მისი გული ფეთ-  
ქავს ყველგან“, — თქვა ერთმა ქალ-  
მა.

კაცობრიობა კითხულობს მოთხ-  
რობას კავკასიის კლდეზე მიჯაჭვულ  
პრომეთეოსზე.

ათასეული წლები აფრქვევენ  
ცრემლს არაბები ლექსებზე.

ათასეული წლების უკან პალმის  
ფოთლებზე წერდნენ ინდუსები თა-  
ვიანთ აღმოჩენილ ჭეშმარიტებებსა  
თუ შეცდომებს. აცახცახებული თი-  
თებით ვეხებოდნენ ამ ფოთლებს და  
თვალთან მიმქონდა.

ახლა სინატიფით აღსავსე სამ-  
სტრაქონიანი იაპონური პოეზია!... ან  
ჩინეთის წარსული, სადაც თვითეუ-

ლი ასოს, უფრო სწორად თვითე-  
ული ნიშნის მიღმა მთელი ცნება  
რომ იფარება!

ირანის შაჰები ცეცხლითა და  
მახვილით კი არა, ფიოდოლუსის სიბრ-  
ძნით, ჰაფიზის სიყვარულით, საადის  
ვაჟკაცობითა და ავიცენას აზრებით  
რომ მოსულიყვნენ დაღესტანში,  
უკანმოუხედავად გაქცევა აღარ და-  
ჭირდებოდათ.

ნიშაპურში ომარ ხაიამის საფლა-  
ვი ვინახულე და იქვე გავიფიქრე:  
„ჩემო მეგობარო ხაიამ, მაშინ შაჰ-  
თან ერთად რომ მოსულიყავი და-  
ღესტანში, რა სიხარულით შეგეგებე-  
ბოდა მთიელი ხალხი“.

უკვე აღგებრა იქმნებოდა და  
ჩვენ თვლაც არ ვიცოდით. უდიდე-  
სი პოემები იწერებოდა და ჩვენ  
„დედასაც“ ვერ ვწერდით.

ჩვენ ჯერ რუს ჯარისკაცებს გა-  
ვეცანით და შემდეგ რუს პოეტებს.

მთიელებს პუშკინი და ლერმონ-  
ტოვი რომ ჰქონოდათ წაკითხული,  
ვინ იცის, იქნებ თვით ისტორიაც  
სულ სხვა გზით წასულიყო.

როცა ერთ მთიელს ხმამაღლა წა-  
უკითხეს ტოლსტოის „ჰაჯი-მურა-  
ტი“, თქვა: „ასეთი გონივრული წიგ-  
ნის დაწერა მხოლოდ ღმერთს შეუძ-  
ლია ალბათ“.

ყველაფერი გვქონდა, რაც წიგნს  
ჭირდება: მგზნებარე სიყვარული,  
მამაცი გამირები, ტრაგედიები, მკაც-  
რი ბუნება, თვითონ წიგნი არ  
გვქონდა მხოლოდ.

რა არ გვანახე, წუთისოფელო,  
შენს მწარე სვე-ბედს ვინ არ ემონა,  
მრავალი გვყავდა ალბათ ოტელო  
და, რა თქმა უნდა, მთის დეზდემონა.

ოფელები და ჰამლეტები  
არ დაღვია ქედებს გოლიათს,  
მაგრამ მწვერვალი შემოქმედების —  
შექსპირი მაინც არა გვყოლია.



მთაში მდინარე მდერის ყოველი, სხივი და ჩიტი სტვენს უთენი, მაგრამ არც ბახი, არც ბეთჰოვენი ამ ქედებს ჯერაც არ მოვლენიათ.

ყო საბრალო მიჯნურთა კვდომა და მოსისხლეთა ქვითინიც იდგა, და ჯულიეტას ტრაგიკულ რომანს ტყვია ჰყვებოდა და არა სიტყვა.

ყუმუხის ახლოს თემურის ურდოებთან ბრძოლის შემდეგ ნადავლს რომ აგროვებდნენ, მთიელები ერთ-ერთი მოკლულის ჯიბეში წიგნს წააწყდნენ. ფურცლავდნენ წიგნს და ასოებს აკვირდებოდნენ, მაგრამ კაცი არ იყო წამკითხველი. გაბრაზებულმა მთიელებმა გადაწყვიტეს, ნაკუწებად ექციათ, დაეწვათ და ქარისთვის გაეტანებინათ, მაგრამ ჰკვიანმა და გაბედულმა პარტუ-ფატიმათმა თქვა:

— ხელში ჩაგდებულ იარაღთან ერთად ამ წიგნსაც გაუფრთხილდით.

— რაში გვჭირდება, სულ ერთია, ვერც ერთი ჩვენთაგანი ვერ წაიკითხავს.

— ჩვენ თუ არა, ჩვენი შვილები და შვილიშვილები წაიკითხავენ. ვინ იცის, იქნებ შიგ ჩვენი ბედი სწერია.

სურაკატ ტინუსინსკის მებრძოლებს ერთმა არაბმა ტყვემ ცხენიც მისცა, ფარიც და იარაღიც, უბეში დამალული წიგნის მიცემა კი არ უნდოდა. სურაკატმა ცხენიც დაუბრუნა და იარაღიც ტყვეს, წიგნის ჩამორთმევა კი ბრძანა. მან თქვა.

— ცხენები და ხმლები არ გვაკლია, წიგნი კი ერთიც არა გვაქვს, შენ კი ამის მოცემა გენანება.

გაუკვირდათ მებრძოლებს და ჰკითხეს მხედართმთავარს:

— კი მაგრამ რად გვინდა წიგნი, როცა წაკითხვა კი არა, ისიც არ ვიცით, როგორ დავიჭიროთ ხელში. განა ჰკვიანურია ცხენისა და იარაღის ნაცვლად მისი ჩამორთმევა?

— მოვა დრო და წავიკითხავთ ამ წიგნს. მოვა დრო და წიგნი იქნება მთიელისთვის ჩოხაც, ფაფახიც, ცხენიც და ხანჯალიც.

დაღმსტანზე გალაშქრებულ ირანის შაჰს საქმე ცუდად რომ წაუვიდა, მიწაში ჩამარხა განძეულობა, რაც სულ თან დაჰქონდა ხოლმე. ორმოს ქვა დაადეს, ქვაზე ნალი ამოჰკვეთეს. მოწმენი დახოცა შაჰმა, მაგრამ მურთაზილ-ხანმა მაინც მიაგნო ამ ორმოს და ოქრო-ვერცხლითა და ძვირფასი ქვებით სავსე სკივრები იგდო ხელთ. ოც ჯორს აჰკიდეს ძარცვა-გლეჯით დაგროვილი შაჰის ავლადიდება. უამრავ განძეულობას შორის რამდენიმე სპარსული წიგნიც იყო. განძი რომ გადაათვალიერა, მურთაზილ-ხანის მამამ, უხელო სურხატმა თქვა:

— ძვირფასი საუნჯისთვის მიგიკვლევი, შვილო ჩემო. გინდა მეომრებს გაუნაწილე იგი და გინდა გაყიდე, სულ ერთია, მაინც განიადრება ბოლოს. მაგრამ ასი წლის შემდეგაც იპოვნიან მთიელები ამ წიგნებში დამალულ მარგალიტებს. ნუ გასცემ ამ წიგნებს, ისინი ყველა განძზე უფრო ძვირფასია.

შამილს ჰყავდა მდივანი მაჰმად ტაჰირ ალ-ყარახი. იმამი არასოდეს გზავნიდა მას იქ, სადაც საშიში იყო. მაჰმად ტაჰირს არ მოსწონდა ეს და ერთხელ ჰკადრა შამილს:

— იქნებ არ მენდობი, იმამო, გამიშვი ბრძოლის ველზე.

— ყველა რომ დაიხოცოს, შენ ცოცხალი უნდა გადარჩე. ხმლიანი მებრძოლის შეცვლა ყველას შეუძლია, მემატიანისა კი — არა. შენი



საქმე ჩვენს ბრძოლებზე წიგნის წერაა.

მაჰმად ტაჰირი მოკვდა და გაუსრულებელი დარჩა წიგნი, მაგრამ შვილმა დაამთავრა მამის დაწყებული შრომა. „იმამის ხმლის ელვარება ზოგიერთ ბრძოლაში“, ასე ეწოდება ამ წიგნს.

თვითონ შამილს დიდი ბიბლიოთეკა ჰქონდა, ოცდახუთი წელი ათი ჯორჯიდულით გადაჰქონდა ერთი ადგილიდან მეორეზე, უმიისოდ სიცოცხლე არ შეეძლო. გუნების მთაზე ტყვედ რომ ჩაბარდა, შამილმა ითხოვა, წიგნები და ხმალი დაეტოვებინათ მისთვის. კალუგაში დაბინავებული, სულ წიგნებს თხოულობდა. „ბევრი ბრძოლა წაგებულა ხმლის მიზეზით, წიგნების მიზეზით კი — არც ერთი“, — ამბობდა შამილი.

რუსეთიდან დაბრუნებულ ჯამალუტდინს მამამ მთიელთა ტანსაცმლის ჩაცმა უბრძანა, მის წიგნებს კი არ შეხებია. ვინც გააურების წიგნების მდინარეში გადაყრას მოითხოვდა, შამილი ასე პასუხობდა: „ეს წიგნები ტყვიებს არ გვიშენდნენ ჩვენს მიწა-წყალზე, ჩვენი აულები არ გადაუწვავთ და ხალხი არ გაუყლებით. ვინც შეურაცხყოფას მიაყენებს წიგნს, თვითონ იქნება წიგნისგან შეურაცხყოფილი“.

ნეტა ვიცოდე, რა წიგნები ჩამოიტანა მაშინ ჯამალუტდინმა პეტერბურგიდან!

თავისი დამწერლობა არ ჰქონდათ და ზოგჯერ სხვის ენაზე წერდნენ დაღესტნელები ზოგიერთ სიტყვას. ეს იყო წარწერები აკვანზე, ხანჯალზე, ჭერის ფიცრებზე, საფლავის ქვებზე. წარწერები არაბულ, თურქულ, ქართულ და ფარსულ ენებზე. ბევრია ეს წარწერები, ყველას რა მოუყრის თავს! მშობლიურ ენაზე

კი ვერაფერს წააწყდებით. წერა რომ არ იცოდნენ, მთიელები ხელის მოწერის ნაცვლად ცხენს, ჩიტებს, მთებს ხატავდნენ. ზოგიერთი საფლავის ქვის წარწერის თარგმნა შეიძლება:

„აქ განისვენებს ქალი, სახელად ბუგ-ბაი, რომელმაც იცხოვრა რამდენ ხანსაც სურდა და აღესრულა ორასი წლის“. „აქ განისვენებს კუბაალი, ვინც სამასი წლისა დაეცა აჯარხნოს ბრძოლაში“.

ნამცეცა წარწერები და ცალკეული სიტყვებია მრავალტომიანი ისტორიის ნაცვლად.

ლიტერატურის ინსტიტუტში ძველი საბერძნეთის ისტორიას კეთილი, ჭადარა მოხუცი სერგეი რადციგი გვასწავლიდა. მთელი ანტიკური ტექსტები ზეპირად იცოდა, ძველ ბერძნულ ენაზე გვიკითხავდა მოზრდილ ნაწყვეტებს, საოცრად უყვარდა ძველი ბერძნები და გვიამბობდა, თუ რა შთაბეჭდილება მოახდინა ამ ხალხმა მასზე. ისე კითხულობდა ძველ ტექსტებს, თითქოს ავტორები უსმენდნენ და ეშინოდა, არ შემეშალოსო. ფანატიკოსი მუსულმანივით იყო, ყურანის ლექსების არევისა რომ ეშინია. ეგონა, ყველაფერი კარგად ვიცოდით, რაზეც გვესაუბრებოდა. ვერც კი წარმოედგინა, „ოდისეა“ და „ილიადა“ თუ არ ეცოდინებოდა ვინმეს. ეგონა, ომიდან სულ ახლახან დაბრუნებული ბიჭები ოთხი წლის განმავლობაში ჰომეროსის, ესქილეს და ევრიპიდეს სწავლის მეტს არაფერს აკეთებდნენ.

ერთხელ რომ ნახა, რა ცოტა რამ იცოდნენ ბიჭებმა, კინაღამ ატირდა.

განსაკუთრებით მე გავაოცე. სხვებმა ცოტა რამ მაინც იცოდნენ. ჰომეროსი რომ მკითხა, მე სულედიმან სტალსკიზე დავუწყე საუბარი. გავიხსენე, რომ მაქსიმ გორკიმ „მეოცე



„საუკუნის ჰომეროსი“ უწოდა მას. სიბრალულით შემომხედა პროფესორმა და მკითხა:

— ნეტავი სად გაიზარდე, რომ ჰომეროსი არ გაგიგონია?

დაღესტანში გავიზარდე, ვუბასუხე, სადაც დიდი ხანი არ არის, რაც წიგნი გაჩნდა-მეთქი. ჩემი დანაშაული რომ მიმეჩქმალა, ყოველგვარი სირცხვილის გარეშე ვუწოდე ჩემს თავს ველური მთიელი.

მაშინ პროფესორმა დაუვიწყარი სიტყვები მითხრა:

— „ოდისეა“ თუ არ წაგიკითხავს, ველურ მთიელობამდე ბევრი გაკლია. უბრალოდ ველური და ბარბაროსი ყოფილხარ.

ახლა საბერძნეთში ან იტალიაში რომ მიხდება ყოფნა, ხშირად ვიხსენებ ჩემს პროფესორსა და მის ნათქვამს, მის დამოკიდებულებას ძველი ლიტერატურისადმი.

მაგრამ საიდან უნდა მცოდნოდა ჰომეროსი, სოფოკლე, არისტოტელე, პესიოდე, როცა ძლივძლივობით ვლაპარაკობდი და ვკითხულობდი რუსულად.

მსოფლიოს ბევრი საუნჯე იყო დაღესტნისათვის მიუწვდომელი.

მე უკვე გიამბეთ, როგორ ტიროდა მაქსაკოვა, ჩვენს მომღერალ ტატიმ მურადოვს რომ უსმენდა. მურადოვი მაშინ უკვე სამოცს იყო მიახლოებული და არავითარი განათლება არ ჰქონდა მიღებული. ყველას ეგონა, მაქსაკოვა მომღერლის ხმამ ააღელვაო, მაგრამ მან თქვა:

— მე სიბრალული მატირებს, რა ჯადოსნური ხმაა. მას მსოფლიოს გაოცება შეეძლო, თავის დროზე მასწავლებლები რომ ჰყოლოდა, ახლა კი ველარაფერს უშველი.

ხშირად მახსენდება ეს სიტყვები, როცა დაღესტნის ბედზე ვფიქრობ. ეს მარტო ტატიმის ბედზე რო-

დია ნათქვამი. განა ცოტა მომღერალი, მეომარი, მხატვარი თუ მოჭიდავე ჩავიდა მიწაში, ისე რომ საქვეყნოდ არ გაუმჟღავნებია თავისი ნიჭი? უცნობია მათი სახელები. ვინ იცის, იქნებ ჩვენც გვყავდნენ შალიაპინები და პოდღუბნები! ალბათ ვერავინ დაამარცხებდა ოსმან აბდურახმანოვს — ჩვენს ჰერკულესს, მის ღონეს ტექნიკა და ოსტატობა რომ მიმატებოდა, მაგრამ მასწავლებლები არ ჰყავდა. არ გვქონდა კონსერვატორია, თეატრები, ინსტიტუტები, აკადემია, ის კი არადა, სკოლებიც არ გვქონდა.

ჩვენი წარსული, ჩვენი ლხინი თუ განსაცდელი წიგნებში არსად არ წერია, თქმულებად დაჰქრის, მაგრამ ძველ ამბებს, წინაპრების ხმლებით დაწერილს, დღეს მე ვაგრძელებ მახვილივით წამახულ ფანქრით.

ფანქრის დაჭერა, ასოების წერა არ იცოდნენ მთიელებმა, მტერს ბრანწს უჩვენებდნენ ზაპოროჟიელებით ან რაღაც ამის მსგავსს ხატავდნენ და უგზავნიდნენ.

„დაუწერელ, უმღერალ სიმღერასავით დევს ეს ქვეყანა სკივრში. ვინ ამოიღებს, ვინ დაწერს და ვინ იმღერებს?“ — ამბობდნენ დაღესტანზე. ასოები და სიტყვები იმ კლიტის გასაღებია, რითაც ეს სკივრია ჩაკეტილი. ვის ხელთაა დაღესტნის საუკუნოვანი, მძიმე კლიტის გასაღები?

ბევრი მისულა ამ კლიტესთან, ზოგჯერ გაუღიათ კიდევ, სკივრის თავი რომ აეწიათ და შიგ ჩაეხედათ. თვითონ დაღესტნელებს ჯერ კალამიც არ ჰქონდათ ხელთ აღებული, ბევრი სტუმარი, მოგზაური და მკვლევარი კი არაბულ, სპარსულ, თურქულ, ბერძნულ, ქართულ, სომ-



ხურ, ფრანგულ თუ რუსულ ენებზე წერდა დაღესტნის შესახებ.

ძველისძველ ბიბლიოთეკებში ვეძებ, დაღესტანო, შენს სახელს და ვპოულობ კიდევ სხვადასხვა ენაზე დაწერილს. იხსენებენ დერბენდს, კუბაის, ჩირკეისა და ხუნზახს. მადლობა მოგზაურებს, მართალია, მთელ შენს სიღრმესა და სირთულეს ვერ ჩაწვდნენ, მაგრამ მაინც პირველებმა გაიტანეს შენი სახელი მთებს მიღმა.

შემდეგში კი პუშკინმა და ლერმონტოვმა თქვეს თავისი სიტყვა.

В полдневный жар в долине Дагестана  
С свинцом в груди лежал недвижим я...

საოცარი სტრიქონებია. ბესტუჟევ-მარლინსკიმ კი თავისი „ამალათ-ბეგი“ დაწერა. დერბენდის სასაფლაოზე დღესაცაა ქვა, თავის საცოლეს რომ დაადო მან გულზე. ალექსანდრე დიუმაც იყო დაღესტანში, პოლეჟა-ევიც — პოემების „ერპელისა“ და „ჩირ-იურტის“ ავტორი. ყველა თავისებურად წერდა შენზე, დაღესტანო, მაგრამ არვინ ჩაგწვდომია ლერმონტოვივითა და მოხუცი ტოლსტოივით ღრმად. ამ შენი მომღერლების წინაშე ვხრი ჭაღარაშერთულ თავს და ისე ვკითხულობ ამ წიგნებს, როგორც მუსულმანი — ყურანს. ის დღე დიდი სიხარულის დღეა ჩვენში, ვაჟიშვილს სახელს რომ არქმევენ. ასეთ დღედ უნდა ჩაითვალოს ის დღეც, მშობლიურ ენაზე პირველად რომ დაწერეს შენზე შენმა შვილებმა, დაღესტანო. მახსოვს, რა შეცდომა დავუშვი, დაფასთან რომ გამიყვანა ჩემმა პირველმა მასწავლებელმა ვერა ვასილევნამ და შენი სახელის დაწერა მოხოვა. „Дагестан“ დავწერე მე. ვერა ვასილევნამ ამიხსნა, დაღესტანი კუთვნილებითი სახელია

და დიდი ასოთი იწერებათ. ავდექი და ასე დავწერე „Дагестан“, მეგონა, დიდი „Д“ ც იყო საჭირო და პატარაც. მესამედ კი სწორად დავწერე შენი სახელი „Дагестан“. შენც ასე ხომ არ გასწავლიდნენ, დაღესტანო, საკუთარი სახელის წერას, ასე ხომ არ გასწავლიდნენ საკუთარ თავზე საუბარს? ბევრჯერ მოგიხდა ყველაფრის თავიდან დაწყება. ირჩევდი ასოებს, ანბანს, წერდი არაბული, ლათინური, რუსული ასოებით, უშვებდი უამრავ შეცდომას, იმიტომ რომ პატარა ასოთი წერდი იმას, რაც დიდი ასოთი უნდა დაგეწერა. მხოლოდ მესამედ ისწავლე, ჩემო დაღესტანო, სწორად წერა. აი, დაღესტნის პირველი წიგნების, ჟურნალებისა და გაზეთების სახელწოდებები: „დილის ვარსკვლავი“, „ახალი სხივი“, „წითელი მთიელი“, „ჯეირანი“, „მთის ანდაზები“, „ყუმიხური ზღაპრები“, „ლაკური ჰანგები“, „დარგული მოთხრობები“, „ლეკური ლექსები“, „საბჭოთა დაღესტანი“ — და ყოველივე ეს მშობლიურ ენაზე! ეს მხოლოდ სახელები კი არაა, ეს ფრთებია.

1921 წელს დაღესტნის დელეგაციასთან საუბრის შემდეგ ლენინმა სამი ყველაზე უფრო საჭირო რამ გააგზავნა დაღესტანში: პური, ქსოვილი და სასტამბო ნიშნები. დაღესტანს ცხენი და ხანჯალი ჰქონდა, ლენინმა პურთან ერთად წიგნიც მისცა მას. რევოლუციამ დაარწია დაღესტნის აკვანი. დაღესტანმა ზღვა დაინახა, საკუთარი თავი დაინახა, თავისი წარსული და მომავალი დაინახა და თვითონვე დაიწყო თავის თავზე წერა.

სულეიმან სტალსკიმ სთხოვა ერთხელ მაქსიმ გორკის: „ორივენი მოხუცები ვართ, ცხოვრება გავლიეთ და სამყარო შევიცანით. ორივეს წიგ-



ნები იგვაქვს. მაგრამ შენ ქალაქში წერ, ნასწავლი ხარ. მე კი ვმდერი, იმიტომ რომ წერა არ ვიცი. ჩვენ დაღესტანსა და რუსეთს განსახი-ვრებთ. რუსეთი განათლებული ქვეყანაა, დაღესტანში უმრავლესობამ ჯერაც არ იცის თავისი სახელის დაწერა და ხელის მოწერის ნაცვლად თითის ანაბეჭდს სვამს. არ შეგიძლია განათლებული მწერლების ბრიგადა რომ გამოგვიგზავნო, ჩვენზე, დაღესტნელებზე რომ უამბონ მთელ ქვეყანას? სულეიმან სტალსკისა და გორკის საუბარს ეფენდი კაპიევი თარგმნიდა. გორკი დაპირდა სულეიმანს, თხოვნას შეგისრულებო, მერე კაპიევზე მიუთითა და უთხრა: ახლა დაღესტანში განათლებული, ნიჭიერი ახალგაზრდობა აღიზარდა, უკეთესია დაღესტნელებმა თვითონ დაწერონ დაღესტნის მიწაზე, რადგან, როგორც თქვენში ამბობენ, „სახლის ამბავი ყველაზე უკეთესად მისმა კედლებმა იციან“. ახალგაზრდა თაობა, რომელზეც გორკი ამბობდა, ახლა უკვე ჭარმაგია. მათ ბევრი დაწერეს დაღესტანზე და კვლავაც დაწერენ. წინათ მამები ხმალსა და ფანდურს უტოვებდნენ შვილებს მიმკვიდრეობად, ახლა კი — კალამსა და წიგნს. ერთი დღეც არაა დაღესტანში, ვაჟი რომ არ იბადებოდეს, ერთი დღე არაა, წიგნი რომ არ გამოდიოდეს. ყველა თავის დაღესტანზე წერს. ორმოცდაათ წელზე მეტს წერდა მამაჩემი და მაინც არ ეყო სიცოცხლე. ახლა მე ვწერ, მაგრამ ვერც მე მოვასწრებ ყველაფრის დაწერას, რაც მსურს. ამიტომაც, რომ ხანჯლის ნაცვლად სუფთა რვეულსა და კალამს ვუდებთ ბავშვებს სასთუმალს ქვეშ. მამაჩემისა და ჩემი დაღესტანი ერთია, მაგრამ როგორი სხვადასხვანაირია იგი ჩვენი კალმების ენაზე! თვითეულს თავისი ხელ-

წერა, თავისი ასოები, თავისი ჰანგი აქვს. ასე მიგორავს ეს ურემი თავის გრძელ გზაზე და იცვლის და იცვლის მეურმეებს. მამაჩემი მეუბნებოდა: „წერე ის, რაც იცი და რაც შეგიძლია, ხოლო რაც არ იცი, ხვდის წიგნებში ამოიკითხე“.

### წიგნი

წიგნს უერთგულე, გიყვარდეს წიგნი,  
სიბრძნესთან ბჭობა და მუსაიფი.  
არ გიღალატებს არასდროს იგო,  
მდიდარი იყავ თუნდა ღარიბი.

იყავ ბეჯითი და მუყაითი,  
ცოდნის — ღვთაებრივ განძის მფლობელი,  
წიგნის ფურცლები სანთლად აინთე  
და გაინათე წუთისოფელი.

შეპყვევი ცოდნის მაღალ ჭიუხებს,  
ამაღლდეს სული ვარსკვლავთ ხომლამდი,  
მოირთვლიანე მისი სიუხვე,  
აივსე მისი ხვავით, დოვლათით.

მაშ წიგნის ფასი იცოდე, შვილო,  
მოიმკე, სიბრძეს რაც უთესია,  
ის გაზიარებს ღვთაებრივ მირონს:  
ცოდნას, სიკეთეს და პოეზიას.

ახალგაზრდა პოეტები რომ მოდიოდნენ მამაჩემთან და ლექსები მოჰქონდათ, მამა უწინარეს ყოვლისა ხელწერას დააკვირდებოდა, იმიტომ რომ „როგორი ხნულიცაა, ყანის პატრონიც ისეთია“. შემდეგ შეცდომებს გაასწორებდა, სასვენ ნიშნებს დასვამდა. თავს ისე აქნევდა, თითქოს ამბობდა, სწორად წერა ისწავლეთო. ზოგიერთები მორიდებულად შენიშნავდნენ: არც „XX საუკუნის ჰომეროსი“ იყო ნასწავლიო. „მე კი არ ვიცოდდი!“ — პასუხობდა მამა ამ ახალგაზრდა „ჰომეროსს“. ასეთი ჰომეროსები ახლაც ბევრია დაღესტანში. უბრალო გრამატიკული შეცდომაც კი



აღიზიანებდა მამას. უამრავი შეცდომებით დაბეჭდილი თავისი ლექსი რომ წაიკითხა გაზეთში, მამამ ასეთი ლექსი დაწერა:

გავისტუმრე ჩემი ლექსი  
დაღესტანის ალლუმზე,  
დავლოცე და, როგორც წესი,  
ყვავილებით დავხუნძლე.

და რას ვხედავ, როცა დილით  
გადავშალე გაზეთი,  
ჩემი ლექსი დაბეჭდილი  
ვენახს ჰგავდა დასეტყვილს.

სულ მიკიბულ-მოკიბული,  
არც კი გაითვალემა,  
იქნებ მასზე მთიულური  
დაუარეს მოვრალემა.

ანდა გზაზე დახვდნენ მტრები  
ტანდასა და სახიერს,  
კობტა ჩოხა-ახალუხი  
ტანზე შემოახიეს.

ჩემი ლექსი კვიცსაც ჰგავდა  
ძუა-ფაფარ-ქოჩორით.  
გაკრიჭეს და ველარც ვიცან,  
დამიმგვანეს ჩოჩორიკს.

სადედოფლო ცხენი მყავდა,  
უცებ გამიპაიკეს...  
სწორი გითხრათ, ვერაფერი,  
ვერაფერი გავიგე.

ასე უღვთოთ ვინ გაწირა,  
ხელი ვინ მოუსწრაფა,  
ისე ხავის, როგორც კლდის ქვეშ  
მოყოლილი მუსტაფა.

ზოგჯერ პირში თქმა ჯობია  
ხოტბით შესმულ ფიალას,  
მაშ ეს ლექსიც თქვენს გაზეთში  
დამიბეჭდეთ მთლიანად.

ყველას თავისებურად ჰყავდა წარმოდგენილი მამაჩემი, ვინც კი იცნობდა მას. მამაჩემი ხნავდა და თიბავდა კიდეც, ურემსაც ტვირთავდა თივით და ცხენსაც აპურებდა,

ცხენითაც დადიოდა, მაგრამ მე ყოველთვის წიგნით ხელში მახსენდება იგი. სტუმართმოყვარე იყო მამაჩემი, მაგრამ ყოველთვის წუხდა, ვინმეს სტუმრობა კითხვას თუ შეაწყვეტინებდა. გეგონებოდა, ლოცვას დაანებებინესო თავი. მამა რომ კითხულობდა, დედა ფეხის წვერებზე დადიოდა, წარამარა თითს იღებდა ტუჩებზე და ჩურჩულით გველაპარაკებოდა:

— ნუ ხმაურობთ, მამა მუშაობს. დედამ კარგად იცოდა, რომ კითხვა მწერლისთვის მუშაობაა.

ხანდახან გაბედავდა და მამასთან შეიხედავდა ხოლმე: ხომ არაფერი გჭირდება, მელანი ხომ არ გაგითავდაო. დედა ყოველთვის ფხიზლად ადევნებდა თვალს მამას სამელნეს, მელანი არ ამოშრესო.

ერთი-ორი დღე თუ იყო მამას ცხოვრებაში ბედნიერი, წიგნების წყალობით იყო. მწუხარება თუ ჰქონდა, ისიც თავისი თუ სხვისი წიგნების წყალობით ჰქონდა. რაც არ ეთხოვათ, უარს არავის ეტყოდა, უარის თქმა დიდ ცოდვად მიაჩნდა, მაგრამ მართლა ცუდ დღეში იყო, როცა ისაყვარელ წიგნს თხოვდა ვინმე. წიგნი უკვე სხვას ეჭირა ხელში და მამაჩემი მაინც მისკენ იწვდიდა ხელებს. როცა წიგნის დაბრუნებას დაუგვიანებდნენ, მამა ასე მიწერდა:

„ძალიან მომენატრა ჩემი მეგობარი, თქვენ რომ გაიყოლიეთ ამას წინათ. აღარ აპირებს დაბრუნებას?“

მამაჩემი შვიდი დის ერთადერთი ძმა იყო (ერთადერთი ფაფახი ოჯახში). ადრე დაობლებულიყვნენ ბავშვები. მშობლიური აულიც ადრე მიატოვა მამაჩემმა. მეურვედ დამდგარმა ბიძამ სხვა აულში გააგზავნა მედრესში — დიდ აულს დიდი ჰკუა აქვსო. მის მერე აულიდან აულში დაეხეტებოდა მამა და ხურჯინს არ



იხსნიდა მხრიდან, სადაც მთელი მისი ავლა-დიდება იყო — ცალ თვალში წიგნები და ცალში მოხალული ფქვილი. უნდა ითქვას, რომ მართლა გამდიდრებული დაბრუნდა მამაჩემი — ცოდნით გამდიდრდა მოგზაურობის დროს. აულის გოდეკანზე ასე ეუბნებოდნენ მამაჩემს: შენს ნიჭსა და ცოდნას ერთად თუ შეაბამ ურემში, შორს წახვალ. არც შემცდარან. სახელოვანი კაცი გახდა მამა. მისი ბევრი სტრიქონი ანდაზად იქცა.

მამა ბევრს წერდა დიდებისთვისაც და პატარებისთვისაც, მათთვის, ვინც მოდიოდა ამქვეყნად და ვინც მიდიოდა ამქვეყნიდან. ის წერდა ლექსებს, პოემებს, პიესებს, იგავებს, ზღაპრებს. წერა მშვიდი, აუჩქარებელი იცოდა, ენაც ასეთი ჰქონდა, ასეთი იყო თავადაც. ახალგაზრდობაში ხშირად თხოვდნენ ხოლმე საბუთების გადაწერას. მამა არაბული, ლათინური და რუსული ასოებით წერდა. წერდა მარჯვნიდან მარცხნივ და მარცხნიდან მარჯვნივ.

— რატომ წერ მარცხნიდან მარჯვნივ?

— მარცხნივაა გული და შთაგონება. რაც ძვირფასია, იმას მარცხნივ ვიხუტებთ ხოლმე, მკერდში.

— მარჯვნიდან მარცხნივ რაღად წერ?

— მარჯვნივ კი ადამიანის ძალაა, მისი მარჯვენა ხელი, მიზანსაც მარჯვენა თვალი ჭირდება.

ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობა იყო, მაგრამ სხვადასხვა ანბანის შესწავლა არ იყო ხუმრობა საქმე. ლექსებს კი მამა ყოველთვის მშობლიურ ენაზე — ავარულზე წერდა. ზოგიერთი ლექსი არაბულადაც აქვს დაწერილი, ეს უმეტესად ისეთი ლექსებია, ოჯახის წევრებს რომ არ უნდა წაეკითხათ. ასეთი ლექსი ძალზე

ცოტა აქვს ჰამზათს. იგი გადაჭრით წინააღმდეგი იყო ასეთი ლექსებისა. „ისეთი ლექსები არ უნდა დაწერო, დედას, ქალიშვილსა და დას რომ ვერ წაუკითხო. მე არც ის ფილმები მეხატება გულზე, თექვსმეტ წლამდე ბავშვები რომ არ დაიშვებიან“.

მამა ყველაზე ხშირად არაბულ ანბანს ხმარობდა. ასოების მოხაზულობა მოსწონდა, ლამაზი ეჩვენებოდა. დაუდევრად ნაწერს ვერ იტანდა. ერთხელ ძველი ამხანაგისაგან არაბული ანბანით ულაზათოდ დაწერილი ბარათი მიიღო და დასცინა კიდევ თავის ლექსში:

ერთ-ერთი ასო დაირას ჰგავს, მუშტით  
ჩახეულს,  
ეყვნის მაგიერ რიყის ქვები ჰკილია

თითქოს.  
მეორე ქოხს ჰგავს, სახურავახდილს,  
სადაც შიშველი დედაბოძი ძლივს იჭერს  
კედლებს.

სხვა ასო კიდევ თითქოს კლდეებს დაუტანია,  
საწყალმა როგორ აიტანოს ამდენი შვავი?  
ერთს კი ფაფახი ზედ წარბებზე

ჩამოაფხატე,  
დაგიზვინია მთელი გვერდი ერთი  
სტრიქონით.


ნეტა ვიცოდე, კალმით წერდი თუ კატის  
ბრჭყალით?  
ზოგან სიტყვები ხეებს. ჰგვანან ან ეკალ-  
ბარდებს,

გვერდი კი ტყეს ჰგავს, გრიგალისგან  
ტოტებდალეწილს.  
ანდა იფიქრებ, ტყის მჭრელებმა გაკაფეს

ახო.  
სად, სად ისწავლე ასე წერა?.. საოცარია...

ამ ლექსმა თავის დროზე ბევრი გაანაწყენა, — ზოგიერთები იმიტომ, რომ სწორად ვერ გაიგეს მამაჩემის ლექსი, ზოგიერთები კი იმიტომ, რომ დიხხაც კარგად გაიგეს. ზოგიერთს ეგონა, ჰამზათი უშნოდ დაწერილ არაბულ ასოებს კი არა, საერთოდ არაბულ ანბანს დასცინისო. მამაჩემს კი აზრადაც არ მოსვლია





ანბანის გაკრიტიკება. ჰამზათი იმთ  
ბოსტნებში ისროდა ქვებს, ვისაც  
ამ ბოსტნის მოვლის თავი არ ჰქონ-  
და. საერთოდ მამაჩემს არც ერთ  
ანბანზე არ უთქვამს ცუდი, ან-  
ბანის დამმახინჯებლებს კი არ ზო-  
გავდა.

„მართალია, არაბები თავს ესხ-  
მოდნენ დაღესტანს, მაგრამ ეს არც  
არაბული დამწერლობის ბრალი  
იყო და არც წიგნებისა“, — ამბობ-  
და მამა. ხშირად ნასადილევეს ჩვენი  
სახლის სახურავზე იკრიბებოდნენ  
ხოლმე მეზობლები; მამა საოცარ  
მოთხრობებსა და ლექსებს უკითხავ-  
და მათ. შეწყობილად ჟღერდა მრავალ-  
ზომიანი არაბული ლექსის მუ-  
სიკა.

მამამ რუსული ენა არ იცოდა და  
არაბულ ენაზე კითხულობდა ჩეხოვს,  
ტოლსტოის, რომენ როლანს. მთი-  
ელებს მაშინ არც ერთ ამ მწერალზე  
არ ჰქონდათ წარმოდგენა.

ყველაზე მეტად ჩეხოვი უყვარ-  
და მამას, განსაკუთრებით მოთხრო-  
ბა „ქამელეონი“ მოსწონდა.

საერთოდ არაბული ენა ძალზე  
გავრცელებული იყო. ზოგიერთები  
იმიტომ წერდნენ არაბულად, რომ  
დაღესტანს თავისი დამწერლობა არ  
ჰქონდა, ზოგიერთები კი იმიტომ,  
რომ არაბულ ენას მშობლიურზე  
უფრო მდიდარ, ხატოვან ენად  
თვლიდნენ. არაბულ ენაზე იწერე-  
ბოდა ყველა ოფიციალური ქაღალ-  
დი თუ საბუთი. ყველა საფლავის  
ქვას არაბულით აჩუქურთმებდნენ.  
მამა კარგად კითხულობდა ამ წარ-  
წერებს და გვიხსნიდა კიდევ.

შემდეგ დადგა დრო და არაბუ-  
ლი ენა ბურჟუაზიულ გადმონაშთად  
გამოაცხადეს. დაზარალდა ის, ვინც  
არაბულ ენაზე წერდა და კითხუ-  
ლობდა, დაზარალდა წიგნები. გა-  
ნადგურდა დაღესტნის განმანათლებ-

ლების ალიბეკ ტახო-გოდისა და  
ჯელალ ქორჭი-მასოვის რუდუნებით  
შექმნილი ბიბლიოთეკები. ჯელალის  
სორბონში სწავლობდა, თორმეტი  
ენა იცოდა, ანატოლ ფრანსის მეგობ-  
ბარი იყო. მთის აულებში აგროვებ-  
და იგი ძველ წიგნებს. იარაღს,  
ცხენს, ძროხას, მოგვიანებით მუჭა  
ფქვილსა და ბამბაზიის ნაჭრებს იძ-  
ლეოდა წიგნების სანაცვლოდ. ბევრი  
ხელნაწერიც დაიკარგა. ეს აუნაზღა-  
ურებელი, მძიმე დანაკარგია.

მრავალტანჯულო წიგნო დაღეს-  
ტნისავ, სხვადასხვა ხელით, სხვადა-  
სხვა ანბანით, სხვადასხვა ენაზე  
გწერდნენ შენ. გწერდნენ იმიტომ,  
რომ სხვაგვარად არ შეეძლოთ.  
გწერდნენ უანგაროდ, არვინ მოით-  
ხოვდა გასამრჯელოსა და ჰონორარს.  
და ეს წიგნი რევოლუციამ გამოსცა.

გამოვიდა გაზეთი „წითელი მთე-  
ბი“, შემდეგში ხან „მთიელი“ რომ  
ერქვა და ხან „ბოლშევიკი მთიელი“.  
ამ გაზეთში გამოქვეყნდა პირველად  
მამაჩემის ლექსები. მრავალი წლის  
განმავლობაში თანამშრომლობდა ამ  
გაზეთში მამა და მდივნადაც მუშა-  
ობდა. მაშინ მიკვირდა, რა სწრაფად  
ასწრებდა გაზეთი ლექსების ბეჭ-  
დვას. ან როგორ არ გამკვირვებოდა!  
გუშინ რომ ჩემ თვალწინ წერდა  
მამა, დღეს იმ ლექსებს გაზეთში  
ვკითხულობდი. შემდეგ ამ ლექსებმა  
წიგნებში მოიყარა თავი. ოთხმა მძი-  
მე ტომმა დაიტია მამას მთელი  
ცხოვრება და შრომა.

სიკვდილითაც თავის კაბინეტში  
მოკვდა მამა, წიგნებისა და კალმე-  
ბის, ფანქრებისა და დაწერილი თუ  
დაუწერიელი ფურცლების ახლოს.  
რას ვიზამთ, სხვები შეავსებენ ამ  
ფურცლებს. დაღესტანი სწავლობს,  
დაღესტანი კითხულობს, დაღესტანი  
წერს.

ახლა მოგიყვებით, როგორ ვსწავ-



ლობდი მე, უფრო სწორად მასწავ-  
ლიდნენ.

მაშინ ხუთი წლის ვიყავი. მთელი  
დაღესტანი მერხებს მიუჯდა. ერთი-  
მეორის მიყოლებით იხსნებოდა  
სკოლები, სასწავლებლები, ტექნიკუ-  
მები. სწავლობდა მოხუცი და ბავ-  
შვი, ქალი და კაცი. ბრძოლა გაჩაღ-  
და წერა-კითხვის უცოდინარობასთან,  
ეწყობოდა კულტურაშენობები. მახ-  
სოვს პირველი ანბანი და რვეულები,  
მამამ რომ მიყიდა. აულ-აულ დადი-  
ოდა მამა და ხალხს სწავლისკენ მო-  
უწოდებდა.

გაჩნდა ახალი დამწერლობა. მა-  
მა მხურვალედ მიესალმა მას. ჰამზა-  
თი ყოველთვის წუხდა, რომ დამ-  
წერლობის უქონლობის გამო და-  
ღესტანი მოწყვეტილი იყო რუსეთის  
დიდ კულტურას.

იგი ამბობდა: „დაღესტანი ჩვენი  
დიადი ქვეყნის ნაწილია, იგი აუცი-  
ლებლად უნდა იცნობდეს ამ ქვეყა-  
ნას, იცნობდეს მთელ კაცობრიობას,  
უნდა შეეძლოს მისი ცხოვრების  
წიგნის წაკითხვა, უნდა არჩევდეს  
მის ხელწერას“.

„ახალი გზა“, „ახალი შუქი“,  
„ახალი ადამიანები“ — აი, იმ დრო-  
ის ლოზუნგები. დროის ამ მოწოდე-  
ბის შესახებდრად მამამ თავისი შვი-  
ლებიც გაგვაგზავნა. უჭირდა ამ სი-  
ახლეს გზის გაკაფვა, იყო ადამიან-  
ები, ქვეებს რომ უშენდნენ მას. ბევ-  
რი ფანჯარა ჩაუღებდა ახალ სკო-  
ლებს. სწავლა-განათლების მტრები  
გაიძახოდნენ: „რა ქვეყანაა ის, სა-  
დაც მწყემსი წიგნს კითხულობს და  
მეწისქვილე გაკვეთილს სწავლობს.  
ერთი ცხვარს უნდა მწყემსავდეს და  
მეორე უნდა ფქვავდეს“. უარესიც  
ხდებოდა. მახსოვს, მასწავლებლის-  
თვის დამიზნებული ტყვია კედელზე  
დაკიდებულ რუკას მოხვდა. ისიც  
მახსოვს, რა თქვა მამამ მაშინ: „კი-

ნალამ მთელი მსოფლიო გახვრიტა  
ამ ყაჩაღმა ერთი გასროლით“.

პირველ წლებში ბევრ აულში  
ცდილობდნენ შეეთავსებინათ ახალი  
სწავლება რელიგიურთან. ხანდახან  
ისე აირეოდა ყველაფერი, ვერ გა-  
იგებდი, სად იყო ბაზარი და სად  
მალაზია, სად — ალი და სად —  
ომარი. ჩემი ძმები კომუნისტური  
ახალგაზრდობის სკოლებში დადი-  
ოდნენ. მე კი ძალიანაც მშურდა იმა-  
თი, მაგრამ ჯერ შვიდი წლისა არ ვი-  
ყავი და მოუთმენლად ველოდი მათ  
დაბრუნებას სკოლიდან.

იმ ხანებში ჩვენს აულში გაიხსნა  
სკოლა იმათთვის, ვისაც ხუნზახში  
არ უნდოდა ბავშვების გაგზავნა  
სასწავლებლად. ეს სკოლა ნახევრად  
რელიგიური იყო და „ჰასანის სკო-  
ლა“ ერქვა.

ჰასანი კეთილი, მაგრამ უცნაური  
კაცი იყო. უცნაური იმიტომ, რომ  
სჯეროდა ძველისა და ახლის შეთავ-  
სება. როგორ ახერხებდა ამას,  
ღმერთმა იცის. ერთ აულში იგი  
კომკავშირის ორგანიზაციის მდივანი  
იყო, მეორეში კი — მოლა. რით  
დამთავრდა ეს, ძნელი მისახვედრი  
არ გახლავთ. როგორც მოლა, კომ-  
კავშირიდან გარიცხეს და, როგორც  
კომკავშირელი, მეჩეთს ჩამოაშორეს.  
სამოქალაქო ომის დროს ჰასანი წი-  
თელი პარტიზანი იყო. ღვთის ნებით  
ჩემი პირველი მასწავლებელიც ჰასა-  
ნი იყო. პირველ მასწავლებელზე  
დაწვრილებით მოყოლა ცოდვად არ  
ჩამეთვლება, ამიტომ სამ პატარა  
სასაცილო ამბავს გიამბობთ, უფრო  
უკეთ რომ წარმოიდგინოთ ეს კაცი.

#### ჰასანი და ტყვე

პარტიზანებმა ტყვედ ჩაიგდეს  
კონტრრევოლუციონერი ჯარისკაცი.  
ის შტაბში უნდა გაეგზავნათ, მუს-



ლიმ ატაევთან. ეს საქმე ჰასანს მი-  
ანდევს. პირველად ყველაფერი კარ-  
გად მიდიოდა, მაგრამ აი ნამაზის  
დრო დადგა. ჰასანი წყაროსთან გა-  
ჩერდა და ლოცვა დაიწყო, ტყვე კი  
იქვე ქვაზე ჩამოსვა. ტყვემ ხელების  
შეხსნა თხოვა, მეც მიინდა ნამაზი შე-  
ვასრულოო. ჰასანმა გაიოცა.

— შენ რაში გჭირდება ლოცვა,  
შენ ხომ თეთრი ხარ, რამდენიც არ  
უნდა ილოცო, სულ ერთია, მაინც  
ჯოჯოხეთში მოხვდები.

— კი მაგრამ, მე ხომ მაინც მუ-  
სულმანი ვარ. მუსლიმ ატაევი კი არ  
დამინდობს, მაშინვე კედელზე მიმა-  
ყენებს. უკანასკნელად მაინც ვი-  
ლოცო კაცმა.

ჰასანმა ხელები შეუხსნა ტყვეს,  
თან უთხრა:

— აი, ხედავ, შენ საბჭოთა  
მთავრობას აგინებდი, ალაჰის რწმე-  
ნას გვიშლისო. ვინ გიშლის, მიდი  
და, რამდენიც გენებოს, იმდენი  
ილოცე.

ჰასანი ისე გაერთო ლოცვაში,  
რომ ტყვე სულ დაავიწყდა. როცა  
მიიხედ-მოიხედა, ტყვე არსად ჩან-  
და, გაქცეულიყო. მაშინ გაცეცხლე-  
ბულმა ჰასანმა დაიძახა:

— ალაჰსა და რევოლუციას  
ვფიცავ, რომ გიპოვი და დაგიჭერ!

მართლაც დაიჭირა ის ტყვე ჰა-  
სანმა და დანიშნულ ადგილასაც მი-  
იყვანა.

### ლოცვა და სიხლერა

საბჭოთა ხელისუფლების პირ-  
ველ წლებში ჰასანი სასოფლო საბ-  
ჭოს მდივნად მუშაობდა. სოფლის  
საბჭოს ბეჭედი ამასობაში ისე გაც-  
ვდა, რომ აღარაფერი ემიჩნეოდა —  
ჰასანი ყველა ქაღალდს დაუზოგა-  
ვად ურტყამდა ბეჭედს.

თუ რაიმე სერიოზული საკითხი  
წამოიჭრებოდა, ჰასანი ამბობდა:

— მოლასა და რაიონის აღმას-  
კომს უნდა დავეკითხო.

სხვათა შორის, ჰასანი ცდილობ-  
და დასვენების დღე კვირიდან პა-  
რასკევს გადაეტანა, რამაზანის დღეს.  
დაუღალავად ეწეოდა ხალხში საბ-  
ჭოთა ხელისუფლების დადგენილე-  
ბების პროპაგანდას და ამავე დროს  
სამოქალაქო ომის დროს დაზიანე-  
ბული მეჩეთის შეკეთებას ცდილობ-  
და. მეჩეთი შეაკეთეს და გახსნის  
დღეც დანიშნეს. სწორედ ამ დროს  
რაიონში დიდი კულტბრიგადა ჩამო-  
ვიდა: მწერლები, მხატვრები, მსახი-  
ობები, მომღერლები, მუსიკოსები.  
რაიონიდან მთელი ბრიგადა აულში  
გააგზავნეს, სადაც საზეიმოდ უნდა  
გახსნილიყო მეჩეთი.

სტუმრებს დიდებულად შეხვდ-  
ნენ აულში. აჩვენეს დოღი, ჭიდა-  
ობა, მამლები ხხუბი. არც სტუმრე-  
ბი დარჩნენ ვალში: წაიკითხეს ლექ-  
ცია, ისაუბრეს სამეურნეო ამოცა-  
ნებზე, ჩაატარეს კონცერტი.

შუა კონცერტის დროს მინარეთ-  
ზე მუეძინი ავიდა და მართლმორწ-  
მუნე მუსულმანებს საღამოს ლოც-  
ვისკენ მოუწოდა. მაშინ ჰასანი წა-  
მოდგა და სტუმრებს სიტყვით მი-  
მართა:

— დიდი მადლობა, პატივი რომ  
გვეცით და ღირსშესანიშნავ დღეს—  
ჩვენი მეჩეთის გახსნის დღეს გვეწ-  
ვიეთ, კონცერტისათვისაც მადლო-  
ბას მოგახსენებთ. ახლა კი ჩვენ სა-  
ლოცავად წავალთ. გნებავთ, განაგრ-  
ძეთ კონცერტი, გნებავთ, დაგველო-  
დეთ და, გნებავთ, ჩვენთან ერთად  
წამოდიეთ.

ხალხის ნაწილი მეჩეთში წავიდა,  
ნაწილი კონცერტის მოსასმენად  
დარჩა, ზოგი კი დაბნეული იდგა და  
არ იცოდა, რა ექნა. სტუმრებიც და-



იბნენ. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ სახურავზე, სცენის მაგივრობას რომ სწევდა, ცნობილი მომღერლები გამოვიდნენ: არაშილელი ომარი, გაზი-მაჭმადი და კაგერელი მომღერალი ფატიმათი. ორი ფაფახი და ერთი თავსაფარი, ორი ფანდური და ერთი დაირა. და ახალმა სიმღერამ მთებს გადაუფრინა. ისინი მღეროდნენ ლენინზე, წითელ ვარსკვლავზე, წითელ დაღესტანზე. მღეროდნენ და ხან მალლა სწევდნენ დაირასა და ფანდურს, ხან გულში იკრავდნენ.

ამ სიმღერამ ზოგი მლოცველი მეჩეთიდან ქუჩაში გამოიყვანა, ზოგი კი, პირიქით, მეჩეთში შევიდა.

ამ გასართობ ამბავს დღესაც იხსენებენ ჰასანის აულში.

იმ კულტბრიგადაში იყო მამაჩემიც, ჰამზათ ცადასი, წინ, უნაგირზე კი მე ვყავდი შემოსკუბებული. მაშინ მე არაფერი გამეგებოდა.

გამომშვიდობებისას სტუმრებმა პატეფონი და რეპროდუქტორი აჩუქეს აულს.

### ჰასანი და რეპროდუქტორი

არ ვიცი, ვისი განკარგულებით იყო, შესაძლოა ალბათ თვით ჰასანისა, ეს კია, სტუმრების ნაჩუქარი რეპროდუქტორი მეჩეთის ახლოს ტელეფონის ბოძზე დაკიდეს. ახლა დილიდან საღამომდე ისმოდა რადიოს ხმა. რეპროდუქტორი ხან პიონერული საყვირების ხმას აფრქვევდა გარშემო, ხან მღეროდა, ხან უკრავდა, ხან ლაპარაკობდა და ხანაც უბრალოდ ხრიწინებდა და ტკაცუნებდა.

ზოგჯერ მეჩეთის მინარეთზე შემდგარი მუეძინისა და რადიოს ხმა ერთმანეთს უერთდებოდა და მაშინ ეშმაკიც ვერაფერს გაიგებდა.

ერთხელ მუეძინი რომ უნდა გამოსულიყო მინარეთზე, რადიოს ხმა ჩაუწყდა. ვილაცას მავთული გადაეჭრა ბოძზე. როგორც კი მართლმორწმუნეებმა ლოცვა დაამთავრეს, ჰასანი ბოძზე აცოცდა, მავთული შეაერთა და რადიოც ისევ ალაპარაკდა.

მეორე დღეს ლოცვის წინ ისევ გაჩერდა რადიო. ლოცვის მერე ისევ დაჭირდა ჰასანს ბოძზე აცოცება.

ეს ამბავი ბევრჯერ გამეორდა. ყველას უკვირდა, რატომ არ დაუდარაჯდა ჰასანი „დივერსანტს“.

როგორ გაოცდნენ აულის მცხოვრებნი, როცა გაიგეს, რომ რადიოს ხაზს თურმე თვითონ ჰასანი აზინებდა ყოველთვის.

ჰასანის გულში ორი ძალა ებრძოდა ერთმანეთს: ლოცვა და სიმღერა. ჰასანს მათი შერიგება ეწადა. მისი აზრით ყურანი და საბჭოთა ხელისუფლების ცხოვრების წესები ერთმანეთს უნდა დაახლოებოდა. ის ჯერ მეჩეთში წერდა ჯვარს ახალგაზრდებს და მერე სოფლის საბჭოში მიჰყავდა ხელის მოსაწერად.

ჰასანს ბუნების შესწავლის საკუთარი ხერხი ჰქონდა. გაჩერდებოდა და ხან ვარსკვლავს უყურებდა და ხან კლდეს. საათი საათს მიჰყვებოდა, ჰასანი კი იდგა და იდგა ასე. თუ რაიმე გადაუდებელი საქმე ჰქონდა, მაშინ ცოლს ან ჩვენ — ბიჭებს გვტოვებდა თავის ადგილას.

სკოლაში ციური სხეულების მოძრაობას გვიხსნიდა. ბევრს გვიამბობდა მიწისძვრებზე, მთვარისა და მზის დაბნელებაზე, მიქცევა-მოქცევაზე, გვიამბობდა საინტერესოდ და მიკვირს, რატომ არაფერი დამამახსოვრდა მისი ნაამბობიდან.

მისი პროგრამა ჭრელი იყო, ერ-



თად გვასწავლიდა არაბულს, რუსულსა და ლათინურს.

ფირფიცარზე ვეებერთელა არაბულ ასოებს მიწერდა და მეუბნებოდა:

— ისწავლე ეს ასოები. მამაშენი მთელი სიცოცხლე ამ ასოებით კითხულობდა და წერდა.

შემდეგ ასეთსავე დიდ რუსულ ასოებს დაწერდა და მეტყობდა:

— მამაშენმა იმ ასაკში ისწავლა ეს ასოები, სათვალეს რომ ატარებენ. შენც ისწავლე, გამოგადგება.

ზოგჯერ რომელიმე ტექსტს მოგვცემდა ხოლმე ჰასანი შესასწავლად, თვითონ კი მეჩეთში მიდიოდა სალოცავად.

როცა არაბულ წერას გვასწავლიდა, ჯოხი ეჭირა და ხელზე გვირტყამდა, თუკი შეგვცდებოდა რამე ან დაუდევრობას განოვიჩენდით.

როცა რუსულ ანბანზე მიდგებოდა საქმე, ჰასანი სახაზავს მოიმარჯვებდა ხელში. ასე რომ ხან ჯოხი გვხვდებოდა და ხან სახაზავი. მე კი აი, რისთვის მსჯიდა ხოლმე: ჩვენი სახლი მეჩეთის გვერდით იდგა. სახლსა და მეჩეთს შორის ერთი ნაბიჯის ოდენა გასასვლელი იყო. მე ჩვენი სახლის სახურავიდან მეჩეთის სახურავზე ვხტებოდი. ამისთვის გამლახა ჰასანმა. შემდეგ მეჩეთი დახურეს და რაღაც სასოფლო კლუბის მსგავსი ჩამოაყალიბეს. მე ისევ ძველებურად განვაგრძობდი აქეთ-იქით ხტომას. ჰასანმა ისევ დამსაჯა.

მამამ მოიწონა ჰასანის საქციელი და შითხრა:

— კალია კი არა ხარ, რომ ხტუნაობ, მიწაზე სიარული ისწავლე.

მერე კი შვიდი წელი შემისრულდა და ჩემი ხტუნვაც თავისთავად შეწყდა — ხუნზახის ციხე-სიმაგრეში დავიწყე სწავლა.

ვერავინ მოასწრო ჰასანის სკოლის დამთავრება; იგი დახურეს. ჰასანმა კოლმეურნეობის ფერმაში დაიწყო მუშაობა, სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე გააგზავნეს და იქიდან გამოფენის მედალიც ჩამოიტანა. ორი სხვა მედალი კი ჰასანმა ფრონტზე მიიღო. ომის დამთავრების შემდეგ იგი გვიამბობდა:

— მთელი ომის განმავლობაში, სადაც არ უნდა ვყოფილიყავი, არც ერთი ნამაზი არ გამომიტოვებია. ასე რომ არა, რა დამაბრუნებდა უვნებელსა და ჯანმრთელს.

მოკლედ რომ ვთქვათ, იგი ისევ იმ ჰასანად დარჩა. ახლა ის ავარელ სურაკატ ხანის ისტორიისათვის აგროვებს ცნობებს. ის ძველებურად კეთილი და პატიოსანი, თუმცა უცნაური კაცი კია.

აულში როცა ვარ, ყოველთვის შევუვლი ხოლმე, პატივს ვცემ, როგორც ჩემს პირველ მასწავლებელს.

მეორე მასწავლებელიც მახსოვს, უკვე ჩვეულებრივ სკოლაში. იგი ყოველთვის ზღაპრებს გვიყვებოდა თავის თავზე. ახლა ვხვდები, რომ ის ჭეშმარიტი ავარელი მიუნჰაუზენი იყო. ყოველ გაკვეთილს ასე იწყებდა ხოლმე:

— აბა, ბავშვებო, მოგიყვებთ ერთი ამბავი ჩემი ცხოვრებიდან?

— მოგვიყვით! — ერთად ვყვიროდით ჩვენ.

— ერთხელ ავარულ ყოისუზე გადავდიოდი ბონდის ხილით. ვხედავ, ჩემქვენ უზარმაზარი დათვი მოდის. გზის აქცევა არ შეიძლება. არადა, არც დათვი შითმობს გზას და არც მე ვუთმობ დათვს გზას. შუა ხიდზე ვეძგერეთ ერთმანეთს, მისთანა ძლიერ დათვს კი თავის დღეში არ შევხვედრივარ. ვიმარჯვე მაინც, ვტაცე დათვს ხელი ქეჩოში და წყალში გადავუძახე.



ჩვენ პირდაღებული ვუსმენდით მასწავლებლის ზღაპრებს.

— წინა კვირას კი მინდორში წავედი და არხეინად დავიწყე ჩემი ყანის ხენა. ხარები ღონიერი მყავს, მაგრამ უცბად დადგნენ და უღელი აღარ გაწიეს. რა მოხდა-მეთქი, გავიხედე და რას ვხედავ: კავს მკლავის სიმსხო ცხრა გველი შემოხვევია. ორი სადაცაა ხელებზე მწვდება. დავაძვრე ნაგანი და ყველა გავწყვიტე. იმდენი სისხლი დაიღვარა, მთელი მინდორი მოირწყო. მშვიდად დავამთავრე ხენა და შინ წამოვედი. ოღონდ ესაა, ხანდახან შიში მიტანს, ვაითუ, პურის ნაცვლად გველები ამოვიდეს-მეთქი.

გინდათ მოგიყვებ, როგორ მოვიტაცე ცოლი? იმ ხანებში ცუნტინის ტყეებში ყაჩაღებს ვიჭერდი. ერთი ყველაზე საშიში ყაჩაღის სახლში მივედი. თვითონ კი მოასწრო გაქცევა, მაგრამ მთვარესავით ლამაზი ქალი დარჩა შინ. მე იმას შევხედე და იმან მე შემომხედა. მოკლედ, ერთმანეთი შეგვიყვარდა. დავავლე ხელი, გადავაწვინე უნაგირზე და გავქუსლე. უცბად გავიხედე და რას ვხედავ, ორმოცი საშინელი ყაჩაღი არ მომდევს უკან! პირში ხანჯლები გაურჭვიათ, ცალ ხელში ხმალი უჭირავთ და ცალში ნაგანი. მოვტრიალდი, დავუმიზნე და ყველა სათითაოდ გავაგორე. ეს ამბავი ყველამ იცის დაღესტანში.

ერთხელ გაკვეთილზე მე და ბასირი ვლაპარაკობდით. მასწავლებელმა გამიძახა და მკაცრად მკითხა:

— რატომ იქცევი ცუდად, რას ელაპარაკებოდი მთელი საათი ბასირს?

— ვკამათობდით, ბასირი ამბობს თქვენზე, მაშინ რვა გველი მოჰკლავ მინდორში, მე კი ვეუბნები, თვრამეტი მოჰკლა-მეთქი.

— უთხარი ბასირს, რომ შენა ხარ სწორი და არა ის.

მას აქეთ ყოველთვის უკვირდა დედას და მამას, რომ გაკვეთილებს არ ვსწავლობდი და შინ მაინც კარგი ნიშნები მომქონდა.

კეთილი კაცი იყო ჩემი მასწავლებელი, მაგრამ დიდხანს ვერ ჩერდებოდა ერთ ადგილას. ხან მიყრუებულ აულებში აგზავნიდნენ ხოლმე, ხან სილუხში, ხან არადერიხში, მაგრამ იქაც ვერ ძლებდა დიდხანს.

ამას წინათ მწერალთა კავშირში მოვიდა ჩემთან და მოხოვა, რაიმე სამუშაო მიმოვნეო.

რა გეხერხება-მეთქი, ვკითხე.

— ომზე შემიძლია მოგონებების დაწერა. ყველა მარშალი ხომ ჩემი ამხანაგი იყო, ის კი არადა, ზოგიერთი მათგანი სიკვდილსაც გადავარჩინე.

ბევრი მასწავლებელი მყავდა, მაგრამ ჩემს ნამდვილ პირველ მასწავლებლად მაინც ვერა ვასილეენას ვთვლი. ამ კეთილმა რუსმა ქალმა მაზიარა რუსული ენის სილამაზესა და რუსული ლიტერატურის დიდებულებას.

ავარული პედაგოგიური სასწავლებლის მასწავლებლებო, მოსკოვის ლიტერატურის ინსტიტუტის პროფესორებო!

მანსურ გაიბარბეკოვო და პოსპელოვო, მაჰმად გაიდაროვო და გალიცკო, შამბინაგო, რადციგო, ასმუსო, ფოხტო, ბონდო, რეფორმატსკო, ვასილი სემიონოვიჩ სიდორინო... მე, ცხადია, ცუდად გპასუხობდით გამოცდებზე, რადგან ჯერ კიდევ კარგად ვერ ვლაპარაკობდი რუსულად, მაგრამ ასე მგონია, თითქოს გამოცდები არ დამემთავრებინოს. ზოგჯერ მესიზმრება, თითქოს ისევ ვაბარებ ძნელ გამოცდებს, ვიჭრები და პირველ კურსზე მტოვებენ.



ცხადში კი, როცა ჩემი ახალი წიგნი გამოდის, ვიმედოვნებ, იქნებ ჩემს რომელიმე მასწავლებელს ჩაუვარდეს იგი ხელთ და წაიკითხოს. ეს კი უფრო მაშინებს, ვიდრე ენათმცოდნეობისა თუ ძველი ბერძნული ლიტერატურის გამოცდა. ვაითუ ჩემი წიგნი არც დაამთავრონ, ისე გადადონ გვერდზე და თქვან: „ცუდად დაუწერია რასულს, ეტყობა, აჩქარებულა“. აი ეს არის ჩემი ყველაზე უფრო ძნელი გამოცდა.

შენც სხვადასხვა მასწავლებლები გყავდა, დაღესტანო, შენი ჰასანები და შენი მიუნჰაუზენები. ზოგიერთს თვითონ არ სჯეროდა, რასაც ვასწავლიდა, ზოგი გატყუებდა, ზოგი ცდებოდა. მაგრამ აი მოვიდა დიდი და სამართლიანი, ვაჟკაცური და კეთილი მასწავლებელი. ეს მასწავლებელი რუსეთი, საბჭოთა ხელისუფლება, რევოლუცია იყო, ახალი ცხოვრება, ახალი სკოლა, ახალი წიგნი.

წინათ მთელ აუღში მხოლოდ მოლას შეეძლო წერილისა თუ წიგნის წაკითხვა. ახლა კი ყველა კითხულობს მოლას გარდა.

დიდი ბედის გამოდგა პატარა ხალხი. კვლავ იწერება ამბავი დაღესტანზე, არც გათავდება იგი. მე ბედნიერი ვიქნები, ამ ოქროს წიგნში ერთი ფურცელი მაინც თუ იქნება ჩემი დაწერილი. მე ვმღერო ჩემს სიმღერას, მიიღე იგი, დაღესტანო!

შენი მადლია, რაც გამაჩნია, შენი სიკეთით ვარ დალოცვილი და ყველა ჯილდოს, ყველა ხვაშიადს ყელზე დაგვიღებ ავგაროზივით.

მოგიძღვნი ლექსებს და ნათლის სვეტად თავს დაგადგება სიტყვის ვარაყი, ოღონდ მაჩუქე ნაბადი ტყეთა და თოვლიანი მთების ფაფახი.

მორჩა და გათავდა. ჩვენი განშორების დროც მოვიდა. როგორც იტყვიან, ისევ შეგვახვედრებს ღმერთი ერთმანეთს.

ეს წიგნი სხვადასხვა ადგილას დაიწერა — ცადაში, მოსკოვში, მახაჩყალასა და დილიჯანში. როდის დავიწყე წერა, არ მახსოვს, დამთავრებით კი 1970 წლის 25 სექტემბერს დავამთავრე.

ვასალამ, ვაკალამ.





## აბრაამ ხეშელა

### ვინ არის ადამიანი?

თარგმნა თამაზ ჩხენკელმა

ჩვენი მთავარი საზრუნავი ადამიანია. მისი ფიზიკური და ფსიქიკური რეალობა საკამათო არაა, მაგრამ მისი სულიერი შინაარსი იმ კითხვად რჩება, რომელიც დაუწინებოთ მოითხოვს პასუხს. შეგვიძლია თუ არა ვივარაუდოთ, რომ თანამედროვე ადამიანის ტანჯვა-წამება, საგონებელში ჩავარდნილი კაცის ტანჯვა-წამებაა? ადამიანი ვერ ეტევა მისთვის საგულვებელ ჩარჩოებში. ჩვენ ვერ ვაფასებთ ადამიანის ბუნებას. ადამიანის, როგორც ცოცხალი ქმნილების მიმართ ჩვეულებრივ დასმული კითხვის ფორმასაც კი, ჩვენი შეხედულება განსაზღვრავს. „რას წარმოადგენს ადამიანი?“ — ვკითხულობთ ჩვენ, საჭირო კი იყო გვეკითხა: „ვინ არის ადამიანი?“ როგორც ქმნილება, ადამიანი ახსნაღია, შეცნობადი, როგორც პიროვნება — იგი აღსავსეა უცნაურობითა და მოულოდნელობით. როგორც ქმნილება, იგი სასრულის მქონეა,

როგორც პიროვნება — ამოურწყავი... პასუხი გასცე კითხვას — „ვინ არის ადამიანი?“ — ნიშნავს, განსაზღვროს ადამიანის ღირებულება, ყოველივე არსებულის იერარქიაში მისი მდგომარეობა და ადგილი.

ავგუსტინე სულის საკუთარ არსებობაში დარწმუნებას მეტ-ნაკლებად უტყუარ ცლად მიიჩნევდა. მაგრამ ჩავუფიქრდეთ: რაშია დარწმუნებული სული? იგი დარწმუნებულია, რომ არსებობს, აზროვნებს და მოქმედებს. მაგრამ საკითხავი ის კი არ არის, ვმოქმედებ თუ არა, და არც ის, ვარსებობ თუ არა, — საკითხავია, ვინა ვარ მე. და პირველივე პასუხი კითხვაზე — „ვინ არის ადამიანი?“ — ასეთია: იგია არსება, რომელიც საკუთარი თავის მიმართ კითხვასა სვამს. ამ კითხვების მეშვეობით ის მიდის დასკვნამდე, რომ იგი პიროვნებაა. ამავე დროს, მის მიერ დასმული კითხვე-



ბის ხასიათი საჩინოვს საკუთრივ მის მდგომარეობას.

ჩვენი კითხვა მარტო იმას კი არ იძიებს, თუ „როგორია ადამიანის პიროვნების ბუნება“, არამედ იმასაც, თუ „როგორია პიროვნების მდგომარეობა და რაა ადამიანური ადამიანში“. კერძოდ, საკითხავი მარტო ის კი არაა, რას წარმოადგენს ადამიანის პიროვნება, არამედ ისიც, თუ რას ნიშნავს, იყო ადამიანი.

ღანოუკიდებლობისა და თავისთავადობისაკენ სწრაფვა, იმის უნარი, რომ გამოეყო, განსხვავდეს, უარყო და წინ აღუდგეს — ყველაფერი ეს ნიშნავს, ადამიანი იყო. არ არსებობს ადამიანური ღირსება იმ უნარის გარეშე, რომ შეგეძლოს დაიკავო განსაკუთრებული პოზიცია, დარჩე მარტოობაში. ადამიანს სჭირდება მარტო დარჩენა და საკუთარ გულში ჩაღრმავება, გარინდება, თუკი სურს რაიმეს მოსმენა. საზოგადოების მხრივ განგაშის ცრუ სიგნალებისა და ძალმომრეობითი შემოჭრის წინააღმდეგ მიმართული აუცილებელი პროტესტის გამოხატვაა მარტოობა. მარტოობა ძალთა აღდგენისა და განკურნების პერიოდია.

და მაინც, ადამიანი არასოდეს არ არის მარტო. თვით სრულ განმარტოებაშიც კი მე ვცნობ, ვიტანჯები და ვხარობ ჩემს თანამედროვეებთან ერთად. ჭეშმარიტი მარტოობა დანარჩენი კაცობრიობის ანგარიშში არჩადება კი არაა, არამედ ადამიანურ გრძნობათა დახვეწა. ჭეშმარიტი მარტოობა ნამდვილი ურთიერთობებისა და სოლიდარობის ძიებაა. სხვაფრივ მარტოხული კაცი ამაო ოცნების ნაყოფია. ნებისთ თუ უნებლიეთ, შეგნებულად თუ შეუგნებულად, იგი კაცთა თანამეგობრობასთანაა წილნაყარი, იგი მთელი კაცობრიობის ნაწილია... ადამიანისთვის ყოფნა ნიშნავს სხვებთან ერთად ყოფნას, მისი არსებობა თანარსებობაა. იგი ვერ მოიაზრებს და სავსებას ვერ მოუპოვებს თავის არსებობას, უკეთეს სხვა ადამიანებს არ დაუკავშირდება.

მართალია, იმისათვის, რომ მივწვდეთ ადამიანური საწყისის აზრს, უნდა გავანალიზოთ ადამიანის პიროვნება და არა გვარი, მაგრამ ყოველი ანალიზი, რომელიც არ გაითვალისწინებს სოციალურ გარემოს, ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებასა და ურთიერთგავლენას, ზედაპირული იქნება.

ადამიანთა ერთობა არაა ნაყოფი ადა-

მიანური საწყისისა, იმისა, რაც „ადამიანად ყოფნას“ ნიშნავს. პირუკუ, ადამიანური საწყისია ადამიანთა ერთობის ნაყოფი. თვით ყველაზე პიროვნული ყოფიერების აზრის საკითხი სავსებით უარყოფს ხდება, როცა მას პირადული ხსენებისა ვსვამთ. ეს საკითხი სხვებისადმი თანაგრძნობასა და ყველა ადამიანისათვის საერთო, იმედით ან ინტუიციით განჭვრეტულ შინაარსს მოიცავს.

თვით კაცთათვის ჩვეული ეგოცენტრიზმი, თავმოთნეობა და თვითგანდიდება სხვათა არსებობისა და მათი ადამიანური ღირსების პირდაპირ აღიარებას გულისხმობს. ადამიანი სხვათა თვალში ამაღლებას ესწრაფვის, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი აფასებს, ანგარიშს უწევს მათს აზრსა და შეხედულებას. ყველა მიღწევა იმ მრწამსიდან იხადება, რომ ჩემი კეთილდღეობა სხვისთვისაც კეთილდღეობად იქცეს.

... ადამიანად ყოფნა უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე უბრალოდ ყოფნაა. ადამიანი ბჭობს თავის თავზე და თავის ყოფიერებაზე და ამ განსჯაში მისთვის ცხადი ხდება: იმისათვის, რომ იყოფიერო, საჭიროა განუწყვეტლივ შეითვისო სხვისეული, რადგან ადამიანისთვის საკმარისი არაა მხოლოდ საკუთარი ყოფიერება.

**არსებობა და მიზანშეწონილობა.** ადამიანის ბუნება ეგოცენტრულია და ამიტომ იგი მიდრეკილია ქცევის მიზანშეწონილობა ანუ ხელსაყრელობა მიიჩნიოს ბოროტისა და კეთილის კრიტერიუმად. მაგრამ ეს მიდრეკილება აქსიომად არ უნდა მივიღოთ და არ უნდა ვამტკიცოთ, რომ კაცს ისევე არ შეუძლია ეგოიზმის ჩარჩობიდან გაბიჯება, როგორც დროისა და სივრცისგარე კრიტერიუმებით აზროვნება, რომ მას არ ძალუძს გადალახოს თავისი საზღვრები და ეზიაროს ტრანსცენდენტურს. არსებობასა და მიზანშეწონილობას შორის ტოლობის ნიშნის დასმა ადამიანური აზროვნების ერთ-ერთი ყველაზე უფრო სახიფათო შეცდომაა.

ყველაფერში კლასობრივ და ნაციონალურ ინტერესთა ვითომდა თვითმარეგულირებელ ძალაზე — თანადროულობის ამ კერპზე დანდობა იმას ნიშნავს, რომ სასურველი ნამდვილად არსებულად მიიჩნიოთ. ვინ იცის, ან ვის შეუძლია იცოდეს, როგორია კლასის ან ერის ჭეშმარიტი ინტერესები? განა მათი შეჯახება, რომელსაც ომამდე მივყავართ ზოგჯერ, მიზანშეწონილობის



პრინციპის არასაიმედობას, მასზე დანდობის შეუძლებლობას არ გვიდასტურებს?

დრო და ჭეშმარიტება უარყოფენ ამ პრინციპის ზოგადნიშნადობას. დრო ადამიანური არსებობის ასპექტია, რომელიც არ ემორჩილება მიზანშეწონილობის ხელმწიფებას, ხოლო ჭეშმარიტება უზენაესი ხელმწიფებით არის მორჭმული. მას არა ჰყავს არც მეტოქეები, არც მიმბაძველები, იგი დამარცხებისაგან შეუვალია. ადამიანს არ შეუძლია ჭეშმარიტების რეწვა, იგი უნდა დაემორჩილოს მას. წინ უძღვის რა ადამიანს, ჭეშმარიტება ტრანსცენდენტურის წინასწარ განსახიერებას წარმოადგენს.

მიზანშეწონილობას აბსოლუტად ვინც აღიარებს, ადვილად ექცევა მანკიერ წრეში. იქ, სადაც მიზანშეწონილება უმაღლეს საწყისადაა მიჩნეული, არსებობა ჩინში ექცევა. ჭეშმარიტი არსებობა აღფრთოვანების სიხარულით, სიწმინდითა და ვალდებულების გრძნობით არის აღბეჭდილი.

ტრანსცენდენტურში გაუსვლელი არსებობა ისეთი სიცოცხლეა, რომელშიც ნივთები კერპებად არიან ქცეულნი, ხოლო კერპები — ურჩხულებად. ტრანსცენდენტურის უარყოფა ეწინააღმდეგება ადამიანური ყოფიერების ძირითად ჭეშმარიტებას. ასეთ უარყოფას ან ფლემგმატური თვითკმაყოფილება ბადებს, ანდა უხამსი ამპარტავნობა...

უარყოფა ტრანსცენდენტურისა, რომელიც ამასთანავე ყოფიერების ჭეშმარიტი არსის ამოხსნას იჩემებს, შინაგანად წინააღმდეგობრივია, რადგან ყოფიერების ჭეშმარიტება არ არსებობს არც მის შიგნით და არც მასზე ჩვენეული წარმოდგენის ჩარჩოებში: ეს ჭეშმარიტება ჩვენი ყოფიერების საზღვრებს გარეთაა.

ადამიანი რომ იყო, აუცილებელია ისწავლო მიზანშეწონილობის, როგორც აბსოლუტის, მცდარობის გამომჟღავნება. ღვთის ხმა ჩვენს სინდისს შესაძლოა ოდნავ ესმოდეს და მაინც კაცობრიობის ისტორიაში დაფარულია ღვთაებრივი ცბიერება, რაც იმას გვიდასტურებს, რომ როგორცა ჩანს, აბსოლუტური მიზანშეწონილობა კატასტროფით მთავრდება.

ბედნიერება თვითკმაყოფილების, გულმორწყალებისა და ქედმაღლობის ტოლნიშნადი არ არის. თვითკმაყოფილება შობს სიცარიელესა და სასოწარკვეთილებას. თვითკმაყოფილება უმეცართა ოპიუმია.

თვითკმაყოფილება კეთილშობილი გო-

ნებისათვის დამამცირებელი რამაა. ყველაფერი ის, რაც შემოქმედებითა კაცის გულში, უსასრულო დაუკმაყოფილებლობის თესლიდან აღმოცენებულია დაუკმაყოფილებლობის გრძნობა ბადებს ახალ აღმოჩენებს, როცა ნახული, თქმული ან გაკეთებული არასაკმარისად ან მცდარად გვეჩვენება. ადამიანის ჭეშმარიტ კმაყოფილებას მხოლოდ იმასთან ურთიერთობა დაბადებს, რაც თავად ადამიანს აღემატება.

**ძნელია იყო ადამიანი.** იყო ადამიანი — ნიშნავს, განსაკუთრებულად ძნელ მდგომარეობაში იმყოფებოდე. იყო ადამიანი — ნიშნავს, წარმოდგენდე არა ნივთიერების გორახს, არამედ ადამიანურ საწყისს, ხმას მლაღაღებლისა უდაბნოსა შინა. ადამიანს გულისყური სუსტადა აქვს განვითარებული, სამაგიეროდ, თვალი აქვს ხარბი და მახვილი. მას აცბუნებენ ძალები, რომლებსაც ფლობს, მაგრამ რომლებიც აღემატებიან მის საკუთარ ძალებს. მას შეუძლია დაუშვას ექსტრავაგანტობა, ფუფუნება ან თვითკმაყოფილებას მიეცეს. იგი ფეთქებადი ძლიერებით არის მორჭმული. ადამიანური ყოფიერება უსაზღვროა, მაგრამ ატარებდე ადამიანურ საწყისს — ნიშნავს, პატივს სცემდე საზღვრებს. ადამიანი, შეიძლება ითქვას, ორ პოლუსს შორისაა მოქცეული: ადამიანურ ყოფასა და ადამიანურ საწყისს შორის.

იყო ადამიანი — ნიშნავს, წინააღმდეგობა გაუწიო ცთუნებას, სულმოკლეობა არ გამოიჩინო მარცხის დროს, არ ესწრაფვო სურვილთა დაუყოვნებლივ აღსრულებას. მაგრამ უფრო ადვილია უარი თქვა ყველაფერ ამაზე და აღიარო: მე არაკაცი ვარ, ადამიანური უცხოა ჩემთვის.

ჩვენს გულში ღვივის უძლიერესი მოთხოვნილება — წინააღმდეგობა გავუწიო სინდისის ხმას, რომელიც მოგვიწოდებს ყური ვუგდოთ მას. გულზავობა, საკუთრებისადმი სიყვარული და ხელისუფლებისადმი სწრაფვა მოვალეობის გრძნობას ჯერ გვიჩლუნგებს, ხოლო შემდეგ სულაც გვიხშობს. ყველა ადამიანური და ნაციონალური ურთიერთდამოკიდებულება მხოლოდ ერთი ფორმით მჟღავნდება: ერთნი მბრძანებლობენ, მეორენი ემორჩილებიან ბრძანებას.

ადამიანი შეიძლება იყოს დამყაყებული, უხეში, სასტიკი. შეიძლება იყოს გულდახურული და თავის თავში ჩაკეტილი იმ ზომამდე, რომ უარი თქვას შეხედვაზე,



მოსმენაზე, აღქმაზე. მას თავად ღვთის სახე შეუძლია გადააქციოს სატანურ სახედ. მაგრამ მიუხედავად ადამიანობისადმი სწრაფვასა და ცხოველურისადმი მიდრეკილებას შორის შინაგანი ბრძოლისა, ახლა ძნელად დასაშვებია ამ ორ საწყისს შორის არჩევანის შესაძლებლობაზე ლაპარაკი. კაცობრიობამ უკუმოუბრუნებლად გადააბიჯა საზღვარს, რომელიც მას ცხოველთა სამყაროდან ჰყოფს. ცხოველად ქცეული ადამიანი ადამიანის წინააღმდეგობად იქცევა. ადამიანურს უპირისპირდება დემონური და არა ცხოველური საწყისი.

შესაქმის აქტს არ შეუმუსრავს არამყოფობა და აბსურდული. აკი ყოველ ნაბიჯზე ვაწყდებით წყვილად და აბსურდულის უფსკრულიც ჩვენს გვერდითაა. ჩვენს წინაშე ყოველთვის რამდენიმე გზაა ხსნილი და იძულებულნი ვხდებით, მამაცურად მოვახდინოთ არჩევანი, თუმცა ხშირად არც კი ვიცით რატომ და როგორ. განვლილ გზაზე ჩვენი შეცდომები ნათლად ჩანს, ხოლო სიმართლე მიწისქვეშაა დაფარული...

ადამიანი განუყოფლად და ერთდროულად არის დაკავშირებული ორგანულ ბუნებასთანაც და ღვთაებრივი გონის უსასრულო გარდამოსვლასთანაც. ყოფიერების სფეროში უმნიშვნელო უმცირესობა — იგი — სადღაც, ღმერთსა და პირუტყვს შორის არის გახილული. და რაკი არ შეუძლია იცხოვროს მარტოობაში, იძულებულია ურთიერთობა დაამყაროს ან პირველ ან მეორე საწყისთან.

ღმერთმა აკურთხა ადამიცა და ცხოველებიც. მაგრამ ადამს ქვეყანაზე გამეფება და ცხოველებზე გაბატონება დაევალა. ადამიანი არჩევანის წინაშეა მარადღელე: ვის გაუგონოს, ღმერთსა თუ გველს... ყოველთვის უფრო ადვილია ცხოველის გშურდეს, თაყვანს სცემდე და ემორჩილებოდე ტოტემს, ვიდრე ის, რომ ისმინო ღვთის ხმა.

ჩვენი სიცოცხლე მერყეობს ცხოველურ და ღვთაებრივ საწყისებს შორის, იმას შორის, რაც უფრო ღილია, ვიდრე ადამიანური, და იმას შორის, რაც უფრო მცირეა, ვიდრე ადამიანური: ჩვენს ქვევით წარმავლობა და ამოებაა, ჩვენს ზევით—განხმული კარიბჭე ხაზინადრისა, რომლის წინაშე ვდებთ ვერცხლს სულიერებისა და კეთილ-

მსახურებისა, ჩვენი მოკვდავი სიცოცხლის უკვდავ ნამუსრევს. ჩვენ მარადღელე სიკვდილის დოლაბებს შორისა ვართ მოქცეულნი, მაგრამ. ამავე დროს. ჩვენა ვართ ღმერთის თანამედროვენი.

ადამიანი „დიდად დამცრობილი არ არის ანგელოსთა წინაშე“, არც დიდად აღმატებული ცხოველთა წინაშე. თავკერძობისა და ღვთაებრივი საწყისის მიზიდულობის ძალებს შორის მოქცეული, იგი წყვილადში მოვლენილი განჭვრეტის უნარის ზემოქმედებისაგან შუქურასავით ქანაობს. თუკი ჩვენ უგულვებელვყოფთ ამ განჭვრეტისა თუ ხილვისაგან გამომდინარე ჩვენსავე მოვალეობას, ვერასოდეს მივხვდებით რაა აზრი ჩვენი არსობისა. მხოლოდ ფხიზელ, ზედაპირული ბრწყინვალეებისაგან დაუბრმავებელ თვალს შეუძლია განჭვრეტოს სულის წყვილადში ადამიანური უმეცრების, სიცრუისა და სიცოფის საშინელებით განცვიფრებული ღმერთის ხილვა.

ადამიანი უდიდესი ძლიერებით არის მორჭმული და ეს ცოცხალ არსებათაგან მას პოტენციურად ყველაზე საშიშ და ავბედით არსებად ხდის. მას ხშირად უღვივის გულში ბოროტი საქმეების ჩაღენის სურვილი, რომელთა ალაგმვა მხოლოდ ღვთისადმი შიშის გრძნობას შეუძლია. ხშირად განიცდის იგი შურსა და ღვარძლს, რომელთა დაცხრომა მხოლოდ სიწმინდისაკენ ლტოლვას შეუძლია.

თუკი ადამიანი მეტი არ არის, ვიდრე ადამიანი, მაშინ იგი ნაკლებია, ვიდრე ადამიანი. ადამიანი მხოლოდ ხანმოკლე გარდამავალი სტადიაა ცხოველურ და სულიერ საწყისებს შორის. იგი მერყევ მდგომარეობაშია: ხან ცალ აიჭრება, ხანაც მიწაზე ენარცხება. კაცობრიობა არ არსებობს მერყეობის გარეშე. სავსებით თავისუფალი კაცი ჯერ არ მოვლენილა დედამიწაზე.

ადამიანი უფრო ღილია, ვიდრე მას ეჩვენება, თუნდაც რომ მისი გონება დასაზღვრულია და ნებისყოფას ძალუძს წარმართოს ბოროტისაკენ. მიუხედავად ამისა, ადამიანი უზეშთაესთან ისეთი კავშირითაა დაკავშირებული, რომლის დარღვევა მას აღარ ძალუძს და ეს კავშირია აზრი მისი ცხოვრებისა. იგია კვანძი, რომელშიც განასკვულია ქვეყნიერიცა და ზეციერიც.



## ზაზა ბაჩილაძე

### თეატრალური დადგმები შექსპირის სამუოლოში

ლონდონის თეატრალური აფიშა ძალზე ნაირფეროვანია. მაყურებელს იწვევენ კლასიკური თეატრის ტრადიციულ დადგმებზე, აბსურდის თეატრის წარმოდგენებზე, მიუზიკლებზე, „შოუზე“, რომელსაც რომელიმე ცნობილი კომიკოსი მსახიობი წარმართავს, პორნოგრაფიულ სანახაობაზე და ვინ მოსთვლის, კიდევ რაზე არა. ამას ემატება ოპერისა და ბალეტის თეატრების მრავალფეროვანი პროგრამა, აგრეთვე სხვადასხვა სახის კონცერტის აღურიცხველი რაოდენობა და ადვილი წარმოსადგენია, რა ძნელი ამოცანა უნდა გადაჭრას ადამიანმა, ვინც პირველად არის ლონდონში და ვერ გადაუწყვეტია, რით დაიწყოს.

ლონდონში სამოცდაათამდე პროფესიული თეატრალური დასია და ამდენივე თეატრი, ექვსი საბალეტო და ხუთი საოპერო კოლექტივი, ამავე დროს ყოველდღიურად რამდენიმე ათეული კონცერტი იმართება. მათ ასეთნაირად გამოჰყოფენ: როკის (Rock), ხალხური (Pop), ჯაზური და კლასიკური მუსიკა.

თუ გადაშლით ყოველკვირეულ საინფორმაციო ჟურნალებს „რა გადის“ (what's On) ან „შესვენებას“ (Time Out), თვალს აგიჭრებლეთ უამრავი განცხადება, ათასგვარ სანახაობას რომ გთავაზობთ.

„ეს ურყევი ჭეშმარიტებაა, დღე არ გავა, რომ მსოფლიოს რომელიმე ქალაქში შექსპირის ერთი პიესა მაინც არ გადიოდეს“, ამ ფრაზას უსათუოდ გეტყვით გიდი, სტრეტფორდში-ევონზე, შექსპირის მშობლიურ ქალაქში, დიდი დრამატურგის კერის დათვალეერების დროს რომ გაგიძღვებათ. ალბათ მას ამის თქმა აღორძინების ეპოქის

უდიდესი შემოქმედის პოპულარობის დასამტკიცებლად სჭირდება, თუმცა უნდა ითქვას, რომ ეს ზედმეტიცაა.

1976 წლის გაზაფხულზე ლონდონში შექსპირის რვა პიესა იდგმებოდა: სტრეტფორდის სამეფო თეატრი, რომელსაც ბინა დიდი დრამატურგის მშობლიურ ქალაქში აქვს, გასტროლებს მართავდა დედაქალაქის „ოულდვიჩის“ თეატრის სცენაზე. დგამდა ისტორიულ ქრონიკებს: „ჰენრი IV“ — პირველ და მეორე ნაწილს, „ჰენრი V“ და კომედიას „ვინძორელი მხიარული ქალები“; თეატრი „იანგ ვიკი“ — „ოტელოს“, „მაკბეტსა“ და „როგორც მოგეწონებათ“. რაც შეეხება მერვე პიესას — „ჰამლეტს“, მისი ნახვა შეიძლებოდა ეროვნულ თეატრ „ოულდ ვიკსა“ და „რაუნდ ჰაუსში“.

ყველა ეს სპექტაკლი რეჟისორულად ტრადიციული, კლასიკური სტილით იყო შესრულებული, გარდა „რაუნდ ჰაუსში“ დადგმული „ჰამლეტისა“ და, ჩემი აზრით, მკითხველისათვის საგულისხმო იქნება, თუ ამ პიესის ორ განსხვავებულ დადგმაზე შევაჩერებთ ყურადღებას.

„ოულდ ვიკი“ დიდი ტრადიციების მქონე ეროვნული თეატრია. მის სცენაზე „ჰამლეტის“ მრავალი დადგმა განხორციელებულა. სხვადასხვა დროს აქ ჰამლეტის როლში გამოსულან ცნობილი მსახიობები სერ ლოურენს ოლივიე და მაიკლ რედგრეივი; უკანასკნელად, 1963 წელს ჰამლეტი ნიჭიერმა მსახიობმა პიტერ ო'ტულმა განასახიერა. ამჯერად მას ალბერტ ფინი ასრულებდა. ამ დადგმის პრემიერა 1975 წლის 10 დეკემბერს გაიმართა.

სარეკლამო აფიშებზე იბეჭდება ამა თუ



იმ სპექტაკლის ანოტაცია, ჩამოთვლილია მსახიობები, შექმნილია ისინი. რაც შეეხება ეროვნული თეატრის ამ დადგმას, მისი განცხადება ძალზე მოკლე და მკაფიო იყო: ეროვნული თეატრი „ოულდ ვიკი“ სამხრეთ სანაპირო, უოტერლოოროულ ხუთშაბათი

შექსპირის „ჰამლეტი“ მონაწილეობს ალბერტ ფინი.

შემდეგ აღნიშნავენ ბილეთების ფასს და სპექტაკლის დაწყებისა და დამთავრების დროს. ეს იმის დასტურია, რომ თანამედროვე ინგლისის თეატრალური საზოგადოება კარგად იცნობს ალბერტ ფინის და მისი მონაწილეობა ნებისმიერ სპექტაკლში არავითარ დამატებით განმარტებას არ საჭიროებს. მისი სახელი თავისთავად არის რეკლამა. რამდენიმე წლის წინათ ალბერტ ფინს ინგლისის თეატრის იმედს უწოდებდნენ, ახლა კი იგი თავისი შემოქმედებითი სიმწიფის ასაკშია.

რაც შეეხება „რაუნდ ჰაუსს“, იგი ცირკის მსგავსი შენობაა, სადაც ერთი მთავარი სცენაა და ერთი კიდევ მცირე დარბაზისტუდია, მისი ადგილმდებარეობის მიხედვით „დაუნსტეარზ“ (Downstairs) ანუ „ქვედა სართულში მდებარე“ რომ ჰქვია. „რაუნდ ჰაუსს“ საკუთარი დასი არა ჰყავს. აქ ყოველთვის სხვადასხვა კოლექტივი მართავს ხოლმე წარმოდგენებს. ამჯერად „სხვა ადგილი“ (The Other Place) უჩვენებდა „ჰამლეტს“. ეს საკმაოდ ორიგინალური სახელის მატარებელი დასი — „სხვა ადგილი“ სტრეტფორდში, სამეფო შექსპირული თეატრის პარალელურად არსებობს.

აქვე მინდა ერთი ამბავი გავიხსენო. „რაუნდ ჰაუსის“ ჰამლეტზე დასასწრებად წარმოდგენის დაწყებამდე ერთი საათით ადრე მივედი, რაც ჩვეულებრივად საკმარისი დრო არის ხოლმე თეატრის ბილეთის შესაძენად ლონდონში. იქამდე არც ერთი თეატრიდან არ გამოვბრუნებულვარ ისე, სპექტაკლი რომ არ მენახოს. ეროვნულ თეატრშიც კი, სადაც მუდამ ზღვა ხალხია, სპექტაკლის დაწყებამდე რიგში ვდგებოდი და ბილეთი ყოველთვის მერგებოდა ხოლმე. ამით

დაიმედებული მივადექი „რაუნდ ჰაუსის“ სალაროს, ამჯერად სალაროში ბილეთები არ იყო! მოლარეს ვკითხე: შესასვლელთან რომ დავდგე, ხომ შესაძლებელია ვინმეს ზედმეტი ბილეთი აღმოაჩნდეს-მეთქი. „როგორ არა, უსათუოდ იშოვით“, — მიპასუხა მან. „ბარემ ისიც მითხარით, მცირე დარბაზში შესასვლელი სადაა?“ — ვკითხე ისევ მოლარეს. „არ ვიცი“, — მიპასუხა. მე სახტად დავრჩი. „ნუთუ სპექტაკლს არ დასწრებიხართ?“ „არა, — მომიგო დინჯად, — არ მაინტერესებს და არ დავსწრებივარ“.

ქუჩაში გამოვედი, მცირე დარბაზში შესასვლელს მივაგენი. ვილაცას ჩემს ბედზე, ზედმეტი ბილეთი აღმოაჩნდა<sup>1</sup>; დარბაზში შევედი. ადგილები და ბილეთები დაუნომრავი იყო და მესამე რიგში დავჯექი.

ამ ამბის განხილვით ის მინდა ვთქვა, რომ ინგლისის თეატრების სერიოზულ წარმოდგენებს, ძირითადად, თეატრის ნამდვილი მოყვარული ესწრება, ხოლო უბრალო გართობისათვის მაყურებელი სხვა სანახაობაზე დადის.

„ჰამლეტის“ ზემოთ დასახელებული ორი დადგმის რეჟისორებმა პიტერ ჰოლმა („ოულდ ვიკი“) და ბაზ გულბოლიმ („რაუნდ ჰაუსი“) საკმაოდ განსხვავებული გზები აირჩიეს სპექტაკლის რეჟისორული გადაწყვეტისათვის. „ოულდ ვიკის“ ეროვნული თეატრის სცენაზე „ჰამლეტი“ დაახლოებით ოთხ საათს გრძელდება. იგი ორ ნაწილადაა გაყოფილი. პირველმა ნაწილმა თითქმის ორსაათნახევარს გასტანა, ამას მოჰყვა ოცწუთიანი შესვენება და საათიანი მეორე ნაწილი. ამ სპექტაკლისათვის რეჟისორმა პიტერ ჰოლმა გამოიყენა 1604 წლის მეორე ქუარტოს შეუმოკლებელი ტექსტი. რომელსაც ემატებოდა ფოლიოს გამოცემის ზოგიერთი შესწორებანი (1623 წ.). დადგმა უდეკორაციოდ მიმდინარეობდა. მსახურებს შემოჰქონდათ და გაჰქონდათ სავარძლები და სპექტაკლის მსვლელობისათვის საჭირო სხვა რეკვიზიტი. რაც შეეხება მსახიობთა კოსტუმებს, ისინი შექსპირის დროინდელი იყო.

<sup>1</sup> შესასვლელშივე გავხდი „რაუნდ ჰაუსის“ კლუბის დროებითი წევრი, რისთვისაც დამატებით გადავიხადე ფული. სხვადასხვა კლუბისა და საზოგადოების შექმნა და არსებობა, ინგლისში შემორჩენილ უმეტეს სხვა ტრადიციებთან ერთად, წმინდა კომერციულ ხასიათს ატარებს. ასე მაგალითად, ყველა თეატრს აქვს თავისი კლუბი, რომლის წევრი შეიძლება გახდეს ყველა, გარკვეული თანხის გადახდის შემდეგ. ეს მას აძლევს უპირატესობას უმნიშვნელო ფასდაკლებით შეიძინოს ბილეთები ამ თეატრალური დასის სპექტაკლზე. არსებობს დროებითი წევრობაც.



მოქმედება ჩვეულებრივად სცენაზე — მაყურებელთა თვალწინ მიმდინარეობდა. ერთი სიტყვით, წარმოდგენის ატმოსფერო აღორძინების ეპოქის მაყურებლის სულით განგაწყობდა. ყველაფერი ისე იყო, როგორც ელისაბედის დროინდელ თეატრში უნდა ყოფილიყო.

„რაუნდ ჰაუსში“ დადგმული „ჰამლეტი“ სამ მოქმედებადაა დაყოფილი; პირველი 47 წუთს<sup>1</sup>, მეორე ერთ საათსა და 36 წუთს და მესამე კი ერთ საათს გრძელდება. მოქმედებათა შორის ერთი ხუთწუთიანი და ერთი ათწუთიანი შესვენებაა. წარმოდგენა აქაც უდევკორაციოდაა განხორციელებული, რეკვიზიტის რაოდენობა კი კიდევ უფრო შეზღუდული. აქ მთავრდება ამ ორ სპექტაკლს შორის არსებული მსგავსება. „რაუნდ ჰაუსის“ „ჰამლეტში“ მსახიობები სცენის გარდა იყენებენ მაყურებელთა დარბაზს, მაყურებელთა სკამებს შორის გასასვლელებს და დარბაზის კედლების გასწვრივ გამავალ გზას, გამნათებელთა ჯიხურსაც კი. ცნობილ სცენაში, სადაც მოხეტიალე მსახიობები წარმოდგენას მართავენ მეფის კარზე, კლავდიუსი და გერტრუდა მაყურებელთა დარბაზის პირველ რიგში მოთავსდებიან და იქიდან აღევნებენ თვალს მოქმედებას; ამავე სცენაში მოხეტიალე მსახიობი გიტარის თანხლებით თანამედროვე „პოპ“ მუსიკის მელოდიას ღიღინებს, მაშინ როდესაც „ოულდ ვიკში“ კლავესინი და ზანზალაკები უღერს.

„რაუნდ ჰაუსში“ განსაკუთრებული ყურადღების ღირსია მსახიობთა ჩაცმულობა. ეს ჩაცმულობა თანამედროვეა, შეიძლება ითქვას ულტრათანამედროვეც. მაგალითად, კლავდიუსს კოხტად მორგებული, წელში გამოყვანილი ინგლისური ყაიდის ზოლებიანი კოსტუმი აცვია, პოლონიუსს კი მუქი ლურჯი „ორბორტიანი ბლენიზერი“, და ორივე „ჰაროდის“<sup>2</sup> ვიტრინიდან ჩამოსულ მოდელიერებს უფრო ჰგვანან, ვიდრე რენესანსული ტრაგედიის გმირებს. ჰამლეტს შავი კოსტუმი აცვია და კლავდიუსისა და პოლონიუსის ფონზე ტანსაცმელი ტომარასავით ჰკიდა. მოხეტიალე მსახიობებს დაძონძილი ჯინსები აცვიათ და „ჰიპებს“ გვანან. დანიელი ჯარისკაცები თანამედროვე სამხედრო ფორმაში არიან გამოწყობილნი.

ჰამლეტის მამის აჩრდილს ფელდმარშლის ფორმა აცვია, ხოლო ფორტინბრასსა და მის ოფიცრებს პარაშუტისტის კოსტიუმები, ჩრდილოეთის თოვლში გამოსადეგი თეთრი მოსასხამებით. სხვათა შორის, მათი გამოჩენისას „დინამიკებში“ ტანკების მუხლუხების ხრჭიალი და გუგუნი ისმის...

როგორც ჩანს, ყველაფერი ეს სპექტაკლის დადგმულ რეჟისორს, ბაზ გუდბოდის შექსპირის პიესის გათანამედროვეობის მიზნით დასჭირდა.

რაც შეეხება მსახიობთა თამაშს ზემოხსენებულ ორ სპექტაკლში, როგორც ჩანს, „რაუნდ ჰაუსის“ „ჰამლეტს“ მისმა ასეთმა გათანამედროვეობამ ერთგვარი დაღი დაასვა. მსახიობთა მიხვრა-მოხვრა გაცილებით უფრო მძაფრია და ნერვიული. დიდი შინაგანი წვის გამოსახატავად პერსონაჟები ყვირიან და ხელებს იქნევენ. თვით ჰამლეტი, ამ დადგმაში ბენ კინგსლის შესრულებით, თავიდანვე მძაფრია და შმაგი, და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ამაზე მეტი დაძაბულობის შეტანა თითქოს შეუძლებელი იყოს. მაგრამ მსახიობი ახერხებს უფრო ძლიერად შეასრულოს ფინალური სცენა, რაც მის დიდ შემოქმედებით უნარზე მეტყველებს. იგი უდაოდ ნიჭიერი მსახიობია და მისი ჰამლეტი ამ გმირის ჩვეულებრივ გაგებას სცილდება. „რაუნდ ჰაუსის“ კლავდიუსი, ცნობილი მსახიობი ჯონ ბეიკერი რომ ასახიერებს, უჩვეულოდ მიმზიდველ სახეს ქმნის. სიძულვილის ნაცვლად იგი მაყურებელთა სიმბათიას იწვევს, რაც პიესის შინაარსს ეწინააღმდეგება.

ამისგან განსხვავებით მაყურებელთა დამოკიდებულება „ოულდ ვიკის“ კლავდიუსისადმი (მსახიობი დენის ქვილი) აშკარად ანტიპათიურია, რაც იმის დასტურია, რომ პიესა სწორად არის გააზრებული.

„რაუნდ ჰაუსის“ ოფელია შედარებით ახალგაზრდაა, ეს უფრო შეესაბამება პიესის შინაარსს. ბენ კინგსლის ჰამლეტიც უწვერულვაშოა და ეს მას ახალგაზრდულ იერსაც აძლევს, ვიდრე წვერმოშვებულ ალბერტ ფინის. პოლონიუსი და გერტრუდა ორივე სპექტაკლში დამაჯერებლად თამაშობენ, თუმცა „ოულდ ვიკის“ დედოფალი ოდნავ უფრო პათეტიურია. ჰორაციო, ლაერტი და სხვა გმირები დადგმების საერთო იერის

<sup>1</sup> სხვათა შორის სპექტაკლის ხანგრძლივობის დრო ზუსტადაა მითითებული პროგრამებში, ყოველკვირეული საინფორმაციო ჟურნალებიც თხოულობენ ამაზე ცნობას.

<sup>2</sup> „ჰაროდის“ ერთ-ერთი ყველაზე მდიდრული მაღაზიაა ლონდონში, ნაითსბრიჯზე. ამ მაღაზიაში დროდადრო მოდის ხოლმე ინგლისის დედოფალი და რაიმეს ყიდულობს.



შესაბამისნი არიან და ჩაცმულობის გარდა ბევრით არაფრით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

ალბერტ ფინის ჰამლეტი დინჯია, მაგრამ საოცარი შინაგანი მღელვარებითა და ძალით არის აღსავსე და მაყურებელი ამჩნევს, რომ იგი ცდილობს დაიოკოს ვნებები და სიმშვიდე შეინარჩუნოს, თუმცა ყოველივე უდიდესი სულიერი დაძაბვის ფასად უჭდება. იგი იმდენად ძლიერია, ეჭვიც კი არ გეპარებათ, რომ, სულ უბრალოდ, ფიზიკურადაც მოსპობს ყველა მოწინააღმდეგეს, თავს რომ არ იკავებდეს. მხოლოდ ფინალურ სცენაში გამომჟღავნდება ძალა ამ დაუოკებელი ვნებათაღელვისა. ალბერტ ფინის მიერ განსახიერებული ჰამლეტი შთამბეჭდავია და დამაჯერებელი.

უნდა ითქვას, რომ შექსპირის პიესების ყველა დადგმა მუდამ ხალხმრავალ დარბაზებში მიმდინარეობს. მაყურებელი ერთნაირი გულისყურით უცქერის პიესის ყოველ ახლებურ გააზრებას. ასე განსაჯეთ, ლონდონიდან თეატრის ნამდვილი მოყვარულები ყოველდღიურად ჩადიან ხოლმე სტრეტფორდში-ევონზე, რათა შექსპირული სამეფო თეატრის წარმოდგენას დაესწრონ (ამ ორ ქალაქს შორის მანძილი კი დაახლოებით 90 მილს — 144 კმ-ს უდრის). შექსპირის შემოქმედება სიცოცხლითა და დაუშრეტელი სიახლითაა აღსავსე, რაც კიდევ ერთხელ გვიმტკიცებს მის თანადროულობას ყველა ეპოქასთან.

ამას ისიც ადასტურებს, რომ შექსპირული თემატიკის ლეიტმოტივები ამა თუ იმ სახით ხშირად მოხვდება ხოლმე თანამედროვე ინგლისური დრამატურგიის ფოკუსში. მაგალითად, ახლახან ლონდონის თეატრ „კრამიტირონში“ იდგმებოდა პიესა „როზენკრანცი და გილდენსტერნი მოკვდნენ“, რომელსაც „იანგ ვიკის“ თეატრის დასი ასრულებს და უკანასკნელი რამდენიმე წელიწადია წარმატებით იდგმება სხვადასხვა თეატრის სცენაზე. პიესის ავტორია ახალგაზრდა, ნიჭიერი და ცნობილი დრამატურგი ტომ სტოპარდი.

წაწარმოების გმირები, როგორც ამას სათაური მივვითითებ, არიან შექსპირის ტრაგედიის „ჰამლეტის“ პერსონაჟები — როზენკრანცი და გილდენსტერნი. შექსპირთან ისინი მეორეხარისხიანი როლს ასრულებენ და სულ რამდენიმეჯერ გამოჩნდებიან სცენაზე, ხოლო პიესის დასასრულს ინგლისის ელჩი ელსინორში მომხდარი სისხლისღვრისგან ცოცხლად დარჩენილთ

ამცნობს, რომ „როზენკრანცი და გილდენსტერნი მოკვდნენ არიან“.

სტოპარდის მიზანია სხვა კუთხიდან შევხედოთ შექსპირის ტრაგედიას, გავიაზროთ იგი სხვათა თვალსაზრისით, იმ პერსონაჟთა თვალთახედვით, „ჰამლეტის“ მსვლელობისას ჩრდილში რომ არიან მოქცეულნი. შევხედოთ მას თუნდაც თანამედროვეობის თვალსაზრისითაც.

სტოპარდის პიესა ისეთნაირად მიმდინარეობს, რომ თუ შექსპირის პიესაში რომელიმე ეპიზოდი როზენკრანცსა და გილდენსტერნს მოითხოვს, მოქმედება შექსპირული გადაწყვეტით მიმდინარეობს; მაგრამ როდესაც შექსპირის ტრაგედიის მთავარი მოქმედი გმირები სცენიდან გადიან, სცენაზე რჩებიან როზენკრანცი და გილდენსტერნი. ამას ემატება ზოგიერთი ეპიზოდი, როდესაც ამ ორი გმირის მყუდროებას რომელიმე შექსპირული პერსონაჟი არღვევს. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ელსინორის ციხე-დარბაზის მრავალ ოთახთაგან ერთ-ერთიდან ვადევნებთ თვალყურს მოვლენებს. ვინაიდან როზენკრანცსა და გილდენსტერნს შექსპირის ტრაგედიაში საკუთარი, მკვეთრად გამოხატული სახე არ გააჩნიათ, ისინი სტოპარდის პიესაშიც სხვა გმირების ცხოვრებით ცხოვრობენ. განმარტავენ, აკვირდებიან მათ მოქმედებას.

ამ პიესას ისე ვერ გაიგებთ, თუ კარგად არ იცნობთ შექსპირის „ჰამლეტს“, თითქოს ამ ტრაგედიის მოქმედება კულისებს მიღმა მიმდინარეობს. თითქოს ეს ორი პერსონაჟი დროებითა დგას მაყურებელთა წინაშე. მათი უსახურობა სტოპარდს თავისებურად აქვს გადაწყვეტილი; მთელი პიესა ისე მიმდინარეობს, რომ არც თვით გმირებმა, არც შექსპირის პერსონაჟებმა და არც მაყურებლებმა არ იციან, რომელი მათგანია როზენკრანცი და რომელი გილდენსტერნი. როდესაც შექსპირული ტრაგედიის მოქმედება როზენკრანცს ან გილდენსტერნს მოითხოვს, ეს ორი პერსონაჟი დიღხანს დაობს. რომელი რომელია და რადგან მაინც ვერ გარკვევენ ამას, ორივე ერთად გადის. ამას, რასაკვირველია, ემატება სიკვდილის მოტივი, რითაც მთელი პიესა გამსჭვალული. სიკვდილი ბატონობს ორივე გმირზე. სიკვდილის წინაშე ისინი კიდევ უფრო უძლურნი ხდებიან. სიკვდილის შიში მათ ერთსახოვან ადამიანებად აქცევს, როგორც ფიზიკურად, ასევე სულიერადაც. სიკვდილის გარდუვალობა გადაწყვეტია და მის წინაშე ყველაფერი ფერმკრთალდება.



ასეთია გმირების ხვედრი. ამ პიესაში ჰამლეტური პრობლემა ცხოვრებისეული არსებობის უაზრობის შეცნობას გულისხმობს და სტოპარდის პესიმიზმი თანამედროვე ცივილიზაციით შეშინებული ადამიანის პესიმიზმია. ჰამლეტური პრობლემების ფონზე როზენკრანცი და გილდენსტერნი თანამედროვე ადამიანზე პაროდის წარმოადგენენ.

სპექტაკლში არაფერი ხდება. სრული უმოქმედობა სუფევს. გმირები, როზენკრანცი და გილდენსტერნი, სიკვდილის ძრწოლვით შეპყრობილნი, მთელ დროს იმაში ატარებენ, რომ თვალყურს ადევნებენ მათ გარშემო მიმდინარე და მათთვის გაუგებარ მოვლენებს. ისინი მახვილგონიერ დიალოგებს მართავენ, რაც ერთი ინგლისელი ჟურნალისტის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ინტელექტუალურ აკრობატიკას“ წააგავს. პიესას აშკარად ეტყობა აბსურდის თეატრის გავლენა. ცივილიზაციისადმი პესიმიზტური განწყობილება, მისადმი შიში, აგრერიგ დამახასიათებელი მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის დეკადენტი მწერლებისათვის, ამჟამადაც ბატონობს ინგლისურ ლიტერატურაში და კერძოდ დრამატურგიაში.

პესიმიზტური დამოკიდებულება ცივილიზაციისადმი შეიძლება შეინიშნოს თანამედროვე თემატიკაზე დაწერილ პიესებშიც. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საგულისხმოა განმარტებული პიესა — „იკები“. პიესა დოკუმენტურ მასალაზეა აგებული: იკების ტომი ჩრდილოეთ უგანდაში (აფრიკა) ბინადრობს. 1946 წელს ინგლისელებმა იკები აყარეს თავისი მშობლიური მიწა-წყლიდან, რათა იქ ეროვნული პარკი, ნაკრძალი გაეშენებინათ. იკები საერთოდ მომთაბარე მონადირენი იყვნენ, მაგრამ იძულებული გახდნენ ხელი მიწათმოქმედებისათვის მიეცათ. ე. ი. მათ მთელი ცხოვრების წესი უნდა შეეცვალათ ყოველგვარი ახსნა-განმარტებისა და დახმარების გარეშე. გაუთავებელმა გვალვამ მათი ისედაც მძიმე მდგომარეობა კიდევ უფრო გააუარესა. დაიწყო შიმშილობა. მალე იკებმა დაკარგეს თითქმის ყველა ადამიანური თვისება. შერჩათ მხოლოდ ცხოველური ინსტინქტები... თვრამეტი წლის შემდეგ ინგლისელმა ანთროპოლოგმა კოლინ ტარნბულმა იმოგზაურა ამ ტომის შესახებ და 1973 წელს გამოაქვეყნა წიგნი „მთის ხალხი“, რომელიც მყისვე ბესტსელერი გახდა.

ტარნბულის წიგნით დაინტერესდა გამოჩენილი რეჟისორი პიტერ ბრუკი, ვინაც

დრამატურგებთან კოლინ ჰიგინსთან და დენის კენანთან ერთად ნაწარმოების პიესად გადაკეთება გადაწყვიტა. მწერლებიცა და მსახიობებიც აფრიკაში გაემგზავრნენ იკების ყოფისა და ქცევების დაწვრილებით შესასწავლად. ამ ხანგრძლივი მოგზაურობის შედეგად შეიქმნა ნაწარმოები, რომელიც ორ ნაწილს შეიცავდა: ერთი იყო მწერალთა მიერ ნათლად და გააზრებულად შემოტანილი ნაწილი, ხოლო მეორე — მსახიობთა მიერ გადმოღებული ფიზიკური მხარე, მოძრაობა, მიხვრა-მოხვრა, მიმიკა, ჟესტები, მეტყველების იმიტაცია და სხვა, — ამის შედეგად დაიწერა ძალზე რეალისტური, თითქმის ნატურალისტური პიესა.

დადგმა პირველად პარიზში განახორციელა 1975 წლის 12 იანვარს პიტერ ბრუკმა. სპექტაკლს დიდი გამოხმაურება მოჰყვა.

ვინაიდან მეცნიერის — კოლინ ტარნბულის წიგნი ინგლისურად იყო დაწერილი, ამიტომ ამ სპექტაკლის ინგლისური ვარიანტისთვის პიტერ ბრუკი და დრამატურგი დენის კენანი უშუალოდ მასთან ერთად მუშაობდნენ. საერთოდ კი იგი ამ პიესის ერთ-ერთი წამყვანი პერსონაჟიცაა.

პიესა იწყება იმით, რომ მეცნიერი ჩადის აფრიკაში იკების ტომთან და ხვდება მის სხვადასხვა წარმომადგენელს. იმ არსებებს, რომლებიც იკების ტომს შეადგენენ, ადამიანებს ვერ ვუწოდებთ. მათი ცხოვრება მხოლოდ ლუკმაპურის მოპოვებას ემსახურება. სოფელში საყოველთაო შიმშილი მეფობს, დასუსტებული ადამიანები ვერ მოძრაობენ და ამიტომ ხოხვას ან საერთოდ გაუნძრევლად ყოფნას არჩევენ, ისე კი მათი კონფუსიური მოძრაობა იმპულსურ რეაქციას წააგავს უფრო, ვიდრე რაიმე გამიზნულ ან განპირობებულ მოქმედებას. ბავშვები მიწაზე ღოღავენ და მცენარის ფესვებს ღეჭავენ, ძვლებს ფშვნიან და წოვენ ან კიდევ კენჭებს ყლაპავენ. ის მცირე დახმარება, რასაც სახელმწიფო აძლევს მათ, სულ რამდენიმე დღეში ნადგურდება. სიკვდილი მათთვის და მათი ახლობლებისათვის ბედნიერებაა, რადგან შიმშილით ტანჯვა მთავრდება და გარდაცვლილის წილ საჭმელს ცოცხლები ინაწილებენ. ავადმყოფობა ხომ სულ ერთთავად მუსრს ავლებს იკებს. მათი მეტყველება, გარდა ერთი-ორი სიტყვისა, მხოლოდ ცალკეული ბგერების ამოძახილია — გაუგებარი და უაზრო;

ამ პიესაში, ისევე როგორც წინაში, თითქმის არაფერი ხდება, მოქმედება არ მიმდინარეობს, სცენაზე არიან შიმშილისაგან და-



ოსებულები ადამიანები; არ არის პიესის კვანძი ან ინტრიგა. იგი მიედინება როგორც დოკუმენტური ფილმი, ვთქვათ, ცხოველთა სამყაროზე, როდესაც შენს წინ მოძრავი არსება გამოსცემს რაღაც ხმას, ეძებს საკვებს და კვდება. პიესაში არ იგრძნობა იმედის ნატამალიც; იგი საოცარი სასოწარკვეთისა და უიმედობის გრძნობითაა გამსჭვალული. და როგორც ჩანს, გამიზნულია იმისათვის, რომ საზოგადოებამ ცივილიზაციის დღევანდელ ეტაპზე ყურადღება მიაქციოს იმ ხალხების განვითარებას, რომელთაც უჭირთ ბუნებრივი შეგუება ახალ პირობებთან. პიესა მამხილებელი ტილოა თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოების უხულგულო დამოკიდებულებისა ადამიანის ბედისადმი არა ცალკეული, არამედ ეროვნული მასშტაბით. სპექტაკლის პერსონაჟთა, ე. ი. ნამდვილ ადამიანთა პასიური ცქერა საექვოს ხდის ადამიანური სიკეთის იდეალების არსებობას, რასაც ყბადაღებული დასავლური პიესა ასე ხშირად ქადაგებს. სპექტაკლი აღიქმება, როგორც მწვავე პროტესტი პატარა ერების ცხოვრებაში ე. წ. ცივილიზებული „დიდი“ ერების ძალმომრეობითი ჩარევის წინააღმდეგ. ეს არის მწარე მათრახი, ბურჟუაზიული საზოგადოების თვალთმაქცურ ბუნებაზე გადაჭერილი; იგი ამხელს დასავლური საზოგადოების ფარისევლობას.

ასეთი შთამბეჭდავი პიესები არც ისე ხშირი მოვლენაა ინგლისში და სპექტაკლების უმეტესობა გასართობ ხასიათს ატარებს. მათ შორის განსაკუთრებული მოწონებით სარგებლობს ცნობილი კლასიკოსების ნაწარმოებებზე შექმნილი ე. წ. მიუზიკლის ფორმის სპექტაკლები. ასე მაგალითად, სხვადასხვა დროს მიუზიკლებად იყო გადაკეთებული დიკენსის „ოლივერ ტვისტი“ და ბერნარდ შოუს „პიგმალიონი“. ახლა ინგლისში დიდი წარმატებით სარგებლობს 1975 წლის ედინბურგის საერთაშორისო ფესტივალში გამარჯვებული ერთ-ერთი მიუზიკლი, მეჩვიდმეტე საუკუნის ცნობილი ინგლისელი მწერლის ჯონ ბენიანის ნაწარმოების „მწირის გზის“ (The Pilgrim's Progress) მიხედვით რომ შეიქმნა. დადგმას ჰქვია „პილიგრიმი“. მიუზიკლი თანამედროვე მუსიკალური გაფორმებითაა შესრულებული და სასიამოვნო მოსასმენია, თუმცა პოპ-მუსიკა სპექტაკლის ბოლოსათვის ცოტა მოსაბეზრებელი ხდება. ყურადღებას იქცევს ის გარემოებაც, რომ პურიტანული

სულისკვეთებით დაწერილი ეს ნაწარმოები მეოცე საუკუნეში ასე გაიგეს.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა შევჩერდეთ ბოლო შვიდი წლის განმავლობაში ლონდონისა და ნიუ-იორკის სცენებიდან ჩამოუსვლელ და ახალგაზრდებში ძალზე პოპულარულ დადგმაზე, რომლის სახელიც ასეთნაირად უღერს „იესო ქრისტე სუპერ ვარსკვლავი“ (Jesus Christ Superstar). მიუზიკლი როც მიუზიკითაა დაწერილი და მასში საკმაოდ ადვილად დასამახსოვრებელი და სასიამოვნო მელოდიები უღერს. იგი აღწერს იესო ქრისტეს ცხოვრების ბოლო რამდენიმე დღეს, იუდას ლაღატს, ქრისტეს წამებასა და ჯვარცმას. სცენაზე გამოდიან ჯინსებში ჩაცმული იუდა და ქრისტე. ჰიპის ჩამოგავს ახევე პეტრე მოციქული და სხვა მონაწილენიც, მიკროფონებით ხელში რომ დახტიან სცენაზე, ათასნაირად იგრიხებიან და მღერაინ. ქრისტიანული რელიგიის მიხედვით ეს მკრეხელობა უნდა იყოს, მაგრამ ოფიციალურმა რელიგიამ პირში წყალი დაიგუბა და დუმს.

როგორც ცნობილია, ეკლესია ყოველ ღონეს ხმარობს, რომ ხალხი თავისთან მოიკრიბოს. უკვე აღარავის აოცებს რელიგიის მსახურთა მიერ ეკლესიაში მრევლის მიზიდვის მიზნით გამართული ათასგვარი სანახაობანი. მაგრამ ქრისტეს სახელთან დაკავშირებით როც მიუზიკლის შექმნა, მაინც რაღაც განსაკუთრებული რამ უნდა იყოს. როგორც ამბობენ, ოფიციალური რელიგია იმიტომაც დუმს ამ სპექტაკლის თაობაზე, რომ მისი დადგმის და განსაკუთრებით კი ასეთი წარმატების შემდეგ რელიგიამ მრავალი ახალგაზრდა დააინტერესა. და ეს მიუზიკლიც, ასე ვთქვათ, პროპაგანდისტულ საშუალებად გამოიყენეს.

ლონდონის თეატრალური აფიშა ძალზე ვრცელია. შეიძლებაოდა კიდევ გვესაუბრა შემუშელ ბეკეტის სამოცდაათი წლისთავის გამო გამართულ მისივე სპექტაკლების ფესტივალზე, აგათა კრისტის დეტექტიური ჟანრის პიესებზე, მუსიკალურ დადგმებზე, როგორც კლასიკური, ასევე ავანგარდისტული ნაწარმოებების კონცერტებზე, პოეზიის საღამოებსა და მრავალ სხვაზე.

მაგრამ ამ მრავალთაგან ვეცადე შევჩერებულიყავი განსაკუთრებით საინტერესო და თავისებურ პიესებზე, რომლებიც, ჩემი აზრით, გარკვეულ წარმოდგენას შექმნიდა დღევანდელ თეატრალურ დადგმებზე შექსპირის სამშობლოში.



# ჩვენი ავტორები



**გოფრედო პარიზეს** (დაიბადა 1929 წ.) თანამედროვე იტალიურ ლიტერატურაში განსაკუთრებული ადგილი უკავია და მეტად თავისებური, ორიგინალური ხელწერით გამოირჩევა.

პარიზე 1951 წლიდან ეწევა ჟურნალისტურ მოღვაწეობას, აქვეყნებს მოთხრობებსა და ნარკვევებს. მისი პირველი რომანი „მკვდარი ბიჭი და კომეტები“ თითქმის შემჩნეველი დარჩა მკითხველ საზოგადოებას, მაგრამ დიდი წარმატება მოუტანა მწერალს მეორე რომანმა „ლამაზი მღვდელი“ (1954 წ.) ეს რომანი თოთხმეტჯერ გამოიცა იტალიაში და ითარგმნა მრავალ ენაზე. 1965 წელს კი პარიზე აქვეყნებს „პატრონს“, რომელსაც იმავე წელს ენიჭება დიდი ლიტერატურული პრემია „ვიარეჯო“. ამ რომანით, რომელიც თარგმნილია აგრეთვე რუსულ ენაზე, ქართველი მკითხველი პირველად გაეცნობა პარიზეს შემოქმედებას.

**აბრაამ ხეშელი** თანამედროვე ამერიკელი მოაზროვნე და თეოლოგიის პროფესორია. მისი წერილი „ვინ არის ადამიანი“ ამ ათი წლის წინ დაიბეჭდა ჟურნალ „იუნესკოში“. სტატიაში მწვავედ არის დასმული საკითხი ადამიანის ბუნების, მისი შინაგანი მორალურ-ეთიკური არსისა და მიზანსწრაფვის შესახებ, რაც ფართო მსჯელობის საგანია როგორც ჩვენში, ასევე დასავლეთში.

საბჭოთა მკითხველისათვის, ცხადია, უცხოა აბრაამ ხეშელის ზოგიერთი პირწმინდად თეოლოგიური ხასიათის დებულება, მაგრამ მისთვის მახლობელი უნდა იყოს წერილში გამჟღავნებული ღრმად ჰუმანური პათოსი, ადამიანის ნათელი ბუნების, მისი ამოურწყავი შესაძლებლობისადმი რწმენისა და სიკეთისადმი დაუცხრომელ სწრაფვას რომ გულისხმობს.



ლიტერატურно-художественный  
альманах  
(на грузинском языке)

1 9 7 7

№ 4

Издательство «Мерани»  
380008. Тбилиси, пр. Руставели, 42.

გადაეცა წარმოებას 7/VI-77 წ. ხელმოწერილია და  
საბეჭდად 22/VIII-77 წ. ქაღალდის ზომა 70×108<sup>1</sup>/<sub>16</sub>  
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 16,47. ნაბეჭდი  
თაბახი 21. ტირაჟი 10.000 შუკვ. № 480

ფასი 1 მან.

მხატვრული რედაქტორი ლევან ცუცქერიძე  
მხატვარი აკაკი თევზაძე  
ტექნიკური რედაქტორი რევაზ იმნაიშვილი

□

საქართველოს სსრ გამსახკომის საგამომცემლო-პოლი-  
გრაფიული გაერთიანება „განათლების“ კომბინატი,  
თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат издательско-полиграфического объеди-  
нения «Ганатлеба» Госкомиздата Грузинской ССР,  
Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.



800/07

76132



საქართველოს  
საგარეო ურთიერთობების



22

